
International Partnerships Austria
ĊENN
დუშეთის მუნიციპალიტეტის
მწვანე ბიუჯეტის პროექტი
დუშეთი
2026

დუშეთის მუნიციპალიტეტის

მწვანე ბიუჯეტის პროექტი

დუშეთი
2026

აღნიშნული დოკუმენტი მომზადდა *პროექტ „მწვანე კავკასიის“ ინიციატივით*, რომელიც ხორციელდება კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (CENN) მიერ ავსტრიის განვითარების სააგენტოს (ADA) ფინანსური მხარდაჭერით, ავსტრიის საერთაშორისო პარტნიორობის ფარგლებში.

გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შეიძლება არ ასახავდეს კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელისა და დონორი ორგანიზაციის თვალსაზრისს.

პროექტის მომზადებაში ჩართული მხარეები:

დავით დარსაველიძე	მწვანე ეკონომიკის მკვლევარი
რევაზ გეთიაშვილი	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის დირექტორის მოადგილე
მარიამ გელაშვილი	პროექტის ასისტენტი

მადლობას მოვახსენებთ დუშეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, განსაკუთრებით:

კახაბერ ჩიტაური	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი
ვასილ წიკლაური	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
ბესიკ ბიჩნიგაური	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თამაზ ფოლოდაშვილი	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

ასევე, სამსახურების ხელმძღვანელებს და მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეებს დუშეთის მუნიციპალიტეტში:

ნოდარ კობიაშვილი	მრჩეველი იურიდიულ საკითხებში
დავით შაბურიშვილი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი
ამირან ძლიერაშვილი	სტატისტიკის, ეკონომიკის განვითარებისა და გარემოს დაცვის განყოფილების უფროსი

შინაარსი:

აბრევიატურები 7

მწვანე ბიუჯეტის პროექტი 8
დოკუმენტის მიზანი 8
მიდგომა და შეზღუდვები 8

მწვანე ბიუჯეტის მნიშვნელობა 10

სტრატეგიული პოლიტიკა მწვანე ბიუჯეტირების ჭრილში 15
განვითარების ხედვა 15
დუშეთის მუნიციპალიტეტის 2024–2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი . 15
საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა 22
ძირითადი მწვანე მიმართულებები 23

დუშეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დოკუმენტების გარემოსდაცვითი ანალიზი 32
ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) 32
ბიუჯეტის დადგენილება 36
პროგრამული ბიუჯეტის დანართი 45
შესრულების წლიური ანგარიში 48
მწვანე ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპები 52

ეროვნული და მუნიციპალური პრიორიტეტები 55

საერთაშორისო თანამშრომლობა და მხარდაჭერა 60

გარემოსდაცვითი მმართველობა 65

გარემოსდაცვითი განათლება 73

საგანგებო სიტუაციების რისკების მართვა 77

მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა 82

მწვანე შესყიდვები 87

დარგობრივი პრიორიტეტები 91
სოფლის მეურნეობა 91
ენერგეტიკის სექტორი 95
ტურიზმი 99
სატყეო სექტორი 103
ნარჩენების მართვა 107
წყლის სექტორი 110

რეკომენდაციები 114

დანართი 118

გამოყენებული ლიტერატურა/წყაროები: 125

Summary of dusheti Municipality Green Budgeting Project 127

ცხრილები:

ცხრილი 1. მწვანე ბიუჯეტირებისათვის რეკომენდებული კლასიფიკაცია დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის 19
ცხრილი 2. საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამოქმედო გეგმის მწვანე საბიუჯეტო ანალიზი 29
ცხრილი 3. დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ძირითადი პროგრამები/ქვეპროგრამების ჩაშლით 42
ცხრილი 4. მწვანე ბიუჯეტის წილი დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში 45
ცხრილი 5. დუშეთის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მწვანე ბიუჯეტირებით გააზრება .49
ცხრილი 6. მწვანე ბიუჯეტთან ასოცირებული დუშეთის 2025 წლის ხარჯების შესრულების შეჯამება .52

დიაგრამები:

დიაგრამა 1. დუშეთის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლების პროცენტული განაწილება 37
დიაგრამა 2. დუშეთის 2025 წლის გამოკვეთილი გარემოსდაცვითი პროგრამები 38
დიაგრამა 3. დუშეთის 2025 წლის ძირითადი პროგრამები ქვეპროგრამების ჩაშლით 39

აბრევიატურები

BDD	ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი
CENN	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი
CO_2	ნახშირორჟანგი
GCF	მწვანე კლიმატის ფონდი
GEF	გლობალური გარემოსდაცვითი ფონდი
EU	ევროკავშირი
IT	საინფორმაციო ტექნოლოგიები
LAG	ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი
LEADER	სოფლის ეკონომიკის განვითარების ღონისძიებებს შორის კავშირის ხელშეწყობა Liaison Entre Actions de Développement de l'Économie Rurale
LED	შუქდიოდური
NEAP	საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამა
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
RECP	რესურსეფექტიანი და სუფთა წარმოება
SECAP	მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმა
SDG	მდგრადი განვითარების მიზნები
SME	მცირე და საშუალო საწარმო
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
₾	ლარი

მწვანე ბიუჯეტის პროექტი

დოკუმენტის მიზანი

2026 წლის 10 მარტს დუშეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრის შედეგად გადაწყდა 2025 წლის საბიუჯეტო მონაცემების შეფასება მუნიციპალურ დონეზე „მწვანე ბიუჯეტირების“ ასპექტით.

შეხვედრის დროს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მიერ გამოთქმული საჭიროებისა და ორგანიზაცია CENN-ის მხარდაჭერით, შეიქმნა „მწვანე ბიუჯეტის პროექტის“ არაფორმალური სამუშაო ჯგუფი საკრებულოს წევრების, მერიის მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლებისა და შესაბამისი დარგის სპეციალისტების შემადგენლობით.

„მწვანე ბიუჯეტის პროექტის“ დოკუმენტი მომზადებულია CENN-ის მიერ მოწვეული ექსპერტისა და სამუშაო ჯგუფის აქტიური ჩართულობით. დოკუმენტი ახდენს გამოწვევების იდენტიფიცირებას გარემოსდაცვითი მიმართულებების დაფინანსების კუთხით და მიზნად ისახავს ეფექტიანი საკანონმდებლო საბიუჯეტო პროცესის ჩამოყალიბებას. დოკუმენტში გაანალიზებულია მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი ფუნქციების განხორციელების შედეგები, განსაზღვრულია საბიუჯეტო პრიორიტეტები და შესაბამისად, შემუშავებულია რეკომენდაციები 2027-2029 წლების საბიუჯეტო პროცესისთვის.

„მწვანე ბიუჯეტის პროექტი“ ერთ-ერთი პირველი სახელმძღვანელო დოკუმენტია საქართველოში მუნიციპალურ დონეზე, რომელიც აანალიზებს დარგობრივი და დარგთაშორისი გარემოსდაცვითი სისტემებისა და ახალი საკანონმდებლო ინიციატივებს და გამოკვეთს საჭიროებებს დუშეთის მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი პოლიტიკის გასაუმჯობესებლად.

მიდგომა და შეზღუდვები

ექსპერტისა და სამუშაო ჯგუფის მუშაობის შედეგად, დარგში არსებული გამოწვევებისა და შესაძლებლობების ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბდა ხედვა და რეკომენდაციები, რომელთა დანერგვა ხელს შეუწყობს დუშეთის მუნიციპალიტეტში 2027-2028 წლებისთვის დარგობრივი პოლიტიკისა და საბიუჯეტო რესურსების დაგეგმვას გარემოსდაცვითი მიმართულებით. ამ მიზნით, დოკუმენტის მომზადების ფარგლებში გაანალიზდა ინფორმაცია 2025 წლის ბიუჯეტის (ნაწილობრივ 2026 წლის ბიუჯეტის პროექტიც) გარემოსდაცვითი ასპექტების შესახებ და განისაზღვრა პრიორიტეტული მიმართულებები ბიუჯეტის მოკლე და საშუალოვადიანი დაგეგმვისთვის.

შეფასების ნაწილში აქცენტი გაკეთდა ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების საკითხზე. ყურადღება გამახვილდა საკანონმდებლო ჩარჩოზე. ამ მხრივ, მნიშვნელოვანი იყო „საქართველოს ტყის კოდექსით“, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“, „ნარჩენების მართვის კოდექსით“, „წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონით“ თუ სხვა დაკისრებული ინსტიტუციური ვალდებულებების ანალიზი, სამომავლო ბიუჯეტირების მიზნით.

დოკუმენტი უშუალოდ უკავშირდება დუშეთის მუნიციპალიტეტის კომპეტენციებს, თუმცა ნაწილობრივ კვეთაშია სხვა მუნიციპალიტეტების, უწყებრივ თუ უწყებათშორის პრიორიტეტებთან. ინტერსექტორული საკითხებიდან ცალკე მიმართულებებად გამოიყო სოფლის მეურნეობა, ენერგეტიკა, წყალი, ტყე, ტურიზმი, მწვანე ბიზნესი, მწვანე შესყიდვები, გარემოსდაცვითი განათლება, ნარჩენები და საგანგებო სიტუაციების/რისკების მართვა.

პროცესის ფარგლებში მოხდა მუნიციპალური ბიუჯეტის სრული გაანალიზება; კერძოდ, შეფასდა ბიუჯეტისა და ბიუჯეტის პროგრამული დანართის გარემოსდაცვითი ასპექტები, ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD) და შესაბამისი დარგობრივი უწყებების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმები და 2025 წლის შესრულების ანგარიში. ანალიზმა მოიცვა, აგრეთვე, გარემოსდაცვითი ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და ანგარიშგების (საბიუჯეტო პროცესის) არსებული მიდგომები და ინსტრუმენტები.

*მოცემული **დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათის** სახელმძღვანელოა 2027 წლის ბიუჯეტის განხილვისთვის, სადაც მოცემულია მნიშვნელოვანი რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი მიზნების მისაღწევად.*

მწვანე ბიუჯეტის მნიშვნელობა

მწვანე ბიუჯეტი არის დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის სარეკომენდაციო სახელმძღვანელო დოკუმენტი, რომლის მიზანიცაა გარკვეულწილად შესაბამისობაში მოიყვანოს მომდევნო წლების ბიუჯეტი გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დარგში განსახორციელებელ საკანონმდებლო და ინსტიტუციურ რეფორმებთან.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD) 2017 წელს მიღებული „პარიზის თანამშრომლობის“[1] ფარგლებში **მწვანე ბიუჯეტირება**ს განმარტავს, როგორც **გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევისთვის საჭირო საბიუჯეტო გადაწყვეტილებების მიღების ინსტრუმენტს**. აღნიშნული მოიცავს საბიუჯეტო პოლიტიკის გარემოზე ზემოქმედებისა და მათი მუნიციპალურ, ეროვნულ და საერთაშორისოდ გაცხადებული ვალდებულებების შესრულებასთან თავსებადობის შეფასებას.

მწვანე ბიუჯეტირება უზრუნველყოფს გარემოს დაცვის მიზნით გამოყოფილი საბიუჯეტო რესურსების განაწილების გამჭვირვალობას და საზოგადოებასა და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ეფექტურ კომუნიკაციას. შესაბამისად, მწვანე ბიუჯეტირება ხელს უწყობს ინფორმირებულ, ფაქტებზე დაფუძნებულ დებატებსა და დისკუსიას მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით.

მწვანე ბიუჯეტირების მიზანია დაძლიოს შემდეგი გამოწვევები:

- ✓ გარემოსდაცვითი ხარჯების არასისტემური დასაბუთება;
- ✓ შეფასებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს შორის სუსტი კავშირი;
- ✓ არასაკმარისი უწყებათშორისი თანამშრომლობა საბიუჯეტო პროცესში საერთო, სექტორთშორისი მიზნების მისაღწევად მდგრადი განვითარებისთვის და ეკონომიკური, ფისკალური, გარემოსდაცვითი და სოციალური მიზნების თანხვედრის ნაკლებობა.

მწვანე ბიუჯეტირების კომპლექსურობა და ფოკუსი დამოკიდებულია პოლიტიკურ პრიორიტეტებსა და პოლიტიკურ ნებაზე. **მწვანე ბიუჯეტირება არ ცვლის პოლიტიკას, არამედ კოორდინირებული ქმედებითა და სისტემური მიდგომით, თანხვედრაში მოჰყავს საქმიანობების ერთობლიობა და ხელს უწყობს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას**.

1 Organisation for Economic Co-operation and Development (OECD), “Paris Collaborative on Green Budgeting”, https://www.oecd.org/environment/green-budgeting/

მწვანე ბიუჯეტირება ადგილობრივი/მუნიციპალური ხელისუფლებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვან **შესაძლებლობას** იძლევა:

- *გარემოსდაცვითი მიზნების შესრულება:* ასტიმულირებს გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელებას; მაგ.: ებრძვის კლიმატის ცვლილებას, იცავს ბუნებრივ რესურსებს, ხელს უწყობს ეკოსისტემური სერვისების შენარჩუნებას და ა.შ.
- *რესურსების ოპტიმიზაცია:* აუმჯობესებს ფინანსების განაწილებას და უზრუნველყოფს სახსრების მიმართვას გრძელვადიან, ეკონომიკურად და ეკოლოგიურად გამართლებულ პროექტებზე.
- *გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდა:* საზოგადოებას აძლევს მკაფიო ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ ხმარდება ბიუჯეტში არსებული სახსრები გარემოსდაცვით ინიციატივებს.
- *საჯარო და კერძო ინვესტიციების მოზიდვა:* „მწვანე“ პროექტების მკაფიო დაგეგმვა ზრდის როგორც სახელმწიფო დაფინანსების, ისე კერძო სექტორისა და საერთაშორისო დონორების მხარდაჭერის შესაძლებლობებს.

მწვანე ბიუჯეტირებით უნდა შეფასდეს და გაანალიზდეს:

• უწყებათშორისი ძალისხმევის განაწილებისა და სტრატეგიული დღის წესრიგით გამოწვეული საბიუჯეტო შედეგები:

ა. გარემოსდაცვითი პოლიტიკის საჭიროებათა ანალიზი;

ბ. გარემოსდაცვითი ქმედებების შეფასება ფისკალური მდგრადობის თვალსაზრისით (ეროვნულ დონეზე);

გ. „მწვანე მიზნების“ ფორმულირება გრძელვადიანი და საშუალოვადიანი ბიუჯეტის დაგეგმვაში.

• სახელმწიფო ღონისძიებების გარემოზე ზემოქმედება:

ა. პოტენციურად გარემოზე ზიანის მომტანი ქმედებების საბიუჯეტო ხარჯების იდენტიფიცირება;

ბ. საგადასახადო სისტემის შეფასება გარემოზე ზემოქმედების კუთხით (ეროვნულ დონეზე);

გ. კლიმატის ცვლილების ფაქტორების გათვალისწინებით ხარჯების პრიორიტეტიზაცია.

• რელევანტური საბიუჯეტო ღონისძიებები:

ა. წინასწარი გარემოსდაცვითი ზეგავლენის შეფასება (ex-ante);

ბ. ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი;

გ. ქმედების რეალიზების შემდეგი შეფასება (ex-post).

მწვანე მუნიციპალური საბიუჯეტო პრაქტიკის შემუშავებისა და დანერგვისას **გამოწვევის** ოთხი ძირითადი კატეგორია გამოიყოფა:

- *მეთოდოლოგიური გამოწვევები:* მწვანე მიზნების მისაღწევად საჭიროებების განსაზღვრა და გაზომვა; საბუღალტრო და საანგარიშგებო ინსტრუმენტების მორგება ადგილობრივი (რეგიონული/მუნიციპალური) მთავრობების საბიუჯეტო კონტექსტზე და იმის უზრუნველყოფა, რომ მეთოდოლოგია ადაპტირდეს ცვალებად სამეცნიერო მონაცემებსა და კლიმატურ გამოწვევებთან.
- *რესურსებთან დაკავშირებული გამოწვევები:* ადგილობრივი მთავრობის თანამშრომლების გადამზადება, რათა მათ პროცესი დროულად განახორციელონ; საკმარისი რესურსების გამოყოფა არსებული საინფორმაციო მართვის სისტემების განსაახლებლად, მწვანე ბიუჯეტირების მოთხოვნების შესაბამისად.
- *ოპერაციული გამოწვევები:* დეპარტამენტებს შორის ჰორიზონტალურ კოორდინაციაზე დაფუძნებული, სპეციალური ორგანიზაციული სტრუქტურის შექმნა; დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა და ფართო კომუნიკაცია; შიდა და გარე აუდიტის პროცესების დანერგვა.
- *პოლიტიკური გამოწვევები:* როგორც ადმინისტრაციული, ისე არჩეული თანამდებობის პირების მხრიდან მუდმივი, მაღალი დონის პოლიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფა; მწვანე და სოციალური მიზნების შეთავსება/დაბალანსება; მონიტორინგის უზრუნველყოფა ტენდენციების იდენტიფიცირებისა და საშუალო და გრძელვადიანი სტრატეგიების განსახორციელებლად.

მუნიციპალურ დონეზე მწვანე ბიუჯეტირება (Green Budgeting) აქტიურად გამოიყენება ევროპისა და მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში. სხვადასხვა ქალაქის მიერ მწვანე ბიუჯეტირების მიდგომებს შორის განსხვავებების (მონაწილეობითი, მარკირების, სათბური გაზების ოდენობის განსაზღვრით, ხარჯსარგებლიანობით, სხვა) მიუხედავად, ყველა მიდგომა გულისხმობს მუნიციპალური ხარჯების შეფასებას კლიმატურ და გარემოსდაცვით მიზნებთან შესაბამისობის მიხედვით.

- *პორტუგალიაში* **ლისაბონი** გახდა პირველი ევროპული დედაქალაქი, რომელმაც ტრადიციული **მონაწილეობითი ბიუჯეტი** (Participatory Budgeting) მთლიანად მწვანე მიმართულებაზე გადართო[2].

გარემოსდაცვითი მიზნებისადმი ლისაბონის მზარდი ინტერესის შესაბამისად და 2020 წელს „ევროპის მწვანე დედაქალაქის“ ჯილდოს (European Green Capital Award) მოპოვების კვალდაკვალ, ლისაბონმა გადაწყვიტა თავისი მონაწილეობითი ბიუჯეტი მწვანე მონაწილეობით ბიუჯეტად გარდაექმნა, რომელიც ექსკლუზიურად ფოკუსირებული იქნება უფრო მდგრადი, მედეგი და ეკოლოგიურად სუფთა ქალაქის შექმნისკენ მიმართულ წინადადებებზე. ლისაბონის მწვანე მონაწილეობითი ბიუჯეტი მოქალაქეთა ჩართულობის ჰიბრიდულ მოდელს იყენებს. აქცენტი კეთდება უშუალო ჩართულობაზე განხილვებისა და დებატებისათვის, ვებ-პლატფორმებზე ხმის მიცემისა და წინადადებების წარდგენის შესაძლებლობებით. ყოველწლიური პროცესი კულმინაციას აღწევს გამარჯვებული პროექტების ინტეგრირებით საკრებულოს (საქალაქო საბჭოს) სამოქმედო გეგმასა და ბიუჯეტში, რომლებსაც ამტკიცებენ საკრებულო და მუნიციპალური ასამბლეა, რის შემდეგაც ხორციელდება მათი იმპლემენტაცია (აღსრულება).

2 Green Participatory Budgeting: Lisbon, Portugalhttps://centreforpublicimpact.org/public-impact-fundamentals/green-participatory-budgeting-lisbon-portugal/

- *საფრანგეთში* ქვეყნის მასშტაბით არაერთი რეგიონი (მაგალითად, **ბრეტანი, ოქსიტანია, გრანდ-ესტი**) და ქალაქი (**პარიზი, ლილი, სტრასბურგი**) იყენებს მწვანე ბიუჯეტის მარკირებას (Green Budget Tagging).[3]

მაგ.: ფრანგულმა რეგიონმა ბრეტანმა საკუთარი „მწვანე ბიუჯეტირების" პროცესზე მუშაობა 2020 წლის ბოლოს დაიწყო. ამ ძალისხმევის შედეგად შეიქმნა კლიმატის ბიუჯეტის მარკირების (tagging) საპილოტე მეთოდოლოგია, რომელიც რეგიონის 2020 წლის ანგარიშებზე ex-post (შედეგების შეფასების) რეჟიმში გამოცადეს. ამ ექსპერიმენტს ხელი შეუწყო კლიმატის ეკონომიკის ინსტიტუტის (I4CE) პუბლიკაციებმა და მეთოდოლოგიურმა მხარდაჭერამ, ასევე ბრეტანის მონაწილეობამ სხვა დაინტერესებულ ფრანგულ რეგიონებთან ერთად შექმნილ „მწვანე ბიუჯეტირების" სამუშაო ჯგუფში.

- *ნორვეგიაში* **ოსლო, ბერგენი და ტრონდჰეიმი** მოწინავე ქალაქები არიან, რომლებსაც შემუშავებული აქვთ მკაცრი კლიმატური ბიუჯეტი, სადაც თითოეულ მუნიციპალურ პროექტს სათბური გაზების შემცირების კუთხით წინასწარ აფასებენ (ex-ante analysis of the emissions reduction potential).[4]
- *შვედეთში* **სტოკჰოლმი** და **ვექშე** (Växjö) აქტიურად იყენებენ გარემოსდაცვითი ხარჯების ანალიზს.[5]
- *ესპანეთში* ანდალუსიისა და კატალონიის რეგიონების მუნიციპალიტეტები, ასევე ქალაქები **ვალენსია** და **ბარსელონა**, იყენებენ მწვანე ბიუჯეტირებას ურბანული გამწვანებისა და ეკომეგობრული ინფრასტრუქტურის დასაფინანსებლად[6].
- *იტალიაში* სარდინიის რეგიონი და ქალაქი **ბოლონია და ვენეცია** ნერგავენ კლიმატური ხარჯების ტექნიკებს[7].
- *პოლონეთში* **ვარშავა და გდანსკი** გამოირჩევიან მწვანე პროექტების (მაგ. სკვერები, ველოსიპედის ინფრასტრუქტურა) დაფინანსებით მოქალაქეთა ჩართულობით[8].
- *გაერთიანებულ სამეფოში* **შოტლანდიის მუნიციპალიტეტები** იყენებენ გარემოსდაცვითი ბიუჯეტირების პრაქტიკას[9].

3 Aligning Regional and Local Budgets with Green Objectives, SUBNATIONAL GREEN BUDGETING PRACTICES AND GUIDELINE, OECD Multi-level Governance Studies; Policy highlights
Shttps://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/support-materials/2022/06/aligning-regional-and-local-budgets-with-green-objectives_db24014b/aligning-regional-local-budgets-with-green-objectives-policy-highlights-en.pdf

4 Aligning Regional and Local Budgets with Green Objectives https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2022/06/aligning-regional-and-local-budgets-with-green-objectives_db24014b/93b4036f-en.pdf

5 იგივე წყარო

6 Environmental Aspects of Participatory Budgeting in Selected Cities in Europe. https://journals.aserspublishing.eu/jemt/article/view/8874

7 Aligning Regional and Local Budgets with Green Objectives, Subnational Green Budgeting Practices and Guidelines https://www.oecd.org/en/publications/aligning-regional-and-local-budgets-with-green-objectives_93b4036f-en.html

8 Participatory Budgeting as a Tool for Smarter Cities: What's Next?
https://newpolis.media/participatory-budgeting-as-a-tool-for-smarter-cities-whats-next/

9 GREEN BUDGETING AT THE NATIONAL AND SUBNATIONAL LEVELS
https://web-archive-storage.oecd.org/aemint-web-archive-prod/web-archive/08/08d669f5c8558eb0ac46938dfc7711afbfb6362cd3e1a639b08a37deaacaac10.pdf

ექვსი ძირითადი სახელმძღვანელო ნაბიჯი მუნიციპალიტეტის „მწვანე ბიუჯეტირების“ პრაქტიკის დაწყებისა და განვითარებისთვის შემდეგი სახითაა წარმოდგენილი:

1. ადგილობრივი ეკოლოგიური და კლიმატური გამოწვევების დიაგნოზის ჩატარება, როგორც „მწვანე ბიუჯეტირების“ პრაქტიკის დანერგვის წინაპირობა.
2. ადგილობრივი მთავრობის, როგორც ადმინისტრაციული, ისე არჩეული პირების მხრიდან ძლიერი, მაღალი დონის ჩართულობისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფა.
3. პრაქტიკისთვის სანდო, მეთოდიკაზე შეჯერება (რეალობასთან ახლომდგომი პრაქტიკა), რაც საზოგადოების ნდობას გაამყარებს და მეთოდიკას მტკიცებულებებზე (მ.შ. სამეცნიერო) დაფუძნებულ მიგნებებთან ადაპტირების საშუალებას მისცემს.
4. მწვანე ბიუჯეტირების დანერგვისას ეტაპობრივი მიდგომის გამოყენება, რათა შესაძლებელი იყოს წინა ნაბიჯებიდან სწავლა და პროცესის სტრატეგიულ პრიორიტეტებთან შესაბამისობის გამყარება.
5. მწვანე ბიუჯეტირების არსებულ ფინანსური მართვის პროცედურებსა და ინსტრუმენტებში ინტეგრირება, რაც ამ პრაქტიკის ხანგრძლივად შენარჩუნებას უწყობს ხელს.
6. ბიუჯეტის მწვანე მიზნებთან სრული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, შემოსავლების ჩართვა „მწვანე ბიუჯეტირების“ პრაქტიკის ფარგლებში.

მწვანე ბიუჯეტირების ინსტრუმენტებად და მეთოდებად მოიაზრება:

- ბიუჯეტის მარკირება Budget tagging
- გაფრქვევების მიხედვით განსაზღვრული ბიუჯეტი Carbon budget
- ხარჯსარგებლიანობის ანალიზი Cost-benefit analysis
- ასარჩევი განაცხადების ხარჯების განსაზღვრა Costing election proposals
- გასაჯაროება და ანგარიშგება Disclosure and reporting
- გარემოსდაცვითი შეფასება (წინასწარი და შემდგომი) Environmental assessment (before and after)
- შეფასება (წინასწარი და შემდგომი) Evaluation (before and after)
- ფისკალური რისკების მართვა Fiscal risk management
- მწვანე საბიუჯეტო განაცხადი Green budget statement
- მწვანე დანახარჯების მიმოხილვა Green spending reviews
- მაკროეკონომიკური მოდელირება და პროგნოზირება Macroeconomic modelling and forecasting
- ქმედებების ინდიკატორები, მონიტორინგი ანგარიშგებაPerformance indicators, monitoring and reporting

სტრატეგიული პოლიტიკა მწვანე ბიუჯეტირების ჭრილში

განვითარების ხედვა

დუშეთის მუნიციპალიტეტის ხედვა –

„საცხოვრებლად მიმზიდველი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტი, რომელიც გამოირჩევა ეკოლოგიური გარემოთი და უსაფრთხოებით, რაციონალურად იყენებს დედაქალაქთან სტრატეგიულ სიახლოვეს, მის ბუნებრივ და კულტურულ მემკვიდრეობას, ტურისტებისთვის მიმზიდველი ადგილი მთელი წლის განმავლობაში, სადაც ტურიზმი ხელს უწყობს მასთან დაკავშირებული სექტორების განვითარებას და ამით ზრდის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ მდგრადობას“

– *ხაზგასმით მიუთითებს ეკოლოგიურად სუფთა გარემოს მნიშვნელობას მუნიციპალიტეტისთვის*, გამოკვეთს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის, ასევე, დედაქალაქთან სიახლოვის უპირატესობას და განვითარების ერთ-ერთ მამოძრავებელ ფაქტორად ტურიზმს ასახელებს, რამაც ხელი უნდა შეუწყოს დაკავშირებული სექტორების განვითარებას და სოციალურ-ეკონომიკური მდგრადობის მიღწევას.

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2024–2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2024–2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების სტრატეგიულ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს სოციალურ-ეკონომიკურ, ინფრასტრუქტურულ, გარემოსდაცვით და მმართველობით პრიორიტეტებს. მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით, დოკუმენტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან **მუნიციპალიტეტის განვითარების ამოცანების დიდი ნაწილი პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება** *ბუნებრივი რესურსების მდგრად მართვას*, *კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას*, *გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას*, *ენერგიის ეფექტიან გამოყენებასა* და *ეკოსისტემური რისკების შემცირებას*.

დუშეთი თავისი გეოგრაფიული, ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური თავისებურებებით ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მუნიციპალიტეტია მწვანე ბიუჯეტირების ანალიზისთვის. მუნიციპალიტეტი მოიცავს როგორც მთიან და მაღალმთიან ზონებს, ისე მთისწინეთს; გააჩნია მდიდარი ჰიდროგრაფიული ქსელი, დაცული ტერიტორიები, მრავალფეროვანი ტყე, ტურისტული

და კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი რესურსი. ამავდროულად, დოკუმენტში მკაფიოდ ჩანს **გარემოსდაცვითი და კლიმატური გამოწვევები**: *წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის არასაკმარისი განვითარება*, *ნარჩენების მართვის სისტემის არასრული დაფარვა*, *სტიქიური ნაგავსაყრელების არსებობა*, *ბუნებრივი კატასტროფების მაღალი რისკი*, *ადრეული გაფრთხილების სისტემების არასაკმარისი განვითარება*, *მწვანე საფარის განვითარების აუცილებლობა* და *კლიმატურად მოწყვლადი დასახლებების არსებობა*.

მწვანე ბიუჯეტირების მიზანია, *მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არსებული პროგრამები და ღონისძიებები შეფასდეს მათი გარემოსდაცვითი და კლიმატური მნიშვნელობის მიხედვით*. ამ მიდგომით, ბიუჯეტი აღარ განიხილება მხოლოდ როგორც ფინანსური დოკუმენტი, არამედ როგორც პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომელიც აჩვენებს, რამდენად არის ადგილობრივი ხარჯები მიმართული მდგრადი განვითარების, კლიმატის ცვლილების შერბილების, ადაპტაციისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ. *დუშეთის შემთხვევაში, მწვანე ბიუჯეტირება განსაკუთრებით სასარგებლოა იმის დასადგენად, რომელი პროგრამა ქმნის პირდაპირ გარემოსდაცვით ეფექტს, რომელი ამცირებს კლიმატურ რისკებს და რომელი საჭიროებს დამატებით მწვანე კომპონენტების ინტეგრირებას*.

მუნიციპალიტეტი განვითარების ძირითად ხედვაში ხაზს უსვამს დუშეთის, როგორც საცხოვრებლად მიმზიდველი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის ჩამოყალიბებას, რომელიც გამოირჩევა ხელუხლებელი ეკოლოგიური გარემოთი, უსაფრთხოებით და ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის გონივრული გამოყენებით. ეს ხედვა პირდაპირ ეხმიანება მწვანე ბიუჯეტირების ლოგიკას, რადგან მუნიციპალიტეტის კონკურენტული უპირატესობა სწორედ ბუნებრივ გარემოზე, ლანდშაფტურ მრავალფეროვნებაზე, წყლის რესურსებზე, დაცულ ტერიტორიებსა და ეკოტურისტულ პოტენციალზეა დაფუძნებული.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები, არაგვის დაცული ლანდშაფტი, მრავალფეროვანი ტყის ეკოსისტემა, მდინარეები, ტბები და წყლის მნიშვნელოვანი რესურსები. შესაბამისად, ადგილობრივი განვითარების ნებისმიერი მიმართულება – გზების მშენებლობა, ტურიზმის განვითარება, წყლის სისტემების მოწყობა, მეწარმეობის მხარდაჭერა, დასასვენებელი სივრცეების რეაბილიტაცია ან ნარჩენების მართვის გაუმჯობესება – უნდა შეფასდეს გარემოსდაცვითი და კლიმატური ზემოქმედების კუთხით.

მოცემულ დოკუმენტში წარმოდგენილი მიზნები მწვანე ბიუჯეტირებისათვის შეიძლება დაიყოს რამდენიმე ძირითად ჯგუფად:

პირდაპირი გარემოსდაცვითი პროგრამები – ნარჩენების მართვა, გამწვანება, სკვერებისა და პარკების მოვლა, სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია, მიუსაფარი ცხოველების მართვა.

კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის პროგრამები – კატასტროფის რისკის შემცირება, ნაპირსამაგრი ნაგებობები, წყალმომარაგების სისტემების გაუმჯობესება, წყალარინების ქსელის რეაბილიტაცია, მელიორაციის გაუმჯობესება.

კლიმატის ცვლილების შერბილებასთან დაკავშირებული ღონისძიებები – ალტერნატიული ენერგიის გამოყენება, მზის პანელებით ელექტროენერგიის მიწოდება, გარე განათების ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესების პოტენციალი, ადგილობრივი ეკონომიკის უფრო რესურსეფექტიანი განვითარება.

მდგრადი ეკონომიკური განვითარების ღონისძიებები – ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა, ტყის არამერქნული პროდუქტების გამოყენება, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის მდგრადი ტურიზმის განვითარება.

მმართველობისა და გამჭვირვალობის ღონისძიებები – მონიტორინგი, შეფასება, მოქალაქეთა ჩართულობა, საბიუჯეტო და სტრატეგიული დაგეგმვის კოორდინაცია.

ამგვარი კლასიფიკაცია აჩვენებს, რომ ***დუშეთის განვითარების დოკუმენტი მხოლოდ ნაწილობრივ არის ფორმულირებული როგორც გარემოსდაცვითი დოკუმენტი, თუმცა მისი შინაარსი ქმნის კარგ საფუძველს მწვანე ბიუჯეტირების სისტემის დანერგვისთვის***.

დუშეთის მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსებით გამოირჩევა, თუმცა ამ რესურსების მართვა არაერთ **გამოწვევასთან** არის დაკავშირებული:

- ერთ-ერთი მთავარი საკითხია ***წყალმომარაგება და წყალარინება***.

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება *სასმელი წყლის ინფრასტრუქტურა და მოსახლეობისთვის სუფთა წყლის უწყვეტი მიწოდება*. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის ნაწილში წყალმომარაგებას ახორციელებს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, ხოლო სხვა დასახლებებში – მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „დუშეთის წყალი“. ბოლო წლებში მოწყობილია სათავე ნაგებობები, ჭაბურღილები და წყალმომარაგების ქსელი, თუმცა წყლის გარეშე კვლავ რჩება არაერთი დასახლება, მათ შორის, გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლები.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით, *წყალმომარაგების პროგრამები უნდა შეფასდეს როგორც კლიმატთან ადაპტაციისა და სოციალური მდგრადობის ხარჯები*. სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალმთიან და კლიმატურად მოწყვლად დასახლებებში, სადაც გვალვა, წყლის რესურსების სეზონურობა, ინფრასტრუქტურის დაზიანება და ბუნებრივი კატასტროფები პირდაპირ აისახება მოსახლეობის კეთილდღეობაზე.

წყალარინების მიმართულებით გამოწვევა კიდევ უფრო მწვავეა. კაპიტალური წყალარინების ქსელი არსებობს მხოლოდ ქალაქ დუშეთში, დაბა ფასანაურსა და დაბა ჟინვალში, ხოლო მუნიციპალიტეტის სოფლები წყალარინების ქსელით არ არის უზრუნველყოფილი. იმ დასახლებებშიც, სადაც ქსელი არსებობს, საჭიროა მისი რეკონსტრუქცია და განახლება. გაუწმენდავი ფეკალური წყლების მდინარეებში ჩაშვება მნიშვნელოვან გარემოსდაცვით რისკს ქმნის. მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში, წყალარინებისა და გამწმენდი ინფრასტრუქტურის განვითარება უნდა განისაზღვროს როგორც მაღალი პრიორიტეტის გარემოსდაცვითი და ადაპტაციური ხარჯი.

- მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა ***ნარჩენების მართვა.***

მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვება ხდება როგორც კონტეინერული, ისე ზარის სისტემით. მომსახურებით დაფარულია მოსახლეობის დაახლოებით 70%, ხოლო კომერციული ობიექტების 90%. მუნიციპალიტეტის მასშტაბით განთავსებულია 1 001 ერთეული 1,1 მ³ მოცულობის ურნა და მომსახურებას 7 ავტომანქანა უზრუნველყოფს (5 სპეცმანქანაა და 2 ზარის პრინციპით მომუშავე ავტომანქანაა). მიუხედავად ამისა, *ნარჩენების მართვის სისტემის გაფართოება კვლავაც საჭიროა*, რადგან მომსახურებით ყველა დასახლება არ არის მოცული. ასევე *პრობლემად რჩება სტიქიური ნაგავსაყრელები, აზბესტის ნარჩენები, პესტიციდების ნარჩენები და სხვა ეკოლოგიურად სახიფათო ნარჩენები*.

დოკუმენტში მოცემული ფინანსური ინფორმაცია აჩვენებს, რომ ნარჩენების მართვაზე გამოყოფილი თანხა 2020 წელს 587,8 ათას ლარს, 2021 წელს 650,2 ათას ლარს, ხოლო 2022 წელს 861,8 ათას ლარს შეადგენდა. ამავე დროს, დასუფთავების მოსაკრებლიდან ამოღებული თანხა ხარჯების მხოლოდ მცირე ნაწილს ფარავდა. ეს მიუთითებს, რომ ნარჩენების მართვა დიდწილად ბიუჯეტზეა დამოკიდებული და საჭიროებს როგორც მომსახურების დაფარვის გაფართოებას, ისე ფინანსური მდგრადობის გაუმჯობესებას. მწვანე ბიუჯეტირების ანგარიშში აღნიშნული ხარჯი უნდა კლასიფიცირდეს როგორც პირდაპირი გარემოსდაცვითი ხარჯი.

- დუშეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირებას**.

დოკუმენტში დასახელებულია მუნიციპალიტეტისთვის ხშირი ***სტიქიური მოვლენები***: *ღვარცოფი, მეწყერი, სეტყვა, წყალდიდობა, ტყისა და ველის ხანძარი, ზვავი, დიდთოვლობა და ძლიერი წვიმა*. მუნიციპალიტეტში არ არის სათანადოდ განვითარებული ადრეული გაფრთხილების სისტემა. ასევე, დიდი მასშტაბის რისკად განიხილება ჟინვალის წყალსაცავთან დაკავშირებული ჰიდროდინამიკური ავარიის შესაძლებლობა.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით, *კატასტროფის რისკის შემცირების მექანიზმები, ნაპირსამაგრი ნაგებობები, ადრეული გაფრთხილების სისტემები და უსაფრთხოების ინფრასტრუქტურა უნდა ჩაითვალოს კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ხარჯებად*.

- **ენერგიის მიმართულებით** მნიშვნელოვანია როგორც *ელექტროენერგიის ხელმისაწვდომობა*, ისე *ალტერნატიული ენერგიის გამოყენება*. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტის 20 დასახლებაში 98 მაცხოვრებელს ელექტროენერგია მზის პანელებით მიეწოდება, თუმცა 46 დასახლებაში 97 მაცხოვრებელი ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. ამ მიმართულებით ***მწვანე ბიუჯეტირების პოტენციალი*** აშკარაა: *მაღალმთიანი და დაშორებული დასახლებებისთვის მზის პანელები, მცირე ენერგოსისტემები და ენერგოეფექტიანი ინფრასტრუქტურა შეიძლება იყოს როგორც სოციალური, ისე კლიმატური მნიშვნელობის ინვესტიცია*.

გარე განათების მიმართულებით მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ახორციელებს ქსელის მოწყობასა და რეაბილიტაციას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მუნიციპალიტეტი გარე განათებისთვის იყენებს 6 000 ნათურას, ჯამურად დამონტაჟებულია 14 650 ნათურა, ხოლო წლიური ელექტროენერგიის მოხმარება 1 535 700 კვტ.სთ-ს შეადგენს, რისთვისაც ბიუჯეტიდან იხარჯება 490 800 ლარი. ***მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით***, *ეს პროგრამა შეიძლება გახდეს შერბილების მნიშვნელოვანი მიმართულება, თუ მუნიციპალიტეტი ეტაპობრივად გადაერთვება ენერგოეფექტიან LED განათებაზე, მზის ენერგიაზე მომუშავე განათების წერტილებზე და ენერგომოხმარების მონიტორინგზე*.

მწვანე ბიუჯეტირებისთვის მნიშვნელოვანი პროგრამული მიმართულებები

დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ანალიზი აჩვენებს, რომ მწვანე ბიუჯეტირებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ***მიზანი 1*** და ***მიზანი 3***.

მიზანი 1 ეხება ***მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას სოციალურ-ეკონომიკური აქტივობების მხარდაჭერითა და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობით***. ამ მიზანში *მწვანე კომპონენტებია* მუნიციპალური გზების გაუმჯობესება, სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობა, ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობა ალტერნატიული ენერგიის გამოყენებით, დასასვენებელი სივრცეების მოწყობა და კატასტროფის რისკის შემცირების მექანიზმები.

მიზანი 3** პირდაპირ გარემოსდაცვითია* და ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ***ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას ნარჩენების მართვის, გამწვანების აქტივობებისა და მიუსაფარი ცხოველების მართვის გზით. ამ მიზნის ფარგლებში განსაზღვრულია ნარჩენების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირება, მცენარეთა მოვლა, სკვერებისა და პარკების ექსპლუატაცია და მიუსაფარი ცხოველების ჰუმანური მართვა. დოკუმენტის ლოგიკურ ჩარჩოში ამ მიზანს უკავშირდება მდგრადი განვითარების მიზნები 6, 13 და 15, რაც კიდევ უფრო ამყარებს მის გარემოსდაცვით და კლიმატურ მნიშვნელობას.

გარდა ამისა, **მიზანი 2 – *ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ცნობადობის გაზრდა*** – *მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში მნიშვნელოვანია მდგრადი ტურიზმის განვითარებისათვის*. ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებთან ინფრასტრუქტურის მოწყობა უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ დაზიანდეს ეკოსისტემები, არ გაიზარდოს ნარჩენების დატვირთვა და შეიქმნას დაბალი ზემოქმედების ტურისტული ინფრასტრუქტურა.

მმართველობის მიმართულებით, დოკუმენტი ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების სისტემას, ანგარიშგების პერიოდულობას, მოქალაქეთა და ბიზნესის ჩართულობას. ეს კომპონენტი აუცილებელია მწვანე ბიუჯეტირებისთვის, რადგან მწვანე ხარჯების იდენტიფიცირება, მონიშვნა, მონიტორინგი და შედეგების შეფასება ვერ განხორციელდება მხოლოდ ბიუჯეტის შედგენის ეტაპზე. საჭიროა ინდიკატორებზე დაფუძნებული რეგულარული ანალიზი, რომელიც აჩვენებს, რამდენად მოიტანა კონკრეტულმა ხარჯმა გარემოსდაცვითი ან კლიმატური შედეგი.

ცხრილი 1. მწვანე ბიუჯეტირებისათვის რეკომენდებული კლასიფიკაცია დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის

პროგრამული/ სტრატეგიული მიმართულება	მწვანე ბიუჯეტირების მნიშვნელობა	რეკომენდებული მონიშვნა	ძირითადი ინდიკატორები
ნარჩენების მართვის სისტემის განვითარება	ამცირებს გარემოს დაბინძურებას, სტიქიური ნაგავსაყრელების რისკს და აუმჯობესებს სანიტარულ მდგომარეობას	პირდაპირი გარემოსდაცვითი ხარჯი	მომსახურებით დაფარული მოსახლეობის წილი; ურნების რაოდენობა; შეგროვებული ნარჩენების მოცულობა; ლიკვიდირებული სტიქიური ნაგავსაყრელები
წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	ზრდის სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობას და ამცირებს კლიმატურად მოწყვლადი დასახლებების რისკებს	კლიმატთან ადაპტაცია / სოციალური მდგრადობა	გაუმჯობესებული წყლის მიწოდებით მოსარგებლე მოსახლეობის წილი; მოწყობილი ქსელის სიგრძე; რეაბილიტირებული სათავე ნაგებობები
წყალარინების ქსელისა და გამწმენდი ინფრასტრუქტურის განვითარება	ამცირებს მდინარეებისა და ნიადაგის დაბინძურებას	პირდაპირი გარემოსდაცვითი ხარჯი / ადაპტაცია	წყალარინების ქსელით დაფარული დასახლებები; გამწმენდი ნაგებობების რაოდენობა; გაუწმენდავი წყლების შემცირება
გარე განათების ენერგოეფექტიანობა	ამცირებს ელექტროენერგიის მოხმარებას და საბიუჯეტო ხარჯს	კლიმატის შერბილება	LED ნათურების წილი; წლიური კვტ.სთ-ის დაზოგვა; ელექტროენერგიის ხარჯის შემცირება

პროგრამული/ სტრატეგიული მიმართულება	მწვანე ბიუჯეტირების მნიშვნელობა	რეკომენდებული მონიშვნა	ძირითადი ინდიკატორები
ალტერნატიული ენერგიის გამოყენება დაშორებულ დასახლებებში	ზრდის ენერგიაზე ხელმისაწვდომობას დაბალი ემისიის წყაროებით	კლიმატის შერბილება / სოციალური მდგრადობა	მზის პანელებით უზრუნველყოფილი დასახლებები; ბენეფიციართა რაოდენობა; წარმოებული განახლებადი ენერგია
კატასტროფის რისკის შემცირება	ამცირებს მეწყრის, ღვარცოფის, წყალდიდობისა და სხვა სტიქიური მოვლენების ზიანს	კლიმატთან ადაპტაცია	ნაპირსამაგრი ნაგებობების რაოდენობა; ადრეული გაფრთხილების სისტემები; რისკის რუკების არსებობა
გამწვანება, სკვერები და პარკები	აუმჯობესებს ურბანულ და სოფლის გარემოს, ამცირებს სითბური კუნძულების და ეროზიის რისკს	გარემოსდაცვითი ხარჯი / ადაპტაცია	დარგული ნარგავები; მოვლილი მწვანე სივრცეების ფართობი; სკვერებისა და პარკების რაოდენობა
მდგრადი ტურიზმის ინფრასტრუქტურა	ხელს უწყობს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ეკონომიკურ გამოყენებას გარემოს დაზიანების გარეშე	მწვანე ეკონომიკა / გარემოსდაცვითი თანმდევი ეფექტი	დაბალი ზემოქმედების ტურისტული ობიექტები; ეკოტურისტული მარშრუტები; ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურა ტურისტულ ზონებში
მელიორაცია და სარწყავი სისტემები	ზრდის სოფლის მეურნეობის კლიმატურ მდგრადობას	კლიმატთან ადაპტაცია	რეაბილიტირებული სარწყავი ქსელი; სარწყავი წყლით დაფარული ფართობი; წყლის დანაკარგების შემცირება
მონიტორინგი და მოქალაქეთა ჩართულობა	უზრუნველყოფს მწვანე ხარჯების გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას	მწვანე მმართველობა	მწვანე ბიუჯეტის ანგარიში; საჯარო განხილვები; შესრულების ინდიკატორების გამოქვეყნება

მწვანე ბიუჯეტირების დანერგვის შესაძლებლობები დუშეთის მუნიციპალიტეტში

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის ***მწვანე ბიუჯეტირების დანერგვა*** შეიძლება დაიწყოს არსებული **საბიუჯეტო პროგრამების მონიშვნით**.

პირველ ეტაპზე მიზანშეწონილია ყველა **პროგრამისა და ქვეპროგრამის გადახედვა** და მათი დაყოფა ოთხ კატეგორიად: *პირდაპირი გარემოსდაცვითი ხარჯები*, *კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის ხარჯები*, *კლიმატის ცვლილების შერბილების ხარჯები* და *მწვანე ეკონომიკის (გარემოზე ნეიტრალური ან არაპირდაპირი ზემოქმედების მქონე ხარჯები)*.

პირდაპირ გარემოსდაცვით ხარჯებად უნდა მოინიშნოს *ნარჩენების მართვა, დასუფთავება, სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაცია, გამწვანება, პარკებისა და სკვერების მოვლა, წყალარინებისა და გამწმენდი ინფრასტრუქტურის განვითარება*. **ადაპტაციის ხარჯებად** უნდა განისაზღვროს *კატასტროფის რისკის შემცირება, ნაპირსამაგრი ნაგებობები, წყალმომარაგების სისტემები, მელიორაცია, მაღალმთიანი დასახლებების ინფრასტრუქტურული გამძლეობა*. **შერბილების ხარჯებად** *შეიძლება მოინიშნოს ენერგოეფექტიანი გარე განათება, ალტერნატიული ენერგიის პროექტები, მზის პანელები და მუნიციპალური შენობების ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესება*. ხოლო **მწვანე ეკონომიკის ხარჯად** *შეიძლება გამოიყოს მდგრადი ტურიზმი*.

მეორე ეტაპზე საჭიროა, რომ თითოეულ მწვანე პროგრამას დაუკავშირდეს **გაზომვადი ინდიკატორი**. მაგალითად, ნარჩენების მართვისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ ხარჯის მოცულობის ჩვენება; საჭიროა მომსახურებით დაფარული მოსახლეობის წილი, ურნების რაოდენობა, ავტომანქანების ტექნიკური მდგომარეობა, ამოღებული მოსაკრებლის წილი და სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირების მაჩვენებელი. წყალმომარაგებისთვის უნდა აღირიცხოს გაუმჯობესებული მიწოდებით მოსარგებლე მოსახლეობა, ქსელის სიგრძე, წყლის ხარისხის კონტროლი და წყლის დანაკარგები. გარე განათებისთვის უნდა აღირიცხოს ენერგომოხმარება, ენერგოეფექტიანი ნათურების წილი და ხარჯის შემცირება.

მესამე ეტაპზე მწვანე ბიუჯეტირება უნდა დაუკავშირდეს **მუნიციპალიტეტის მონიტორინგისა და შეფასების სისტემას**. დოკუმენტში უკვე გათვალისწინებულია მონიტორინგის ანგარიშების მომზადება, წლიური ანგარიშგება და სამოქმედო გეგმის პერიოდული განახლება. ეს პროცესი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მწვანე ბიუჯეტის ანგარიშის მოსამზადებლადაც. ყოველწლიურ საბიუჯეტო ანგარიშში შესაძლებელია დაემატოს ცალკე თავი: „მწვანე ხარჯების შესრულება“, სადაც წარმოდგენილი იქნება გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული პროგრამების ფინანსური შესრულება, ინდიკატორების პროგრესი და ძირითადი გამოწვევები.

მეოთხე ეტაპზე საჭიროა მწვანე ბიუჯეტირების დაკავშირება **მოქალაქეთა ჩართულობასთან**. დუშეთში გარემოსდაცვითი პრობლემები – ნარჩენები, წყალი, სანიაღვრეები, სტიქიური რისკები, მწვანე სივრცეები – მოსახლეობის ყოველდღიურ საჭიროებებს უკავშირდება. შესაბამისად, *მონაწილეობითი ბიუჯეტირების ან საჯარო კონსულტაციების დროს შესაძლებელია ცალკე გამოიყოს მწვანე პრიორიტეტები, სადაც მოქალაქეები დაასახელებენ გარემოსდაცვით და კლიმატურ პრობლემებს ადმინისტრაციული ერთეულების დონეზე*.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი ქმნის მნიშვნელოვან საფუძველს მწვანე ბიუჯეტირების დანერგვისთვის. დოკუმენტი არ არის მხოლოდ გარემოსდაცვითი სტრატეგია, თუმცა მასში წარმოდგენილი პრიორიტეტები მჭიდროდ უკავშირდება კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, ბუნებრივი რესურსების დაცვას, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მწვანე ეკონომიკის განვითარებას.

დუშეთისთვის მწვანე ბიუჯეტირების ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებებია: ნარჩენების მართვა, წყალმომარაგება და წყალარინება, კატასტროფის რისკის შემცირება, ენერგოეფექტიანობა, ალტერნატიული ენერგია, გამწვანება, მდგრადი ტურიზმი და გარემოსდაცვითი მმართველობა. ამ მიმართულებების სისტემური მონიშვნა ბიუჯეტში მუნიციპალიტეტს მისცემს შესაძლებლობას, უკეთ დაინახოს, რა მოცულობის რესურსი იხარჯება გარემოსდაცვით და კლიმატურ მიზნებზე, რამდენად ეფექტიანია ეს ხარჯები და სად არის საჭირო დამატებითი დაფინანსების მოძიება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ მწვანე ბიუჯეტირება არ შემოიფარგლოს მხოლოდ გარემოს დაცვის მიზანი 3-ით. მწვანე კომპონენტები ასევე გვხვდება მიზანი 1-ის ინფრასტრუქტურულ ამოცანებში, მიზანი 2-ის მდგრადი ტურიზმის მიმართულებაში და მიზანი 5-ის მმართველობისა და ანგარიშვალდებულების კომპონენტში. სწორედ ინტეგრირებული მიდგომა გააუმჯობესებს დუშეთის ბიუჯეტს, გახდის უფრო სტრატეგიულს, უფრო გამჭვირვალეს და მდგრად განვითარებაზე უფრო მეტად ორიენტირებულს.

მუნიციპალიტეტისთვის რეკომენდებულია, რომ მომდევნო საბიუჯეტო ციკლში დაიწყოს მწვანე ხარჯების იდენტიფიცირება, პროგრამების მონიშვნა, შესაბამისი ინდიკატორების განსაზღვრა და ყოველწლიურ ანგარიშში მწვანე ბიუჯეტის შესრულების ცალკე ქვეთავის დამატება. ეს

ხელს შეუწყობს როგორც ადგილობრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, ისე დამატებითი ფინანსების მოზიდვას სახელმწიფო, დონორული და კერძო წყაროებიდან.

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა

დუშეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამოქმედო გეგმა 2024–2025 წლებისთვის მოიცავს ადგილობრივი განვითარების მრავალსექტორულ ღონისძიებებს, რომლებიც უკავშირდება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, სოციალური და ეკონომიკური აქტივობების მხარდაჭერას, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციას, ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას, განათლებისა და კულტურის ხელშეწყობას, ასევე თვითმმართველობის ეფექტიანობისა და გამჭვირვალობის ზრდას. **მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით,** *სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვანია იმით, რომ მასში წარმოდგენილი არაერთი აქტივობა პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება გარემოს დაცვას, კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციას, კლიმატის ცვლილების შერბილებას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და ადგილობრივი მოსახლეობის კლიმატური და ეკოლოგიური რისკებისადმი მდგრადობის გაძლიერებას*.

მწვანე ბიუჯეტირება *გულისხმობს მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო პროგრამებისა და აქტივობების იდენტიფიცირებას, მონიშვნასა და შეფასებას იმის მიხედვით, თუ რამდენად უწყობს ისინი ხელს გარემოსდაცვით და კლიმატურ მიზნებს*. ***ამ მიდგომით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი განიხილება არა მხოლოდ როგორც ხარჯვითი დოკუმენტი, არამედ როგორც ადგილობრივი მდგრადი განვითარების ინსტრუმენტი***. დუშეთის შემთხვევაში, მწვანე ბიუჯეტირების გამოყენება განსაკუთრებით მიზანშეწონილია, რადგან მუნიციპალიტეტი გამოირჩევა მაღალი ბუნებრივი ღირებულებით, რთული რელიეფით, კლიმატური და გეოლოგიური რისკებით, მაღალმთიანი დასახლებებით, ფართო ჰიდროგრაფიული ქსელით და ბუნებრივი თუ კულტურული მემკვიდრეობის მაღალი ტურისტული პოტენციალით.

სამოქმედო გეგმის ანალიზისას მწვანე ბიუჯეტირების ჭრილში შეიძლება გამოიყოს სამი ძირითადი ტიპის ხარჯი: **პირდაპირი მწვანე ხარჯები**, *რომლებიც უშუალოდ აუმჯობესებს გარემოს მდგომარეობას*; **კლიმატთან დაკავშირებული ხარჯები**, *რომლებიც მიმართულია ადაპტაციის ან შერბილებისკენ*; და **მხარდამჭერი მწვანე ხარჯები,** *რომლებიც გარემოსდაცვით შედეგს ქმნის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროექტის განხორციელებისას გათვალისწინებულია შესაბამისი სტანდარტები*, მაგალითად ენერგოეფექტიანობა, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტები, ნარჩენების მართვა ან გარემოზე ზემოქმედების პრევენცია.

დუშეთის სამოქმედო გეგმის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ მწვანე ბიუჯეტირების ძირითადი პოტენციალი კონცენტრირებულია **მიზანი 1-ის *ინფრასტრუქტურულ ამოცანებში*** და **მიზანი 3**-ის ***ეკოლოგიურ ამოცანებში***.

მიზანი 1 მიმართულია მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაზე მუნიციპალური ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის გზით. მიუხედავად იმისა, რომ ეს მიზანი ფორმალურად გარემოსდაცვითი არ არის, მასში წარმოდგენილია *რამდენიმე მნიშვნელოვანი მწვანე მიმართულება*: *გზებისა და ხიდების რეაბილიტაცია, გარე განათების ენერგოდამზოგი სისტემების დანერგვა, სასმელი წყლის სისტემების განვითარება, ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობის ზრდა ალტერნატიული ენერგიის პროექტების მხარდაჭერით, დასასვენებელი სივრცეების მოწყობა და კატასტროფის რისკის შემცირების მექანიზმები.*

მიზანი 3 უკვე *პირდაპირ გარემოსდაცვითი ხასიათისაა*. იგი ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას *ნარჩენების მართვის, გამწვანების აქტივობებისა და მიუსაფარი ცხოველების მოვლა-პატრონობის გზით.* აღნიშნული მიზანი დაკავშირებულია მდგრადი განვითარების მიზნებთან 6, 13 და 15, რაც ადასტურებს მის გარემოსდაცვით და კლიმატურ მნიშვნელობას. ამ მიზნის ფარგლებში დაგეგმილია ნარჩენების გატანის სპეცტექნიკის შეძენა, ახალი ურნების შეძენა, ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და კომპოსტირების ხელშეწყობა, მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და ახალი ნარგავების გაშენება, ასევე მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის ჰუმანური მართვა.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით, სამოქმედო გეგმაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ *აქტივობების ნაწილს უკვე აქვს* ***რაოდენობრივი ინდიკატორები***. მაგალითად, ნარჩენების მართვის სისტემის მომსახურებით დაფარვის მაჩვენებელი 2023 წლის 70%-დან 2025 წლისთვის 80%-მდე უნდა გაიზარდოს; დარგული ნარგავების რაოდენობა 2023 წლის 2 500-დან 2025 წლისთვის 4 500-მდე უნდა გაიზარდოს; კატასტროფის რისკის შემცირების მიმართულებით ნაპირსამაგრი ნაგებობების რაოდენობა 2023 წლის 75-დან 2025 წლისთვის 95-მდე უნდა გაიზარდოს; გარე განათების აქტივობაში კი მითითებულია LED სანათების წილის გაზომვის საჭიროება. ეს ინდიკატორები ქმნის საწყის საფუძველს მწვანე ხარჯების შედეგიანობის შესაფასებლად.

ძირითადი მწვანე მიმართულებები

1. კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია და კატასტროფის რისკის შემცირება

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა. სამოქმედო გეგმაში ამ მხრივ განსაკუთრებით გამოკვეთილია ამოცანა 1.9 – **ადგილობრივ დონეზე კატასტროფის რისკის შემცირებისა და პრევენციის მექანიზმების შექმნა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა**. ამოცანის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავება, სამოქალაქო საგანგებო მართვის საბჭოს ჩამოყალიბება, კატასტროფის რისკების შემცირების ტრენინგები ადგილობრივი დაინტერესებული პირებისთვის და სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფინანსური მოცულობა აქვს ***სტიქიის პრევენციისა და სალიკვიდაციო ღონისძიებებს***, რომელთა ბიუჯეტი 7,5 მლნ ლარს შეადგენს. აქედან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წილი 1,5 მლნ ლარია, ხოლო სხვა წყაროებიდან გათვალისწინებულია 6 მლნ ლარი. ღონისძიებები მოიცავს ნაპირსამაგრ სამუშაოებს *ქალაქ დუშეთში ორწყაროს ხევზე, დუშეთის ცენტრალური ხევის რეაბილიტაციას, შატილში ნაპირსამაგრების მოწყობას, ხანდოს ხევის გაბიონების მოწყობას, სოფელ მჭადიჯვარში მდინარეებისა და ხევების გაწმენდას.*

აღნიშნული აქტივობები მწვანე ბიუჯეტში უნდა მოინიშნოს როგორც *კლიმატთან ადაპტაციის ხარჯი*. მათი მიზანია წყალდიდობის, ღვარცოფის, ნაპირების ეროზიისა და სხვა ჰიდრომეტეოროლოგიური საფრთხეებისგან მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურის დაცვა. ამავე დროს, რეკომენდებულია, რომ ნაპირსამაგრი და ხევების გაწმენდის სამუშაოები დაიგეგმოს ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების გათვალისწინებით. მხოლოდ მძიმე საინჟინრო ნაგებობები ყოველთვის არ ქმნის გრძელვადიან ეკოლოგიურ შედეგს; ამიტომ სასურველია, სადაც შესაძლებელია, გამოყენებული იყოს ნაპირების ბუნებრივი გამაგრება,

ადგილობრივი მცენარეული საფარის აღდგენა, წყლის ბუნებრივი დინების შენარჩუნება და ეკოსისტემებზე ზემოქმედების შემცირება.

კატასტროფის რისკების შემცირების ტრენინგებისთვის გათვალისწინებულია 15 000 ლარი. მიუხედავად შედარებით მცირე მოცულობისა, ეს აქტივობა მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში მნიშვნელოვანია, რადგან ზრდის ადგილობრივი თემების, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებისა და სხვა დაინტერესებული პირების ცოდნასა და მზადყოფნას. ეს ხარჯი მიზანშეწონილია მოინიშნოს როგორც *ადაპტაციის მხარდამჭერი ხარჯი*.

2. წყალმომარაგება და წყლის რესურსების მდგრადი მართვა

სამოქმედო გეგმის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მწვანე მნიშვნელობის აქტივობაა **სასმელი წყლის სისტემების მოწყობა და განვითარება**. ამოცანა 1.5-ის მიზანია სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის გაზრდა შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით. ამოცანის ინდიკატორის მიხედვით, იმ მოსახლეობის წილი, ვისაც გაუუმჯობესდა სასმელი წყლის მიწოდება, 2023 წლის 40%-დან 2025 წლისთვის 70%-მდე უნდა გაიზარდოს.

აქტივობა 1.5.1 მოიცავს ***სასმელი წყლის სისტემების მოწყობასა და განვითარებას*** ჭილურტში, ებნისში, მჭადიჯვარში, არაგვისპირში, ბაზალეთში, ჭოპორტში, ყარსიმაანთკარში, დუშეთში, ფასანაურში და ოძისში. ამ აქტივობის ბიუჯეტი 75 მლნ ლარია, მათ შორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი – 7 მლნ ლარი, სხვა წყაროები – 65 მლნ ლარი, ხოლო გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის წილი – 3 მლნ ლარი.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით, აღნიშნული ხარჯი უნდა მოინიშნოს როგორც *კლიმატთან ადაპტაციისა და გარემოსდაცვითი-სოციალური მდგრადობის ხარჯი*. სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა პირდაპირ უკავშირდება მოსახლეობის ჯანმრთელობას, ჰიგიენას, კლიმატური რისკებისადმი მოწყვლადობის შემცირებას და ადგილობრივი განვითარების მდგრადობას. დუშეთის გეოგრაფიული პირობების გათვალისწინებით, წყლის ინფრასტრუქტურის გამართული მუშაობა მნიშვნელოვანია როგორც მუდმივი მოსახლეობისთვის, ისე ტურისტული ნაკადებისა და ადგილობრივი ეკონომიკური აქტივობისთვის.

ამავე დროს, მწვანე ბიუჯეტირების ანგარიშში სასურველია არა მხოლოდ **ბიუჯეტის მოცულობის ჩვენება, არამედ შედეგის ინდიკატორების დამატება**. ასეთი ინდიკატორები შეიძლება იყოს: *წყალმომარაგების სისტემით დამატებით მოსარგებლე მოსახლეობის რაოდენობა, რეაბილიტირებული ან ახალი ქსელის სიგრძე, წყლის მიწოდების უწყვეტობა, წყლის ხარისხის კონტროლის სიხშირე, წყლის დანაკარგების შემცირება და ენერგოეფექტიანი სატუმბი სისტემების გამოყენება*.

3. ენერგოეფექტიანობა და განახლებადი ენერგია

სამოქმედო გეგმაში **ენერგიის მიმართულებით** ორი მნიშვნელოვანი მწვანე კომპონენტი ჩანს: ***გარე განათების ენერგოდამზოგი სისტემების დანერგვა*** და ***ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ალტერნატიული ენერგიის გამოყენების პროექტების მხარდაჭერის გზით***.

გარე განათების აქტივობა 1.4.3 მოიცავს *გარე განათების ექსპლუატაციას, ახალი წერტილების მოწყობას და ენერგოდამზოგი სისტემების დანერგვას*. აქტივობის ბიუჯეტი ***2,12 მლნ ლარია***, საიდანაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის წილია 1,12 მლნ ლარი, ხოლო სხვა წყაროებიდან გათვალისწინებულია 1 მლნ ლარი. აქტივობის ინდიკატორებში მითითებულია შეკეთებული

ან ახლად მოწყობილი სანათი წერტილების რაოდენობა, სადენების სიგრძე, თანამედროვე LED სანათების წილი გარე სანათების საერთო რაოდენობასთან მიმართებით, ასევე გარე განათების ბოძებისა და ლამპიონების რაოდენობა.

ეს აქტივობა მწვანე ბიუჯეტში უნდა მოინიშნოს როგორც *კლიმატის ცვლილების შერბილების ხარჯი*, რადგან LED და სხვა ენერგოდამზოგი სისტემები ამცირებს ელექტროენერგიის მოხმარებას, მუნიციპალურ ხარჯებს და ენერგეტიკულ სისტემაზე დატვირთვას. ანგარიშში სასურველია დაემატოს დაზოგილი კვტ.სთ-ის, ელექტროენერგიის ხარჯის შემცირების და LED სანათების წილის ყოველწლიური მაჩვენებლები.

ამოცანა 1.6 ითვალისწინებს *ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას შესაბამისი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ალტერნატიული ენერგიის გამოყენების პროექტების მხარდაჭერის გზით*. ინდიკატორის მიხედვით, ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი დასახლებების რაოდენობა 2023 წლის 237-დან 2025 წლისთვის 291-მდე უნდა გაიზარდოს. აქტივობა 1.6.1 ეხება ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობის გაზრდას 59 დასახლებულ პუნქტში, ბიუჯეტით ***18 მლნ ლარი***. დაფინანსების წყაროდ მითითებულია ენერგეტიკის განვითარების ფონდი.

აღნიშნული აქტივობა უნდა მოინიშნოს როგორც *ნაწილობრივ მწვანე ხარჯი*. მისი მწვანე კლასიფიკაცია დამოკიდებულია იმაზე, რა წილი მოდის განახლებად ან ალტერნატიულ ენერგიაზე და რა წილი – ჩვეულებრივი ქსელის გაფართოებაზე. თუ პროექტში ინტეგრირდება მზის პანელები, მიკროენერგოსისტემები ან ენერგოეფექტიანი გადაწყვეტები მაღალმთიანი და დაშორებული დასახლებებისთვის, მაშინ ხარჯი შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც კლიმატის შერბილების და სოციალური მდგრადობის ღონისძიება. თუ პროექტი მხოლოდ ელექტროქსელის გაფართოებაა, მწვანე მონიშვნა უნდა იყოს ნაწილობრივი და ანგარიშში უნდა გაკეთდეს შესაბამისი განმარტება.

4. ნარჩენების მართვა, სეპარირება და კომპოსტირება

მიზანი 3-ის ფარგლებში **ნარჩენების მართვა** წარმოადგენს ყველაზე პირდაპირ გარემოსდაცვით მიმართულებას. ამოცანა 3.1-ის შედეგის ინდიკატორია მოსახლეობის რაოდენობა ან წილი, რომელიც იღებს შესაბამის სერვისს. სამიზნე მაჩვენებელი იზრდება 2023 წლის 70%-დან 2025 წლისთვის 80%-მდე. აღნიშნული მაჩვენებელი მწვანე ბიუჯეტირების ანგარიშისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი აჩვენებს არა მხოლოდ ხარჯს, არამედ *გარემოსდაცვითი მომსახურების დაფარვის გაუმჯობესებასაც*.

აქტივობა 3.1.1 ითვალისწინებს ***ნარჩენების გატანის სპეცტექნიკის შეძენას*** – 4 ერთეული, ბიუჯეტით 1,7 მლნ ლარი. აქტივობა 3.1.2 ითვალისწინებს ***ახალი ურნების შეძენას*** – 500 ერთეული ყოველ წელს, ბიუჯეტით 800 ათასი ლარი. ორივე აქტივობა სრულად უნდა მოინიშნოს როგორც პირდაპირი გარემოსდაცვითი ხარჯი, რადგან ის აუმჯობესებს ნარჩენების შეგროვების სისტემას, ამცირებს გარემოს დაბინძურების რისკს და ზრდის სერვისით დაფარვას.

განსაკუთრებით პროგრესულია აქტივობა 3.1.3 – ***ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და კომპოსტირების დანერგვის ხელშეწყობა***. მისი ბიუჯეტი მხოლოდ 10 ათასი ლარია, თუმცა *შინაარსობრივად ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მწვანე აქტივობა, რადგან ის ნარჩენების მართვის სისტემას გადაჰყავს მხოლოდ შეგროვება-გატანის მოდელიდან უფრო მდგრად მოდელზე, რომელიც მოიცავს ნარჩენების შემცირებას, გადამუშავებას, ორგანული ნარჩენების კომპოსტირებას და ნაგავსაყრელზე გასატანი ნარჩენების მოცულობის შემცირებას*.

მწვანე ბიუჯეტირების ანგარიშში **რეკომენდებულია**, რომ *ნარჩენების სეპარირებისა და კომპოსტირების აქტივობას მიენიჭოს მაღალი მწვანე პრიორიტეტი, მიუხედავად მცირე ბიუჯეტისა*. მომავალ წლებში *მიზანშეწონილია ამ მიმართულების დაფინანსების გაზრდა და ინდიკატორების დამატება: სეპარირებული ნარჩენების რაოდენობა, კომპოსტირებული ორგანული ნარჩენების მოცულობა, ჩართული ოჯახების/ობიექტების რაოდენობა, სკოლებისა და საბავშვო ბაღების ჩართულობა, გადამუშავებაზე გადაცემული მასალის მოცულობა*.

5. გამწვანება, მწვანე სივრცეები და ბიომრავალფეროვნება

ამოცანა 3.2 ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის **ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებას მცენარეთა მოვლის, სკვერებისა და პარკების ექსპლუატაციის გზით**. შედეგის ინდიკატორია დარგული ნარგავების რაოდენობა: 2023 წელს 2 500, 2024 წელს 3 500, ხოლო 2025 წლისთვის 4 500. აქტივობა 3.2.1 ითვალისწინებს მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობას და ახალი ნარგავების გაშენებას. შედეგის ინდიკატორად მითითებულია მოვლილი სკვერების ფართობი – 49 704 კვ.მ. აქტივობის ბიუჯეტი 100 ათასი ლარია.

ეს ხარჯი მწვანე ბიუჯეტში უნდა მოინიშნოს როგორც *პირდაპირი გარემოსდაცვითი და ადაპტაციის თანმდევი ხარჯი*. გამწვანება აუმჯობესებს ურბანულ და სოფლის გარემოს, ამცირებს მტვერს, აუმჯობესებს მიკროკლიმატს, ხელს უწყობს ნიადაგის დაცვას, ქმნის დასასვენებელ სივრცეებს და ზრდის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს. დუშეთისთვის, სადაც რელიეფი და კლიმატური პირობები ქმნის ეროზიისა და სტიქიური მოვლენების რისკებს, გამწვანება შეიძლება გახდეს ბუნებაზე დაფუძნებული ადაპტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება.

რეკომენდებულია, რომ გამწვანების პროგრამაში მხოლოდ *დარგული ნარგავების რაოდენობა არ იყოს მთავარი ინდიკატორი*. აუცილებელია *გადარჩენილი ნარგავების წილის, მოვლის ხარჯების, მწვანე სივრცეების ფართობის, ადგილობრივი სახეობების გამოყენების და პირუტყვისგან/მექანიკური დაზიანებისგან დაცვის ღონისძიებების აღრიცხვა*. *ეს მნიშვნელოვანია, რადგან სამოქმედო გეგმაშიც რისკად მითითებულია მოსახლეობის ან პირუტყვის მხრიდან ნარგავების დაზიანება.*

6. მდგრადი ტურიზმი და ბუნებრივი/კულტურული მემკვიდრეობა

მიზანი 2 მიმართულია დუშეთის მუნიციპალიტეტის **ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ცნობადობის გაზრდაზე**. ამ მიმართულებით დაგეგმილია ტურისტული ფესტივალები, ფშავში ტურისტული/ვიზიტორთა ცენტრის გახსნა, ტურისტული საინფორმაციო საიტისა და ბეჭდური მასალების მომზადება, ისტორიული შენობებისა და მიმდებარე ქუჩების რეაბილიტაცია, მუზეუმების კეთილმოწყობა და შატილის კოშკების რეაბილიტაცია.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით, მიზანი 2-ის აქტივობები პირდაპირ გარემოსდაცვით ხარჯებად არ უნდა ჩაითვალოს, თუმცა ისინი შეიძლება მოინიშნოს როგორც *მწვანე ეკონომიკის მხარდამჭერი ან პირობითად მწვანე ხარჯები*. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფშავში ტურისტული/ვიზიტორთა ცენტრის გახსნა, რომლის ბიუჯეტი 100 ათასი ლარია და პარტნიორად მითითებულია კავკასიის ბუნების ფონდი. თუ ეს ცენტრი ხელს შეუწყობს დაცული ტერიტორიების, ეკოტურიზმის, ბუნებრივი მემკვიდრეობის და გარემოსდაცვითი ცნობიერების განვითარებას, იგი შეიძლება მონიშნულ იქნეს როგორც მწვანე ეკონომიკის მხარდაჭერა.

ამავე დროს, *ტურისტული ფესტივალები და კულტურული ღონისძიებები მწვანე ბიუჯეტში მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს, თუ მათში ინტეგრირდება მდგრადი ღონისძიების პრინციპები*: *ნარჩენების სეპარირება, ერთჯერადი პლასტიკის შემცირება, ადგილობრივი პროდუქტის მხარდაჭერა, საზოგადოებრივი ან გაზიარებული ტრანსპორტის წახალისება, ტურისტული ნაკადების გარემოზე ზემოქმედების მართვა*. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი უფრო კულტურულ-ეკონომიკური ხარჯებია და არა მწვანე ხარჯები.

7. მწვანე მმართველობა და ანგარიშვალდებულება

მიზანი 5 ეხება თვითმმართველობის ეფექტიანობის, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის გაზრდას. მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამოცანა 5.1 – გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა. აქტივობა 5.1.1 ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის და სტრატეგიული მნიშვნელობის დოკუმენტების საჯარო განხილვების ორგანიზებას, სულ მცირე 100 შეხვედრას წელიწადში. აქტივობა 5.1.2 ითვალისწინებს სამოქალაქო ჩართულობის ახალი მექანიზმის შემუშავებას.

ეს აქტივობები პირდაპირ გარემოსდაცვით ხარჯებად არ მიიჩნევა, თუმცა ისინი აუცილებელია მწვანე ბიუჯეტირების ინსტიტუციონალიზაციისთვის. ***მწვანე ბიუჯეტის წარმატება*** *დიდწილად დამოკიდებულია იმაზე, რამდენად არის* ***მოსახლეობა ჩართული ადგილობრივი პრიორიტეტების განსაზღვრაში****, განსაკუთრებით ისეთ საკითხებზე, როგორიცაა წყალი, ნარჩენები, გამწვანება, სტიქიური რისკები, გზები, გარე განათება და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა*. ამიტომ მიზანი 5-ის აქტივობები შეიძლება მოინიშნოს როგორც მწვანე მმართველობის მხარდამჭერი ხარჯები.

დუშეთის მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმა შეიცავს მნიშვნელოვან საფუძველს მწვანე ბიუჯეტირების დანერგვისთვის. გეგმის ყველაზე ***ძლიერი მწვანე მიმართულებებია: წყალმომარაგების სისტემების განვითარება, გარე განათების ენერგოეფექტიანობა, კატასტროფის რისკის შემცირება, ნარჩენების მართვის სისტემის გაძლიერება, სეპარირებული შეგროვებისა და კომპოსტირების დაწყება, გამწვანება და მწვანე სივრცეების მოვლა***. *ამ მიმართულებების დიდი ნაწილი უკვე შეიცავს რაოდენობრივ ინდიკატორებს, რაც ხელს უწყობს მწვანე ხარჯების* ***არა მხოლოდ მონიშვნას****, არამედ* ***შედეგების მონიტორინგსაც***.

განსაკუთრებით მაღალი მწვანე მნიშვნელობა აქვს წყლის სისტემების 75 მლნ-ლარიან აქტივობას, ნაპირსამაგრი და სტიქიის პრევენციის 7,5 მლნ-ლარიან აქტივობას, გარე განათების 2,12 მლნ-ლარიან აქტივობას და ნარჩენების მართვის 2,51 მლნ-ლარიან პაკეტს. ეს აქტივობები უნდა მოინიშნოს როგორც მწვანე ბიუჯეტის ძირითადი ბირთვი. შედარებით მცირე, მაგრამ სტრატეგიულად მნიშვნელოვანი აქტივობებია სეპარირებული შეგროვება და კომპოსტირება, კატასტროფის რისკების ტრენინგები და გამწვანება, რადგან ისინი ქმნის სისტემურ ცვლილებას და ზრდის ადგილობრივი გარემოსდაცვითი პოლიტიკის ხარისხს.

ამავე დროს, სამოქმედო გეგმაში არის არაერთი მსხვილი ***ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა მწვანე კლასიფიკაცია პირობითია***. ასეთებია *გზები, ხიდები, სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა/რეაბილიტაცია, ისტორიული შენობებისა და ქუჩების რეაბილიტაცია*. ეს პროექტები შეიძლება გახდეს მწვანე ბიუჯეტის ნაწილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, *თუ მათში მკაფიოდ იქნება ინტეგრირებული ენერგოეფექტიანობა, კლიმატგამძლეობა, წყლის დაზოგვა, ნარჩენების მართვა, გამწვანება და ბუნებრივი რისკების შემცირება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი უნდა დარჩეს ნაწილობრივ ან პირობითად მწვანე კატეგორიაში*.

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის **რეკომენდებულია**, რომ ყოველწლიურ ბიუჯეტსა და შესრულების ანგარიშში დაემატოს ცალკე თავი – **„მწვანე ბიუჯეტის შესრულება“**. ამ თავში უნდა აისახოს: **მწვანედ მონიშნული პროგრამების ბიუჯეტი, შესრულება, დაფინანსების წყაროები, ინდიკატორების პროგრესი, მიღწეული გარემოსდაცვითი შედეგები და მომდევნო წლის საჭიროებები**. ასევე სასურველია, რომ მწვანე ბიუჯეტირების მონიშვნისას გამოყენებულ იქნეს მინიმუმ ოთხი კატეგორია: სრული მწვანე ხარჯი, ნაწილობრივი მწვანე ხარჯი, პირობითი მწვანე ხარჯი და მწვანე მმართველობის მხარდამჭერი ხარჯი[10]. იხილეთ (ცხრილი2)

სამოქმედო გეგმის ანალიზი აჩვენებს, რომ **დუშეთის მუნიციპალიტეტს უკვე აქვს მნიშვნელოვანი ფინანსური და პროგრამული საფუძველი მწვანე ბიუჯეტირების დასაწყებად.** *მთავარი გამოწვევა* იქნება *არა მხოლოდ მწვანე ხარჯების იდენტიფიცირება, არამედ მათი შედეგიანობის გაზომვა და საბიუჯეტო გადაწყვეტილებებში სისტემურად გამოყენება*. *თუ მუნიციპალიტეტი გააძლიერებს ინდიკატორებს, გამჭვირვალე ანგარიშგებას და მოქალაქეთა ჩართულობას, მწვანე ბიუჯეტირება შეიძლება გახდეს დუშეთის მდგრადი განვითარების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.*

10 „სრული მწვანე“ ნიშნავს, რომ აქტივობა პირდაპირ უკავშირდება გარემოს დაცვას, კლიმატთან ადაპტაციას ან შერბილებას. „ნაწილობრივ მწვანე“ ნიშნავს, რომ აქტივობის მხოლოდ გარკვეული კომპონენტია მწვანე. „პირობითად მწვანე“ ნიშნავს, რომ აქტივობა მწვანე ბიუჯეტში უნდა ჩაითვალოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელებისას გათვალისწინებულია ენერგოეფექტიანობის, კლიმატგამძლეობის, ნარჩენების მართვის ან ბუნებრივი რესურსების დაცვის კრიტერიუმები. შესაძლოა ასევე დაემატოს „პოტენციურად უარყოფითი ზემოქმედების მქონე“

ცხრილი 2. საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის სამოქმედო გეგმის მწვანე საბიუჯეტო ანალიზი

(2024-2025 წწ, მლნ ლარი)

ამოცანა	ძირითადი აქტივობები	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	ჯამური ბიუჯეტი	მუნიციპალური ბიუჯეტი	სხვა წყარო
ამოცანა 1.4 – მუნიციპალური გზების მოწყობა და არსებულის ხარისხის გაუმჯობესება, მათ შორის გარე განათების სისტემის განვითარება	გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია; ხიდების რეაბილიტაცია/მშენებლობა; გარე განათების ექსპლუატაცია, ახალი წერტილების მოწყობა და ენერგოდამზოგი სისტემების დანერგვა	**ნაწილობრივ მწვანე / კლიმატთან ადაპტაცია / შერბილება.** გზებისა და ხიდების ნაწილი მწვანედ ჩაითვლება, თუ დაკავშირებულია კლიმატგამძლე ინფრასტრუქტურასთან, წყალამრიდ სისტემებთან, სტიქიური რისკების შემცირებასთან. გარე განათების LED და ენერგოდამზოგი კომპონენტი პირდაპირ უკავშირდება ენერგოეფექტიანობას და ემისიების შემცირებას	36,6	12,6	24
ამოცანა 1.5 – სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	სასმელი წყლის სისტემების მოწყობა/განვითარება ჭილურტში, ებნისში, მჭადიჯვარში, არაგვისპირში, ბაზალეთში, ჭოპორტში, ყარსიმაანთკარში, დუშეთში, ფასანაურში და ოძისში	**სრული მწვანე / კლიმატთან ადაპტაცია / წყლის რესურსების მდგრადი მართვა.** სუფთა წყალზე ხელმისაწვდომობა ამცირებს მოსახლეობის მოწყვლადობას, აუმჯობესებს ჯანმრთელობისა და სანიტარულ პირობებს და ზრდის დასახლებების კლიმატურ მდგრადობას	75	7	68
ამოცანა 1.6 – ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ალტერნატიული ენერგიის გამოყენების მხარდაჭერით	ელექტროენერგიაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა 59 დასახლებულ პუნქტში	**ნაწილობრივ მწვანე / კლიმატის შერბილება / ენერგეტიკული მდგრადობა.** სრულად მწვანედ ჩაითვლება მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც უკავშირდება ალტერნატიულ ან განახლებად ენერგიას, მაგალითად მზის პანელებს ან მცირე განახლებად ენერგოსისტემებს	18	0	18
ამოცანა 1.8 – დასასვენებელი და გასართობი სივრცეების რაოდენობის ზრდა და არსებულის კეთილმოწყობა	ბაღებისა და სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია ქალაქ დუშეთში და საჭიროების მიხედვით სხვა დასახლებებში	**სრული ან ნაწილობრივ მწვანე / ურბანული გამწვანება / ადაპტაცია.** მწვანედ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ მოიცავს მწვანე საფარის ზრდას, ნარგავების მოვლას, ჩრდილისა და რეკრეაციული სივრცეების შექმნას	1	1	0

ამოცანა	ძირითადი აქტივობები	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	ჯამური ბიუჯეტი	მუნიციპალური ბიუჯეტი	სხვა წყარო
ამოცანა 1.9 – კატასტროფის რისკის შემცირების/ პრევენციის მექანიზმების შექმნა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობა	მუნიციპალიტეტის უსაფრთხოების პასპორტის შემუშავება; სამოქალაქო საგანგებო მართვის საბჭოს ჩამოყალიბება; კატასტროფის რისკების შემცირების ტრენინგები; სტიქიის პრევენციისა და სალიკვიდაციო ღონისძიებები, მათ შორის ნაპირსამაგრი სამუშაოები, ხევების გაწმენდა და გაბიონების მოწყობა	**სრული მწვანე / კლიმატთან ადაპტაცია / კატასტროფის რისკების შემცირება.** ამცირებს წყალდიდობის, ღვარცოფის, ნაპირების ეროზიისა და სხვა სტიქიური მოვლენების ზიანს; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალმთიანი და მდინარისპირა დასახლებებისთვის	7,5	1,5	6
ამოცანა 2.1 – ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია	ტურისტული ფესტივალების გამართვა; ფშავში ტურისტული/ ვიზიტორთა ცენტრის გახსნა; ტურისტული საინფორმაციო საიტისა და ბეჭდური მასალების მომზადება	**ნაწილობრივ მწვანე / მწვანე ეკონომიკა / მდგრადი ტურიზმი.** მწვანედ ჩაითვლება იმ ნაწილში, რომელიც ხელს უწყობს ეკოტურიზმს, ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვას, დაცული ტერიტორიების ცნობადობას და მდგრადი ტურისტული ქცევის პოპულარიზაციას	0,7	0,6	0,1
ამოცანა 2.2 – ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა	ქალაქ დუშეთის ისტორიული შენობებისა და მიმდებარე ქუჩების რეაბილიტაცია; მუზეუმების რეაბილიტაცია/ კეთილმოწყობა; შატილის კოშკების რეაბილიტაცია	**პირობითად მწვანე / მდგრადი ურბანული განვითარება / კულტურული მემკვიდრეობის დაცვა.** მწვანე მონიშვნა მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროექტებში გათვალისწინებულია ენერგოეფექტიანობა, სამშენებლო ნარჩენების მართვა, მწვანე სივრცეები და გარემოზე ზემოქმედების შემცირება	19,5	0,7	18,8
ამოცანა 3.1 – ნარჩენების მართვის სისტემის გამართული ფუნქციონირება	ნარჩენების გატანის სპეციტექნიკის შეძენა; ახალი ურნების შეძენა; ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და კომპოსტირების დანერგვის ხელშეწყობა	**სრული მწვანე / ნარჩენების მართვა / წრიული ეკონომიკა.** აუმჯობესებს ნარჩენების შეგროვების სერვისს, ამცირებს დაბინძურებას, ხელს უწყობს სეპარირებასა და კომპოსტირებას	2,5	2,5	0
ამოცანა 3.2 – მცენარეთა მოვლა, სკვერებისა და პარკების ექსპლუატაცია	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა და ახალი ნარგავების გაშენება; სკვერებისა და პარკების მოვლა	**სრული მწვანე / გამწვანება / კლიმატთან ადაპტაცია.** ზრდის მწვანე საფარს, აუმჯობესებს მიკროკლიმატს, ამცირებს მტვერს და ხელს უწყობს რეკრეაციული გარემოს გაუმჯობესებას	0,1	0,1	0

ამოცანა	ძირითადი აქტივობები	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	ჯამური ბიუჯეტი	მუნიციპალური ბიუჯეტი	სხვა წყარო
ამოცანა 3.3 – მიუსაფარი ცხოველების მართვა ჰუმანური პრინციპებით	მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვა – სტერილიზაცია, კასტრაცია, ვაქცინაცია	**ნაწილობრივ მწვანე / გარემოსდაცვითი ჯანმრთელობა / ურბანული ეკოლოგია.** პირდაპირი კლიმატური ეფექტი არ აქვს, თუმცა უკავშირდება საზოგადოებრივ ჯანმრთელობას, უსაფრთხო გარემოს და ჰუმანურ მუნიციპალურ მართვას	0,3	0,3	0
ამოცანა 4.1 – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რაოდენობის ზრდა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია/ კეთილმოწყობა	**პირობითად მწვანე / ენერგოეფექტიანი საჯარო შენობები.** მწვანედ ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პროექტებში გათვალისწინებულია ენერგოეფექტიანობა, თბოიზოლაცია, წყლის დაზოგვა, ეზოს გამწვანება და სამშენებლო ნარჩენების მართვა	25,6	1,1	24,5
ამოცანა 5.1 – გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა	ბიუჯეტისა და სტრატეგიული დოკუმენტების საჯარო განხილვები; სამოქალაქო ჩართულობის ახალი მექანიზმის შემუშავება	**მხარდამჭერი მწვანე მმართველობა.** პირდაპირ გარემოსდაცვითი ხარჯი არ არის, თუმცა მნიშვნელოვანია მწვანე ბიუჯეტის პრიორიტეტების განსაზღვრისთვის, მოქალაქეთა ჩართულობისა და ანგარიშვალდებულებისთვის	0	0	0
ამოცანა 5.2 – ელექტრონული მმართველობის კომპონენტის გაძლიერება	მუნიციპალური სერვისების შიდა პორტალზე მოქმედი მოდულების განვითარება და ელექტრონული სერვისების ხელმისაწვდომობის ზრდა	**მხარდამჭერი / ნაწილობრივ მწვანე მმართველობა.** ციფრული სერვისები ამცირებს ადმინისტრაციულ ხარჯებს, გადაადგილების საჭიროებას და ზრდის მომსახურების ეფექტიანობას, თუმცა პირდაპირი გარემოსდაცვითი ეფექტი შეზღუდულია	0	0	0
ჯამში			186,7	27,3	159,4

** დაფინანსების წყარო: საქართველოს მთავრობა*

წყარო: მომზადდა დუშეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის მიზანი 2-ის გამოყენებით

დუშეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო დოკუმენტების გარემოსდაცვითი ანალიზი

ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტი (BDD)

BDD 2025-2028 წლებისთვის

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025–2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი მწვანე ბიუჯეტირების კუთხით მნიშვნელოვანი საბაზისო დოკუმენტია, რადგან იგი აერთიანებს მუნიციპალიტეტის საშუალოვადიან ფინანსურ ხედვას, პროგრამულ პრიორიტეტებსა და იმ ინფრასტრუქტურულ/გარემოსდაცვით ღონისძიებებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას, კლიმატურ მედეგობას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. დუშეთის სპეციფიკა – დიდი ტერიტორია, მაღალმთიანი და რთული რელიეფი, მდიდარი ჰიდროგრაფიული ქსელი, დაცული ლანდშაფტები, ტურისტული პოტენციალი და მრავალი მცირე დასახლება – მწვანე ბიუჯეტირების მიდგომის გამოყენებას განსაკუთრებით საჭიროებს.

მუნიციპალიტეტის ბუნებრივი გარემო და გეოგრაფიული მახასიათებლები მწვანე ბიუჯეტირების ანალიზისთვის ერთ-ერთი მთავარი ამოსავალია. დუშეთის ტერიტორიის უდიდესი ნაწილი საშუალო და მაღალმთიანია; მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია მდინარეები, ტბები, მყინვარები, მიწისქვეშა წყლები, ტყის, სუბალპური და ალპური ლანდშაფტები. აღნიშნული გარემოება ნიშნავს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ნაწილი არა მხოლოდ სტანდარტულ ინფრასტრუქტურულ მომსახურებას, არამედ კლიმატურ და ეკოლოგიურ რისკებზე რეაგირებასაც უნდა ემსახურებოდეს. რთული რელიეფი და კლიმატური პირობები ზრდის გზების დაზიანების, მეწყრული/ეროზიული პროცესების, წყლის სისტემების გაუმართაობისა და სტიქიური მოვლენების რისკს. შესაბამისად, მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში დუშეთის ბიუჯეტი უნდა შეფასდეს არა მხოლოდ იმით, რამდენი თანხა იხარჯება გარემოს დაცვის სახელწოდების მქონე პროგრამებზე, არამედ იმითაც, რამდენად არის გარემოსდაცვითი და კლიმატური ლოგიკა ინტეგრირებული ინფრასტრუქტურულ, წყლის, კეთილმოწყობისა და სოციალური უსაფრთხოების პროგრამებში.

2025 წლის ბიუჯეტის პროექტში მუნიციპალიტეტის გადასახდელები 25,7 მლნ ლარით არის განსაზღვრული. აქედან ***„ინფრასტრუქტურის განვითარებაზე“ გათვალისწინებულია 6***

მლნ ლარი, ხოლო „დასუფთავება და გარემოს დაცვაზე“ – 1,8 მლნ ლარი. ჯამურად ეს ორი პრიორიტეტი 7,8 მლნ ლარს შეადგენს, ანუ 2025 წლის მთლიანი ***ბიუჯეტის დაახლოებით 30,4%***-ს. *თუმცა მწვანე ბიუჯეტირების კუთხით ეს თანხა მთლიანად ერთგვაროვანი არ არის: ნაწილი პირდაპირ გარემოსდაცვითია, ნაწილი – კლიმატთან ადაპტაციას უკავშირდება, ნაწილი კი მხოლოდ პოტენციურად მწვანეა და საჭიროებს დამატებით კრიტერიუმებს, რათა მისი გარემოსდაცვითი ეფექტი რეალურად დადასტურდეს*.

პირდაპირი მწვანე მიმართულება პირველ რიგში ჩანს პრიორიტეტში „დასუფთავება და გარემოს დაცვა“. 2025 წელს ამ მიმართულებით გათვალისწინებულია 1,8 მლნ ლარი, 2026 წელს – 1,8 მლნ ლარი, 2027 წელს – 1,9 მლნ ლარი, ხოლო 2028 წელს – 2,1 მლნ ლარი. ეს ზრდადი დინამიკა დადებითია, რადგან გარემოსდაცვითი მომსახურება საშუალოვადიან პერიოდში სტაბილურ დაფინანსებას იღებს. ამ პრიორიტეტში ორი ძირითადი კომპონენტია: *„დასუფთავება და ნარჩენების გატანა“* და *„არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ხელშეწყობა“*. ნარჩენების მართვის პროგრამა ითვალისწინებს საყოფაცხოვრებო ნარჩენების მოგროვებასა და გატანას, ქალაქისა და ადმინისტრაციული ერთეულების დაგვა-დასუფთავებას. მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით ეს პროგრამა პირდაპირ უკავშირდება *SDG 11.6 ამოცანას – მუნიციპალური და სხვა ნარჩენების მართვის გაუმჯობესებით გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას*. ამასთან, პროგრამაში გენდერული ასპექტების გათვალისწინებაც დადებითია, რადგან საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესება ამცირებს ოჯახებში, განსაკუთრებით ქალებზე, არაანაზღაურებადი შრომის ნაწილს.

მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი კომპონენტია **„არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ ხელშეწყობა**, რომლისთვისაც *2025 წელს 610 ათასი ლარია გათვალისწინებული, ხოლო 2026–2028 წლებში ყოველწლიურად – 670 ათასი ლარი*. არაგვის დაცული ლანდშაფტი დუშეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს და მოიცავს გუდამაყრის, ფშავისა და ხევსურეთის არაგვის ხეობებს. მისი საერთო ფართობი 99 802 ჰექტარია. ამ მიმართულებით დაფინანსება მწვანე ბიუჯეტირების მკაფიო მაგალითია, რადგან იგი უკავშირდება ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტური ღირებულებების, ეკოტურიზმისა და ბუნებრივი კაპიტალის დაცვას. **რეკომენდებულია**, რომ მომავალ ბიუჯეტებში ამ პროგრამას დაემატოს შედეგზე ორიენტირებული ინდიკატორები: დაცული ლანდშაფტის მოვლა-პატრონობის ღონისძიებების რაოდენობა, ვიზიტორთა მართვის გაუმჯობესება, ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტი მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს ყველაზე კომპლექსურია. *2025 წელს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე დაგეგმილია 6 მლნ ლარი, 2026 წელს – 9,6 მლნ ლარი, 2027 წელს – 13,7 მლნ ლარი, ხოლო 2028 წელს – 15,5 მლნ ლარი.* **ზრდა საშუალოვადიან პერიოდში მკვეთრია**, რაც მიუთითებს, რომ მუნიციპალური განვითარების მთავარი ფინანსური დატვირთვა სწორედ ინფრასტრუქტურაზე მოდის. ***მწვანე ბიუჯეტირების ამოცანაა***, ამ ზრდაში გამოიყოს ის ნაწილი, რომელიც კლიმატთან ადაპტაციას, ენერგოეფექტიანობას, რესურსების მდგრად გამოყენებას, ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესებას ან მოსახლეობის გარემოსდაცვით უსაფრთხოებას ემსახურება.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა 2025 წელს 1,8 მლნ ლარით ფინანსდება. პროგრამის აღწერაში ხაზგასმულია, რომ *რთული რელიეფისა და კლიმატური პირობების გამო გზების ნაწილი მუდმივად საჭიროებს რეაბილიტაციასა და*

მოვლა-შენახვას, ასევე ზამთარში მაღალმთიან სოფლებში გზების თოვლის საფარისგან გაწმენდას. ***მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით*** გზების რეაბილიტაცია შეიძლება ჩაითვალოს კლიმატთან ადაპტაციისა და მდგრადი ინფრასტრუქტურის ნაწილად, როდესაც პროექტები ითვალისწინებს წყლის არინებას, ეროზიისა და მეწყრის რისკის შემცირებას, ხიდებისა და გზისპირა ნაგებობების გამძლეობას, უსაფრთხო გადაადგილებას და გზების სიცოცხლის ციკლის გახანგრძლივებას. თუმცა მხოლოდ გზის მოასფალტება ავტომატურად „მწვანე" ხარჯად არ უნდა მოინიშნოს. საჭიროა დამატებითი კრიტერიუმები: კლიმატური რისკის შეფასება, სანიაღვრე სისტემების ინტეგრირება, ბუნებაზე ზემოქმედების მინიმიზაცია და მასალების/ტექნოლოგიების გარემოსდაცვითი სტანდარტების გათვალისწინება.

გარე განათების პროგრამა 2025 წელს 1 მლნ ლარით არის დაფინანსებული და მოიცავს როგორც *არსებული ქსელის ექსპლუატაციას, ისე ახალი წერტილების მოწყობას*. პროგრამა მნიშვნელოვანია უსაფრთხოების, სოციალური ინკლუზიისა და გენდერული მგრძნობელობის თვალსაზრისით, რადგან გაუნათებელი ქუჩები განსაკუთრებით რისკის შემცველია ქალების, ბავშვების, ხანდაზმულებისა და შშმ პირებისთვის. ***მწვანე ბიუჯეტირების კუთხით*** აღნიშნული მიმართულება განსაკუთრებით ღირებული გახდება იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაში მკაფიოდ ჩაიწერება ენერგოეფექტიანი LED განათების, ავტომატიზებული მართვის, ენერგიის მოხმარების შემცირებისა და ტექნიკური დანაკარგების შემცირების მიზნები. დოკუმენტში გარე განათება აღწერილია უსაფრთხოების და ქსელის ფუნქციონირების ჭრილში, მაგრამ ენერგოეფექტიანობის კომპონენტი ცალკე ინდიკატორად არ ჩანს. შესაბამისად, **რეკომენდებულია**, რომ პროგრამის მომდევნო რედაქციაში დაემატოს ინდიკატორები: შეცვლილი/დამონტაჟებული LED სანათების რაოდენობა, წლიური ელექტროენერგიის მოხმარება კილოვატ-საათებში, ერთ განათების წერტილზე ენერგომოხმარების შემცირება და CO_2-ის ემისიების სავარაუდო შემცირება.

წყლის სისტემების განვითარება *ერთ-ერთი ყველაზე მკაფიოდ მწვანე და სოციალური მნიშვნელობის მქონე პროგრამაა*. 2025 წელს ამ მიმართულებით გათვალისწინებულია 0,6 მლნ ლარი, 2026 წელს – 1, 9 მლნ ლარი, 2027 წელს – 2,8 მლნ ლარი, ხოლო 2028 წელს – 3,4 მლნ ლარი. *ასეთი ზრდა დადებითად უნდა შეფასდეს, რადგან წყალმომარაგება პირდაპირ უკავშირდება ჯანმრთელობას, სანიტარიას, კლიმატურ მედეგობასა და სოფლის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს*. ქვეპროგრამა *„სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია"* 2025 წელს მხოლოდ 102,5 ათასი ლარით ფინანსდება, მაგრამ 2026–2028 წლებში მნიშვნელოვნად იზრდება. ასევე გათვალისწინებულია ა(ა)იპ *„დუშეთის წყლის" ხელშეწყობა, რომელიც წყალმომარაგების სისტემების მოვლა-პატრონობასა და შეკეთებას ემსახურება.* ***მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით*** წყლის პროგრამები უნდა მოინიშნოს როგორც კლიმატთან ადაპტაციისა და რესურსების მდგრადი მართვის მიმართულება, განსაკუთრებით თუ ღონისძიებები ამცირებს წყლის დანაკარგებს, აუმჯობესებს წყლის ხარისხს, ზრდის უწყვეტ მიწოდებას და ამცირებს ოჯახების ფიზიკურ/სოციალურ ტვირთს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციის** ქვეპროგრამა. 2025 წელს ამ მიმართულებით თანხა არ არის დაგეგმილი, თუმცა 2026 წელს გათვალისწინებულია 0,4 მლნ ლარი, 2027 წელს – 0,7 მლნ ლარი, ხოლო 2028 წელს – 0,9 მლნ ლარი. ქვეპროგრამის მიზნებში პირდაპირ არის მითითებული სტიქიის პრევენცია, მოსახლეობის უსაფრთხოების გაზრდა და ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის ხანგრძლივობის ზრდა. ***ეს არის კლიმატთან ადაპტაციის*** *ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო ხარჯი, რადგან სანიაღვრე და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურა ამცირებს წყალდიდობის, ნაპირების წარეცხვის, გზებისა და დასახლებების დაზიანების რისკს*.

რეკომენდებულია, რომ მოხდეს ამ მიმართულების საპროექტო მომზადება, რისკის რუკების გამოყენება და მაღალი რისკის ზონების პრიორიტეტიზაცია.

კეთილმოწყობის ღონისძიებები 2025 წელს 0,7 მლნ ლარით ფინანსდება, ხოლო 2028 წლისთვის 4,2 მლნ ლარამდე იზრდება. პროგრამა მოიცავს *ბაღების, სკვერების, სასაფლაოების მოვლა-პატრონობას, ღია დასასვენებელი სივრცეების მოწყობას და სხვადასხვა მუნიციპალური ობიექტის კეთილმოწყობას*. ამ მიმართულებას აქვს მნიშვნელოვანი ***მწვანე პოტენციალი***, *განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სკვერებისა და პარკების რეაბილიტაცია მოიცავს მწვანე საფარის ზრდას, ჩრდილის შექმნას, ურბანული სიცხის ეფექტის შემცირებას, წვიმის წყლის ბუნებრივ შეწოვას, ადგილობრივი მცენარეების გამოყენებას და ინკლუზიური საჯარო სივრცეების მოწყობას*. დოკუმენტში აღნიშნულია „გაუმჯობესებული ეკოლოგიური გარემო“, თუმცა *არ ჩანს მწვანე საფარის ფართობის, დარგული/მოვლილი ხეების რაოდენობის, სარწყავი წყლის ეფექტიანი გამოყენების ან ბიომრავალფეროვნების მაჩვენებლები. ეს მიმართულება* ***საჭიროებს მეტ შედეგზე ორიენტირებულ მწვანე ინდიკატორებს***.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა 2025 წელს 1 მლნ ლარით ფინანსდება. *იგი პირდაპირ გარემოსდაცვითი პროგრამა არ არის, მაგრამ მწვანე ბიუჯეტირების ინსტიტუციური ხარისხის გაუმჯობესებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია*. მოსახლეობის მონაწილეობა ადგილობრივი პრიორიტეტების შერჩევაში *საშუალებას იძლევა, უკეთ გამოჩნდეს სოფლებისა და უბნების რეალური გარემოსდაცვითი საჭიროებები – წყალი, სანიაღვრეები, ნარჩენების მართვა, სკვერები, უსაფრთხო გადაადგილება, განათება*. **რეკომენდებულია**, *მონაწილეობითი ბიუჯეტირების კრიტერიუმებში გაჩნდეს* ***„მწვანე ქულა“*** *ან გარემოსდაცვითი შეფასების კომპონენტი, რაც უპირატესობას მისცემს პროექტებს, რომლებიც ამცირებს გარემოს დაბინძურებას, ზრდის კლიმატურ მედეგობას, აუმჯობესებს წყლისა და ნარჩენების მართვას ან ქმნის მწვანე საჯარო სივრცეებს*.

სოციალური დაცვისა და ჯანმრთელობის მიმართულებაშიც არსებობს კლიმატთან დაკავშირებული ელემენტები. მაგალითად, 2025 წელს „სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დახმარება“ 100 ათასი ლარით არის გათვალისწინებული, 2028 წლისთვის კი 300 ათას ლარამდე იზრდება. *ეს ხარჯი რეაგირების ტიპისაა და არა პრევენციული, თუმცა კლიმატური რისკების ზრდის პირობებში მისი არსებობა მნიშვნელოვანია*. ***მწვანე ბიუჯეტირების მიდგომით*** **რეკომენდებულია**, *რომ სოციალური დახმარების ასეთი მექანიზმები დაუკავშირდეს პრევენციულ ღონისძიებებსაც: რისკის ზონებში მცხოვრები მოსახლეობის იდენტიფიცირებას, ადრეული გაფრთხილების სისტემებს, ადგილობრივი სამოქალაქო უსაფრთხოების გეგმებსა და ინფრასტრუქტურულ პრევენციას*.

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025–2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტში მწვანე ბიუჯეტირების პოტენციალი საკმაოდ მაღალია. ***პირდაპირი მწვანე ხარჯები*** ჩანს *ნარჩენების მართვაში, დასუფთავებაში, დაცული ლანდშაფტის ადმინისტრირების ხელშეწყობაში, წყლის სისტემების განვითარებაში, სანიაღვრე/ნაპირსამაგრ ინფრასტრუქტურაში და კეთილმოწყობის ღონისძიებებში*. ***ირიბი მწვანე მნიშვნელობა*** აქვს *გზების მოვლა-რეაბილიტაციას, გარე განათებას, მონაწილეობით ბიუჯეტირებასა და სტიქიური უბედურებების შედეგად დაზარალებულთა დახმარებას*. ამასთან, დოკუმენტის ***მთავარი გამოწვევა*** ის არის, რომ *პროგრამები ჯერ კიდევ ძირითადად აღწერით და საბიუჯეტო ფორმატშია წარმოდგენილი; გარემოსდაცვითი და კლიმატური შედეგები ხშირად არ არის გადაყვანილი გაზომვად ინდიკატორებში*.

მწვანე ბიუჯეტირების შემდგომი გაძლიერებისთვის მიზანშეწონილია, დუშეთის მუნიციპალიტეტმა პროგრამულ ბიუჯეტში დანერგოს **მწვანე მარკირების** მარტივი სისტემა.

ასევე აუცილებელია მწვანე ბიუჯეტირების **შედეგობრივი ინდიკატორების დამატება**. დუშეთისთვის განსაკუთრებით რელევანტურია შემდეგი მაჩვენებლები: ***ნარჩენების შეგროვების*** *სერვისით დაფარული დასახლებების რაოდენობა; ნარჩენების გატანის სიხშირე; სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირება*; ***სასმელ წყალზე წვდომის*** *მქონე ოჯახების რაოდენობა; რეაბილიტირებული წყლის ქსელების სიგრძე; წყლის დანაკარგების შემცირება*; ***მოწყობილი სანიაღვრე არხების*** *სიგრძე;* ***ნაპირსამაგრი სამუშაოებით*** *დაცული ობიექტების რაოდენობა*; ***LED განათების*** *წილი გარე განათებაში;* ***ელექტროენერგიის მოხმარების*** *შემცირება;* ***სკვერებისა და მწვანე სივრცეების*** *ფართობი;* ***დარგული და მოვლილი ხეების*** *რაოდენობა;* ***დაცული ლანდშაფტის*** *მართვის ღონისძიებების რაოდენობა*.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ***2025–2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი ქმნის კარგ საფუძველს მწვანე ბიუჯეტირების განვითარებისთვის***. დოკუმენტში *უკვე არსებობს გარემოსდაცვითი, კლიმატთან ადაპტაციისა და მდგრადი ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ფინანსური მიმართულებები. განსაკუთრებით დადებითად უნდა შეფასდეს ნარჩენების მართვის, დაცული ლანდშაფტის, წყლის სისტემებისა და სანიაღვრე/ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურის არსებობა. თუმცა მწვანე ბიუჯეტირების სრულფასოვანი დანერგვისთვის საჭიროა ხარჯების უფრო მკაფიო კლასიფიკაცია, გარემოსდაცვითი შედეგების გაზომვა, ენერგოეფექტიანობისა და კლიმატური მედეგობის კრიტერიუმების ჩაშენება ინფრასტრუქტურულ პროექტებში და მონაწილეობითი ბიუჯეტირების გამოყენება ადგილობრივი მწვანე ინიციატივების გამოსავლენად.* ***ამ მიდგომით დუშეთის ბიუჯეტი არა მხოლოდ მიმდინარე მომსახურებების დაფინანსების ინსტრუმენტი იქნება, არამედ მუნიციპალიტეტის ბუნებრივი კაპიტალის დაცვის, კლიმატური რისკების შემცირებისა და მდგრადი ადგილობრივი განვითარების მექანიზმადაც ჩამოყალიბდება***.

ბიუჯეტის დადგენილება

2025 წლის ბიუჯეტის ანალიზი


დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი[11] მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ანალიზს საჭიროებს, რადგან მუნიციპალიტეტის ხარჯვითი ნაწილი დიდწილად მიმართულია ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, წყლის სისტემებზე, დასუფთავებაზე, ნარჩენების მართვაზე, დაცული ლანდშაფტის მხარდაჭერასა და სტიქიური მოვლენების პრევენციაზე. დუშეთის გეოგრაფიული და ბუნებრივი სპეციფიკა – მაღალმთიანი რელიეფი, რთული კლიმატური პირობები, არაგვის აუზი, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მაღალი წილი და დაცული ლანდშაფტის არსებობა – განაპირობებს იმას, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი მხოლოდ საბაზისო მუნიციპალური სერვისების დაფინანსების დოკუმენტად არ უნდა განიხილებოდეს. მოცემული ბიუჯეტი წარმოადგენს კლიმატთან ადაპტაციის, ბუნებრივი რესურსების დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოების და მდგრადი ინფრასტრუქტურის განვითარების ინსტრუმენტს.

2025 წლის ბიუჯეტით დუშეთის მუნიციპალიტეტის შემოსულობები განსაზღვრულია დაახლოებით 46,1 მლნ ლარით, ხოლო გადასახდელები – 52,1 მლნ ლარით. შემოსავლები

11 2024 წლის 13 დეკემბრის №18 საკრებულოს დადგენილებით: „დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“

შეადგენს 45,7 მლნ ლარს, საიდანაც გადასახადები 22,9 მლნ ლარია, გრანტები – 20,0 მლნ ლარი, ხოლო სხვა შემოსავლები – 2,7 მლნ ლარი.

დიაგრამა 1. დუშეთის 2025 წლის ბიუჯეტის შემოსავლების პროცენტული განაწილება




წყარო: მომზადდა დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის კორექტირებული ბიუჯეტის მიხედვით

ბიუჯეტის დაფინანსების სტრუქტურაში ***სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერების მნიშვნელოვანი*** *წილი მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტის კაპიტალური და ინფრასტრუქტურული განვითარების შესაძლებლობები დიდწილად დაკავშირებულია ცენტრალური ბიუჯეტის მხარდაჭერასთან*. მწვანე ბიუჯეტირების კუთხით ეს გარემოება მნიშვნელოვანია, რადგან ცენტრალური ტრანსფერებით დაფინანსებული ინფრასტრუქტურული პროექტები უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ხარჯვის მასშტაბით, არამედ მათი კლიმატური და გარემოსდაცვითი ხარისხითაც.

2025 წლის ბიუჯეტში ყველაზე მსხვილი პრიორიტეტია **ინფრასტრუქტურის განვითარება**, რომლის დაფინანსება **29,5 მლნ ლარს** შეადგენს. ეს *მთლიანი გადასახდელების დაახლოებით* ***56,7%****-ია*.


დიაგრამა 2. დუშეთის 2025 წლის გამოკვეთილი გარემოსდაცვითი პროგრამები



წყარო: მომზადდა დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის კორექტირებული ბიუჯეტის მიხედვით

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში ყველაზე დიდი მიმართულებაა *საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა* – 15,3 მლნ ლარი, მათ შორის გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია – 14,6 მლნ ლარი. ***მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით*** საგზაო ინფრასტრუქტურა ავტომატურად არ უნდა ჩაითვალოს მწვანე ხარჯად, თუმცა დუშეთის შემთხვევაში მას აქვს მაღალი ადაპტაციური მნიშვნელობა. მაღალმთიან და რთულ რელიეფურ პირობებში გზების ხარისხი პირდაპირ უკავშირდება მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებას, ზამთრის პერიოდში სერვისებზე წვდომას, სასწრაფო დახმარებისა და საგანგებო რეაგირების შესაძლებლობას, ასევე სტიქიური მოვლენების შემდეგ რეაბილიტაციის სისწრაფეს. შესაბამისად, *ამ მიმართულების მწვანე კლასიფიკაცია მიზანშეწონილია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გზების რეაბილიტაციისას გათვალისწინებულია კლიმატური რისკები, სანიაღვრე სისტემები, ეროზიის პრევენცია, ფერდობების გამაგრება და ინფრასტრუქტურის გამძლეობა*.

დიაგრამა 3. დუშეთის 2025 წლის ძირითადი პროგრამები ქვეპროგრამების ჩაშლით



წყარო: მომზადდა დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის კორექტირებული ბიუჯეტის მიხედვით

გარე განათების პროგრამისთვის გათვალისწინებულია **2,1 მლნ ლარი**, საიდანაც ახალი წერტილების მოწყობა 1,7 მლნ ლარს შეადგენს. ეს პროგრამა მნიშვნელოვანია როგორც *უსაფრთხოების, ისე ენერგოეფექტიანობის პოტენციალის* თვალსაზრისით. *თუ გარე განათების ქსელის გაფართოება განხორციელდება LED ტექნოლოგიებით, ავტომატიზებული მართვის სისტემებით და ენერგიის მოხმარების მონიტორინგით, პროგრამა შეიძლება ჩაითვალოს კლიმატის შერბილების ხელშემწყობ მიმართულებადაც.* ამ ეტაპზე ბიუჯეტში პროგრამა ძირითადად მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის გაფართოების სახით არის წარმოდგენილი; ამიტომ ***რეკომენდებულია**, მომავალში დაემატოს ენერგოეფექტიანობის ინდიკატორები: LED სანათების წილი, წლიური ელექტროენერგიის მოხმარება, ერთ განათების წერტილზე მოხმარების შემცირება და სათბურის აირების ემისიების სავარაუდო შემცირება*.

წყლის სისტემების განვითარებაზე 2025 წელს გათვალისწინებულია **1,2 მლნ ლარი**. აქედან სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია შეადგენს 0,4 მლნ ლარს, ა(ა)იპ „დუშეთის წყლის“ ხელშეწყობა – 0,5 მლნ ლარს, ხოლო სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია – 0,3 მლნ ლარს. ***ეს მიმართულება მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო კომპონენტია**, რადგან წყლის ინფრასტრუქტურა პირდაპირ უკავშირდება კლიმატთან ადაპტაციას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, სანიტარიას, წყლის რესურსების რაციონალურ გამოყენებას და სტიქიური მოვლენების რისკის შემცირებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სანიაღვრე და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურა, რადგან დუშეთისთვის დამახასიათებელი რელიეფი და მდინარეთა ქსელი ზრდის წყალდიდობის, ნაპირების წარეცხვისა და გზების დაზიანების საფრთხეს*.

კეთილმოწყობის ღონისძიებებისთვის 2025 წელს გათვალისწინებულია **1,6 მლნ ლარი**. ამ მიმართულებაში შედის სპორტული მოედნებისა და დარბაზების მოწყობა-რეაბილიტაცია, ბაღების, სკვერების, პავილიონების, სარიტუალო დარბაზების, კულტურული ობიექტების, ამბულატორიების, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების ცენტრების მოწყობა-რეაბილიტაცია, ასევე კეთილმოწყობის სამსახურის ხელშეწყობა. ***მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით*** ეს მიმართულება **ნაწილობრივ მწვანე ხარჯად** შეიძლება

შეფასდეს, თუ მასში ინტეგრირებულია მწვანე სივრცეების განვითარება, ხეების დარგვა, ჩრდილის ზონების შექმნა, სანიაღვრე წყლის ბუნებრივი მართვა, ინკლუზიური საჯარო სივრცეები და დაბალი გარემოსდაცვითი ზემოქმედების მქონე მასალები. მხოლოდ ობიექტების რეაბილიტაცია მწვანე ეფექტს არ ქმნის, თუ მას არ ახლავს ეკოლოგიური სტანდარტები და შედეგობრივი მაჩვენებლები.

განსაკუთრებით მაღალი მნიშვნელობა აქვს სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსებას, რომლისთვისაც 2025 წელს **1,8 მლნ ლარია** განსაზღვრული. ეს ხარჯი ***მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში*** *კლიმატთან ადაპტაციის პირდაპირ მიმართულებად უნდა შეფასდეს*. სტიქიის პრევენციის კომპონენტი უფრო მაღალი ღირებულებისაა, ვიდრე მხოლოდ ზიანის შემდგომი ლიკვიდაცია, რადგან წინასწარი ინვესტირება ამცირებს მომავალში ბიუჯეტზე ზეწოლას, მოსახლეობის ქონებრივ დანაკარგებს და ინფრასტრუქტურის დაზიანების მასშტაბს. ***რეკომენდებულია***, *ამ პროგრამაში ერთმანეთისგან გაიმიჯნოს პრევენციული და რეაგირებითი ხარჯები, რათა შეფასდეს, რამდენად გადადის მუნიციპალიტეტი რეაგირების მიდგომიდან (reactive) რისკების წინასწარ (proactive)მართვაზე*.

დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტი 2025 წელს **2,0 მლნ ლარით** ფინანსდება. აქედან დასუფთავება და ნარჩენების გატანა შეადგენს 1,3 მლნ ლარს, ხოლო არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ხელშეწყობა – 0,7 მლნ ლარს. ***ეს არის ბიუჯეტის ყველაზე პირდაპირი გარემოსდაცვითი ნაწილი***. ნარჩენების მართვის დაფინანსება უკავშირდება მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებას, დასუფთავებას და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას. ფუნქციონალური კლასიფიკაციით გარემოს დაცვის მიმართულებაც 2,0 მლნ ლარია, მათ შორის ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება – 1,3 მლნ ლარი. ეს შესაბამისობა აჩვენებს, რომ გარემოს დაცვის პროგრამა საკმაოდ მკაფიოდ არის გამოყოფილი და შეიძლება პირდაპირ მწვანე ხარჯად მოინიშნოს.

არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა დუშეთის ბიუჯეტის ერთ-ერთი ***ძლიერი გარემოსდაცვითი კომპონენტია***. მისი დაფინანსება **0,7 მლნ ლარს** შეადგენს და *უკავშირდება ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტების, ეკოსისტემური მომსახურებებისა და ეკოტურიზმის პოტენციალის დაცვას*. ეს მიმართულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ***დუშეთის ბუნებრივი კაპიტალი ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი საფუძველიცაა***. დაცული ლანდშაფტის მხარდაჭერა მხოლოდ გარემოსდაცვითი ხარჯი არ არის; იგი ასევე უკავშირდება მდგრად ტურიზმს, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას, ბუნებრივი რესურსების მართვას და მუნიციპალიტეტის გრძელვადიან კონკურენტუნარიანობას.

მონაწილეობითი ბიუჯეტირებისთვის 2025 წელს გამოყოფილია **1,3 მლნ ლარი**. *ეს პროგრამა პირდაპირ გარემოსდაცვითი ხარჯი არ არის, თუმცა მწვანე ბიუჯეტირების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანი მექანიზმია. თუ მოქალაქეთა ჩართულობის ფარგლებში შერჩეულ პროექტებს დაემატება* ***გარემოსდაცვითი შეფასების კრიტერიუმი***, *მონაწილეობითი ბიუჯეტირება შეიძლება იქცეს ადგილობრივი მწვანე ინიციატივების დაფინანსების პლატფორმად*. მაგალითად, პრიორიტეტი შეიძლება მიენიჭოს სოფლის წყლის სისტემებს, სანიაღვრე არხებს, მცირე მწვანე სივრცეებს, ნარჩენების მართვის ინფრასტრუქტურას, ენერგოეფექტიან განათებასა და ბუნებაზე დაფუძნებულ გადაწყვეტებს.

დუშეთის **2025 წლის ბიუჯეტში** მწვანე ხარჯების ***მინიმალური პირდაპირი ბირთვი შეიძლება შეფასდეს დაახლოებით 4,1 მლნ ლარად***, თუ მასში შევიტანთ გარემოს დაცვის პრიორიტეტს – 2,0 მლნ ლარს, წყლის სისტემების განვითარებას – 1,2 მლნ ლარს, და სანიაღვრე/ნაპირსამაგრ

ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებულ ნაწილს. უფრო ***ფართო ინტერპრეტაციით,*** **მწვანე ან პოტენციურად მწვანე ხარჯების** მოცულობა მნიშვნელოვნად იზრდება, რადგან ***ინფრასტრუქტურის განვითარების 29,5 მლნ ლარიდან*** *მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება კლიმატურად მედეგ ინფრასტრუქტურად დაკვალიფიცირდეს, თუ შესაბამისი კრიტერიუმები იქნება გამოყენებული. ამ ფართო ჯგუფში შეიძლება მოხვდეს გზების ნაწილი, გარე განათება, კეთილმოწყობა, სტიქიის პრევენცია, სოფლის მხარდაჭერის პროექტები და მონაწილეობითი ბიუჯეტირება*.

თუმცა ანალიზი აჩვენებს, რომ **ბიუჯეტში ჯერ კიდევ არ ჩანს მწვანე მარკირების ფორმალიზებული სისტემა**. პროგრამები ძირითადად აღწერილია ტრადიციული საბიუჯეტო ლოგიკით – დაფინანსება, განმახორციელებელი, მიზანი და მოსალოდნელი შედეგი. ***მწვანე ბიუჯეტირების სრულფასოვანი დანერგვისთვის*** *საჭიროა თითოეული პროგრამის შეფასება ოთხი კატეგორიით: პირდაპირ მწვანე, ირიბად მწვანე, ნეიტრალური და პოტენციურად უარყოფითი ზემოქმედების მქონე*. მაგალითად, ნარჩენების მართვა და დაცული ლანდშაფტი პირდაპირ მწვანეა; წყლის სისტემები და სტიქიის პრევენცია – კლიმატთან ადაპტაციის მიმართულება; გარე განათება – მწვანე მხოლოდ ენერგოეფექტიანი გადაწყვეტების შემთხვევაში; გზების რეაბილიტაცია – მწვანე მხოლოდ მაშინ, თუ პროექტი ამცირებს კლიმატურ და გეოლოგიურ რისკებს.

რეკომენდებულია, დუშეთის მუნიციპალიტეტმა 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგისას დაამატოს **მწვანე ინდიკატორები**. ასეთ ინდიკატორებად შეიძლება გამოყენებულ იქნას: ნარჩენების შეგროვების სერვისით დაფარული დასახლებების რაოდენობა; სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირება; დასუფთავების სერვისის სიხშირე; დაცული ლანდშაფტის მართვის ღონისძიებების რაოდენობა; წყლის სისტემებით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა; რეაბილიტირებული წყლის ქსელის სიგრძე; მოწყობილი სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების სიგრძე; LED განათების წილი; ელექტროენერგიის მოხმარების შემცირება; მწვანე სივრცეების ფართობი; დარგული და მოვლილი ხეების რაოდენობა; პრევენციული სტიქიის საწინააღმდეგო ღონისძიებების წილი მთლიან სტიქიურ ხარჯებში.

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი მწვანე ბიუჯეტირების დანერგვისთვის საკმაოდ კარგ საფუძველს ქმნის. *ბიუჯეტში უკვე არსებობს მნიშვნელოვანი პირდაპირი გარემოსდაცვითი მიმართულებები – დასუფთავება, ნარჩენების მართვა და არაგვის დაცული ლანდშაფტის მხარდაჭერა*. ასევე *მკაფიოდ ჩანს კლიმატთან ადაპტაციის პოტენციალი წყლის სისტემებში, სანიაღვრე და ნაპირსამაგრ ინფრასტრუქტურაში, სტიქიის პრევენციასა და გზების მდგრად რეაბილიტაციაში*. **მთავარი გამოწვევა** არის ის, რომ *მწვანე მიზნები ჯერ კიდევ სრულად არ არის გადაყვანილი გაზომვად ინდიკატორებში და ხარჯების კლასიფიკაციაში*. მომდევნო ეტაპზე ***საჭიროა ბიუჯეტის მწვანე მარკირება, პროგრამების კლიმატური რისკების მიხედვით შეფასება და შედეგზე ორიენტირებული გარემოსდაცვითი მაჩვენებლების დანერგვა***. *ამ გზით დუშეთის 2025 წლის ბიუჯეტი შეიძლება იქცეს არა მხოლოდ მუნიციპალური სერვისების დაფინანსების გეგმად, არამედ კლიმატურად მედეგი, ეკოლოგიურად უსაფრთხო და მდგრადი ადგილობრივი განვითარების ინსტრუმენტად.*

ცხრილი 3. დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ძირითადი პროგრამები/ქვეპროგრამების ჩაშლით

საბიუჯეტო კოდი და პროგრამა/ ქვეპროგრამა	2025 გეგმა, მლნ ლარი	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	რეკომენდაცია
სულ გადასახდელები	52,1	საბიუჯეტო ჩარჩო	გამოიყოს მწვანე/კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების წილი მთელ ბიუჯეტში.
არაფინანსური აქტივების ზრდა	26,7	კაპიტალური ინვესტიციების ძირითადი ნაწილი	კაპიტალურ პროექტებს დაემატოს გარემოსდაცვითი და კლიმატური შეფასების კრიტერიუმები.
02 00 – ინფრასტრუქტურის განვითარება	29,5	პოტენციურად მწვანე/ ადაპტაციური მიმართულება, თუმცა დამოკიდებულია პროექტების შინაარსზე	ინფრასტრუქტურული პროექტები დაიყოს მწვანე, ნაწილობრივ მწვანე და დამხმარე მწვანე და ნეიტრალურ ხარჯებად.
02 01 – საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	15,3	კლიმატურად მედეგი ინფრასტრუქტურის პოტენციალი, განსაკუთრებით მაღალმთიან და სტიქიური რისკების მქონე ზონებში	გზების რეაბილიტაციისას გათვალისწინდეს სანიაღვრე სისტემები, ეროზიის პრევენცია, ფერდობების გამაგრება და სტიქიური რისკების შემცირება.
02 01 01 – გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია	14,6	შეიძლება ჩაითვალოს კლიმატთან ადაპტაციის ხარჯად, თუ პროექტები ამცირებს გზების დაზიანების, ჩამოშლისა და წყლის ნაკადებით დაზიანების რისკს	საპროექტო დოკუმენტაციაში ჩაიწეროს კლიმატური მედეგობის მოთხოვნები: წყლის არინება, მდგრადი მასალები, ფერდობების დაცვა.
02 01 02 – საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა	0,7	ხელს უწყობს არსებული ინფრასტრუქტურის გამართულობას და ამცირებს დაზიანებული გზებით გამოწვეულ გარემოსდაცვით/ სოციალურ რისკებს	მოვლა-შენახვის გეგმაში გამოიყოს მაღალრისკიანი მონაკვეთები და პრიორიტეტი მიენიჭოს პრევენციულ სამუშაოებს.
02 02 – გარე განათება	2,1	ენერგოეფექტიანობისა და უსაფრთხო გარემოს შექმნის პოტენციალი	პროგრამაში ცალკე ინდიკატორად დაემატოს LED სანათების წილი და ელექტროენერგიის მოხმარების შემცირება.
02 02 01 – გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	0,4	არსებული ქსელის გამართული ფუნქციონირება, ენერგომოხმარების მართვის პოტენციალი	დაინერგოს ქსელის ენერგომოხმარების მონიტორინგი და დაზიანებების სწრაფი აღრიცხვის სისტემა.
02 02 02 – გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	1,7	შესაძლებელია კლიმატის შერბილების მიმართულებად მონიშვნა, თუ გამოიყენება ენერგოეფექტიანი განათება	ახალი წერტილები მოეწყოს მხოლოდ ენერგოეფექტიანი LED ტექნოლოგიებით და, სადაც შესაძლებელია, ავტომატიზებული მართვით.
02 03 – წყლის სისტემების განვითარება	1,2	პირდაპირ უკავშირდება კლიმატთან ადაპტაციას, წყლის რესურსების მართვას, სანიტარიასა და მოსახლეობის ჯანმრთელობას	გაიზომოს წყლის დანაკარგების შემცირება, რეაბილიტირებული ქსელის სიგრძე და უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

საბიუჯეტო კოდი და პროგრამა/ ქვეპროგრამა	2025 გეგმა, მლნ ლარი	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	რეკომენდაცია
02 03 01 – სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	0,4	წყლის უსაფრთხოება და კლიმატთან ადაპტაცია	პრიორიტეტი მიენიჭოს იმ დასახლებებს, სადაც წყლის მიწოდება არასტაბილურია ან კლიმატური რისკები მაღალია.
02 03 02 – ა(ა)იპ „დუშეთის წყლის“ ხელშეწყობა	0,5	წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა და სერვისის მდგრადობა	საქმიანობის ანგარიშში აისახოს ავარიების რაოდენობა, შეკეთებული მონაკვეთები და წყალმომარაგების გაუმჯობესებული სერვისები.
02 03 03 – სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია	0,3	კლიმატთან ადაპტაციის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო მიმართულება; ამცირებს წყალდიდობის, ნაპირების წარეცხვისა და ინფრასტრუქტურის დაზიანების რისკს	ხარჯები მოინიშნოს როგორც კლიმატთან ადაპტაციის ხარჯი; დაემატოს ინდიკატორები: მოწყობილი სანიაღვრე არხების სიგრძე და დაცული ობიექტების რაოდენობა.
02 05 – სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ინიციატივის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები	5,0	პოტენციურად მწვანე მიმართულება, თუ სოფლის პროექტები უკავშირდება წყალს, სანიაღვრეებს, ნარჩენებს, გამწვანებას ან ენერგოეფექტიანობას	პროექტების შერჩევისას დაემატოს გარემოსდაცვითი კრიტერიუმი და ცალკე აღირიცხოს მწვანე პროექტების წილი.
02 06 – კეთილმოწყობის ღონისძიებები	1,6	ნაწილობრივ მწვანე მიმართულება, განსაკუთრებით სკვერების, ბაღების, ღია სივრცეებისა და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების შემთხვევაში	პროგრამაში გამოიყოს მწვანე სივრცეებთან დაკავშირებული ხარჯები და დაემატოს დარგული ხეების, მოვლილი მწვანე ფართობისა და რეაბილიტირებული სკვერების ინდიკატორები.
02 06 01 – სპორტული მოედნებისა და დარბაზების მოწყობა-რეაბილიტაცია	0,4	პირდაპირი მწვანე ხარჯი არ არის, თუმცა შესაძლებელია ეკოლოგიური სტანდარტების გამოყენება ინფრასტრუქტურაში	რეაბილიტაციისას გამოყენებულ იქნას ენერგოეფექტიანი განათება, წყლის დაზოგვის სისტემები და გარემოსთვის ნაკლებად საზიანო მასალები.
02 06 02 – ბაღების, სკვერების, პავილიონების, კულტურული ობიექტების, ამბულატორიების, სასწრაფო დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების ცენტრების მოწყობა-რეაბილიტაცია	0,4	მწვანე სივრცეების, საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურისა და კლიმატურად მედეგი სერვისების განვითარების პოტენციალი	სკვერებისა და ბაღების პროექტებში ჩაიდოს გამწვანება, ჩრდილის ზონები, წვიმის წყლის მართვა და ინკლუზიური საჯარო სივრცეების სტანდარტები.
02 06 03 – ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ ხელშეწყობა	0,8	ადგილობრივი გარემოს მოვლა-პატრონობისა და საზოგადოებრივი სივრცეების გაუმჯობესების პოტენციალი	სამსახურის საქმიანობის ანგარიშში გამოიყოს გარემოსდაცვითი შედეგები: დასუფთავებული/მოვლილი სივრცეები, გამწვანება, ნარჩენების მართვაში მონაწილეობა.

საბიუჯეტო კოდი და პროგრამა/ ქვეპროგრამა	2025 გეგმა, მლნ ლარი	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	რეკომენდაცია
02 07 – სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	1,8	კლიმატური რისკების მართვა და ადაპტაცია	ხარჯები გაიმიჯნოს პრევენციულ და სალიკვიდაციო ღონისძიებებად; მეტი რესურსი მიემართოს წინასწარ პრევენციაზე.
02 08 – სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და ექსპერტიზის ხარჯები	1,1	პოტენციურად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი მწვანე სტანდარტების ჩასაშენებლად პროექტებში	ტექნიკურ დავალებებსა და ექსპერტიზაში ჩაიდოს კლიმატური რისკების, ენერგოეფექტიანობისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების მოთხოვნები.
02 09 – მონაწილეობითი ბიუჯეტირება	1,3	მოქალაქეთა ჩართულობით მწვანე ინიციატივების გამოვლენისა და დაფინანსების პოტენციალი	მონაწილეობითი ბიუჯეტირების წესებში დაემატოს „მწვანე ქულა“ წყლის, ნარჩენების, გამწვანების, სანიაღვრეებისა და ენერგოეფექტიანობის პროექტებისთვის.
03 00 – დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,0	პირდაპირი მწვანე ხარჯი	პროგრამა მოინიშნოს როგორც პირდაპირი გარემოსდაცვითი ხარჯი და დაემატოს შედეგობრივი ინდიკატორები.
03 01 – დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,3	გარემოს დაბინძურების შემცირება, მუნიციპალური ნარჩენების მართვა	განვითარდეს ნარჩენების სეპარირებული შეგროვების პილოტური პრაქტიკა და გაიზომოს მომსახურებით დაფარული დასახლებების რაოდენობა.
03 02 – ა(ა)იპ „არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ ხელშეწყობა	0,7	ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა; ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნება	დაფინანსებას დაემატოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის, ეკოტურიზმის მართვისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ინდიკატორები.

წყარო: მომზადდა დუშეთის 2025 წლის კორექტირებული ბიუჯეტის მიხედვით

დუშეთის მუნიციპალიტეტის ***2025 წლის ბიუჯეტში მწვანე ბიუჯეტთან ასოცირებული ხარჯების*** *ფართო შეფასებით*, აღნიშნული მიმართულებების ჯამური მოცულობა შეადგენს დაახლოებით **31,6 მლნ ლარს**, რაც 2025 წლის მთლიანი გადასახდელების – **52,1 მლნ ლარის** – დაახლოებით **60,6%-ს** შეადგენს. აღნიშნულში შედის როგორც პირდაპირი გარემოსდაცვითი ხარჯები – დასუფთავება, ნარჩენების მართვა და არაგვის დაცული ლანდშაფტის მხარდაჭერა – ასევე ინფრასტრუქტურული მიმართულებები, რომლებსაც აქვთ კლიმატთან ადაპტაციის, მდგრადი ინფრასტრუქტურის, წყლის რესურსების მართვის, სტიქიური რისკების შემცირებისა და ენერგოეფექტიანობის პოტენციალი. თუ მხოლოდ პირდაპირ გარემოსდაცვით ხარჯებს ავიღებთ, ანუ **03 00 – დასუფთავება და გარემოს დაცვა**, მაშინ მწვანე ბიუჯეტის *მინიმალური შეფასებით* არის **2,0 მლნ ლარი**, რაც მთლიანი ბიუჯეტის დაახლოებით **3,9%-ია**.

ცხრილი 4. მწვანე ბიუჯეტის წილი დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტში

პროგრამა	მლნ ლარი	შენიშვნა
02 00 – ინფრასტრუქტურის განვითარება	29,5	პოტენციურად მწვანე/კლიმატთან ადაპტაციასთან დაკავშირებული მიმართულება
03 00 – დასუფთავება და გარემოს დაცვა	2,0	პირდაპირი მწვანე ხარჯი
მწვანე ბიუჯეტთან ასოცირებული ხარჯები	31,6	
მთლიანი გადასახდელები	52,1	2025 წლის ბიუჯეტის მთლიანი გადასახდელები
მწვანე ბიუჯეტის წილი მთლიან ბიუჯეტში	60,6%	ფართო შეფასებით [(02 + 03)/ გადასახდელები]
	3,9%	მინიმალური შეფასებით [02/გადასახდელები]

წყარო: მომზადდა დუშეთის 2025 წლის კორექტირებული ბიუჯეტის მიხედვით

პროგრამული ბიუჯეტის დანართი

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025–2028 წლების პროგრამული ბიუჯეტის დანართი მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი დოკუმენტია, რადგან მასში პროგრამებისა და ქვეპროგრამების დონეზე ჩანს ის მიმართულებები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად უკავშირდება გარემოს დაცვას, კლიმატთან ადაპტაციას, რესურსების მდგრად მართვას, მდგრად ინფრასტრუქტურას და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას. დოკუმენტის პროგრამული სტრუქტურა იძლევა შესაძლებლობას, ხარჯები შეფასდეს არა მხოლოდ საბიუჯეტო კოდებისა და თანხების მიხედვით, არამედ მათი მიზნების, მოსალოდნელი შედეგების, ინდიკატორებისა და მდგრადი განვითარების ამოცანებთან კავშირის მიხედვითაც.

2025 წლისთვის პროგრამული ბიუჯეტის დანართში მწვანე ბიუჯეტთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია ორი ძირითადი პრიორიტეტი: **02 00 – ინფრასტრუქტურის განვითარება** და **03 00 – დასუფთავება და გარემოს დაცვა**. ინფრასტრუქტურის განვითარების 2025 წლის დაფინანსება შეადგენს დაახლოებით **6 მლნ ლარს**, ხოლო დასუფთავებისა და გარემოს დაცვის მიმართულება – **1,8 მლნ ლარს**. ფართო გაგებით, ამ ორი მიმართულების ჯამური მოცულობა შეადგენს დაახლოებით **7,8 მლნ ლარს**, თუმცა საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს თანხა მთლიანად ერთგვაროვანი მწვანე ხარჯი არ არის. გარემოს დაცვის მიმართულება პირდაპირ მწვანე ხარჯად შეიძლება შეფასდეს, ხოლო ინფრასტრუქტურის განვითარების ნაწილი – პოტენციურად მწვანე ან კლიმატთან ადაპტაციის ხარჯად, თუ პროექტებში გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი, ენერგოეფექტიანობისა და კლიმატური მედეგობის კრიტერიუმები.

02 00 – ინფრასტრუქტურის განვითარება დუშეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად არის წარმოდგენილი. 2025 წლის დაფინანსება შეადგენს **6 მლნ ლარს**. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყლის სისტემების განვითარება, გარე განათების ქსელის ფუნქციონირება და გაფართოება, კეთილმოწყობის ღონისძიებები, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ზედამხედველობის ხარჯები, ასევე მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობა. ***მწვანე ბიუჯეტირების კუთხით*** ეს პრიორიტეტი მნიშვნელოვანია, რადგან დუშეთის გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გათვალისწინებით ინფრასტრუქტურა პირდაპირ უკავშირდება კლიმატურ რისკებთან ადაპტაციას, უსაფრთხო გადაადგილებას, წყლის რესურსებზე ხელმისაწვდომობას და მოსახლეობის მდგრად სერვისებზე წვდომას.

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის 2025 წელს გათვალისწინებულია **1,8 მლნ ლარი**. აქედან გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია შეადგენს **1,2 მლნ ლარს**, ხოლო საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა – **0,6 მლნ ლარს**. პროგრამის აღწერაში ხაზგასმულია, რომ მუნიციპალიტეტში სატვირთო და სამგზავრო გადაადგილების დიდი ნაწილი ავტოტრანსპორტზე მოდის, ხოლო ზამთარში მაღალმთიან სოფლებში გზების თოვლის საფარისგან გაწმენდა აუცილებელია უსაფრთხო გადაადგილებისთვის. ***მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით*** გზების მიმართულება ავტომატურად არ უნდა ჩაითვალოს მწვანე ხარჯად, თუმცა დუშეთის შემთხვევაში მას აქვს კლიმატთან ადაპტაციის მკაფიო პოტენციალი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ გზების რეაბილიტაციისას გათვალისწინებული იყოს სანიაღვრე სისტემები, ეროზიის პრევენცია, ფერდობების გამაგრება, ხიდებისა და ბოგირების მდგრადობა და სტიქიური მოვლენების მიმართ ინფრასტრუქტურის გამძლეობა.

გარე განათების პროგრამისთვის 2025 წელს გათვალისწინებულია **1,1 მლნ ლარი**. აქედან არსებული ქსელის ექსპლუატაციაზე მოდის **0,4 მლნ ლარი**, ხოლო ახალი განათების წერტილების მოწყობაზე – **0,7 მლნ ლარი**. პროგრამა აღწერილია როგორც ღამის პერიოდში უსაფრთხო გადაადგილების, დანაშაულის რისკების შემცირებისა და გენდერულად უსაფრთხო სივრცეების შექმნის ინსტრუმენტი. ***მწვანე ბიუჯეტირების კუთხით*** ეს მიმართულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდება იმ შემთხვევაში, თუ ახალი და არსებული განათების ქსელი დაფუძნებული იქნება ენერგოეფექტიან LED ტექნოლოგიებზე, ავტომატიზებულ მართვაზე და ელექტროენერგიის მოხმარების მონიტორინგზე. ამ ეტაპზე პროგრამაში ნათლად ჩანს სოციალური და უსაფრთხოების მიზანი, თუმცა ენერგოეფექტიანობის შედეგობრივი ინდიკატორები დამატებას საჭიროებს.

წყლის სისტემების განვითარებისთვის 2025 წელს გათვალისწინებულია **0,6 მლნ ლარი**. ქვეპროგრამების დონეზე სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია შეადგენს **0,1 მლნ ლარს**, ა(ა)იპ „დუშეთის წყლის“ ხელშეწყობა – **0,5 მლნ ლარს**, ხოლო სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაციაზე 2025 წელს თანხა არ არის გათვალისწინებული, თუმცა 2026–2028 წლებში ამ მიმართულებით დაფინანსება იზრდება. წყლის სისტემები ***მწვანე ბიუჯეტირების*** ერთ-ერთი ყველაზე მკაფიო კომპონენტია, რადგან იგი უკავშირდება წყლის რესურსების მდგრად მართვას, მოსახლეობის ჯანმრთელობას, სანიტარიას, გენდერულად მგრძნობიარე ინფრასტრუქტურას და კლიმატთან ადაპტაციას. დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს უნდა ჰქონდეს შეუფერხებელი წვდომა სასმელ წყალზე და წყლის სისტემების ექსპლუატაცია უნდა მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში. *ეს მიდგომა სრულად შეესაბამება მწვანე ბიუჯეტირების ლოგიკას, თუმცა სასურველია, მომავალში დაემატოს წყლის დანაკარგების შემცირების, რეაბილიტირებული ქსელის სიგრძისა და უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი ოჯახების ინდიკატორები.*

კეთილმოწყობის ღონისძიებებისთვის 2025 წელს განსაზღვრულია **0,7 მლნ ლარი**. ამ მიმართულებაში შედის ბაღების, სკვერების, პავილიონების, სარიტუალო დარბაზების, კულტურული ობიექტების, ამბულატორიების, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების ცენტრების მოწყობა-რეაბილიტაცია, ასევე კეთილმოწყობის სამსახურის ხელშეწყობა. ***მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით*** ამ პროგრამას აქვს პოტენციურად მწვანე ხასიათი, განსაკუთრებით მაშინ, თუ კეთილმოწყობის ღონისძიებები მოიცავს გამწვანებას, ღია საზოგადოებრივი სივრცეების გაუმჯობესებას, ჩრდილის ზონების შექმნას, ადგილობრივი მცენარეების გამოყენებას, წვიმის წყლის ბუნებრივ მართვას და

გარემოზე ნაკლები ზემოქმედების მქონე მასალებს. *ამ ეტაპზე პროგრამის გარემოსდაცვითი სარგებელი უკეთ უნდა გამოიკვეთოს ინდიკატორებით, მაგალითად: რეაბილიტირებული სკვერების რაოდენობა, მოვლილი მწვანე ფართობი, დარგული ხეების რაოდენობა და ადაპტირებული საჯარო სივრცეები.*

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯებისთვის 2025 წელს გათვალისწინებულია **0,9 მლნ ლარი**. ეს პროგრამა მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით ხშირად ირიბი, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი კომპონენტია. სწორედ საპროექტო ეტაპზე უნდა ჩაიდოს კლიმატური მედეგობის, ენერგოეფექტიანობის, წყლის მართვის, გარემოზე ზემოქმედების შემცირებისა და სიცოცხლის ციკლის ღირებულების კრიტერიუმები. შესაბამისად, რეკომენდებულია, *მუნიციპალიტეტმა ტექნიკურ დავალებებში და საექსპერტო მოთხოვნებში სისტემურად ჩართოს* ***მწვანე სტანდარტები.*** *ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გზების, წყლის სისტემების, გარე განათებისა და კეთილმოწყობის პროექტებისთვის.*

მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობისთვის 2025 წელს გათვალისწინებულია **1,0 მლნ ლარი**. პროგრამა პირდაპირ გარემოსდაცვითი ხარჯი არ არის, მაგრამ მწვანე ბიუჯეტირების ინსტიტუციური გაძლიერებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმით შესაძლებელია ადგილობრივი საჭიროებების უკეთ იდენტიფიცირება – სოფლის წყლის სისტემები, სანიაღვრე არხები, მცირე გამწვანება, ნარჩენების ინფრასტრუქტურა, უსაფრთხო განათება და საზოგადოებრივი სივრცეების ეკოლოგიური გაუმჯობესება. *რეკომენდებულია, მონაწილეობითი ბიუჯეტირების წესებში დაემატოს* ***„მწვანე ქულა“****, რათა უპირატესობა მიენიჭოს პროექტებს, რომლებიც ამცირებს გარემოს დაბინძურებას, აუმჯობესებს წყლის მართვას, ზრდის ენერგოეფექტიანობას ან ამცირებს კლიმატურ რისკებს.*

03 00 – დასუფთავება და გარემოს დაცვა არის პროგრამული ბიუჯეტის ყველაზე პირდაპირი მწვანე მიმართულება. 2025 წლის დაფინანსება შეადგენს **1,8 მლნ ლარს**. აქედან **03 01 – დასუფთავება და ნარჩენების გატანა** ფინანსდება **1,2 მლნ ლარით**, ხოლო **03 02 – ა(ა)იპ „არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის“ ხელშეწყობა – 0,6 მლნ ლარით**.

ნარჩენების მართვის პროგრამა *პირდაპირ უკავშირდება გარემოს დაბინძურების შემცირებას, ქალაქისა და სოფლების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას*. დოკუმენტში ხაზგასმულია ნარჩენების იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან, ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და ნარჩენების გატანა, რაც მწვანე ბიუჯეტირების კლასიკური მიმართულებაა.

არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა დუშეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. *აღნიშნული ქვეპროგრამა უკავშირდება ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტების, ბუნებრივი კაპიტალისა და ეკოსისტემური მომსახურებების დაცვას.* ***ეს ხარჯი პირდაპირ მწვანე ხარჯად უნდა მოინიშნოს, რადგან იგი გარემოს დაცვისა და მდგრადი ადგილობრივი განვითარების ერთ-ერთ საკვანძო კომპონენტს წარმოადგენს.*** მომავალში ამ მიმართულებით რეკომენდებულია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის, ეკოტურიზმის მართვის, დაცული ლანდშაფტის მოვლა-პატრონობისა და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ინდიკატორების დამატება.

პროგრამული ბიუჯეტის დანართის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ 2025 წლისთვის დუშეთის მუნიციპალიტეტში პირდაპირი მწვანე ხარჯების მინიმალური ბირთვი შეადგენს დაახლოებით **1,8 მლნ ლარს**, რაც მოიცავს დასუფთავებას, ნარჩენების მართვას და

არაგვის დაცული ლანდშაფტის მხარდაჭერას. უფრო ფართო მიდგომით, მწვანე ბიუჯეტთან ასოცირებული ხარჯები შეიძლება შეფასდეს დაახლოებით **7,8 მლნ ლარად**, თუ მასში შევიტანთ ინფრასტრუქტურის განვითარების პოტენციურად მწვანე და კლიმატთან ადაპტაციის მიმართულებებსაც. თუმცა ამ ფართო შეფასებას სჭირდება დამატებითი მარკირება, რადგან ინფრასტრუქტურის ყველა ხარჯი ავტომატურად მწვანე არ არის. მწვანედ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ის ხარჯი, რომელიც რეალურად ამცირებს გარემოსდაცვით ან კლიმატურ რისკს, აუმჯობესებს რესურსების გამოყენებას ან ქმნის გარემოსდაცვით სარგებელს.

პროგრამული ბიუჯეტის დანართი ქმნის კარგ საფუძველს დუშეთის მუნიციპალიტეტში მწვანე ბიუჯეტირების დანერგვისთვის. დოკუმენტში უკვე არსებობს გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მიმართულებები: ნარჩენების მართვა, დაცული ლანდშაფტის მხარდაჭერა, წყლის სისტემები, გარე განათება, გზების რეაბილიტაცია, კეთილმოწყობა და მონაწილეობითი ბიუჯეტირება. *ამასთან, საჭიროა პროგრამების უფრო მკაფიო მწვანე მარკირება და შედეგობრივი ინდიკატორების დამატება*. **რეკომენდებულია**, *თითოეულ პროგრამას მიენიჭოს* ***სტატუსი****: პირდაპირ მწვანე, ირიბად მწვანე, კლიმატთან ადაპტაცია, კლიმატის შერბილება, ნეიტრალური ან პოტენციურად უარყოფითი ზემოქმედების მქონე*. ამ მიდგომით დუშეთის მუნიციპალიტეტს ექნება შესაძლებლობა, ბიუჯეტი შეაფასოს არა მხოლოდ თანხების განაწილებით, არამედ გარემოსდაცვითი და კლიმატური შედეგების მიხედვითაც.

შესრულების წლიური ანგარიში

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მწვანე ბიუჯეტირების კუთხით აჩვენებს, რომ *მუნიციპალიტეტის ხარჯვითი პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი დაკავშირებულია ინფრასტრუქტურის განვითარებასთან, გარემოს დაცვასთან, წყლის სისტემებთან, გარე განათებასთან, ნარჩენების მართვასთან, ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვასთან, ასევე სტიქიური მოვლენების პრევენციასა და შედეგების ლიკვიდაციასთან*. კვლავაც აღსანიშნავია, რომ დუშეთის ბუნებრივი და ტერიტორიული სპეციფიკის გათვალისწინებით – მაღალმთიანი რელიეფი, მდინარეთა ქსელი, დაცული ლანდშაფტი, სოფლის დასახლებების სიმრავლე და კლიმატური/სტიქიური რისკები – *ბიუჯეტის შესრულების ანალიზი სასურველია განიხილავდეს არა მხოლოდ ფინანსურ ათვისებას, არამედ რამდენად უწყობს ბიუჯეტი ხელს გარემოსდაცვით შედეგებს, კლიმატთან ადაპტაციას და მდგრად ინფრასტრუქტურას*.

2025 წელს მუნიციპალიტეტის შემოსულობების ***გეგმა შეადგენდა 46,1 მლნ ლარს, ხოლო ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა 45,6 მლნ ლარი, რაც 99%-იან შესრულებას ნიშნავს***. შემოსავლების ნაწილი შესრულდა 45,3 მლნ ლარით, ანუ 99%-ით. *საგადასახადო შემოსავლები შესრულდა გადაჭარბებით – გეგმა 22,9 მლნ ლარი, ფაქტი 23,5 მლნ ლარი, შესრულება* ***102%***. *გრანტების ნაწილში გეგმა იყო 20,0 მლნ ლარი, ფაქტი – 18,8 მლნ ლარი, შესრულება – **94%***. *სხვა შემოსავლები შესრულდა **112%**-ით* – გეგმა 2,7 მლნ ლარი, ფაქტი 3,1 მლნ ლარი. ***მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით*** მნიშვნელოვანია, რომ *სხვა შემოსავლების შემადგენლობაში ფიქსირდება ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი და ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის*. ***თუმცა ასეთი შემოსავლები ჯერ კიდევ არ არის პირდაპირ მიბმული გარემოსდაცვითი ხარჯების მიზნობრივ ზრდასთან, რაც მომავალში შეიძლება გახდეს მწვანე ფისკალური კავშირის გაძლიერების მიმართულება***.

გადასახდელების გეგმა 2025 წელს შეადგენდა 52,1 მლნ ლარს, ფაქტობრივი შესრულება კი იყო 44,7 მლნ ლარი, ანუ 86%. ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციით, მიმდინარე ხარჯები შესრულდა **94%**-ით – გეგმა 25,4 მლნ ლარი, ფაქტი 23,9 მლნ ლარი. შედარებით დაბალია არაფინანსური აქტივების ზრდის, ანუ *კაპიტალური ინვესტიციების შესრულება: გეგმა 26,7 მლნ ლარი, ფაქტი 20,7 მლნ ლარი, შესრულება **78%***. ეს გარემოება მწვანე ბიუჯეტირებისათვის საყურადღებოა, რადგან ***მწვანე და კლიმატთან ადაპტაციის მრავალი ღონისძიება სწორედ კაპიტალურ პროექტებზეა დამოკიდებული – გზების კლიმატურად მედეგი რეაბილიტაცია, სანიაღვრე და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურა, წყლის სისტემები, გარე განათების ენერგოეფექტიანი გაფართოება და კეთილმოწყობის პროექტები***.

ცხრილი 5. დუშეთის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მწვანე ბიუჯეტირებით გააზრება

საბიუჯეტო კოდი და პროგრამა/ მიმართულება	2025 გეგმა, მლნ ლარი	2025 ფაქტი, მლნ ლარი	შესრულება, %	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი
გადასახდელები სულ	52,1	44,7	86%	მთლიანი საბიუჯეტო ჩარჩო
არაფინანსური აქტივების ზრდა	26,7	20,7	78%	კაპიტალური ინვესტიციების ძირითადი წყარო
02 00 – ინფრასტრუქტურის განვითარება	29,5	23,5	80%	ფართო გაგებით მწვანე/ ადაპტაციური პოტენციალი
02 01 – საგზაო ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა	15,3	14,1	92%	კლიმატურად მედეგი ინფრასტრუქტურის პოტენციალი
02 02 – გარე განათება	2,1	2,1	98%	ენერგოეფექტიანობის პოტენციალი
02 03 – წყლის სისტემების განვითარება	1,2	1,1	84%	კლიმატთან ადაპტაცია და წყლის რესურსების მართვა
02 03 01 – სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	0,4	0,3	77%	წყლის უსაფრთხოება და სანიტარია
02 03 02 – ა(ა)იპ „დუშეთის წყლის“ ხელშეწყობა	0,5	0,5	95%	წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა
02 03 03 – სარწყავი, სანიაღვრე არხები და ნაპირსამაგრი ნაგებობები	0,3	0,2	77%	კლიმატთან ადაპტაცია, წყალდიდობისა და ეროზიის რისკების შემცირება
02 07 – სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია	1,8	0,2	11%	კლიმატური და სტიქიური რისკების მართვა
03 00 / 705 – გარემოს დაცვა	2,0	1,9	95%	პირდაპირი მწვანე ხარჯი
7051 – ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1,3	1,3	97%	დაბინძურების შემცირება და მუნიციპალური ნარჩენების მართვა
7054 – ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა	0,7	0,6	91%	დაცული ლანდშაფტი და ბუნებრივი კაპიტალი
7063 – წყალმომარაგება ფუნქციონალურ ჭრილში	1,0	0,8	87%	წყლის რესურსების მართვა
7064 – გარე განათება ფუნქციონალურ ჭრილში	2,1	2,1	99%	ენერგოეფექტიანობის პოტენციალი

წყარო: მომზადდა დუშეთის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით

ცხრილიდან ჩანს, რომ პირდაპირი გარემოსდაცვითი ხარჯები შედარებით მაღალი ხარისხით შესრულდა. გარემოს დაცვის ფუნქციონალური მიმართულების გეგმა იყო 2,0 მლნ ლარი, ფაქტობრივი შესრულება – 1,9 მლნ ლარი, ანუ **95%**. ამ მიმართულებაში *ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება შესრულდა **97%-ით***, ხოლო *ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა – **91%**-ით*. ეს დადებითი მაჩვენებელია, რადგან პირდაპირი მწვანე ხარჯების ათვისება თითქმის სრულად განხორციელდა და მუნიციპალიტეტმა შეძლო ნარჩენების მართვისა და დაცული ლანდშაფტის მხარდაჭერის ძირითადი ფინანსური ვალდებულებების შესრულება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **ნარჩენების მართვის მიმართულება**. 2025 წელს ნარჩენების შეგროვების, გადამუშავებისა და განადგურების მიმართულებით დაგეგმილი იყო 1,3 მლნ ლარი, ხოლო ფაქტობრივად შესრულდა ასევე დაახლოებით 1,3 მლნ ლარი. **შესრულების 97% მიუთითებს**, რომ ეს სერვისი შედარებით სტაბილურად ფინანსდება. ***მწვანე ბიუჯეტირების კუთხით*** *ამ ხარჯს პირდაპირი გარემოსდაცვითი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი ამცირებს დაბინძურებას, აუმჯობესებს დასახლებების სანიტარულ მდგომარეობას და ქმნის საფუძველს ნარჩენების მართვის უფრო მაღალი საფეხურების – სეპარირების, გადამუშავებისა და ცნობიერების ამაღლების – ეტაპობრივი განვითარებისათვის.*

ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის მიმართულება, რომელიც დაკავშირებულია არაგვის დაცული ლანდშაფტის მხარდაჭერასთან, შესრულდა **0,6 მლნ ლარით**, გეგმის **91%**-ით. ეს არის *დუშეთის ბიუჯეტის ერთ-ერთი ყველაზე მკაფიოდ მწვანე კომპონენტი, რადგან მუნიციპალიტეტის ბუნებრივი კაპიტალი – არაგვის ხეობები, ლანდშაფტები, ეკოსისტემები და ტურისტული პოტენციალი – საჭიროებს სტაბილურ მართვასა და დაფინანსებას*. მომავალში *სასურველია, ამ მიმართულებას დაემატოს არა მხოლოდ ფინანსური შესრულების, არამედ შედეგობრივი ინდიკატორებიც: დაცული ტერიტორიის მართვის ღონისძიებები, მონიტორინგის აქტივობები, ეკოტურიზმის მართვა, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ღონისძიებები.*

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტი 2025 წელს ყველაზე მსხვილი ხარჯვითი მიმართულებაა. მისი გეგმა იყო 29,5 მლნ ლარი, ფაქტობრივი შესრულება – 23,5 მლნ ლარი, შესრულება – **80%**. ***ფართო მწვანე ბიუჯეტირების მიდგომით***, *ინფრასტრუქტურის განვითარების ნაწილი შეიძლება ჩაითვალოს კლიმატთან ადაპტაციისა და მდგრადი ინფრასტრუქტურის პოტენციურ მიმართულებად*. თუმცა აქ საჭიროა სიფრთხილე: ყველა ინფრასტრუქტურული ხარჯი ავტომატურად მწვანე არ არის.

საგზაო ინფრასტრუქტურის მიმართულებით გეგმა იყო 15,3 მლნ ლარი, ფაქტობრივი შესრულება – 14,1 მლნ ლარი, რაც **92%**-იან შესრულებას ნიშნავს. დუშეთის მუნიციპალიტეტის რელიეფისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით, გზების რეაბილიტაცია შეიძლება იყოს კლიმატთან ადაპტაციის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, თუ პროექტები მოიცავს წყლის არინებას, ფერდობების გამაგრებას, მეწყრული და ეროზიული პროცესების პრევენციას, ხიდებისა და გზისპირა ინფრასტრუქტურის მდგრადობას. შესაბამისად, რეკომენდებულია, მომდევნო ანგარიშებში საგზაო ინფრასტრუქტურის ხარჯები გაიმიჯნოს: სტანდარტული რეაბილიტაცია, კლიმატურად მედეგი რეაბილიტაცია და სტიქიური რისკების შემცირების კომპონენტი.

გარე განათების მიმართულება შესრულდა თითქმის სრულად: გეგმა 2,1 მლნ ლარი, ფაქტი 2,1 მლნ ლარი, შესრულება **98%**. ეს მიმართულება მწვანე ბიუჯეტირებაში შეიძლება ჩაითვალოს კლიმატის შერბილების პოტენციურ კომპონენტად, თუ იგი ეფუძნება LED განათებას,

ავტომატიზებულ მართვასა და ელექტროენერგიის მოხმარების შემცირებას. ფინანსური შესრულება მაღალია, თუმცა ანგარიში არ აჩვენებს ენერგოეფექტიანობის შედეგებს – რამდენი სანათი შეიცვალა ენერგოეფექტიანით, რამდენით შემცირდა ელექტროენერგიის მოხმარება, ან რა მოცულობის ემისიების შემცირების პოტენციალი შეიქმნა. ამიტომ მომდევნო ანგარიშებში საჭიროა ენერგომოხმარების და LED წილის ინდიკატორების დამატება.

წყლის სისტემების განვითარება შესრულდა **84%**-ით: გეგმა 1,2 მლნ ლარი, ფაქტი 1,1 მლნ ლარი. ამ მიმართულებაში *სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია* შესრულდა **77%**-ით, ა(ა)იპ *„დუშეთის წყლის“ ხელშეწყობა – **95%**-ით*, ხოლო *სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია – **77%**-ით*. წყლის სისტემები მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია, რადგან იგი უკავშირდება როგორც წყლის რესურსების მდგრად მართვას, ისე კლიმატთან ადაპტაციას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სანიაღვრე და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურა, რადგან იგი ამცირებს წყალდიდობის, ნაპირების წარეცხვისა და ინფრასტრუქტურის დაზიანების რისკებს.

ყველაზე საყურადღებო სუსტი შესრულება ფიქსირდება სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებში. გეგმა იყო **1,8 მლნ ლარი**, ხოლო ფაქტობრივი შესრულება მხოლოდ **0,2 მლნ ლარი**, ანუ **11%**. *მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანი გამოწვევაა, რადგან სტიქიის პრევენცია კლიმატთან ადაპტაციის ერთ-ერთი ყველაზე პირდაპირი მიმართულებაა. დაბალი შესრულება შეიძლება მიუთითებდეს პროექტების დაგვიანებაზე, შესყიდვების ან საპროექტო დოკუმენტაციის პრობლემებზე, ან ღონისძიებების გადავადებაზე.* ამ მიმართულებით **რეკომენდებულია**, *მომავალ ანგარიშებში ცალკე გამოიყოს პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებები, რათა შეფასდეს, მუნიციპალიტეტი რამდენად გადადის რეაგირების მიდგომიდან წინასწარ რისკების მართვაზე*.

მწვანე ბიუჯეტთან ასოცირებული ხარჯების შეფასება შესაძლებელია ორი მიდგომით. **კონსერვატიული/მინიმალისტური შეფასებით**, თუ მწვანე ხარჯებად ჩაითვლება მხოლოდ პირდაპირი გარემოსდაცვითი მიმართულება – გარემოს დაცვა, ნარჩენების მართვა და ბიომრავალფეროვნების/ლანდშაფტების დაცვა – ფაქტობრივი მწვანე ხარჯი შეადგენს დაახლოებით **1,9 მლნ ლარს**, რაც ფაქტობრივი გადასახდელების **4,3%**-ია. **შუალედური შეფასებით**, თუ გარემოს დაცვას დაემატება წყლის სისტემები, გარე განათება და სტიქიის პრევენცია, მწვანე/კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების ფაქტობრივი მოცულობა შეადგენს დაახლოებით **5,2 მლნ ლარს**, რაც ფაქტობრივი გადასახდელების **11,7%**-ია. **ფართო შეფასებით**, თუ მწვანე ბიუჯეტთან ასოცირებულად ჩაითვლება მთელი ინფრასტრუქტურის განვითარება და გარემოს დაცვა, მაშინ გეგმა შეადგენდა **31,6 მლნ ლარს**, ფაქტობრივი შესრულება – **25,5 მლნ ლარს**, შესრულება – **81%**, ხოლო ფაქტობრივი გადასახდელების წილი – დაახლოებით **57%**. თუმცა ფართო შეფასება აუცილებლად უნდა აღინიშნოს როგორც პოტენციური, რადგან ინფრასტრუქტურის ყველა კომპონენტი ავტომატურად მწვანე არ არის.

ცხრილი 6. მწვანე ბიუჯეტთან ასოცირებული დუშეთის 2025 წლის ხარჯების შესრულების შეჯამება

შეფასების მიდგომა	გეგმა, მლნ ლარი	ფაქტი, მლნ ლარი	შესრულება, %	წილი ფაქტობრივ გადასახდელებში
კონსერვატიული – მხოლოდ პირდაპირი გარემოს დაცვა	2,0	1,9	95%	4,3%
შუალედური – გარემოს დაცვა + წყალი + გარე განათება + სტიქიის პრევენცია	7,1	5,2	73%	11,7%
ფართო – ინფრასტრუქტურა + გარემოს დაცვა	31,6	25,5	81%	57,0%

წყარო: მომზადდა დუშეთის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით

დუშეთის მუნიციპალიტეტის ***2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში აჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტს აქვს მწვანე ბიუჯეტირების მნიშვნელოვანი საფუძველი***, *განსაკუთრებით გარემოს დაცვის, ნარჩენების მართვის, ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის, წყლის სისტემებისა და გარე განათების მიმართულებით. პირდაპირი გარემოსდაცვითი ხარჯების შესრულება მაღალია, რაც* ***დადებითად უნდა შეფასდეს***. *ამავე დროს, კაპიტალური ხარჯების შედარებით დაბალი შესრულება და განსაკუთრებით სტიქიის პრევენციის ძალიან დაბალი ათვისება მიუთითებს, რომ კლიმატთან ადაპტაციის ღონისძიებების დაგეგმვა, შესყიდვები, საპროექტო მომზადება და მონიტორინგი* ***გაძლიერებას საჭიროებს***.

რეკომენდებულია, შემდეგ წლებში დუშეთის მუნიციპალიტეტმა *ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში დანერგოს* ***მწვანე მარკირების სისტემა*** *და თითოეულ პროგრამას მიანიჭოს სტატუსი: პირდაპირ მწვანე, ირიბად მწვანე, კლიმატთან ადაპტაცია, კლიმატის შერბილება, ნეიტრალური ან პოტენციურად უარყოფითი ზემოქმედების მქონე*. ამასთან, *მწვანე ბიუჯეტირების გასაძლიერებლად ფინანსურ შესრულებას უნდა* ***დაემატოს შედეგობრივი ინდიკატორები***: ნარჩენების სერვისით დაფარული დასახლებები, სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირება, რეაბილიტირებული წყლის ქსელის სიგრძე, წყლის დანაკარგების შემცირება, მოწყობილი სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების სიგრძე, LED განათების წილი, ელექტროენერგიის მოხმარების შემცირება, დაცული ლანდშაფტის მართვის ღონისძიებები და სტიქიური რისკების პრევენციის შედეგები. ***ასეთი მიდგომა საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს, ბიუჯეტის შესრულება შეაფასოს არა მხოლოდ თანხების ათვისებით, არამედ გარემოსდაცვითი და კლიმატური სარგებლის მიხედვითაც***.

მწვანე ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და ანგარიშგების ეტაპები

დუშეთის მუნიციპალიტეტში მწვანე ბიუჯეტირება მიზანშეწონილია ინტეგრირდეს არა ცალკე პარალელურ პროცესად, არამედ მუნიციპალიტეტის არსებულ საბიუჯეტო კალენდარში – პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებიდან ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშამდე[12]. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი საბიუჯეტო პროცესში ითხოვს ყოვლისმომცველობას, გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, რაც მწვანე ბიუჯეტირების დანერგვისთვის მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის.

12 ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო კალენდარი, ფინანსთა სამინისტრო https://mof.ge/ka/BudgetCalendar

დაგეგმვის ეტაპზე, რომელიც პრაქტიკულად იწყება **1 მარტიდან** პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობით, მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს მწვანე განვითარების პრიორიტეტები და წინასწარ შეაფასოს პროგრამებისა და ქვეპროგრამების კლიმატური/გარემოსდაცვითი კავშირი. ადგილობრივი საბიუჯეტო კალენდრის მიხედვით, მარტში იქმნება სამუშაო ჯგუფი, ხოლო **15 აგვისტომდე** მზადდება პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი. ამ ეტაპზე დუშეთმა მწვანე კრიტერიუმებით უნდა გადახედოს ინფრასტრუქტურის, წყლის, ნარჩენების, ენერგოეფექტურობის, ტურიზმის, სოფლის განვითარების, სატყეო, საგანგებო სიტუაციების და გარემოსდაცვითი განათლების პროგრამებს. თითოეულ შესაბამის პროგრამას უნდა მიენიჭოს მწვანე მარკერი: გარემოს დაცვა (შესაძლოა დაიყოს სრულად და ნაწილობრივ მწვანედ), კლიმატის შერბილება, კლიმატთან ადაპტაცია, მწვანე დამხმარე (მწვანე ეკონომიკური განვითარება, სხვა) და ნეიტრალური.

ბიუჯეტის პროექტის მომზადების ეტაპზე, **15 სექტემბრამდე** მუნიციპალური სამსახურები ამზადებენ თავიანთი პროგრამების ბიუჯეტებს, მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური **არაუგვიანეს 1 ოქტომბრისა** წლის ბიუჯეტის პროექტის წინასწარ ვარიანტს განსახილველად წარადგენს მერის ბრძანებით შექმნილ სამუშაო ჯგუფში, სამუშაო ჯგუფში ასევე წარდგენილი უნდა იყოს სამსახურების მოთხოვნები დამატებით ასიგნებებზე შესაბამისი სამიზნე მაჩვენებლებით. *ამ პერიოდში აუცილებელია, რომ ყველა სამსახურმა პროგრამულ ბიუჯეტში ჩასვას არა მხოლოდ ფინანსური მოთხოვნა, არამედ მწვანე შედეგის აღწერა და ინდიკატორები.* მაგალითად, ენერგოეფექტურობის პროგრამისთვის – დაზოგილი ენერგია; ნარჩენებისთვის – სეპარირებული ან რეციკლირებისთვის გადაცემული ნარჩენის მოცულობა; წყლისთვის – გაუმჯობესებული წყალმომარაგების/წყალარინების დაფარვა; სტიქიის პრევენციისთვის – რისკშემცირებული უბნების რაოდენობა. პრიორიტეტების დოკუმენტი საშუალოვადიან ჭრილში უნდა ასახავდეს მომდევნო ოთხი წლის ძირითად პრიორიტეტებსა და პროგრამებს, ხოლო პროგრამული ბიუჯეტის დანართში უნდა ჩანდეს პროგრამის აღწერა, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების ინდიკატორები.

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს **5 ოქტომბრამდე** აცნობებს შემდეგი წლის *მიზნობრივი ტრანსფერის საპროგნოზო პარამეტრებს*, მუნიციპალური ბიუჯეტისათვის *გადასაცემი ფინანსური დახმარებისა და გადასახადებიდან მისაღები შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლებს*.

განხილვისა და დამტკიცების ეტაპზე, მერი **არაუგვიანეს 15 ნოემბრისა** საკრებულოს წარუდგენს ბიუჯეტის პროექტსა და პრიორიტეტების დოკუმენტს, ხოლო ბიუჯეტი უნდა დამტკიცდეს **31 დეკემბრამდე**. *ამ ეტაპზე მწვანე ბიუჯეტირების ხარისხის შესაფასებლად მიზანშეწონილია ბიუჯეტის პროექტს დაერთოს მოკლე „მწვანე ბიუჯეტის მიმოხილვა“*, სადაც გამოჩნდება: რომელი პროგრამებია მწვანედ მონიშნული, რა თანხა მიემართება გარემოსდაცვით და კლიმატთან დაკავშირებულ ღონისძიებებზე, რომელი პროგრამები უკავშირდება შერბილებას, ადაპტაციას ან რესურსეფექტიანობას და რა ძირითადი შედეგებია მოსალოდნელი. საჯარო განხილვებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოქალაქეთა და თემების ჩართულობას, რადგან საბიუჯეტო კალენდარი ამ ეტაპზე ითვალისწინებს საჯარო განხილვებს, რეკომენდაციების მიწოდებას და საკრებულოს სხდომებში მონაწილეობას.

შესრულების ეტაპზე, რომელიც იწყება **1 იანვრიდან**, მწვანე ბიუჯეტირება უნდა გადავიდეს მონიტორინგის რეჟიმში. *საბიუჯეტო წლის განმავლობაში პროგრამების განმახორციელებელმა სამსახურებმა უნდა აღრიცხონ არა მხოლოდ ხარჯვის პროცენტი, არამედ მწვანე შედეგებიც*: რა ფართობი დასუფთავდა, რამდენი კონტეინერი დაემატა, რამდენი ენერგოეფექტური

სანათი დამონტაჟდა, რამდენი მეტრი სანიაღვრე ან წყალარინების ქსელი რეაბილიტირდა, რამდენი მოქალაქე/სკოლა ჩაერთო გარემოსდაცვით განათლებაში და რამდენი პრევენციული ღონისძიება განხორციელდა სტიქიური რისკების შესამცირებლად. წლის განმავლობაში ბიუჯეტში ცვლილებების შეტანისას მწვანე მარკირება უნდა განახლდეს, რათა ცვლილებებმა არ შეამციროს გარემოსდაცვითი და კლიმატური მიზნების დაფინანსება.

ანგარიშგების ეტაპზე, მერია ყოველი კვარტლის დასრულებიდან ერთი თვის ვადაში ამზადებს კვარტალური შესრულების ანგარიშს და წარუდგენს საკრებულოს; წლიური ანგარიში კი საბიუჯეტო წლის დასრულებიდან ორი თვის ვადაში, **1 მარტამდე**, უნდა მომზადდეს და საკრებულოს წარედგინოს. საკრებულო წლიურ ანგარიშს **1 მაისამდე** განიხილავს და ამტკიცებს ან არ ამტკიცებს. *მწვანე ბიუჯეტირების შემთხვევაში წლიურ შესრულების ანგარიშს უნდა დაემატოს მოკლე მწვანე თავი, სადაც პროგრამების მიხედვით გამოჩნდება დაგეგმილი და ფაქტობრივი მწვანე ხარჯები, შესრულებული ინდიკატორები, მიღწეული შედეგები, შეუსრულებლობის მიზეზები და მომდევნო წლის რეკომენდაციები.*

დუშეთისთვის მწვანე ბიუჯეტირება უნდა განხორციელდეს როგორც **არსებული საბიუჯეტო კალენდრის შინაარსობრივი გაძლიერება**. *დაგეგმვის ეტაპზე* საჭიროა მწვანე პრიორიტეტების და მარკერების განსაზღვრა; *ბიუჯეტის პროექტის მომზადებისას* – პროგრამებისა და ინდიკატორების მწვანე ნიშნით ჩამოყალიბება; *დამტკიცებისას* – მწვანე ბიუჯეტის მიმოხილვის საჯარო განხილვა; *შესრულებისას* – ფინანსურ შესრულებასთან ერთად გარემოსდაცვითი შედეგების მონიტორინგი; ხოლო *ანგარიშგებისას* – მწვანე ხარჯებისა და შედეგების ცალკე ასახვა წლიურ ანგარიშში. ამ ფორმით მწვანე ბიუჯეტირება არ დარჩება ფორმალურ სავარჯიშოდ და გახდება დუშეთის პროგრამული ბიუჯეტის დაგეგმვის, მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების პრაქტიკული ნაწილი.

ეროვნული და მუნიციპალური პრიორიტეტები

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის მწვანე ბიუჯეტირების ანალიზი მიზანშეწონილია განვიხილოთ ორი დონით: ერთი მხრივ, ეროვნული პოლიტიკისა და სტრატეგიული პრიორიტეტების ჭრილში, ხოლო მეორე მხრივ, მუნიციპალიტეტის 2025–2028 წლების პროგრამული პრიორიტეტების მიხედვით. ეროვნული დონე განსაზღვრავს ქვეყნის კლიმატურ, გარემოსდაცვით, ენერგეტიკულ, ინფრასტრუქტურულ და მდგრადი განვითარების მიზნებს, ხოლო მუნიციპალიტეტის დონე აჩვენებს, როგორ ითარგმნება ეს ამოცანები ადგილობრივ პროგრამებში – გზებში, წყალმომარაგებაში, ნარჩენების მართვაში, გარე განათებაში, დაცულ ლანდშაფტში, კეთილმოწყობასა და მონაწილეობით ბიუჯეტირებაში.

ეროვნულ დონეზე დუშეთისთვის განსაკუთრებით რელევანტურია **ოთხი მიმართულება**:

- ***მდგრადი და ინკლუზიური რეგიონული განვითარება***,
- ***კლიმატის ცვლილების შერბილება და ადაპტაცია***,
- ***გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა***, ***ასევე***
- ***ხარისხიანი და მდგრადი ინფრასტრუქტურის განვითარება***.

საქართველოს განვითარების სტრატეგია ***„ხედვა 2030“*** *ქვეყნის გრძელვადიან განვითარებას უკავშირებს მდგრად და ინკლუზიურ ეკონომიკურ ზრდას, სოციალური უთანასწორობის შემცირებას და რეგიონული განვითარების გაძლიერებას. დუშეთის შემთხვევაში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მუნიციპალიტეტი დიდ ტერიტორიას, მაღალმთიან და სოფლის დასახლებებს, ტურისტულ მარშრუტებსა და ბუნებრივ რესურსებს მოიცავს. შესაბამისად,* ***მუნიციპალური ბიუჯეტის მწვანე ანალიზში*** *მხოლოდ გარემოს დაცვის პროგრამები არ უნდა შეფასდეს; უნდა შეფასდეს, რამდენად არის „მწვანე ლოგიკა“ ჩაშენებული მთლიან ადგილობრივ განვითარებაში.*

კლიმატის ცვლილების კუთხით ეროვნული ჩარჩო მოიცავს *საქართველოს განახლებულ ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ წვლილს – NDC 3.0*-ს, რომლის მიხედვითაც საქართველო მიზნად ისახავს 2030 წლისთვის სათბურის აირების წმინდა ემისიების 47%-ით შემცირებას 1990 წლის დონესთან შედარებით, ხოლო 2035 წლისთვის – 50%-ით შემცირებას. პირობიანი ვალდებულების ფარგლებში, უფრო ამბიციური კლიმატური შედეგების მიღწევა დამოკიდებულია საერთაშორისო ფინანსურ, ტექნოლოგიურ და ინსტიტუციურ მხარდაჭერაზე. ამასთან, საქართველოს გრძელვადიანი დაბალემისიიანი განვითარების სტრატეგია 2050-მდე განსაზღვრავს ქვეყნის დაბალემისიიანი განვითარების ხედვას. ***დუშეთის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტირებისათვის*** ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტირებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ენერგოეფექტიან გარე განათებას, დაბალი ემისიის

ინფრასტრუქტურულ მიდგომებს, ნარჩენების მართვას, წყლის სისტემების ეფექტიანობას და კლიმატურად მედეგ პროექტებს და უნდა განიხილებოდეს როგორც ეროვნული კლიმატური ვალდებულებების ადგილობრივ დონეზე განხორციელების ინსტრუმენტები.

გარემოს დაცვის მიმართულებით ეროვნული პრიორიტეტები თავმოყრილია *საქართველოს მეოთხე ეროვნულ გარემოსდაცვით სამოქმედო პროგრამაში – NEAP 4*, 2022–2026 წლებისთვის. პროგრამა მოიცავს წყლის რესურსების დაცვას, ატმოსფერული ჰაერის მართვას, მიწის რესურსებს, ნარჩენებს, ტყის რესურსებს, ბიომრავალფეროვნებასა და დაცულ ტერიტორიებს, გარემოსდაცვით განათლებასა და მდგრად განვითარებას. ეს თემები პირდაპირ ებმის დუშეთის ადგილობრივ დღის წესრიგს, რადგან მუნიციპალიტეტისთვის მნიშვნელოვანი საკითხებია არაგვის აუზი, წყლის სისტემები, ნარჩენების გატანა, დაცული ლანდშაფტი, ტურისტული ინფრასტრუქტურა და მაღალმთიან ტერიტორიებზე სტიქიური რისკები.

დუშეთის მუნიციპალური პრიორიტეტები ეროვნული მწვანე პოლიტიკის ადგილობრივ გაგრძელებად შეიძლება განვიხილოთ. *პროგრამული ბიუჯეტის დანართში 2025–2028 წლებისთვის ძირითადი პრიორიტეტებია: ინფრასტრუქტურის განვითარება; დასუფთავება და გარემოს დაცვა; განათლება; კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი; მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. ამ პრიორიტეტებიდან მწვანე ბიუჯეტთან ყველაზე მჭიდროდ დაკავშირებულია „ინფრასტრუქტურის განვითარება“ და „დასუფთავება და გარემოს დაცვა“, თუმცა მწვანე ელემენტები გვხვდება სხვა მიმართულებებშიც – მაგალითად, ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა დაკავშირებულია კლიმატური და გარემოსდაცვითი რისკების მიმართ მოწყვლად ჯგუფებთან, ხოლო განათლება და ახალგაზრდული პროგრამები – ცნობიერების ამაღლების პოტენციალთან.*

2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის დანართის მიხედვით, *ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის* გათვალისწინებულია **6,0 მლნ ლარი**, ხოლო 2025–2028 წლების ოთხწლიან პერიოდში – **45,0 მლნ ლარი**. ამ პრიორიტეტში შედის საგზაო ინფრასტრუქტურა, გარე განათება, წყლის სისტემები, კეთილმოწყობა, საპროექტო-ზედამხედველობის ხარჯები და მონაწილეობითი ბიუჯეტირება. ***ეს პრიორიტეტი ფართო გაგებით შეესაბამება ეროვნულ ამოცანებს მდგრადი ინფრასტრუქტურის, რეგიონული განვითარებისა და კლიმატთან ადაპტაციის მიმართულებით***. თუმცა მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით აუცილებელია შიდა დიფერენციაცია: ყველა ინფრასტრუქტურული ხარჯი ავტომატურად მწვანე არ არის; მწვანე უნდა ჩაითვალოს ის კომპონენტი, რომელიც ამცირებს კლიმატურ რისკს, აუმჯობესებს რესურსების გამოყენებას, ზრდის ენერგოეფექტიანობას ან ქმნის გარემოსდაცვით სარგებელს.

საგზაო ინფრასტრუქტურისთვის 2025 წელს გათვალისწინებულია **1,8 მლნ ლარი**, მათ შორის გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია – **1,2 მლნ ლარი**, ხოლო მოვლა-შენახვა – **0,6 მლნ ლარი**. პროგრამა უკავშირდება SDG 3.6-ს – საგზაო შემთხვევებით გამოწვეული სიკვდილიანობისა და დაზიანებების შემცირებას – და SDG 9.1-ს – ხარისხიანი, სანდო, მდგრადი და გამძლე ინფრასტრუქტურის განვითარებას. ***დუშეთისთვის ეს ეროვნული და ადგილობრივი პრიორიტეტების მნიშვნელოვანი გადაკვეთის წერტილია***, რადგან რთული რელიეფი, ზამთრის პირობები და სტიქიური პროცესები გზების მდგრადობას კრიტიკულ მნიშვნელობას ანიჭებს. მწვანე ბიუჯეტირებისათვის რეკომენდებულია, საგზაო პროექტებში ცალკე გამოიყოს კლიმატურად მედეგი კომპონენტები: სანიაღვრე სისტემები, ფერდობების გამაგრება, ეროზიის პრევენცია, ხიდებისა და ბოგირების მდგრადობა, თოვლისგან გაწმენდის სერვისი და მაღალი რისკის მონაკვეთების პრევენციული შეკეთება.

გარე განათების პროგრამა 2025 წელს შეადგენს **1,1 მლნ ლარს**. პროგრამის აღწერაში მკაფიოდ ჩანს უსაფრთხოების, გენდერული მგრძნობელობისა და საზოგადოებრივი სივრცეების ხელმისაწვდომობის მიზანი. ***ეროვნულ პრიორიტეტებთან კავშირი აქ შეიძლება განვიხილოთ ორი მიმართულებით: ერთი მხრივ, უსაფრთხო და ინკლუზიური ინფრასტრუქტურა, მეორე მხრივ, ენერგოეფექტიანობის პოტენციალი***. თუმცა პროგრამაში ენერგოეფექტიანობის ინდიკატორები სრულად არ ჩანს. მწვანე ბიუჯეტირების გაძლიერებისთვის აუცილებელია LED სანათების წილის, ელექტროენერგიის წლიური მოხმარების, ერთ სანათ წერტილზე ენერგომოხმარების და CO_2-ის სავარაუდო შემცირების მაჩვენებლების დამატება. ამით პროგრამა უკეთ დაუკავშირდება ეროვნულ კლიმატურ და ენერგოეფექტიანობის ამოცანებს.

წყლის სისტემების განვითარება 2025 წელს **0,6 მლნ ლარით** ფინანსდება, ხოლო ოთხწლიან პერიოდში – **8,6 მლნ ლარით**. ***ეს მიმართულება პირდაპირ ებმის როგორც NEAP 4-ის წყლის რესურსების დაცვის პრიორიტეტს, ისე SDG 6.1-ს – უსაფრთხო სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობას***. დუშეთის პროგრამული დანართი მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტის დასახლებებში სასმელი წყლის მიწოდებას, ოჯახების შეუფერხებელ წვდომას და წყლის სისტემების უწყვეტ ექსპლუატაციას. მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით ეს არის კლიმატთან ადაპტაციისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის ერთ-ერთი ყველაზე პირდაპირი მიმართულება. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს წყლის დანაკარგების შემცირების, რეაბილიტირებული ქსელის სიგრძის, წყლის ხარისხის მონიტორინგის და უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი ოჯახების მაჩვენებლები.

დასუფთავება და გარემოს დაცვა დუშეთის ბიუჯეტში ყველაზე მკაფიო პირდაპირი მწვანე პრიორიტეტია. 2025 წლის პროგრამული დანართის მიხედვით, ამ მიმართულებისთვის გათვალისწინებულია **1,8 მლნ ლარი**, მათ შორის დასუფთავება და ნარჩენების გატანა – **1,2 მლნ ლარი**, ხოლო არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ხელშეწყობა – **0,6 მლნ ლარი**. ***ნარჩენების პროგრამა უკავშირდება SDG 11.6-ს – ქალაქებისა და დასახლებების გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას, მათ შორის მუნიციპალური ნარჩენების მართვის გაუმჯობესებით. ეს სრულად შეესაბამება NEAP 4-ის ნარჩენების მართვის მიმართულებას და ადგილობრივ საჭიროებებს***.

არაგვის დაცული ლანდშაფტის მხარდაჭერა დუშეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე მუნიციპალური პრიორიტეტია. ***ეროვნული პრიორიტეტების დონეზე იგი უკავშირდება ბიომრავალფეროვნების, დაცული ტერიტორიებისა და ეკოსისტემური მომსახურებების დაცვას, ხოლო ადგილობრივ დონეზე – ბუნებრივი კაპიტალის შენარჩუნებას, ეკოტურიზმის პოტენციალს და მთის თემების მდგრად განვითარებას***. ამ მიმართულების დაფინანსება **0,6 მლნ ლარი** შეიძლება ჩაითვალოს პირდაპირ მწვანე ხარჯად. თუმცა სასურველია, მას დაემატოს შედეგობრივი ინდიკატორები: ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ღონისძიებები, დაცული ლანდშაფტის მოვლა-პატრონობა, ვიზიტორთა მართვა, ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამა, რომლის 2025 წლის დაფინანსებაა **1,0 მლნ ლარი**, პირდაპირ გარემოსდაცვითი პროგრამა არ არის, მაგრამ მწვანე ბიუჯეტირების ინსტიტუციური საფუძველია. ***ეროვნული პრიორიტეტების ჭრილში იგი უკავშირდება ანგარიშვალდებულ, მონაწილეობით და ინკლუზიურ მმართველობას, ხოლო ადგილობრივ დონეზე იძლევა საშუალებას, მოსახლეობამ თავად წამოაყენოს მწვანე საჭიროებები: წყლის სისტემები, სანიაღვრე არხები, ნარჩენების ინფრასტრუქტურა, მცირე გამწვანება, უსაფრთხო განათება და სოფლის ეკოლოგიური კეთილმოწყობა***. რეკომენდებულია, ამ პროგრამაში დაემატოს

„მწვანე ქულა“, რათა პროექტების შერჩევისას უპირატესობა მიენიჭოს გარემოსდაცვითი ან კლიმატური სარგებლის მქონე ინიციატივებს.

გამოწვევები რამდენიმე დონეზე იკვეთება:

- *ეროვნული სტრატეგიებისა და მუნიციპალური პროგრამების არასაკმარისი ოპერაციული დაკავშირება*. ხშირად ეროვნული დოკუმენტები განსაზღვრავს სწორ მიმართულებებს, მაგრამ ადგილობრივ ბიუჯეტში რთულად ჩანს, რომელი პროგრამა რომელ ეროვნულ მიზანს ემსახურება.
- *მწვანე ინდიკატორების ნაკლებობა*. პროგრამებში ხშირად მითითებულია შესრულებული სამუშაოები ან დახარჯული თანხა, მაგრამ ნაკლებად იზომება გარემოსდაცვითი შედეგი – დაზოგილი ენერგია, შემცირებული ემისიები, სეპარირებული ნარჩენი, გაუმჯობესებული წყლის ხარისხი, დაცული მწვანე სივრცეები ან შემცირებული სტიქიური რისკი.
- *მონაცემებისა და კოორდინაციის პრობლემა*. მწვანე განვითარება მოითხოვს სხვადასხვა სამსახურის, ცენტრალური უწყებების, მუნიციპალური შპს-ების, სკოლების, ბიზნესისა და თემების შეთანხმებულ მოქმედებას.
- *დაფინანსება*. მწვანე პროექტები ხშირად საჭიროებს საწყის ინვესტიციას, ხოლო მათი სარგებელი უფრო გრძელვადიან პერიოდში ჩანს.

დუშეთის მწვანე განვითარება არ უნდა იყოს მხოლოდ გარემოსდაცვითი სექტორის პასუხისმგებლობა. იგი უნდა გახდეს **პროგრამული ბიუჯეტის გამჭოლი მიდგომა**. მაგალითად, ინფრასტრუქტურის პროგრამებში უნდა გამოჩნდეს კლიმატმედეგი და რესურსეფექტიანი გადაწყვეტები; ტურიზმის პროგრამებში – ეკოტურიზმი, ნარჩენების მართვა და ადგილობრივი პროდუქტის ხელშეწყობა; სოფლის განვითარების მიმართულებით – კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობა და მცირე მწვანე ბიზნესი; განათლების მიმართულებით – გარემოსდაცვითი ცნობიერება; შესყიდვების მიმართულებით – ენერგოეფექტური და ეკომეგობრული საქონელი/მომსახურება. ამგვარად, ეროვნული პრიორიტეტები პრაქტიკულად განხორციელდება არა ცალკეული დეკლარაციებით, არამედ მუნიციპალიტეტის ყოველდღიური ბიუჯეტირების, შესყიდვების, ინფრასტრუქტურისა და მომსახურების მიწოდების გზით.

დუშეთის მუნიციპალური პრიორიტეტები ძირითადად თავსებადია საქართველოს ეროვნულ გარემოსდაცვით და მდგრადი განვითარების პრიორიტეტებთან. *განსაკუთრებით მკაფიო შესაბამისობა ჩანს ნარჩენების მართვის, წყლის სისტემების, დაცული ლანდშაფტის, მდგრადი ინფრასტრუქტურისა და მონაწილეობითი მმართველობის მიმართულებებში*. **მთავარი გამოწვევა** ისაა, რომ *ეს შესაბამისობა ხშირად აღწერით დონეზეა და ჯერ სრულად არ არის გადაყვანილი მწვანე მარკირებაში, კლიმატურ რისკებზე დაფუძნებულ დაგეგმვაში და შედეგობრივ ინდიკატორებში*. ამით შესაძლებელი გახდება ეროვნული პრიორიტეტებისა და მუნიციპალური ბიუჯეტის უკეთ დაკავშირება და დუშეთის ბიუჯეტის შეფასება არა მხოლოდ ხარჯვის მოცულობით, არამედ გარემოსდაცვითი და კლიმატური შედეგებითაც.

რეკომენდებულია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტმა შექმნას ეროვნული და მუნიციპალური პრიორიტეტების ***მწვანე შესაბამისობის მატრიცა***. ამ მატრიცაში თითოეული მუნიციპალური პროგრამა დაუკავშირდება შესაბამის ეროვნულ პოლიტიკას: კლიმატის ცვლილებას, ენერგოეფექტურობას, ნარჩენების მართვას, სოფლის განვითარებას, წყლის რესურსებს, ტურიზმს, SME-ს მხარდაჭერას ან სტიქიის რისკების შემცირებას. მეორე რეკომენდაციაა ***პროგრამულ ბიუჯეტში მწვანე მარკერების დანერგვა***: თითოეული პროგრამის კლასიფიკაცია პირდაპირ მწვანე, ირიბად მწვანე, კლიმატთან ადაპტაცია, კლიმატის შერბილება, ნეიტრალური

ან გარემოზე პოტენციურად უარყოფითი ზემოქმედების მქონე კატეგორიებად. მესამე რეკომენდაციაა, რომ ბიუჯეტის წლიურ ანგარიშს დაემატოს ***მოკლე „მწვანე შესრულების თავი“,*** სადაც გამოჩნდება არა მხოლოდ ხარჯვის მაჩვენებელი, არამედ მიღწეული გარემოსდაცვითი და კლიმატური შედეგებიც.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტმა გააძლიეროს **მოქალაქეთა და ბიზნესის ჩართულობა**. მონაწილეობითი ბიუჯეტი ისევე, როგორც *დუშეთის ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავება სწორედ ადგილობრივი მოსახლეობის ხედვასა და LEADER/LAG მიდგომას უნდა ეფუძნებოდეს, რაც მწვანე განვითარებისათვის ძლიერი ინსტრუმენტია*. ადგილობრივი განვითარების ჯგუფთან, სკოლებთან, მცირე ბიზნესთან, ფერმერებთან და ტურისტულ სექტორთან თანამშრომლობა დაეხმარება მუნიციპალიტეტს, რომ მწვანე პრიორიტეტები არ დარჩეს მხოლოდ ადმინისტრაციულ დოკუმენტებში და რეალურად აისახოს სოფლებში, ტურისტულ მარშრუტებში, საჯარო შენობებში და მუნიციპალურ სერვისებში.

დუშეთის მწვანე განვითარების წარმატება სხვა აქ განხილულ ფაქტორებთან ერთად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად *შეძლებს მუნიციპალიტეტი ეროვნული სტრატეგიული ხედვების ადგილობრივ პროგრამებად, ბიუჯეტურ მუხლებად და გაზომვად შედეგებად გარდაქმნას*. **მთავარი შესაძლებლობაა** ეროვნული პოლიტიკისა და ადგილობრივი რესურსების თანხვედრა – ტყე, მდინარეები, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი და ადგილობრივი მეწარმეობა. **მთავარი გამოწვევაა** ამ პოტენციალის ფრაგმენტული მართვა. შესაბამისად, დუშეთისთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს მწვანე ბიუჯეტირების ინსტიტუციონალიზაცია, რათა ეროვნული და მუნიციპალური პრიორიტეტები ერთიან, შედეგზე ორიენტირებულ და ადგილობრივ საჭიროებებზე მორგებულ მწვანე განვითარების ჩარჩოდ ჩამოყალიბდეს.

საერთაშორისო თანამშრომლობა და მხარდაჭერა

დუშეთის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტირების ანალიზში საერთაშორისო თანამშრომლობა და მხარდაჭერა უნდა განვიხილოთ როგორც დამატებითი ფინანსური, ტექნიკური და ინსტიტუციური რესურსი, რომელიც აძლიერებს ადგილობრივი ბიუჯეტის შესაძლებლობებს გარემოს დაცვის, კლიმატთან ადაპტაციის, ნარჩენების მართვის, ბიომრავალფეროვნების, ენერგოეფექტიანობისა და მდგრადი სოფლის განვითარების მიმართულებით. დუშეთის სპეციფიკიდან გამომდინარე – მაღალმთიანი რელიეფი, არაგვის აუზი, დაცული ლანდშაფტი, სოფლის დასახლებების სიმრავლე, ტურისტული პოტენციალი და სტიქიური რისკები – საერთაშორისო მხარდაჭერის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ სფეროებში, სადაც ადგილობრივი ბიუჯეტის რესურსი არასაკმარისია ან საჭიროა სპეციალიზებული ცოდნა, ტექნოლოგია და მართვის გამოცდილება.

2025 წლის ბიუჯეტის მიხედვით, ***საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან გრანტები არ აქვს მიღებული***. ეს ნიშნავს, რომ უშუალოდ ბიუჯეტის შემოსავლის ხაზში საერთაშორისო გრანტები არ არის ასახული. ამავე დროს, დუშეთის ბიუჯეტში მნიშვნელოვან როლს თამაშობს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები და ტრანსფერები – **20,0 მლნ ლარი**, რაც მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და დელეგირებული უფლებამოსილებების დაფინანსების ერთ-ერთი მთავარი წყაროა. მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით ეს მნიშვნელოვანი მიგნებაა: ***საერთაშორისო მხარდაჭერა დუშეთში უფრო მეტად ჩანს პროექტული, ტექნიკური, ინსტიტუციური ან თემზე ორიენტირებული მხარდაჭერის სახით, ვიდრე პირდაპირ მუნიციპალურ ბიუჯეტში ასახული საერთაშორისო გრანტის სახით***. შესაბამისად, მწვანე ბიუჯეტირების ანგარიშში საჭიროა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს: 1) ბიუჯეტში ასახული ფინანსური ნაკადები; 2) საერთაშორისო პარტნიორების მიერ განხორციელებული ან მხარდაჭერილი პროექტები; 3) შესაძლებლობების გაძლიერება, ცოდნის გადაცემა და სამომავლო დაფინანსების პოტენციალი.

საერთაშორისო თანამშრომლობის ყველაზე მკაფიო მიმართულება დუშეთისთვის არის **მერების შეთანხმება – Covenant of Mayors**. დუშეთი წარმოადგენს ამ ევროპული ინიციატივის ხელმომწერ მუნიციპალიტეტს, რაც ადგილობრივი ენერგეტიკული და კლიმატური პოლიტიკისთვის მნიშვნელოვან ინსტიტუციურ ჩარჩოს ქმნის. მერების შეთანხმება მუნიციპალიტეტებს აძლევს შესაძლებლობას, თავიანთი ადგილობრივი ენერგეტიკული და კლიმატური მოქმედებები დაუკავშირონ ევროკავშირის კლიმატურ და ენერგოეფექტიანობის დღის წესრიგს. დუშეთისთვის ეს განსაკუთრებით რელევანტურია გარე განათების, მუნიციპალური შენობების ენერგოეფექტიანობის, ადგილობრივი ტრანსპორტის, წყლისა და ნარჩენების მართვის, კლიმატურ რისკებთან ადაპტაციისა და ენერგეტიკული სიღარიბის საკითხების კუთხით.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით, მერების შეთანხმება *შეიძლება გამოყენებულ იქნას როგორც პროგრამული ბიუჯეტის მარკირების ინსტრუმენტი*. მაგალითად, *დუშეთის ბიუჯეტში გარე განათების მიმართულება 2025 წელს შეადგენს დაახლოებით* ***2,1 მლნ ლარს*** *ბიუჯეტის მიხედვით, ხოლო პროგრამული დანართის მიხედვით –* ***1,1 მლნ ლარს***. ამ პროგრამას უკვე აქვს სოციალური და უსაფრთხოების მნიშვნელობა, თუმცა საერთაშორისო კლიმატური ჩარჩოს გამოყენებით შესაძლებელია მისი დაკავშირება ენერგოეფექტიანობის შედეგებთანაც. ამისთვის საჭიროა LED სანათების წილის, ელექტროენერგიის წლიური მოხმარების, ერთ სანათ წერტილზე ენერგომოხმარების და ემისიების სავარაუდო შემცირების ინდიკატორების დამატება. *ასეთ შემთხვევაში გარე განათება მხოლოდ მუნიციპალური მომსახურების ხარჯი კი არ იქნება, არამედ კლიმატის შერბილების ადგილობრივი ღონისძიებაც*.

მეორე მნიშვნელოვანი საერთაშორისო მიმართულებაა **UNDP-ისა და ჩეხეთის მთავრობის მხარდაჭერა დუშეთის მუნიციპალიტეტში სტიქიური რისკების მართვისა და ეკოსისტემური მედეგობის გაძლიერებისთვის**. აღნიშნული თანამშრომლობა დუშეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან არაგვის დაცული ლანდშაფტი და ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი, ტყის ეკოსისტემები და მთის თემები მზარდი კლიმატური საფრთხეების წინაშე დგანან, მათ შორის ტყის ხანძრების, რთული მეტეოროლოგიური პირობებისა და სტიქიური პროცესების თვალსაზრისით. მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში ასეთი მხარდაჭერა პირდაპირ უკავშირდება კლიმატთან ადაპტაციას, კატასტროფების რისკების შემცირებას, ეკოსისტემების დაცვას და ადგილობრივი თემების მდგრადობას.

ამ მიმართულებით დუშეთის ბიუჯეტში საყურადღებოა სტიქიის პრევენციისა და შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები, ასევე წყლის სისტემები, გზების მოვლა-შენახვა და დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა. *საერთაშორისო პარტნიორების გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნას იმისთვის, რომ ადგილობრივი ბიუჯეტი რეაგირებაზე უფრო მეტად პრევენციული გახდეს*. მაგალითად, ***სტიქიური მოვლენების შემდეგ ზიანის ანაზღაურებასთან ერთად, მუნიციპალიტეტმა უნდა გააძლიეროს წინასწარი პრევენცია: სანიაღვრე არხები, ნაპირსამაგრი ნაგებობები, მაღალი რისკის გზების გამაგრება, ტყის ხანძრების პრევენცია, ადგილობრივი რეაგირების შესაძლებლობები და მოსახლეობის ინფორმირება.***

დუშეთის საერთაშორისო თანამშრომლობის კიდევ ერთი ძლიერი მიმართულებაა **არაგვის დაცული ლანდშაფტი**. არაგვის დაცული ლანდშაფტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ ბუნებრივ კაპიტალს და ამავდროულად საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელოვან პლატფორმას. არაგვის დაცული ლანდშაფტისა და ადგილობრივი თემების მდგრადი განვითარების პროგრამის ბიუჯეტი **2,3 მლნ ევროა**, რაც მიმდინარე გაცვლითი კურსით დაახლოებით **7,1 მლნ ლარს** შეადგენს. აღნიშნული პროგრამა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან იგი აერთიანებს გარემოს დაცვას, ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას, მდგრად ტურიზმს, ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნებას და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას.

დუშეთის 2025 წლის ბიუჯეტში არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ხელშეწყობა შეადგენს **0,7 მლნ ლარს**, ხოლო პროგრამული დანართის მიხედვით – **0,6 მლნ ლარს**. ეს ხარჯი პირდაპირი მწვანე ბიუჯეტის ნაწილად უნდა ჩაითვალოს, რადგან იგი ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტების, ეკოსისტემური მომსახურებების და ბუნებრივი რესურსების დაცვის მიზანს ემსახურება. საერთაშორისო მხარდაჭერის არსებობა ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტს აძლევს შესაძლებლობას, ბიუჯეტური დაფინანსება დაუკავშიროს უკეთეს მართვის პრაქტიკას: ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს, დაცული ტერიტორიის მართვის გეგმას, ეკოტურისტული

მარშრუტების რეგულირებას, ადგილობრივი თემების ეკონომიკურ ჩართულობას და გარემოსდაცვით განათლებას.

საერთაშორისო თანამშრომლობის ფინანსური ანალიზი აჩვენებს საინტერესო სურათს. ერთი მხრივ, ***2025 წლის ბიუჯეტში საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობებიდან მიღებული გრანტების მოცულობა*** *ნულოვანია*, ***რაც ნიშნავს, რომ საერთაშორისო ფინანსური მხარდაჭერა პირდაპირ არ არის ასახული ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში***. მეორე მხრივ, ***დუშეთისთვის არსებობს პროექტული საერთაშორისო მხარდაჭერა, მათ შორის არაგვის დაცული ლანდშაფტის მიმართულებით დაახლოებით*** *7,1 მლნ ლარის* ***მასშტაბის პროგრამა და UNDP/ჩეხეთის მთავრობის მხარდაჭერა კატასტროფების რისკების მართვის მიმართულებით***. ეს განსხვავება ანგარიშში უნდა აისახოს როგორც მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური საკითხი: *საერთაშორისო მხარდაჭერის ნაწილი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში არ ჩანს, თუმცა რეალურად ქმნის გარემოსდაცვით და კლიმატურ სარგებელს*.

ამასთან, ***დუშეთისთვის რელევანტურია ევროკავშირის მხარდაჭერა სოფლის განვითარების მიმართულებით, მათ შორის ENPARD-ის გამოცდილება საქართველოში***. მიუხედავად იმისა, რომ *ENPARD-ის მთლიანი ეროვნული ბიუჯეტი დუშეთზე პირდაპირი მუნიციპალური განაწილების მაჩვენებელს არ წარმოადგენს, პროგრამის მიდგომა – სოფლის განვითარება, ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფები, თემების ჩართულობა, მცირე გრანტები, სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაცია და მდგრადი სოფლის განვითარება – დუშეთისთვის განსაკუთრებით რელევანტურია*. ***დუშეთის მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში*** *ასეთი გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნას მონაწილეობითი ბიუჯეტირების, სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა და ეკოტურიზმის განვითარების მიმართულებით*.

საერთაშორისო თანამშრომლობის გამოყენება დუშეთის ბიუჯეტში შეიძლება გაძლიერდეს რამდენიმე პრაქტიკული გზით. პირველ რიგში, **მუნიციპალიტეტმა უნდა შექმნას საერთაშორისო მხარდაჭერის რეესტრი**, *სადაც აისახება არა მხოლოდ ბიუჯეტში შემოსული გრანტები, არამედ ყველა პროექტული მხარდაჭერა, ტექნიკური დახმარება, აღჭურვილობა, ტრენინგი და ინსტიტუციური მხარდაჭერა*. მეორე, მწვანე ბიუჯეტირების ანგარიშში უნდა დაემატოს ცალკე სვეტი – **„საერთაშორისო მხარდაჭერის კავშირი“**, *სადაც პროგრამების მიხედვით ჩაიწერება, არსებობს თუ არა შესაბამისი დონორი, ტექნიკური დახმარება ან საერთაშორისო ჩარჩო*. მესამე, საჭიროა **საერთაშორისო პროექტების შედეგების დაკავშირება მუნიციპალურ ინდიკატორებთან**: *რამდენი სანიაღვრე არხი მოეწყო, რამდენი ჰექტარი დაცული ლანდშაფტი იმართება უკეთ, რამდენი ადამიანი ჩაერთო გარემოსდაცვით აქტივობებში, რამდენი სანათი გახდა ენერგოეფექტიანი, რამდენი ოჯახი გახდა უფრო მედეგი სტიქიური რისკების მიმართ*.

მწვანე ბიუჯეტირების კუთხით, საერთაშორისო მხარდაჭერა განსაკუთრებით უნდა მიემართოს შემდეგ ადგილობრივ პროგრამებზე: **03 02 – არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ხელშეწყობა**, **03 01 – დასუფთავება და ნარჩენების გატანა**, **02 03 – წყლის სისტემების განვითარება**, **02 07 – სტიქიის პრევენცია და შედეგების ლიკვიდაცია**, **02 02 – გარე განათება**, **02 09 – მონაწილეობითი ბიუჯეტირება** და **02 06 – კეთილმოწყობის ღონისძიებები**. ამ პროგრამებს აქვთ ყველაზე მაღალი პოტენციალი, რომ საერთაშორისო მხარდაჭერით გადაიქცნენ უფრო შედეგზე ორიენტირებულ მწვანე ინვესტიციებად.

საერთაშორისო მხარდაჭერა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია **სტიქიური რისკებისა და კლიმატმედეგობის მიმართულებით**. დუშეთის გეოგრაფიული თავისებურებები –მდინარეები, მთიანი სოფლები, ტყიანი ტერიტორიები და ტურისტული სივრცეები – ზრდის წყალდიდობის, ღვარცოფის, მეწყერის, ძლიერი ნალექის, მდინარის ნაპირების დაზიანებისა და ტყის

ხანძრების რისკებს. ასეთ პირობებში საერთაშორისო პროგრამები, რომლებიც ხელს უწყობს მრავალსაფრთხიანი ადრეული გაფრთხილების სისტემების დანერგვას, რისკზე დაფუძნებულ ადგილობრივ მოქმედებას და კლიმატის ინფორმაციის გამოყენებას, პირდაპირ უკავშირდება მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების პრიორიტეტებს.

გამოწვევები რამდენიმე მიმართულებით იკვეთება:

- *დონორული პროექტების ფრაგმენტულობა*. სხვადასხვა საერთაშორისო ინიციატივა შეიძლება მუშაობდეს სოფლის განვითარებაზე, კლიმატზე, ტურიზმზე, ნარჩენებზე, ენერგეტიკაზე ან განათლებაზე, მაგრამ მათი შედეგები ყოველთვის არ აისახება ერთიან მუნიციპალურ ბიუჯეტურ და დაგეგმვის სისტემაში.
- *პროექტებზე დამოკიდებულება*. თუ საერთაშორისო დაფინანსება დასრულდა, მუნიციპალიტეტს შეიძლება გაუჭირდეს დაწყებული აქტივობების გაგრძელება საკუთარი რესურსებით.
- *მონაცემებისა და ანგარიშგების სისუსტე*. ხშირად რთულია იმის ჩვენება, რა მოცულობის საერთაშორისო მხარდაჭერა მიიღო მუნიციპალიტეტმა, რომელ სექტორებზე გადანაწილდა ის და რა გარემოსდაცვითი შედეგები მოიტანა.
- *ადგილობრივი შესაძლებლობების შეზღუდულობა*. მუნიციპალიტეტს, თემებსა და მცირე ბიზნესს ხშირად სჭირდება დახმარება საგრანტო განაცხადების, პროექტების მართვის, მონიტორინგის და მწვანე ინდიკატორების ფორმირების მიმართულებით.

რეკომენდებულია, რომ საერთაშორისო თანამშრომლობა დუშეთის მუნიციპალიტეტმა მწვანე ბიუჯეტირების სისტემასთან პირდაპირ დააკავშიროს. ამისთვის შესაძლებელია შეიქმნას *საერთაშორისო მხარდაჭერისა და მწვანე პროექტების რეესტრი*, სადაც აისახება მიმდინარე და დაგეგმილი დონორული პროექტები დაფინანსების წყაროს, სექტორის, ბიუჯეტთან კავშირის, მოსალოდნელი გარემოსდაცვითი შედეგებისა და პასუხისმგებელი უწყების მითითებით. ***აღნიშნული რეესტრი დაეხმარება მუნიციპალიტეტს, თავიდან აიცილოს დუბლირება, უკეთ დაგეგმოს თანადაფინანსება და საერთაშორისო პროექტების შედეგები პროგრამულ ბიუჯეტში გადაიტანოს.***

საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტები საჭიროა განისაზღვროს ***დუშეთის მწვანე განვითარების საჭიროებებიდან გამომდინარე***. პრიორიტეტული მიმართულებები შეიძლება იყოს: წყლისა და წყალარინების ინფრასტრუქტურა, ნარჩენების სეპარირება და რეციკლირება, ენერგოეფექტური მუნიციპალური შენობები, განახლებადი ენერგიის მცირე პროექტები, კლიმატური რისკების პრევენცია, ეკოტურიზმი და აგროტურიზმი, მწვანე ბიზნესი, გარემოსდაცვითი განათლება და არაგვის დაცული ტერიტორიების/ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება.

მნიშვნელოვანია აგრეთვე ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება. მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს, LAG-ს, ადგილობრივ არასამთავრობო სექტორს, სკოლებს, ტურისტულ ბიზნესს და ფერმერებს სჭირდებათ **ტრენინგები** *პროექტების მომზადებაში*, *მწვანე ბიუჯეტირებაში*, *კლიმატის ადაპტაციაში*, *შედეგების ინდიკატორების ფორმირებაში და ანგარიშგებაში*. ასევე მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო პროექტებმა მეტი ყურადღება დაუთმონ *ადგილობრივი კადრების დატოვებას და ცოდნის ინსტიტუციონალიზაციას*, რათა პროექტის დასრულების შემდეგაც გაგრძელდეს მიღებული პრაქტიკის გამოყენება.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით სასურველია **დაინერგოს კონკრეტული ინდიკატორები**: საერთაშორისო მხარდაჭერით დაფინანსებული მწვანე პროექტების რაოდენობა და

ღირებულება, თანადაფინანსებული მუნიციპალური პროექტების წილი, მხარდაჭერილი თემები და ბიზნესები, ენერგოეფექტურობის ან ნარჩენების მართვის გაუმჯობესებული ობიექტები, კლიმატური რისკების შემცირების ღონისძიებები, საერთაშორისო პროექტებით შექმნილი სამუშაო ადგილები, ქალებისა და ახალგაზრდების მონაწილეობა, ასევე პროექტების შედეგების მუნიციპალურ პროგრამებში ინტეგრირების დონე.

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის საერთაშორისო თანამშრომლობა მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამაძლიერებელი ფაქტორია, თუმცა მისი ფინანსური ასახვა ადგილობრივ ბიუჯეტში ჯერ კიდევ შეზღუდულია. ***2025 წლის ბიუჯეტში საერთაშორისო სექტორიდან მიღებული გრანტები ნულოვანია, მაშინ როდესაც გარემოსდაცვით და კლიმატთან დაკავშირებულ მიმართულებებში არსებობს მნიშვნელოვანი საერთაშორისო პროექტული და ტექნიკური მხარდაჭერა***. ეს მიუთითებს, რომ დუშეთის მწვანე ბიუჯეტირების ანგარიშმა უნდა გამოიყენოს უფრო ფართო ანალიზის ჩარჩო: მხოლოდ ბიუჯეტში ჩარიცხული თანხები არ არის საკმარისი საერთაშორისო მხარდაჭერის შესაფასებლად. საჭიროა პროექტული დახმარების, ტექნიკური მხარდაჭერისა და ინსტიტუციური თანამშრომლობის აღრიცხვა.

რეკომენდებულია, დუშეთის მუნიციპალიტეტმა საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა *უფრო მჭიდროდ დაუკავშიროს პროგრამულ ბიუჯეტს*. ამისათვის საჭიროა: *რეესტრის შექმნა*; *მწვანე ბიუჯეტში დონორებთან დაკავშირებული სვეტის დამატება*; *პროექტების თანადაფინანსების შესაძლებლობების გამოვლენა*; *მერების შეთანხმების ფარგლებში SECAP-ის მომზადება და მისი მუნიციპალურ ბიუჯეტთან დაკავშირება*; *არაგვის დაცული ლანდშაფტის დაფინანსების შედეგობრივი ინდიკატორების გაძლიერება*; და *მონაწილეობითი ბიუჯეტირების გამოყენება ადგილობრივი მწვანე პროექტების გამოსავლენად*. ***ამ მიდგომით საერთაშორისო თანამშრომლობა გახდება არა მხოლოდ დამატებითი რესურსი, არამედ დუშეთის მწვანე ბიუჯეტირების სისტემის ხარისხობრივი გაუმჯობესების ინსტრუმენტი.***

დუშეთის **საერთაშორისო თანამშრომლობის ხედვა** მწვანე განვითარების ჭრილში უნდა ეფუძნებოდეს *კოორდინაციას*, *მდგრადობას* და *შედეგებზე ორიენტირებულობას*. მთავარი შესაძლებლობაა, რომ საერთაშორისო მხარდაჭერა გახდეს ადგილობრივი **მწვანე განვითარების კატალიზატორი** – *ცოდნის*, *დაფინანსების*, *ინოვაციისა* და *პარტნიორობის წყარო*. მთავარი გამოწვევაა ფრაგმენტულობა და პროექტებზე დამოკიდებულება. შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტმა *საერთაშორისო თანამშრომლობა უნდა მართოს როგორც მწვანე ბიუჯეტირების შემადგენელი ნაწილი, რათა დონორული რესურსები პირდაპირ დაუკავშირდეს ადგილობრივ პრიორიტეტებს, პროგრამულ ბიუჯეტს და გაზომვად გარემოსდაცვით შედეგებს*.

გარემოსდაცვითი მმართველობა

დუშეთის მუნიციპალიტეტის *მწვანე ბიუჯეტირების სისტემაში გარემოსდაცვითი მმართველობა უნდა განვიხილოთ როგორც* ***ინსტიტუციური, ფინანსური და პროგრამული მექანიზმების ერთობლიობა***, *რომლის საშუალებით მუნიციპალიტეტი გეგმავს, აფინანსებს, ახორციელებს და აკონტროლებს გარემოსდაცვით და კლიმატთან დაკავშირებულ ღონისძიებებს*. ეს მოიცავს როგორც უშუალოდ გარემოს დაცვის პროგრამებს – დასუფთავებას, ნარჩენების მართვას და დაცული ლანდშაფტის მხარდაჭერას – ისე ინფრასტრუქტურულ, წყლის, განათების, სტიქიური რისკების მართვისა და მონაწილეობითი ბიუჯეტირების მიმართულებებსაც. დუშეთის შემთხვევაში გარემოსდაცვითი მმართველობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ბუნებრივი კონტექსტის გამო: დიდი ტერიტორია, მაღალმთიანი და რთული რელიეფი, არაგვის აუზი, მრავალი სოფელი, ტყის და ალპური ლანდშაფტები, დაცული ლანდშაფტი და სტიქიური რისკები ქმნის საჭიროებას, რომ გარემოსდაცვითი საკითხები მუნიციპალური მართვის ყველა ეტაპში იყოს ჩაშენებული.

ინსტიტუციური თვალსაზრისით, დუშეთის მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვით მმართველობას რამდენიმე რგოლი ქმნის. **წარმომადგენლობით დონეზე** *ფუნქციონირებს საკრებულო, რომელიც მუნიციპალიტეტის პოლიტიკურ და საბიუჯეტო გადაწყვეტილებებში მონაწილეობს*. დუშეთის საკრებულოში მოქმედებს მუდმივმოქმედი კომისიები, მათ შორის განსაკუთრებით რელევანტურია *ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია*, *საფინანსო-საბიუჯეტო კომისია* და *სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია*. *ეს ინსტიტუციური წყობა მწვანე ბიუჯეტირებისათვის მნიშვნელოვანია, რადგან გარემოსდაცვითი ხარჯების განხილვა არ უნდა დარჩეს მხოლოდ ერთ პროგრამაში; იგი საჭიროებს როგორც საბიუჯეტო, ისე ინფრასტრუქტურულ და სივრცით დაგეგმარებასთან დაკავშირებულ კომისიებს შორის კოორდინაციას.* **აღმასრულებელ დონეზე** პასუხისმგებლობა ნაწილდება *მერიას*, *შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებსა* და *მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ ა(ა)იპ-ებს შორის*, რაც გარემოსდაცვითი პროგრამების რეალურ განხორციელებას უზრუნველყოფს.

2025 წლის ბიუჯეტში *მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები* განსაზღვრულია 7,0 მლნ ლარით. ეს თანხა პირდაპირ გარემოსდაცვითი ხარჯი არ არის, თუმცა *მწვანე ბიუჯეტირების სისტემისთვის მნიშვნელოვანი ადმინისტრაციული საფუძველია. სწორედ მმართველობითი შესაძლებლობები განსაზღვრავს, შეძლებს თუ არა მუნიციპალიტეტი გარემოსდაცვითი პროგრამების სწორ დაგეგმვას, მწვანე მარკირების დანერგვას, პროექტების მონიტორინგს, მონაცემთა შეგროვებას, მოქალაქეთა ჩართულობას და ანგარიშგებას.* შესაბამისად, ***გარემოსდაცვითი მმართველობის ხარისხი*** *მხოლოდ გარემოს დაცვის პროგრამის დაფინანსებით არ იზომება; იგი ასევე დამოკიდებულია იმაზე, რამდენად აქვს მუნიციპალიტეტს*

ინსტიტუციური უნარი, გარემოსდაცვითი და კლიმატური კრიტერიუმები ჩაშენოს ყველა საბიუჯეტო პროგრამაში.

დუშეთის ბიუჯეტში გარემოსდაცვითი მმართველობის ყველაზე პირდაპირი ფინანსური გამოხატულებაა პრიორიტეტი **„დასუფთავება და გარემოს დაცვა“**. *გარემოსდაცვითი მმართველობის თვალსაზრისით, ნარჩენების მართვის პროგრამის სიძლიერეა, რომ იგი ინსტიტუციურად გამყოფილია და აქვს განსაზღვრული ბიუჯეტი*; თუმცა *გამოწვევაა ის, რომ შედეგობრივი ინდიკატორები ჯერ კიდევ უნდა გაძლიერდეს – მაგალითად, ნარჩენების შეგროვებით დაფარული დასახლებების რაოდენობა, შეგროვებული ნარჩენების მოცულობა, კონტეინერების რაოდენობა, გატანის სიხშირე, სეპარირებული შეგროვების წილი და სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირება.*

გარემოსდაცვითი მმართველობის განსაკუთრებული კომპონენტია არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაცია. ***ეს მიუთითებს, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტს აქვს არა მხოლოდ ზოგადი გარემოსდაცვითი ფუნქცია, არამედ კონკრეტული, სამართლებრივად განსაზღვრული მმართველობითი ვალდებულება დაცული ლანდშაფტის მიმართულებით***. ***აღნიშნული გარემოება მწვანე ბიუჯეტირებისათვის მნიშვნელოვანი უპირატესობაა, რადგან ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცალკე ფინანსურ და ინსტიტუციურ ხაზად ჩანს.*** ამავე დროს, *საჭიროა, რომ დაფინანსებას დაემატოს უფრო მკაფიო შედეგობრივი ინდიკატორები: დაცული ლანდშაფტის მართვის ღონისძიებები, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი, ეკოტურისტული მარშრუტების მართვა, ვიზიტორთა რეგულირება, გარემოსდაცვითი განათლება და ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა.*

პროგრამული ბიუჯეტის დანართის მიხედვით, გარემოსდაცვით მმართველობას ასევე უკავშირდება **ინფრასტრუქტურის განვითარების** ბლოკი. აღნიშნული მთლიანად პირდაპირ გარემოსდაცვითად არ კლასიფიცირდება, მაგრამ გარემოსდაცვითი მმართველობის ხარისხზე პირდაპირ მოქმედებს.

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის *ხარჯები* *გარემოსდაცვითი მმართველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, თუმცა, ხშირად არაპირდაპირი ინსტრუმენტია.* სწორედ საპროექტო ეტაპზე უნდა ჩაიდოს გარემოსდაცვითი სტანდარტები, კლიმატური რისკების შეფასება, ენერგოეფექტიანობა, წყლის მართვის მოთხოვნები და დაბალი ზემოქმედების ინფრასტრუქტურული გადაწყვეტები. თუ ეს კომპონენტი მხოლოდ ტექნიკურ ზედამხედველობად დარჩება, მწვანე ბიუჯეტირების ეფექტი შეზღუდული იქნება. მაგრამ ***თუ ტექნიკურ დავალებებში გაჩნდება გარემოსდაცვითი კრიტერიუმები, ეს ხარჯი შეიძლება იქცეს მუნიციპალური მწვანე მმართველობის ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვან მექანიზმად***.

მონაწილეობითი ბიუჯეტირება *გარემოსდაცვითი მმართველობისთვის განსაკუთრებით საინტერესო ინსტრუმენტია*. იგი მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი ბიუჯეტის დაგეგმვაში და წამოაყენონ თავიანთი საჭიროებები. დუშეთის პირობებში ეს შეიძლება გახდეს მწვანე საჭიროებების იდენტიფიცირების პრაქტიკული გზა – მაგალითად, სოფლის წყლის სისტემები, სანიაღვრე არხები, მცირე გამწვანება, ნარჩენების კონტეინერები, უსაფრთხო განათება, საზოგადოებრივი სივრცეების ეკოლოგიური მოწყობა. რეკომენდებულია, მონაწილეობითი ბიუჯეტირების წესებში დაემატოს **„მწვანე ქულა“** ან **გარემოსდაცვითი შეფასების კრიტერიუმი**, რათა უპირატესობა მიენიჭოს ისეთ პროექტებს, რომლებიც ამცირებს დაბინძურებას, ზრდის კლიმატურ მედეგობას ან აუმჯობესებს ბუნებრივი რესურსების მართვას.

გარემოსდაცვითი მმართველობის *ძლიერი მხარეა ის, რომ დუშეთის ბიუჯეტში გარემოს დაცვის მიმართულება ცალკე პრიორიტეტად არის გამოყოფილი; ასევე არსებობს დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის კონკრეტული ინსტიტუციური მექანიზმი და მონაწილეობითი ბიუჯეტირების ინსტრუმენტი*. გარდა ამისა, პროგრამულ ბიუჯეტში ზოგიერთი მიმართულება უკვე უკავშირდება მდგრადი განვითარების მიზნებს, მაგალითად **საგზაო ინფრასტრუქტურა SDG 9.1-ს**, **ნარჩენების მართვა კი SDG 11.6-ს**. ***ეს ქმნის კარგ საფუძველს, რომ ბიუჯეტი ეტაპობრივად გადავიდეს ტრადიციული ხარჯვითი ლოგიკიდან შედეგზე ორიენტირებულ, მწვანე მმართველობის ჩარჩოზე***.

ამავე დროს, *მთავარ გამოწვევად რჩება მწვანე ბიუჯეტირების ფორმალიზებული სისტემის არარსებობა*. ბიუჯეტში ჯერ არ ჩანს ერთიანი **მწვანე მარკირება**, რომელიც ყველა პროგრამას მიანიჭებდა შესაბამის კატეგორიას: პირდაპირ მწვანე, ირიბად მწვანე, კლიმატთან ადაპტაცია, კლიმატის შერბილება, ნეიტრალური ან პოტენციურად უარყოფითი ზემოქმედების მქონე. ასევე სუსტია შედეგობრივი **გარემოსდაცვითი ინდიკატორების** ნაწილი. პროგრამებში ხშირად ჩანს მომსახურების მოცულობა – მაგალითად, გზის სიგრძე, სანათი წერტილები, წყალსადენის სიგრძე – მაგრამ ნაკლებად ჩანს გარემოსდაცვითი შედეგი: რამდენად შემცირდა წყლის დანაკარგი, ენერგომოხმარება, დაბინძურება, სტიქიური რისკი ან გაიზარდა ბიომრავალფეროვნების დაცულობა.

გარდა ამისა, სხვადასხვა **გამოწვევა** წარმოჩინდა:

- *კოორდინაციის პრობლემა*. მწვანე განვითარება მოითხოვს მერიის სხვადასხვა სამსახურის, მუნიციპალური იურიდიული პირების, საკრებულოს, ცენტრალური უწყებების, დონორების, ბიზნესისა და თემების შეთანხმებულ მოქმედებას.
- *გარემოსდაცვითი ინდიკატორების სიმწირე პროგრამულ ბიუჯეტში*. ხშირად იზომება შესრულებული სამუშაო ან დახარჯული თანხა, მაგრამ ნაკლებად იზომება დაზოგილი ენერგია, შემცირებული ნარჩენი, გაუმჯობესებული წყლის ხარისხი, დაცული მწვანე სივრცე ან შემცირებული კლიმატური რისკი.
- *გარემოსდაცვითი ინფორმაციის არასაკმარისი საჯაროობა და ერთიან ფორმატში არქონა*.
- *ადგილობრივი შესაძლებლობების ნაკლებობა*. მწვანე ბიუჯეტირება, გარემოსდაცვითი შეფასება, კლიმატის ადაპტაცია, სააუზო მართვა და მწვანე შესყიდვები საჭიროებს სპეციალიზებულ ცოდნას.

დუშეთის მუნიციპალიტეტის გარემოსდაცვითი მმართველობა მწვანე ბიუჯეტირებისათვის კარგ საწყის საფუძველს ქმნის. 2025 წლის ბიუჯეტში გარემოს დაცვის პირდაპირი ხარჯი დაახლოებით **2,0 მლნ ლარია**, ხოლო დაცული ლანდშაფტის მართვაზე განსაზღვრულია **0,7 მლნ ლარი**. მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯები **7,0 მლნ ლარს** შეადგენს და ქმნის ადმინისტრაციულ საფუძველს, ხოლო მონაწილეობითი ბიუჯეტირების **1,0 მლნ ლარი** შეიძლება იქცეს ადგილობრივი მწვანე ინიციატივების გამოვლენის მექანიზმად. *მიუხედავად ამისა, გარემოსდაცვითი მმართველობის გასაძლიერებლად აუცილებელია* ***მწვანე მარკირების*** *დანერგვა, პროგრამებს შორის* ***კოორდინაციის გაუმჯობესება***, ***გარემოსდაცვითი ინდიკატორების*** *დამატება და ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში* ***კლიმატური და ეკოლოგიური შედეგების ცალკე გამოყოფა***.

რეკომენდებულია, დუშეთის მუნიციპალიტეტმა მომდევნო საბიუჯეტო ციკლში შექმნას ***მწვანე ბიუჯეტირების შიდა საკოორდინაციო მექანიზმი***, *რომელშიც ჩართული იქნებიან საფინანსო-საბიუჯეტო, ინფრასტრუქტურის, ქონებისა და ბუნებრივი რესურსების, გარემოს დაცვისა და*

შესაბამისი ა(ა)იპ-ების წარმომადგენლები. ამ ჯგუფმა უნდა უზრუნველყოს პროგრამების **მწვანე კლასიფიკაცია**, **ინდიკატორების შეთანხმება**, **მონაცემების შეგროვება** და **წლიური ანგარიშგება**. ასეთი მიდგომით დუშეთის მუნიციპალიტეტი შეძლებს, *გარემოსდაცვითი მმართველობა გადაიყვანოს უფრო სისტემურ, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებულ მოდელზე, სადაც თითოეული ხარჯი შეფასდება არა მხოლოდ თანხის ათვისებით, არამედ გარემოსდაცვითი და კლიმატური სარგებლით*.

დუშეთის **გარემოსდაცვითი მმართველობის ხედვა** უნდა დაეფუძნოს: *კოორდინაციას*, *მონაცემებზე დაფუძნებულ გადაწყვეტილებებს*, *მოქალაქეთა მონაწილეობას* და *ანგარიშვალდებულებას*. **მთავარი შესაძლებლობაა**, რომ ეროვნული გარემოსდაცვითი პრიორიტეტები და ადგილობრივი განვითარების სტრატეგია გადაიქცეს კონკრეტულ მუნიციპალურ პროგრამებად და გაზომვად შედეგებად. **მთავარი გამოწვევაა** *ფრაგმენტული მართვა და მწვანე შედეგების არასაკმარისი გაზომვა*. შესაბამისად, *გარემოსდაცვითი მმართველობა უნდა გახდეს დუშეთის მწვანე ბიუჯეტირების მთავარი საყრდენი, რომელიც მუნიციპალიტეტს დაეხმარება არა მხოლოდ გარემოსდაცვითი პროექტების განხორციელებაში, არამედ მთელი ადგილობრივი განვითარების პროცესის უფრო მდგრად, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებულ მართვაში*.

გარემოსდაცვითი, რესურსდაზოგვადი და სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება

დუშეთის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტირების ანალიზში გარემოსდაცვითი, რესურსდაზოგვადი და სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება უნდა შეფასდეს არა მხოლოდ იმით, არის თუ არა ბიუჯეტში პირდაპირ ნახსენები „სუფთა ტექნოლოგია“, არამედ იმითაც, *რამდენად ქმნის არსებული პროგრამები ენერგიის, წყლის, მასალების და ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენების შესაძლებლობას*. ***დუშეთის შემთხვევაში ასეთი პოტენციალი განსაკუთრებით ჩანს გარე განათების, წყლის სისტემების, ნარჩენების მართვის, გზებისა და სანიაღვრე ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, საპროექტო-ზედამხედველობისა და დაცული ლანდშაფტის მართვის მიმართულებებში***.

პირველი მნიშვნელოვანი მიგნებაა, რომ **დუშეთის ბიუჯეტში რესურსდაზოგვადი და სუფთა ტექნოლოგიები ჯერ კიდევ არ არის წარმოდგენილი როგორც ცალკე პროგრამული კატეგორია**. ბიუჯეტსა და პროგრამულ დანართში უფრო ხშირად გვხვდება ინფრასტრუქტურის, მომსახურების, ექსპლუატაციისა და რეაბილიტაციის ხარჯები. ეს ნიშნავს, რომ *მწვანე ბიუჯეტირების შემდეგ ეტაპზე საჭიროა არსებული პროგრამების შიგნით ტექნოლოგიური კრიტერიუმების დამატება*. მაგალითად, ***გარე განათების პროგრამა უნდა შეფასდეს არა მხოლოდ დამონტაჟებული ან მოვლილი სანათი წერტილების რაოდენობით, არამედ იმითაც, გამოიყენება თუ არა LED ტექნოლოგია, რამდენად მცირდება ელექტროენერგიის მოხმარება და რამდენია ერთ სანათ წერტილზე ენერგიის წლიური ხარჯი.***

გარე განათება *დუშეთის ბიუჯეტში რესურსდაზოგვადი ტექნოლოგიების ერთ-ერთი ყველაზე აშკარა პოტენციური მიმართულებაა*. პროგრამული დანართის მიხედვით, 2025 წელს გარე განათებისთვის გათვალისწინებულია დაახლოებით **1,1 მლნ ლარი**, მათ შორის არსებული ქსელის ექსპლუატაცია – **0,4 მლნ ლარი**, ხოლო ახალი წერტილების მოწყობა – **0,7 მლნ ლარი**. *გარე განათების პროგრამა ამჟამად ძირითადად უკავშირდება უსაფრთხო გადაადგილებას, გენდერულად უსაფრთხო სივრცეს და ღამის პერიოდში კომფორტულ გარემოს*. ***თუმცა მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით*** *ამ პროგრამის ღირებულება მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუ იგი მკაფიოდ დაუკავშირდება ენერგოეფექტიან ტექნოლოგიებს*. LED სანათების, ავტომატური ჩართვა-გამორთვის სისტემების, ფოტორელეების, ჭკვიანი მართვის ან მზის ენერგიაზე

მომუშავე ცალკეული წერტილების გამოყენება საშუალებას მისცემს მუნიციპალიტეტს, განათების ქსელის გაფართოების პარალელურად შეამციროს ელექტროენერგიის მოხმარება და საოპერაციო ხარჯები.

ამ მიმართულებით მთავარი გამოწვევაა ის, რომ ***ბიუჯეტში ჯერ არ ჩანს ენერგოეფექტიანობის შედეგობრივი ინდიკატორები***. სანათი წერტილების რაოდენობა და ქსელის მოვლა-პატრონობა მნიშვნელოვანი საოპერაციო მაჩვენებლებია, მაგრამ მწვანე ბიუჯეტირებისთვის საკმარისი არ არის. რეკომენდებულია, გარე განათების პროგრამაში დაემატოს შემდეგი ინდიკატორები: LED სანათების წილი მთლიან ქსელში; წლიური ელექტროენერგიის მოხმარება კილოვატ-საათებში; ერთ სანათ წერტილზე საშუალო ენერგომოხმარება; დაზოგილი ელექტროენერგიის მოცულობა; ელექტროენერგიის ხარჯის შემცირება; CO_2-ის სავარაუდო შემცირება. ასეთ შემთხვევაში გარე განათება გადაიქცევა არა მხოლოდ მუნიციპალური უსაფრთხოების პროგრამად, არამედ კლიმატის შერბილებისა და ენერგოეფექტიანობის ღონისძიებად.

წყლის სისტემების განვითარება *რესურსდაზოგვადი ტექნოლოგიების მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა*. პროგრამული დანართის მიხედვით, 2025 წელს წყლის სისტემების განვითარებაზე გათვალისწინებულია **0,6 მლნ ლარი**, ხოლო 2025–2028 წლებში – **8,6 მლნ ლარი**. *წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია პირდაპირ უკავშირდება წყლის რესურსების დაზოგვას, დანაკარგების შემცირებას, უწყვეტ წყალმომარაგებას და კლიმატთან ადაპტაციას.* დუშეთისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მუნიციპალიტეტი მოიცავს მრავალ სოფელს, რთულ რელიეფს და წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის მუდმივი მოვლა-შენახვის საჭიროებას.

წყლის სექტორში სუფთა და რესურსდაზოგვადი ტექნოლოგიების გამოყენება შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე პრაქტიკულ გადაწყვეტას: *წყლის დანაკარგების მონიტორინგი, ავარიული მონაკვეთების სწრაფი იდენტიფიცირება, სათავე ნაგებობებისა და რეზერვუარების დაცვა, ქსელის ზონირება, მრიცხველების ეტაპობრივი დანერგვა, ენერგოეფექტიანი ტუმბოები, წყლის ხარისხის რეგულარული კონტროლი და წყალმომარაგების ციფრული აღრიცხვა*. ამ *ეტაპზე პროგრამაში ჩანს რეაბილიტირებული წყალსადენის სიგრძე და წყლის სისტემების უწყვეტი ფუნქციონირების მიზანი,* ***თუმცა მწვანე ბიუჯეტირებისათვის*** *საჭიროა დამატებითი ინდიკატორები: წყლის დანაკარგების შემცირების პროცენტი, ავარიებზე რეაგირების საშუალო დრო, წყლის ხარისხის შემოწმებების რაოდენობა, უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა და ენერგოეფექტიანი ტუმბოების წილი*.

ნარჩენების მართვა დუშეთის ბიუჯეტში სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების პირდაპირი გარემოსდაცვითი მიმართულებაა. 2025 წლის ბიუჯეტით დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტი შეადგენს **2,0 მლნ ლარს**, საიდანაც ნარჩენების გატანა და დასუფთავება – **1,3 მლნ ლარია**. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ასევე ფიქსირდება, რომ მუნიციპალიტეტს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში გადაცემული აქვს **2 კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა** და **165 ნარჩენების კონტეინერი**. ეს გარემოება მნიშვნელოვანია, რადგან კომპაქტორიანი ნაგავმზიდი და კონტეინერული სისტემა ნარჩენების მართვის ტექნოლოგიური გაუმჯობესების საბაზისო ელემენტებია: *ისინი ამცირებს ნარჩენების უკონტროლო გავრცელებას, აუმჯობესებს ტრანსპორტირების ეფექტიანობას და ქმნის საფუძველს უფრო მოწესრიგებული მუნიციპალური ნარჩენების სისტემისთვის.*

თუმცა *ნარჩენების მართვის მიმართულებით სუფთა ტექნოლოგიების განვითარება ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა. არსებული სისტემა ძირითადად ნარჩენების შეგროვებასა და გატანაზეა ორიენტირებული.* ***მწვანე ბიუჯეტირების*** *მომდევნო ეტაპზე მნიშვნელოვანია, მუნიციპალიტეტმა*

ეტაპობრივად განავითაროს სეპარირებული შეგროვების პილოტური პრაქტიკა, კონტეინერების ქსელის ოპტიმიზაცია, ნარჩენების მოცულობის აღრიცხვა, გადამუშავებადი ფრაქციების გამოყოფა, ორგანული ნარჩენების მართვის საპილოტე გადაწყვეტები და სტიქიური ნაგავსაყრელების მონიტორინგი. ამ მიმართულებით დასამატებელი ინდიკატორებია: *შეგროვებული ნარჩენების ტონა, მომსახურებით დაფარული დასახლებების რაოდენობა, კონტეინერების რაოდენობა და მდგომარეობა, ნარჩენების გატანის სიხშირე, სეპარირებული ნარჩენების წილი, სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობის შემცირება და ნარჩენების მართვის სერვისის ხარჯი ერთ მოსახლეზე.*

საგზაო და სანიაღვრე ინფრასტრუქტურაშიც შესაძლებელია რესურსდაზოგვადი და სუფთა ტექნოლოგიების ინტეგრირება. საგზაო ინფრასტრუქტურისთვის პროგრამული დანართით 2025 წელს გათვალისწინებულია **1,8 მლნ ლარი**, მათ შორის გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია – **1,2 მლნ ლარი**, ხოლო მოვლა-შენახვა – **0,6 მლნ ლარი**. *გზების მიმართულება პირდაპირ სუფთა ტექნოლოგიად არ ითვლება, მაგრამ შეიძლება გახდეს კლიმატურად მედეგი და რესურსდაზოგვადი ინფრასტრუქტურის ნაწილი, თუ პროექტებში გამოყენებული იქნება გამძლე მასალები, სათანადო სანიაღვრე სისტემები, ფერდობების გამაგრება, ეროზიის პრევენცია და ნაგებობების სიცოცხლის ციკლის გათვალისწინება*. **რესურსდაზოგვის ლოგიკა** აქ გულისხმობს იმას, რომ *ხარისხიანი და კლიმატურად მედეგი პროექტი ამცირებს მომავალში განმეორებითი შეკეთების, მასალების, საწვავის, ტექნიკის და საბიუჯეტო რესურსის საჭიროებას.*

სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მიმართულებით 2025 წელს პროგრამულ დანართში დაფინანსება არ არის გათვალისწინებული, თუმცა 2026–2028 წლებში დაფინანსება იზრდება. ეს არის მნიშვნელოვანი სიგნალი, რომ კლიმატთან ადაპტაციისა და წყლის მართვის ტექნოლოგიური გადაწყვეტები საშუალოვადიან პერიოდში უნდა გაძლიერდეს. დუშეთისთვის სანიაღვრე და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურა შეიძლება ჩაითვალოს ბუნებაზე დაფუძნებული და ინჟინერული გადაწყვეტების კომბინაციის სფეროდ. **რეკომენდებულია**, *მომავალ პროექტებში გამოყენებულ იქნას არა მხოლოდ მძიმე საინჟინრო ნაგებობები, არამედ ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტებიც – მცენარეული საფარის აღდგენა, ნიადაგის გამაგრება, წყლის ბუნებრივი შეკავება, მცირე წყალგამტარი სისტემების გაუმჯობესება და ეროზიის საწინააღმდეგო ღონისძიებები*.

კეთილმოწყობის ღონისძიებებიც შეიძლება გახდეს რესურსდაზოგვადი და სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების პლატფორმა. 2025 წელს კეთილმოწყობისთვის გათვალისწინებულია **0,7 მლნ ლარი**. *ამ მიმართულებაში შედის საზოგადოებრივი სივრცეების, სკვერების, ბაღების, პავილიონებისა და სხვადასხვა მუნიციპალური ობიექტის მოწყობა-რეაბილიტაცია*. ***მწვანე ბიუჯეტირების კუთხით*** *მნიშვნელოვანია, რომ კეთილმოწყობის პროექტებში ჩაიდოს ენერგოეფექტიანი განათება, წყლის დაზოგვის სარწყავი სისტემები, ადგილობრივი და გვალვაგამძლე მცენარეები, გამტარი საფარები, ჩრდილის ზონები და წვიმის წყლის მართვის ელემენტები*. ასეთი მიდგომა გააუმჯობესებს როგორც გარემოს ხარისხს, ისე საზოგადოებრივი სივრცეების კლიმატურ მედეგობას.

საპროექტო, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები, რომელთა 2025 წლის დაფინანსებაა **0,9 მლნ ლარი**, სუფთა ტექნოლოგიების დანერგვის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია. სწორედ საპროექტო ეტაპზე უნდა განისაზღვროს, რომ კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტი იყოს ენერგოეფექტიანი, რესურსდაზოგვადი, კლიმატურად მედეგი და გარემოზე ნაკლები ზემოქმედების მქონე. ამ მიმართულებით **რეკომენდებულია, მუნიციპალიტეტმა ტექნიკურ დავალებებში შეიტანოს მწვანე მოთხოვნები**: *ენერგოეფექტიანი*

ტექნოლოგიების გამოყენება, წყლის დაზოგვა, მასალების გამძლეობა, კლიმატური რისკის შეფასება, სიცოცხლის ციკლის ღირებულება და გარემოსდაცვითი შედეგების ინდიკატორები.

გარდა ამისა, აღნიშნული მიმართულების გასააზრებლად აუცილებელია რესურსეფექტიანი და სუფთა წარმოების – **RECP** – მიდგომის გააზრება, რომელიც საქართველოში EU4Environment/UNIDO-ის მხარდაჭერით ინერგება და მიზნად ისახავს საწარმოებში ენერგიის, წყლისა და ნედლეულის მოხმარების შემცირებას, ნარჩენების პრევენციას და ცირკულარული ეკონომიკისკენ გადასვლას. RECP მიდგომა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, რადგან საქართველოში SME-ები საწარმოთა აბსოლუტურ უმრავლესობას შეადგენენ და მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში მათთვის პრაქტიკული ტექნოლოგიური და საკონსულტაციო მხარდაჭერა კრიტიკულია.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში გარემოსდაცვითი, რესურსდამზოგავი და სუფთა ტექნოლოგიების გამოყენება უნდა განიხილებოდეს როგორც ადგილობრივი ეკონომიკის, მუნიციპალური ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების მართვის მოდერნიზაციის პრაქტიკული ინსტრუმენტი. სუფთა ტექნოლოგიები გულისხმობს ისეთ გადაწყვეტებს, რომლებიც ამცირებს ენერგიის, წყლისა და ნედლეულის მოხმარებას, ზღუდავს ნარჩენების წარმოქმნას, ამცირებს დაბინძურებას და ზრდის მომსახურებისა თუ წარმოების ეფექტიანობას. დუშეთისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მუნიციპალიტეტს აქვს ერთდროულად ტურიზმის, სოფლის მეურნეობის, აგროტურიზმის, მცირე გადამუშავების, წყლის რესურსების, ტყისა და კლიმატმედეგი ინფრასტრუქტურის განვითარების საჭიროება.

გამოწვევებად შესაძლოა დასახელდეს:

- *საწყისი საინვესტიციო ღირებულება*. ენერგოეფექტური ტექნოლოგიები, მზის სისტემები, თანამედროვე სატუმბი მოწყობილობები ან წყლის დაზოგვის სისტემები ხშირად მოითხოვს უფრო დიდ საწყის ხარჯს, მიუხედავად იმისა, რომ გრძელვადიან პერიოდში ამცირებს საოპერაციო ხარჯებს.
- *ცოდნისა და ტექნიკური უნარების ნაკლებობა*. როგორც მუნიციპალიტეტში, ისე მცირე ბიზნესებსა და ფერმერებში.
- *ბაზრისა და სერვისების სიმწირე*. ყველა მწვანე ტექნოლოგიას ადგილობრივ დონეზე არ აქვს ხელმისაწვდომი ინსტალაცია, მომსახურება ან ტექნიკური მხარდაჭერა.
- *მონაცემების ნაკლებობა*. ენერგომოხმარების, წყლის დანაკარგების, ნარჩენების ნაკადებისა და შენობების ეფექტიანობის გარეშე რთულია სწორად შეირჩეს პრიორიტეტული ტექნოლოგიები.
- *მწვანე შესყიდვების არასაკმარისი გამოყენება*. მუნიციპალიტეტი ხშირად ირჩევს დაბალ საწყის ფასს და არა სიცოცხლის ციკლის განმავლობაში უფრო ეკონომიურ და გარემოსდაცვითად ეფექტიან გადაწყვეტას.

რეკომენდებულია, რომ დუშეთის *მუნიციპალიტეტმა რესურსდამზოგავი და სუფთა ტექნოლოგიების დანერგვა დაიწყოს ყველაზე მაღალი პრაქტიკული ეფექტის მქონე სფეროებიდან*. პირველ ეტაპზე ეს შეიძლება იყოს მუნიციპალური შენობების ენერგოაუდიტი, გარე განათების სრული ენერგოეფექტური მოდერნიზაცია, წყლისა და სატუმბი სისტემების ენერგომოხმარების შეფასება, სანაპირო და ტურისტულ ზონებში ნარჩენების სეპარირების ინფრასტრუქტურა, საბავშვო ბაღებსა და სკოლებში წყლის/ენერგიის დაზოგვის მცირე პროექტები და საოჯახო სასტუმროებისთვის ენერგოეფექტურობის კონსულტაციები. მეორე ეტაპზე შესაძლებელია მცირე გრანტების ან ტექნიკური დახმარების მექანიზმის შექმნა

ადგილობრივი ბიზნესებისთვის, განსაკუთრებით ტურიზმის, აგროტურიზმის, გადამუშავებისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია მწვანე შესყიდვების გამოყენება. მუნიციპალიტეტმა შესყიდვების ტექნიკურ სპეციფიკაციებში ეტაპობრივად უნდა ჩადოს ენერგოეფექტურობის, წყლის დაზოგვის, გამძლეობის, რეციკლირებადობის, დაბალი ტოქსიკურობის და ნაკლები შეფუთვის მოთხოვნები. განსაკუთრებით ეს ეხება განათებას, ტექნიკას, სამშენებლო სამუშაოებს, საწმენდ საშუალებებს, კონტეინერებს, ტურისტულ ინფრასტრუქტურას და მუნიციპალურ აღჭურვილობას. მესამე რეკომენდაციაა პარტნიორობა სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამებთან: EU4Environment/RECP მიდგომა, SME განვითარების პროგრამები, სოფლის განვითარების სააგენტოს ინსტრუმენტები და ენერგოეფექტურობის/განახლებადი ენერგიის ფინანსური მექანიზმები შეიძლება გამოყენებულ იქნეს დუშეთის მცირე ბიზნესებისა და მუნიციპალური პროექტების მხარდასაჭერად. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021–2025 წლების ჩარჩოში მწვანე ეკონომიკაზე გადასვლა SME პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებად განიხილება.

დუშეთის მუნიციპალიტეტში რესურსდამზოგავი და სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების პოტენციალი საკმაოდ მაღალია, *მაგრამ იგი ჯერ კიდევ სრულად არ არის ფორმალიზებული ბიუჯეტში. ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებებია გარე განათება, წყლის სისტემები, ნარჩენების მართვა, სანიაღვრე/ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობა და საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი*. ფინანსური თვალსაზრისით, 2025 წელს ამ მიმართულებებთან დაკავშირებული ძირითადი პროგრამები შეადგენს დაახლოებით: გარე განათება – **1,1 მლნ ლარი**, წყლის სისტემები – **0,6 მლნ ლარი**, დასუფთავება და ნარჩენების მართვა – **1,3 მლნ ლარი**, კეთილმოწყობა – **0,7 მლნ ლარი**, საპროექტო/ზედამხედველობა – **0,9 მლნ ლარი**. *ამ ხარჯების ნაწილი პირდაპირ მწვანეა, ნაწილი კი პოტენციურად მწვანეა და საჭიროებს ტექნოლოგიური კრიტერიუმების დამატებას.*

რეკომენდებულია, დუშეთის მუნიციპალიტეტმა მომდევნო საბიუჯეტო ციკლში დანერგოს **„სუფთა ტექნოლოგიების მარკირება“ პროგრამების დონეზე**. თითოეულ პროექტში უნდა აღინიშნოს, *იყენებს თუ არა იგი ენერგოეფექტიან ტექნოლოგიას, ამცირებს თუ არა წყლის ან ენერგიის მოხმარებას, ამცირებს თუ არა ნარჩენებს, ზრდის თუ არა ინფრასტრუქტურის სიცოცხლის ხანგრძლივობას* და *ამცირებს თუ არა გარემოზე უარყოფით ზემოქმედებას*. ***ამ მიდგომით დუშეთის მწვანე ბიუჯეტი გახდება არა მხოლოდ გარემოსდაცვითი ხარჯების აღწერა, არამედ რესურსების დაზოგვის, ტექნოლოგიური გაუმჯობესებისა და კლიმატური მედეგობის დაგეგმვის პრაქტიკული ინსტრუმენტი.***

დუშეთისთვის გარემოსდაცვითი, **რესურსდამზოგავი და სუფთა ტექნოლოგიების ხედვა** უნდა დაეფუძნოს პრაქტიკულ, ეკონომიკურად გამართლებულ და ეტაპობრივ მიდგომას. მთავარი შესაძლებლობაა, რომ *ტექნოლოგიური განახლება ერთდროულად გახდეს ბიუჯეტის დაზოგვის, გარემოს დაცვის, მწვანე ბიზნესის მხარდაჭერისა და კლიმატმედეგობის გაძლიერების საშუალება*. **მთავარი გამოწვევაა** *მაღალი საწყისი ხარჯი, ცოდნის ნაკლებობა, ბაზრის შეზღუდული მზაობა და მონაცემებზე დაფუძნებული დაგეგმვის სისუსტე*. შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტმა *სუფთა ტექნოლოგიები უნდა აქციოს მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთ ცენტრალურ მიმართულებად, სადაც თითოეული ინვესტიცია შეფასდება არა მხოლოდ შეძენილი ტექნიკის ან შესრულებული სამუშაოს მიხედვით, არამედ დაზოგილი რესურსების, შემცირებული დაბინძურებისა და მიღებული გრძელვადიანი ეკონომიკური სარგებლის მიხედვით.*

გარემოსდაცვითი განათლება

დუშეთის მუნიციპალიტეტის ***მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში*** *გარემოსდაცვითი განათლება უნდა განვიხილოთ არა როგორც მხოლოდ საინფორმაციო ან საგანმანათლებლო აქტივობა, არამედ როგორც ადგილობრივი მწვანე პოლიტიკის განხორციელების პრაქტიკული ინსტრუმენტი*. დუშეთის მუნიციპალიტეტის სპეციფიკა ქმნის საჭიროებას, რომ **გარემოსდაცვითი ცნობიერება *ინტეგრირებული იყოს*** როგორც *სკოლამდელ და სასკოლო მხარდაჭერაში*, ისე *ნარჩენების მართვაში*, *დაცული ლანდშაფტის მართვაში*, *მონაწილეობით ბიუჯეტირებასა* და *ადგილობრივი თემების განვითარებაში*.

2025 წლის ბიუჯეტის მიხედვით, დუშეთის მუნიციპალიტეტში განათლების პრიორიტეტი შეადგენს დაახლოებით **6,3 მლნ ლარს**. აქედან ყველაზე დიდი ნაწილი მოდის სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირებაზე – **4,5 მლნ ლარი**, ხოლო საჯარო სკოლების ხელშეწყობაზე – **1,8 მლნ ლარი**. აღნიშნული თანხები პირდაპირ გარემოსდაცვით განათლებად არ არის მონიშნული, თუმცა *სწორედ ეს პროგრამები ქმნის ძირითად ინსტიტუციურ სივრცეს, სადაც შესაძლებელია გარემოსდაცვითი და კლიმატური თემების ინტეგრირება*. **სკოლამდელ დაწესებულებებში** *გარემოსდაცვითი განათლება შეიძლება დაიწყოს მარტივი ქცევითი პრაქტიკებით*: *წყლის დაზოგვა, ნარჩენების სწორი განთავსება, ბუნებაზე ზრუნვა, ეზოების გამწვანება, მცენარეების მოვლა და სუფთა გარემოს მნიშვნელობა*. **სკოლები**ს მხარდაჭერის მიმართულებით კი შესაძლებელია უფრო სტრუქტურირებული აქტივობები: *გარემოსდაცვითი კლუბები, დასუფთავების აქციები, ნარჩენების სეპარირების პილოტები, წყლისა და ენერგიის დაზოგვის კამპანიები, დაცულ ლანდშაფტთან დაკავშირებული სასწავლო ვიზიტები და კლიმატური რისკების შესახებ ცნობიერების ამაღლება*.

ბიუჯეტში ცალკე *გარემოსდაცვითი განათლების ქვეპროგრამის არარსებობა არ ნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტს ამ მიმართულებით პოტენციალი არ აქვს*. პირიქით, *დუშეთში გარემოსდაცვითი განათლების ერთ-ერთი ყველაზე ბუნებრივი საყრდენია* ***არაგვის დაცული ლანდშაფტი****, რომლის ადმინისტრაციის ხელშეწყობა 2025 წლის ბიუჯეტში დაახლოებით* ***0,7 მლნ ლარს*** *შეადგენს*. არაგვის დაცული ლანდშაფტი შეიქმნა ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, რეკრეაციული და ტურისტული საქმიანობის ხელშესაწყობად და ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით. სწორედ ამიტომ, მისი ადმინისტრაციის საქმიანობაში **გარემოსდაცვითი განათლება უნდა გახდეს ერთ-ერთი შედეგობრივი კომპონენტი**: *ვიზიტორებისა და ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება, სკოლებთან თანამშრომლობა, ეკოსაგანმანათლებლო მარშრუტები, ბიომრავალფეროვნების მონიტორინგში ახალგაზრდების ჩართვა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების შესახებ თემური შეხვედრები*.

გარემოსდაცვითი განათლება ასევე მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს **ნარჩენების მართვას**. 2025 წლის ბიუჯეტში დასუფთავება და გარემოს დაცვა შეადგენს დაახლოებით **2,0 მლნ ლარს**,

მათ შორის ნარჩენების გატანა და დასუფთავება – დაახლოებით **1,3 მლნ ლარს**. *ნარჩენების მართვის პროგრამა მხოლოდ ტექნიკური სერვისი არ უნდა იყოს. მისი ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მოსახლეობის ქცევაზე: ნარჩენების არასწორი განთავსება, სტიქიური ნაგავსაყრელები, კონტეინერების დაზიანება, სეპარირების დაბალი კულტურა და დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის დისციპლინა პირდაპირ უკავშირდება ცნობიერებას*. ამიტომ ნარჩენების პროგრამაში რეკომენდებულია გარემოსდაცვითი განათლების კომპონენტის დამატება – სკოლებში და სოფლებში საინფორმაციო შეხვედრები, მარტივი ვიზუალური მასალები, „სუფთა სოფლის“ ან „სუფთა სკოლის“ კამპანიები, ნარჩენების სეპარირების პილოტური ინიციატივები და ადგილობრივი ლიდერების ჩართვა.

მონაწილეობითი ბიუჯეტირებაც გარემოსდაცვითი განათლების მნიშვნელოვანი პლატფორმაა. პროგრამული დანართის მიხედვით, მონაწილეობითი ბიუჯეტირების ხელშეწყობისთვის 2025 წელს გათვალისწინებულია დაახლოებით **1,0 მლნ ლარი**. ***ამ მექანიზმის გამოყენებით მოსახლეობას შეუძლია უკეთ გაიაზროს ბიუჯეტის, გარემოსდაცვითი საჭიროებებისა და ადგილობრივი განვითარების კავშირი***. *თუ მონაწილეობითი ბიუჯეტირების წესებში დაემატება „მწვანე ქულა“, მოქალაქეები არა მხოლოდ წარადგენენ პროექტებს, არამედ ისწავლიან, როგორ შეაფასონ პროექტის გარემოსდაცვითი სარგებელი: ამცირებს თუ არა იგი ნარჩენებს, აუმჯობესებს თუ არა წყლის მართვას, ზრდის თუ არა ენერგოეფექტიანობას, ქმნის თუ არა მწვანე სივრცეს ან ამცირებს თუ არა სტიქიურ რისკს*.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით, მთავარი მიგნებაა, რომ *დუშეთის ბიუჯეტში არსებობს მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და გარემოსდაცვითი რესურსი*, მაგრამ ***გარემოსდაცვითი განათლება ჯერ არ არის გამოყოფილი როგორც ცალკე საბიუჯეტო ან შედეგობრივი მიმართულება***. შესაბამისად,

დუშეთს გარემოსდაცვითი განათლებისთვის აქვს ძლიერი ადგილობრივი თემატური ბაზა. მუნიციპალიტეტში აქტუალურია ტურისტული დატვირთვა, მთიანი ზონების ეკოტურისტული პოტენციალი, ტყის რესურსების დაცვა, წყლის რესურსების სააუზო მართვა, სოფლის მეურნეობის კლიმატგონივრული პრაქტიკები და დაცული ტერიტორიის პერსპექტივა. ეს გარემოებები იძლევა შესაძლებლობას, გარემოსდაცვითი განათლება იყოს არა აბსტრაქტული, არამედ ადგილობრივ მაგალითებზე დაფუძნებული – „როგორ დავიცვათ ჩვენი მდინარე“, „როგორ შევამციროთ პლასტიკის ნარჩენი ტურისტულ ზონაში“, „როგორ მოვუაროთ ტყეს“, „როგორ გამოვიყენოთ წყალი ეფექტიანად“, „როგორ განვავითაროთ ეკომეგობრული ტურიზმი“.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ***პრაქტიკაზე დაფუძნებული მიდგომა***. სკოლებში და თემებში შეიძლება დაინერგოს ***მცირე სადემონსტრაციო პროექტები***: *სეპარირებული ურნები, კომპოსტირების კუთხეები, წყლის დაზოგვის კამპანიები, ენერგოეფექტურობის მარტივი აუდიტები, მწვანე ეზოები, ეკობილიკების მოვლის მოხალისეობრივი ჯგუფები* და *ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი*. ასეთი აქტივობები ერთდროულად ზრდის ცოდნას, ქმნის ქცევის ცვლილებას და აძლიერებს ადგილობრივი განვითარების პროცესში მოქალაქეთა მონაწილეობას.

სასურველია, მუნიციპალიტეტმა ***პარტნიორობა*** *გააძლიეროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრთან, სკოლებთან, ადგილობრივ LAG-თან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ტურისტულ ბიზნესთან და სოფლის თემებთან*. ასევე მნიშვნელოვანია ***მუნიციპალური თანამშრომლების გადამზადება*** *მწვანე ბიუჯეტირების, კლიმატის ცვლილების, ნარჩენების იერარქიის, წყლის სააუზო მართვისა და მდგრადი ტურიზმის საკითხებზე, რადგან*

ადგილობრივი პოლიტიკის ხარისხი დიდწილად დამოკიდებულია თავად მუნიციპალური სისტემის ცოდნაზე.

შედეგების გასაზომად რეკომენდებულია **მარტივი ინდიკატორების დანერგვა**: *გარემოსდაცვით აქტივობებში ჩართული სკოლების რაოდენობა, მონაწილე მოსწავლეების და მოქალაქეების რაოდენობა, სეპარირების სისტემაში ჩართული საჯარო ობიექტები, ჩატარებული ტრენინგები ფერმერებისა და ტურისტული ბიზნესისთვის, დასუფთავებული ან მონიტორინგით დაფარული მდინარისპირა ლოკაციები*, ასევე *ქცევითი ცვლილებების მაჩვენებლები* – მაგალითად, *შემცირებული არალეგალური ნარჩენები ან გაზრდილი სეპარირებული ნარჩენის მოცულობა საპილოტე ზონებში.*

ამავე დროს, **გამოწვევებიც** მკაფიოა.

- *გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების აქტივობები ხშირად კამპანიურია და არ არის დაკავშირებული გრძელვადიან პროგრამულ ბიუჯეტთან.*
- *სამიზნე ჯგუფების არასაკმარისი დიფერენცირება*. მოსწავლეებს, ფერმერებს, ტურისტულ ბიზნესს, მუნიციპალურ თანამშრომლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას განსხვავებული ცოდნა და პრაქტიკული ინსტრუმენტები სჭირდებათ.
- *გარემოსდაცვითი განათლების შედეგების გაზომვის სირთულე*. ხშირად ითვლება ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა, მაგრამ ნაკლებად იზომება ქცევის ცვლილება, მაგალითად, გაიზარდა თუ არა ნარჩენების დახარისხება ან შემცირდა თუ არა არალეგალური დაყრა.
- *ინსტიტუციური კოორდინაცია*. უმნიშვნელოვანესია კოორდინაციის გაძლიერება სკოლებს, მუნიციპალიტეტს, გარემოსდაცვით ორგანიზაციებს, ადგილობრივი განვითარების ჯგუფს, ტურისტულ ბიზნესსა და ცენტრალურ უწყებებს შორის.

რეკომენდებულია *გარემოსდაცვითი განათლება* *ჩაიწეროს როგორც გამჭოლი კომპონენტი განათლების, ნარჩენების მართვის, დაცული ლანდშაფტის, კეთილმოწყობისა და მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამებში*. ამისთვის შეიძლება დაემატოს კონკრეტული ინდიკატორები: *ჩატარებული გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო ღონისძიებების რაოდენობა; ჩართული სკოლებისა და ბაღების რაოდენობა; მონაწილე ბავშვების, მასწავლებლებისა და მშობლების რაოდენობა; დაცულ ლანდშაფტში განხორციელებული ეკოსაგანმანათლებლო ვიზიტები; ნარჩენების მართვის კამპანიებში ჩართული დასახლებები; და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო მასალების რაოდენობა.*

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის გარემოსდაცვითი განათლება მწვანე ბიუჯეტირების ხარისხის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. 2025 წლის ბიუჯეტში განათლების პრიორიტეტი **6,3 მლნ ლარით** ფინანსდება, თუმცა ამ თანხაში გარემოსდაცვითი განათლება ცალკე არ არის მონიშნული. ამავე დროს, არაგვის დაცული ლანდშაფტის **0,7 მლნ ლარის**, ნარჩენების მართვის **1,3 მლნ ლარის** და მონაწილეობითი ბიუჯეტირების **1,0 მლნ ლარის** მიმართულებები იძლევა შესაძლებლობას, *გარემოსდაცვითი განათლება ინტეგრირდეს როგორც პრაქტიკული და შედეგზე ორიენტირებული კომპონენტი.* ***ასეთი მიდგომა დაეხმარება მუნიციპალიტეტს, მწვანე ბიუჯეტი არ დარჩეს მხოლოდ ხარჯების კლასიფიკაციად და გადაიქცეს მოსახლეობის ქცევის, ცნობიერებისა და ადგილობრივი გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის გაძლიერების მექანიზმად.***

დუშეთის **გარემოსდაცვითი განათლების ხედვა** მწვანე განვითარების ჭრილში უნდა ეფუძნებოდეს **ცოდნის**, **ქცევის** და **მონაწილეობის** ერთიან მოდელს. მთავარი შესაძლებლობაა,

რომ მუნიციპალიტეტის ბუნებრივი და ტურისტული რესურსები გამოყენებულ იქნეს როგორც „ცოცხალი სასწავლო სივრცე“ მდგრადი განვითარებისათვის. მთავარი გამოწვევაა გარემოსდაცვითი განათლების ფრაგმენტულობა და მისი სუსტი დაკავშირება ბიუჯეტთან, ინფრასტრუქტურასთან და შედეგების გაზომვასთან. შესაბამისად, *გარემოსდაცვითი განათლება უნდა იქცეს დუშეთის მწვანე ბიუჯეტირების მნიშვნელოვან კომპონენტად, რომელიც მოქალაქეებს, სკოლებს, ბიზნესს და ადგილობრივ ხელისუფლებას აერთიანებს გარემოსდაცვითად პასუხისმგებელი განვითარების გარშემო.*

საგანგებო სიტუაციების რისკების მართვა

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის საგანგებო სიტუაციების რისკების მართვა (DRM) მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი საკვანძო მიმართულებაა, *რადგან მუნიციპალიტეტის ტერიტორიული და ბუნებრივი თავისებურებები ზრდის კლიმატური და სტიქიური საფრთხეების მნიშვნელობას*. დუშეთი მოიცავს მაღალმთიან და რთული რელიეფის მქონე დასახლებებს, მდინარეთა ხეობებს, გზების მოწყვლად მონაკვეთებს, ტყის და დაცული ლანდშაფტის ტერიტორიებს, სადაც **სტიქიური მოვლენები** – *წყალმოვარდნა, მეწყერი, ნაპირების წარეცხვა, ძლიერი თოვლი, გზების ჩაკეტვა, ხევებისა და კალაპოტების დატბორვა – პირდაპირ აისახება მოსახლეობის უსაფრთხოებაზე, სერვისებზე წვდომაზე და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მდგრადობაზე*. ***შესაბამისად, DRM-ის ხარჯები მწვანე ბიუჯეტირების ფარგლებში უნდა შეფასდეს როგორც კლიმატთან ადაპტაციისა და რისკების პრევენციის ხარჯები.***

2025 წლის ბიუჯეტში DRM-ის ყველაზე პირდაპირი პროგრამაა **02 07 – სტიქიის პრევენციისა და სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება**. ამ მიმართულებით დაგეგმილი იყო **1,8 მლნ ლარი**, თუმცა შესრულდა მხოლოდ **0,2 მლნ ლარი**, რაც **11%**-იან შესრულებას ნიშნავს. *მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით ეს არის მნიშვნელოვანი გამოწვევა*. ***სტიქიის პრევენცია, გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციის ხანგრძლივობის გაზრდა და მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვა უშუალოდ უკავშირდება კლიმატთან ადაპტაციას. შესაბამისად, ასეთი დაბალი შესრულება მიუთითებს, რომ მუნიციპალიტეტს სჭირდება პრევენციული პროექტების უკეთესი დაგეგმვა, საპროექტო მომზადების დაჩქარება, შესყიდვების პროცესის გაუმჯობესება და რისკზე დაფუძნებული პრიორიტეტიზაცია.***

DRM-ს უკავშირდება **02 03 03 – სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია**. 2025 წლის ბიუჯეტში ამ ქვეპროგრამისთვის განსაზღვრულია **0,3 მლნ ლარი**. ბიუჯეტის აღწერაში მითითებულია კონკრეტული ღონისძიებები, მათ შორის ხევებისა და კალაპოტების გაწმენდა, სანიაღვრე ღარების მოწყობა, მდინარის კალაპოტის გაწმენდა და სანიაღვრე არხების გამართული ფუნქციონირება. ეს მიმართულება DRM-ისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სანიაღვრე არხები და ნაპირსამაგრი სამუშაოები ამცირებს დატბორვის, გზების დაზიანების, ნაპირების წარეცხვისა და საცხოვრებელი გარემოს დაზიანების რისკს. პროგრამულ დანართში ჩანს, რომ 2026–2028 წლებში ამ მიმართულებით დაფინანსება იზრდება – **0,4 მლნ**, **0,7 მლნ** და **0,9 მლნ ლარამდე**, რაც მიუთითებს საშუალოვადიან პერიოდში ადაპტაციური ინფრასტრუქტურის გაძლიერების საჭიროებაზე.

DRM-ის მნიშვნელოვანი, თუმცა ირიბი კომპონენტია **საგზაო ინფრასტრუქტურა**. *გზები არა მხოლოდ სატრანსპორტო მომსახურებაა, არამედ კრიტიკული ინფრასტრუქტურაა*

საგანგებო რეაგირებისთვის. რთული რელიეფისა და კლიმატური პირობების გამო გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა უნდა განიხილებოდეს კლიმატურად მედეგი ინფრასტრუქტურის ნაწილად, თუ პროექტები მოიცავს წყლის არინებას, ფერდობების გამაგრებას, ხიდებისა და ბოგირების გამძლეობას, თოვლისგან გზების გაწმენდას და მაღალი რისკის მონაკვეთების პრევენციულ შეკეთებას. *პროგრამული დანართის მიხედვით, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობა-რეაბილიტაცია მოიცავს როგორც გზის საფარს, ისე ხიდებისა და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციას, რაც DRM-ისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.*

საგანგებო სიტუაციების მართვის სოციალური განზომილება ჩანს **კეთილმოწყობის ქვეპროგრამაშიც**, სადაც გათვალისწინებულია *ამბულატორიების, სასწრაფო სამედიცინო დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების ცენტრების მოწყობა-რეაბილიტაცია*. 2025 წლის შესრულების ანგარიშში ამ ქვეპროგრამის გეგმა იყო **0,4 მლნ ლარი**, ხოლო ფაქტი – **0,3 მლნ ლარი**. ეს ხარჯი პირდაპირ გარემოსდაცვითი არ არის, თუმცა *DRM-ის კონტექსტში მნიშვნელოვანი ადაპტაციური ფუნქცია აქვს, რადგან კრიზისულ სიტუაციებში მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სერვისებზე წვდომა სწორედ ასეთი ინფრასტრუქტურის გამართულობაზეა დამოკიდებული*.

მწვანე ბიუჯეტირების კუთხით DRM-ის მთავარი **გამოწვევაა** *პრევენციული და სალიკვიდაციო ხარჯების გამიჯვნის ნაკლებობა*. *თუ ხარჯები ერთიანად არის წარმოდგენილი, რთულია შეფასდეს, მუნიციპალიტეტი რამდენად ხარჯავს რესურსს წინასწარ რისკების შემცირებაზე და რამდენად – უკვე დამდგარი ზიანის ლიკვიდაციაზე*. საერთაშორისო პრაქტიკით, მწვანე და კლიმატთან ადაპტაციის ბიუჯეტირება უპირატესობას ანიჭებს პრევენციულ ხარჯებს, რადგან წინასწარი ინვესტიცია ამცირებს მომავალ ზიანს, ბიუჯეტზე ზეწოლას და მოსახლეობის მოწყვლადობას. *დუშეთის შემთხვევაში განსაკუთრებით საჭიროა მაღალი რისკის ზონების იდენტიფიცირება, რისკების რუკების გამოყენება და პრიორიტეტების განსაზღვრა: რომელი გზები, ხევები, კალაპოტები, ნაპირები, სოფლები და საჯარო ობიექტებია პირველ რიგში დასაცავი.*

რეკომენდებულია, დუშეთის მუნიციპალიტეტმა *DRM მიმართულებით ბიუჯეტში დანერგოს რამდენიმე ინდიკატორი*: *მოწყობილი ან რეაბილიტირებული სანიაღვრე არხების სიგრძე; ნაპირსამაგრი ნაგებობების რაოდენობა; გაწმენდილი ხევებისა და კალაპოტების რაოდენობა; დაცული ოჯახების და საზოგადოებრივი ობიექტების რაოდენობა; მაღალი რისკის გზის მონაკვეთების სიგრძე, სადაც ჩატარდა პრევენციული სამუშაოები; თოვლისგან გაწმენდილი გზების სიგრძე; საგანგებო რეაგირების ობიექტების რაოდენობა; პრევენციული ხარჯების წილი DRM-ის მთლიან ხარჯებში; და სტიქიური ზიანის შემცირების წლიური შეფასება.*

დუშეთის მუნიციპალიტეტში DRM მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მნიშვნელობის მიმართულებაა. *2025 წელს სტიქიის პრევენციისა და სალიკვიდაციო ღონისძიებების დაბალი შესრულება აჩვენებს, რომ კლიმატთან ადაპტაციის ფინანსური დაგეგმვა და განხორციელება გაძლიერებას საჭიროებს*. ამავე დროს, *სანიაღვრე და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურის, გზების მედეგობის, სასწრაფო დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების ცენტრების, ასევე წყლის სისტემების მიმართულებები ქმნის კარგ საფუძველს DRM-ის მწვანე ბიუჯეტში უკეთ ინტეგრირებისთვის*. **მომავალში აუცილებელია, DRM ცალკე მოინიშნოს როგორც კლიმატთან ადაპტაციის პრიორიტეტი და შეფასდეს არა მხოლოდ ხარჯის ათვისებით, არამედ რისკის რეალური შემცირების შედეგებით.**

დუშეთის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის განსაზღვრის მიზნით მნიშვნელოვანია საქართველოს კატასტროფების რისკის შემცირების ეროვნულ ჩარჩოს, დუშეთის SECAP-ის/კლიმატის სამოქმედო გეგმის შემუშავება. საქართველოს ეროვნული DRR სტრატეგიის მიზანი იყო ერთიანი კატასტროფების რისკის შემცირების სისტემის ჩამოყალიბება, მზადყოფნისა და რეაგირების შესაძლებლობების გაუმჯობესება ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, რაც თავისთავად დუშეთის მუნიციპალიტეტის მედეგობის გაზრდას, კატასტროფებით მოსალოდნელი შედეგების პრევენციის/ შერბილებისა და დამდგარი ზიანის შემსუბუქების/კომპენსაციის მიზნით საგულისხმო ძალისხმევას მოიაზრებს.

დუშეთის მწვანე განვითარების მოდელში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს პრევენციას და რისკების შემცირებას და არა მხოლოდ სტიქიის შემდეგ რეაგირებას. ტრადიციული მიდგომა ხშირად მიმართულია დაზიანებული გზების, ნაპირსამაგრი ნაგებობების, ხიდების ან სხვა ინფრასტრუქტურის აღდგენაზე, თუმცა მწვანე განვითარების ჭრილში უფრო ეფექტიანია წინასწარი რისკების შეფასება, საფრთხის ზონების იდენტიფიცირება, კლიმატმედეგი ინფრასტრუქტურის დაგეგმვა, მდინარისპირა და ფერდობების დაცვა, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტების გამოყენება და ადრეული გაფრთხილების სისტემებთან ადგილობრივი კოორდინაცია.

მნიშვნელოვანია, სათანადოდ იყოს გააზრებული **ბუნებრივი ინფრასტრუქტურა და ეკოსისტემები**. ტყეები, მდინარისპირა მცენარეული საფარი, ჭარბტენიანი სივრცეები, მდინარეების ეკოსისტემები და გამწვანებული ფერდობები მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტიქიური რისკების შემცირებაში. ისინი ამცირებს ეროზიას, ანელებს ზედაპირულ ჩამონადენს, იცავს ნიადაგს, ამცირებს მეწყრისა და წყალდიდობის ზეწოლას და ხელს უწყობს კლიმატმედეგობას. ამიტომ საგანგებო სიტუაციების *პრევენცია უნდა დაუკავშირდეს სატყეო, წყლის, ნარჩენების, სივრცითი დაგეგმვისა და ტურიზმის პოლიტიკას*. მაგალითად, ***მდინარის კალაპოტების გაწმენდა***, ***ფერდობების გამწვანება***, ***ტყის აღდგენა***, ***არალეგალური ნაგავსაყრელების პრევენცია*** **და** ***წყალსარინი სისტემების მოვლა*** **ერთდროულად არის გარემოსდაცვითი და რისკების შემცირების ღონისძიება**.

დუშეთისთვის საგანგებო მართვის ეფექტიანობა პირდაპირ კავშირშია **მონაცემებთან და დაგეგმვასთან**. მუნიციპალიტეტს სჭირდება **საფრთხეების რუკები**, **მეწყერსაშიში და წყალდიდობის რისკის ზონების აღწერა**, **კრიტიკული ინფრასტრუქტურის სია**, **მოწყვლადი მოსახლეობის იდენტიფიცირება**, **ტურისტული სეზონის დროს რისკების მართვის მექანიზმები** და **სოფლების დონეზე სწრაფი რეაგირების გეგმები**. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მთიან და ტყიან ტერიტორიებს, სადაც *გზის დაზიანება, ძლიერი ნალექი ან ხანძარი შესაძლოა* სწრაფად გადაიზარდოს სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემაში.

საქართველოს მოქმედი *საბიუჯეტო კანონმდებლობა მუნიციპალიტეტს არ უდგენს საგანგებო სიტუაციების რისკების მართვისთვის ბიუჯეტის მინიმალურ ან მაქსიმალურ სავალდებულო პროცენტს*, თუ ეს ხარჯები წინასწარ არის დაგეგმილი პროგრამულ ბიუჯეტში. შეზღუდვა მოქმედებს მხოლოდ ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდზე, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ასიგნებების 2%-ს. შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის მიზანშეწონილია *სტიქიის პრევენცია და რისკების შემცირება არ დაეფუძნოს მხოლოდ სარეზერვო ფონდს, არამედ წინასწარ აისახოს პროგრამულ ბიუჯეტში როგორც კლიმატთან ადაპტაციისა და მწვანე ბიუჯეტირების მნიშვნელოვანი მიმართულება*. საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს უფრო მკაფიო მოდელებიც, მაგალითად ფილიპინებში ადგილობრივი თვითმმართველობები კანონით ვალდებული არიან რეგულარული შემოსავლების არანაკლებ

5% მიმართონ ადგილობრივი კატასტროფების რისკის შემცირებისა და მართვის ფონდში, ამავე ფონდში, პრაქტიკული სახელმძღვანელოებით, 30% გამოიყოფა სწრაფი რეაგირების ფონდად, ხოლო 70% ძირითადად პრევენციისა და შერბილების პროგრამებისთვის გამოიყენება.[13]

გამოწვევები რამდენიმე მიმართულებით იკვეთება:

- *პრევენციული დაგეგმვისა და ბიუჯეტირების არასაკმარისი ინტეგრაცია*. სტიქიასთან დაკავშირებული ხარჯები ხშირად აღიქმება როგორც რეაგირების ან აღდგენის ხარჯი და არა როგორც წინასწარი ინვესტიცია რისკების შემცირებაში.
- *მონაცემებისა და მონიტორინგის სუსტი სისტემა*. მნიშვნელოვანია მაღალი რისკის უბნების პრიორიტეტიზაცია.
- *უწყებათაშორისი კოორდინაცია*. საგანგებო სიტუაციების მართვაში აუცილებელია სათანადო კოორდინაცია, რადგან მასში მონაწილეობს არაერთი ინსტიტუცია: ცენტრალური უწყებები, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, მუნიციპალიტეტი, გარემოსდაცვითი სტრუქტურები, ინფრასტრუქტურის განმახორციელებლები, სკოლები, თემები და კერძო სექტორი.
- *მოსახლეობის მზადყოფნა*. მოქალაქეებს ხშირად არ აქვთ საკმარისი ცოდნა, როგორ იმოქმედონ ძლიერი ნალექის, წყალდიდობის, მეწყრის, ხანძრის ან ევაკუაციის საჭიროების შემთხვევაში.
- *ადრეული გაფრთხილების სისტემების დანერგვის აუცილებლობა*. დაინტერესებული მხარეების მიერ გამოიკვეთა ადრეული გაფრთხილების სისტემების დანერგვის საჭიროება საფრთხის შემცველ რიგ ზონებში.

რეკომენდებულია, რომ დუშეთის მწვანე ბიუჯეტირების პროცესში საგანგებო სიტუაციების და სტიქიის პრევენციის მიმართულება გამოიყოს როგორც კლიმატთან ადაპტაციის მნიშვნელოვანი კომპონენტი. **ბიუჯეტში უნდა განისაზღვროს არა მხოლოდ აღდგენითი სამუშაოები, არამედ პრევენციული ღონისძიებები**: *სანიაღვრე და წყალგამტარი სისტემების გაწმენდა-რეაბილიტაცია*, *მდინარისპირა ზონების დაცვა*, *ფერდობების გამაგრება და გამწვანება*, *მეწყერსაშიში უბნების მონიტორინგი*, *ხიდებისა და გზების კლიმატმედეგი რეაბილიტაცია*, *ტყის ხანძრების პრევენცია*, *კრიტიკული ინფრასტრუქტურის რისკების შეფასება* და *საგანგებო მართვის ადგილობრივი გეგმების განახლება*.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანია **ადრეული გაფრთხილების** და **ადგილობრივი რეაგირების სისტემების გაძლიერება**. მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს *ინფორმაციის სწრაფი გავრცელების არხები* სოფლების, სკოლების, ტურისტული ობიექტების და მოწყვლადი ჯგუფებისთვის. სასურველია თემების დონეზე შეიქმნას მარტივი სამოქმედო პროტოკოლები: *სად უნდა წავიდეს მოსახლეობა ევაკუაციისას*, *ვის უნდა დაუკავშირდეს*, *რომელი გზებია უსაფრთხო*, *როგორ უნდა დაიცვას თავი წყალდიდობის, მეწყრის ან ხანძრის შემთხვევაში*. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ტურისტულ სეზონზე, როდესაც მუნიციპალიტეტში დროებით იზრდება ადამიანების რაოდენობა და საგანგებო კომუნიკაციის საჭიროება.

მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით საჭიროა **გაზომვადი ინდიკატორების დანერგვა**. მაგალითად: იდენტიფიცირებული და მონიტორინგით დაფარული *მაღალი რისკის უბნების რაოდენობა*, *რეაბილიტირებული სანიაღვრე ქსელის სიგრძე*, *გაწმენდილი მდინარის კალაპოტები და წყალგამტარები*, *მეწყერსაშიშ ზონებში განხორციელებული პრევენციული*

13 Primer on the Disaster Risk Reduction and Management (DRRM) Act of 2010, Republic Act # 10121, DRRNetPhils Disaster Risk Reduction Network Philippines

ღონისძიებები, *საგანგებო მართვის გეგმით დაფარული ადმინისტრაციული ერთეულები*, *ჩატარებული სწავლება/სიმულაციები*, *მოსახლეობისა და სკოლის მოსწავლეების ჩართულობა*, ასევე *სტიქიის შედეგად დაზიანების შემცირების მაჩვენებლები*.

დუშეთის **საგანგებო სიტუაციების, სტიქიის პრევენციისა და შედეგების მართვის ხედვა** მწვანე განვითარების ჭრილში ***აუცილებელია გადავიდეს რეაგირების მოდელიდან პრევენციისა და კლიმატმედეგობის მოდელზე***. მთავარი შესაძლებლობაა, რომ ბუნებრივი ეკოსისტემები, სივრცითი დაგეგმვა, ინფრასტრუქტურა, სააუზო მართვა და ადგილობრივი მზადყოფნა ერთიან სისტემად ჩამოყალიბდეს. მთავარი გამოწვევაა **ფრაგმენტული მიდგომა**, როდესაც სტიქიური რისკები განიხილება ცალკე უსაფრთხოების საკითხად და არა მწვანე განვითარების, ბიუჯეტირების და კლიმატის ადაპტაციის ნაწილად. შესაბამისად, დუშეთისთვის ***ეს სექტორი უნდა გახდეს მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც დაიცავს მოსახლეობას, ინფრასტრუქტურას, ტურისტულ პოტენციალს და ბუნებრივ რესურსებს კლიმატური და სტიქიური საფრთხეებისგან.***

მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა

მწვანე ბიზნესის[14] ხელშეწყობის პოლიტიკის გასააზრებლად უმნიშვნელოვანესია დუშეთის ადგილობრივი პოლიტიკის მიღმა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2021–2025-ის[15], „აწარმოე საქართველოში“/Enterprise Georgia-ს ბიზნესის მხარდაჭერის მექანიზმებისა და სოფლის განვითარების სააგენტოს პროგრამების გათვალისწინება. დუშეთის ადგილობრივი სტრატეგია პირდაპირ უკავშირდება ინკლუზიურ და მდგრად მწვანე ზრდას. საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მიმართულება კი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის მწვანე ეკონომიკაზე გადასვლის ხელშეწყობას მოიცავს.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა უნდა განიხილებოდეს როგორც ***ადგილობრივი ეკონომიკის დივერსიფიკაციის, სოფლის განვითარების, მდგრადი ტურიზმის, რესურსეფექტიანობისა და კლიმატმედეგობის ერთიანი მიმართულება***.

დუშეთისთვის ეს განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან მუნიციპალიტეტს აქვს *ზღვისპირა ტურიზმის*, *სოფლის მეურნეობის*, *აგროტურიზმის*, *მცირე გადამუშავების*, *ეკოტურიზმის*, *ტყისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების მნიშვნელოვანი პოტენციალი*.

დუშეთში მწვანე ბიზნესის განვითარება სასურველია გასცდეს მხოლოდ ცალკეულ „ეკო“ ინიციატივებს და გახდეს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ხედვის შეუცვლელი ნაწილი, რომელიც აერთიანებს *მცირე და საშუალო ბიზნესს, ფერმერებს, საოჯახო სასტუმროებს, ტურისტულ სერვისებს, კვების ობიექტებს, გადამამუშავებელ საწარმოებსა და ახალგაზრდულ/ქალთა მეწარმეობას*. მწვანე ბიზნესი შეიძლება უკავშირდებოდეს ენერგოეფექტურ საოჯახო სასტუმროებს, ნარჩენების შემცირებას, პლასტიკის გამოყენების კლებას, ადგილობრივი პროდუქტის გამოყენებას ტურისტულ მომსახურებაში და ეკომეგობრულ რეკრეაციულ სერვისებს. სოფლისა და მთის ზონებში პერსპექტიულია აგროტურიზმი, ადგილობრივი პროდუქტის ბრენდირება, მცირე გადამუშავება, ორგანული ან დაბალი ქიმიური დატვირთვის წარმოება, კომპოსტირება და ბუნებაზე დაფუძნებული ტურისტული სერვისები.

მწვანე ბიზნესის მხარდაჭერა პირდაპირ უნდა დაუკავშირდეს მწვანე ბიუჯეტირებას. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ეკონომიკური განვითარების, ტურიზმის, სოფლის განვითარების, ნარჩენების, ენერგეტიკისა და გარემოსდაცვითი განათლების *პროგრამები შეიძლება შეფასდეს იმის მიხედვით, რამდენად უწყობს ხელს ისინი* ***ადგილობრივ მწვანე მეწარმეობას***.

14 მწვანე ბიზნესი გულისხმობს ისეთი სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას, რომელიც ამცირებს გარემოზე ზეწოლას, უფრო ეფექტიანად იყენებს ენერგიას, წყალსა და ნედლეულს, ხელს უწყობს ნარჩენების შემცირებას, ადგილობრივი რესურსების მდგრად გამოყენებას და ქმნის დამატებულ ღირებულებას ადგილობრივ დონეზე.

15 საქართველოს მთავრობის დადგენილება №351, 2021 წლის 13 ივლისი, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021 - 2025 წლებისათვის და საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/5214991

მაგალითად, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა უფრო მაღალი მწვანე ეფექტის მქონე იქნება, თუ მას თან ახლავს სეპარირებული ნარჩენების სისტემა, ადგილობრივი პროდუქტის ბაზრები, ენერგოეფექტური განათება, ეკომეგობრული საინფორმაციო დაფები და მცირე ბიზნესის ტრენინგები. ასევე, სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა უფრო მწვანე შედეგს მიიღებს, თუ ფერმერებს მიეწოდებათ ცოდნა წყლის ეფექტიან გამოყენებაზე, ნიადაგის დაცვაზე, კლიმატგონივრულ ტექნოლოგიებზე, ბიო წარმოებაზე და ენერგოეფექტურ წარმოებაზე.

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა უნდა განვიხილოთ როგორც ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ისეთი მიმართულება, რომელიც ერთდროულად უწყობს ხელს შემოსავლების ზრდას, დასაქმებას, ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას, ეკოტურიზმს, ადგილობრივი პროდუქციის განვითარებას და გარემოზე ზემოქმედების შემცირებას. დუშეთის სპეციფიკა – მაღალმთიანი ბუნებრივი გარემო, არაგვის დაცული ლანდშაფტი, ტურისტული მარშრუტები, აგრარული რესურსები, კულტურული მემკვიდრეობა და მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საერთაშორისო სატრანზიტო გზასთან სიახლოვე – ქმნის მნიშვნელოვან პოტენციალს მწვანე ბიზნესის განვითარებისათვის. თუმცა 2025 წლის ბიუჯეტსა და პროგრამულ დანართში მწვანე ბიზნესი ცალკე საბიუჯეტო პროგრამად არ არის გამოყოფილი, რაც მიუთითებს, რომ ეს მიმართულება ჯერ კიდევ ინტეგრირებულია სხვა პროგრამებში და საჭიროებს უფრო მკაფიო პოლიტიკურ და საბიუჯეტო ფორმულირებას.

დუშეთის განვითარების დოკუმენტებში ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მიმართულებებად იკვეთება აგრარული სექტორი, ბიზნესაქტივობა, ინფრასტრუქტურა, სოციალური ინფრასტრუქტურა და ტურიზმი. ასევე ხაზგასმულია მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის მთავარი საავტომობილო გზის გასწვრივ შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და განვითარება. მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით ეს არის მნიშვნელოვანი საწყისი საფუძველი, რადგან მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა დუშეთში შეიძლება დაეფუძნოს ეკოტურიზმს, ადგილობრივ აგროპროდუქტებს, ტრადიციულ მეურნეობას, მცირე საოჯახო სასტუმროებს, ენერგოეფექტიან ტურისტულ ობიექტებს, ნარჩენების შემცირებას ტურისტულ ზონებში და დაცული ლანდშაფტის გარშემო ადგილობრივი თემების ეკონომიკურ ჩართულობას.

მწვანე ბიზნესის პირდაპირი მხარდაჭერის ყველაზე მნიშვნელოვანი პლატფორმაა **არაგვის დაცული ლანდშაფტი**. 2025 წლის ბიუჯეტში არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ხელშეწყობა შეადგენს დაახლოებით **0,7 მლნ ლარს**, ხოლო პროგრამული დანართის მიხედვით – **0,6 მლნ ლარს**. დაცული ლანდშაფტის დანიშნულება არ არის მხოლოდ ბიომრავალფეროვნებისა და ბუნებრივი გარემოს დაცვა; იგი ასევე უკავშირდება რეკრეაციულ, ტურისტულ და ტრადიციულ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობებს ისე, რომ დაცული იყოს ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესები. ეს მიდგომა მწვანე ბიზნესის განვითარების ცენტრალური ელემენტია: დაცული ლანდშაფტის მართვა შეიძლება გახდეს ეკოტურისტული სერვისების, ადგილობრივი გიდების, საოჯახო სასტუმროების, ტრადიციული საკვების, ადგილობრივი ხელნაკეთი პროდუქციისა და ბუნებაზე დაფუძნებული მცირე ბიზნესების განვითარების ინსტრუმენტი.

ინფრასტრუქტურული პროგრამებიც ქმნის მწვანე ბიზნესის წინაპირობებს. პროგრამული დანართით 2025 წელს ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გათვალისწინებულია **6,0 მლნ ლარი**, მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურა – **1,8 მლნ ლარი**, გარე განათება – **1,1 მლნ ლარი**, წყლის სისტემები – **0,6 მლნ ლარი**, კეთილმოწყობის ღონისძიებები – **0,7 მლნ ლარი**, საპროექტო/ზედამხედველობის ხარჯები – **0,9 მლნ ლარი**, ხოლო მონაწილეობითი ბიუჯეტირება – **1,0 მლნ**

ლარი. ეს ხარჯები პირდაპირ ბიზნესსუბსიდიებს არ წარმოადგენს, მაგრამ ქმნის მწვანე ბიზნესის აუცილებელ გარემოს: უსაფრთხო და გამართული გზები ტურისტებისთვის და ადგილობრივი მეწარმეებისთვის, წყლის სისტემები საოჯახო სასტუმროებისა და აგრობიზნესისთვის, გარე განათება უსაფრთხო საჯარო სივრცეებისთვის, კეთილმოწყობა ტურისტული და რეკრეაციული გარემოსთვის, ხოლო საპროექტო ხარჯები – მწვანე სტანდარტების ჩასაშენებლად ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

მწვანე ბიზნესის ხელშეწყობისთვის მნიშვნელოვანი ფინანსური და ინსტიტუციური ინსტრუმენტი შეიძლება გახდეს **მონაწილეობითი ბიუჯეტირება**, რომლის 2025 წლის მოცულობა პროგრამული დანართით დაახლოებით **1,0 მლნ ლარია**. თუ ამ პროგრამის ფარგლებში პროექტების შერჩევის წესებში დაემატება *„მწვანე ქულა“*, მუნიციპალიტეტი შეძლებს მოქალაქეების მიერ წარდგენილი ინიციატივებიდან შეარჩიოს ისეთი პროექტები, რომლებიც ერთდროულად ქმნის ეკონომიკურ და გარემოსდაცვით სარგებელს. მაგალითად, სოფლის ეკოტურისტული ბილიკები, ადგილობრივი ბაზრის მწვანე ინფრასტრუქტურა, წყლის დაზოგვის მცირე სისტემები, ნარჩენების სეპარირების პილოტები ტურისტულ ზონებში, მცირე გამწვანება, ენერგოეფექტიანი განათება ან სოფლის ტურისტული ობიექტების მიმდებარე გარემოს კეთილმოწყობა.

ნარჩენების მართვა მწვანე ბიზნესისთვის როგორც გამოწვევას, ისე შესაძლებლობას წარმოადგენს. 2025 წლის ბიუჯეტში დასუფთავება და გარემოს დაცვა შეადგენს დაახლოებით **2,0 მლნ ლარს**, მათ შორის ნარჩენების გატანა – **1,3 მლნ ლარს**. *ტურისტული და რეკრეაციული აქტივობების ზრდასთან ერთად, ნარჩენების სწორი მართვა აუცილებელი წინაპირობაა დუშეთის ეკოტურისტული იმიჯისთვის*. ამავე დროს, ნარჩენების *სეპარირებული შეგროვება, გადამუშავებადი მასალების გამოყოფა, კომპოსტირების საპილოტე მოდელები და გარემოსდაცვითი ცნობიერების კამპანიები შეიძლება იქცეს მცირე მწვანე ბიზნესების განვითარების საწყისად*. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ფიქსირდება დასუფთავების მოსაკრებელი **0,1 მლნ ლარის** დონეზე, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი კი დაახლოებით **0,8 მლნ ლარია**; ეს შემოსავლები შეიძლება გამოყენებულ იქნას გარემოსდაცვითი სერვისებისა და მწვანე ეკონომიკური ინიციატივების უკეთ დასაკავშირებლად.

უმნიშვნელოვანესია, აგრეთვე, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის საკითხის გააზრება. საქართველოში მწვანე ბიზნესის მხარდაჭერისთვის უკვე არსებობს გარკვეული სახელმწიფო და ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის **Enterprise Georgia-ს მეწარმეობის** ხელშეწყობის პროგრამები, ბიზნეს უნივერსალის/ECO ტიპის სესხები და სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსების პროგრამები[16]. Enterprise Georgia-ს მიზანია მეწარმეობის კულტურის განვითარება და ახალი საწარმოების შექმნა/არსებულის გაფართოება, ხოლო **სოფლის განვითარების სააგენტო** *ახორციელებს აგროდაზღვევის, აგროკრედიტის, ტექნიკის თანადაფინანსების, სათბურების, გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების მხარდაჭერის პროგრამებს*[17]. მოცემული რესურსების/შესაძლებლობების ადგილობრივ დონეზე უკეთ გამოყენება დუშეთის ბიზნესებთან მნიშვნელოვანი წინაპირობაა მწვანე ეკონომიკის განვითარებისთვის.

16 ბიზნეს უნივერსალი, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ https://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/Business-Development/Business-Universal

17 ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ პროგრამები https://rda.gov.ge/programs

გამოწვევები რამდენიმე მიმართულებით იკვეთება:

- *მწვანე ბიზნესის შესახებ ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ნაკლებობა*. მცირე მეწარმეებმა ხშირად არ იციან, როგორ გადაიყვანონ საქმიანობა ენერგოეფექტურ, რესურსდამზოგავ ან ეკომეგობრულ მოდელზე.
- *ფინანსებზე წვდომა*. მცირე ბიზნესს ხშირად უჭირს თანადაფინანსების, სესხის, საგრანტო განაცხადის ან ბიზნესგეგმის მომზადება.
- *ბაზრის შეზღუდულობა და ბრენდინგის სისუსტე*. ადგილობრივი მწვანე პროდუქტი და მომსახურება ხშირად ვერ ფორმდება კონკურენტულ ტურისტულ ან აგრობიზნეს პროდუქტად.
- *სერტიფიცირების, ხარისხის სტანდარტებისა და გარემოსდაცვითი ეტიკეტირების ნაკლებობა*, რაც ამცირებს მომხმარებლის ნდობას.
- *მუნიციპალიტეტის ბიზნესის სტიმულირების პროგრამებში გარემოსდაცვითი მიზნების არასაკმარისი ინტეგრაცია*.

ამ ეტაპზე მთავარი ***გამოწვევაა***, რომ *დუშეთის ბიუჯეტში არ ჩანს მწვანე ბიზნესის მხარდამჭერი ცალკე პროგრამა ან ქვეპროგრამა – მაგალითად, მცირე მწვანე გრანტები, ეკოტურიზმის მეწარმეთა მხარდაჭერა, ენერგოეფექტიანი მცირე ბიზნესის ხელშეწყობა, ადგილობრივი მწვანე პროდუქციის პოპულარიზაცია ან ნარჩენების შემცირების ინიციატივები*. შესაბამისად, ***რეკომენდებულია***, *მომდევნო საბიუჯეტო ციკლში მუნიციპალიტეტმა შექმნას მწვანე ბიზნესის მხარდაჭერის მცირე, მაგრამ მიზნობრივი კომპონენტი*. ეს შეიძლება განხორციელდეს მონაწილეობითი ბიუჯეტირების, სოფლის მხარდაჭერის, ტურიზმის განვითარების ან დაცული ლანდშაფტის პროგრამასთან კავშირში.

რეკომენდებულია, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტმა მწვანე ბიზნესის მხარდაჭერა ჩამოაყალიბოს როგორც პროგრამული ბიუჯეტის გამჭოლი პრიორიტეტი. პირველ ეტაპზე შესაძლებელია ადგილობრივი მწვანე ბიზნესის ***პოტენციალის რუკის მომზადება*** – რომელ სოფლებში და ზონებშია შესაძლებელი აგროტურიზმი, მცირე გადამუშავება, ადგილობრივი პროდუქტის ბაზრობა, ეკოტურისტული სერვისი, კომპოსტირება, ენერგოეფექტური სასტუმროები ან მზის ენერგიის მცირე გამოყენება. მეორე ეტაპზე საჭიროა ***მცირე გრანტების, თანადაფინანსების ან ტექნიკური დახმარების ადგილობრივი მექანიზმის შექმნა***, რომელიც დაეხმარება *მეწარმეებს ბიზნესგეგმის მომზადებაში*, *სახელმწიფო პროგრამებზე განაცხადების შეტანაში* და *მწვანე ტექნოლოგიების დანერგვაში*.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ***ტრენინგებისა და კონსულტაციების სისტემური ორგანიზება***. სამიზნე ჯგუფებად უნდა გამოიყოს საოჯახო სასტუმროები, კვების ობიექტები, ფერმერები, ახალგაზრდები, ქალები, ტურისტული სერვისები და გადამამუშავებელი მცირე საწარმოები. თემები შეიძლება მოიცავდეს ენერგოეფექტურობას, ნარჩენების შემცირებას, წყლის დაზოგვას, ეკომეგობრულ ტურიზმს, ადგილობრივი პროდუქტის შეფუთვასა და ბრენდირებას, ციფრულ მარკეტინგს, საგრანტო განაცხადების მომზადებას და გარემოსდაცვით სტანდარტებს.

მწვანე ბიზნესის ხელშეწყობისთვის სასურველია ბიუჯეტირების პროცესში ***მწვანე ინდიკატორების დამატება***: *დაფინანსებული მწვანე ბიზნეს/თემური ინიციატივების რაოდენობა; ეკოტურისტული მარშრუტების ან სერვისების რაოდენობა; ადგილობრივი მწვანე პროდუქტების გამოფენა-გაყიდვების რაოდენობა; ტურისტულ ზონებში სეპარირებული ნარჩენების პუნქტების რაოდენობა; ენერგოეფექტიანი ტექნოლოგიების გამოყენებით მხარდაჭერილი მცირე ობიექტები; ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის ქალებისა და*

ახალგაზრდების, ჩართულობა მწვანე ბიზნეს აქტივობებში; დაცული ლანდშაფტის მიმდებარე თემებში შექმნილი ან გაძლიერებული ეკოტურისტული სერვისები.

დუშეთის მუნიციპალიტეტს მწვანე ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს, თუმცა ეს პოტენციალი ბიუჯეტში ჯერ არ არის გამოყოფილი ცალკე პროგრამად. არსებული ხარჯები – არაგვის დაცული ლანდშაფტი **0,7 მლნ ლარი**, ნარჩენების მართვა **1,3 მლნ ლარი**, ინფრასტრუქტურის განვითარება **6,0 მლნ ლარი** და მონაწილეობითი ბიუჯეტირება **1,0 მლნ ლარი** – ქმნის ბაზას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მწვანე ბიზნესის ხელშეწყობის უფრო მკაფიო მოდელის შექმნა. მომდევნო ეტაპზე **რეკომენდებულია**, *მწვანე ბიზნესის მხარდაჭერა ჩაიწეროს როგორც გამჭოლი მიმართულება ეკოტურიზმის, აგრარული სექტორის, დაცული ლანდშაფტის, ნარჩენების მართვისა და მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამებში*. ეს დუშეთს **მისცემს შესაძლებლობას**, *ბუნებრივი კაპიტალი არა მხოლოდ დაიცვას, არამედ მდგრადი ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების წყაროდაც აქციოს*.

დუშეთის **მწვანე ბიზნესის ხედვა** უნდა *დაეფუძნოს ადგილობრივი რესურსების მდგრად გამოყენებას, მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებას* და *ეკონომიკური განვითარების გარემოსდაცვით შედეგებთან დაკავშირებას*. **მთავარი შესაძლებლობაა** *ეკოტურიზმის, სოფლის მეურნეობის, აგროტურიზმის, ადგილობრივი პროდუქტისა* და *ბუნებრივი რესურსების ერთიან მწვანე ეკონომიკურ მოდელად გარდაქმნა*. **მთავარი გამოწვევაა** *ფინანსებზე, ცოდნაზე, ბაზრებზე და სტანდარტებზე შეზღუდული წვდომა*. შესაბამისად, ***მუნიციპალიტეტის როლი უნდა იყოს არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის შექმნა, არამედ მწვანე მეწარმეობის ეკოსისტემის განვითარება – ინფორმაციით, კოორდინაციით, მცირე მხარდაჭერის მექანიზმებით, პარტნიორობით და შედეგებზე ორიენტირებული მწვანე ბიუჯეტირებით.***

მწვანე შესყიდვები

მწვანე შესყიდვების გასააზრებლად საჭიროა საქართველოში მდგრადი/მწვანე საჯარო შესყიდვების განვითარების ჩარჩოს, მათ შორის ახალი **„საჯარო შესყიდვების შესახებ“ კანონის**, EU4Environment-ის მხარდაჭერით მომზადებული მდგრადი საჯარო შესყიდვების მიდგომებისა და დუშეთის მწვანე განვითარების კონტექსტის შესწავლა.

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის მწვანე შესყიდვები უნდა განვიხილოთ როგორც მწვანე ბიუჯეტირების პრაქტიკული ინსტრუმენტი, რომლის საშუალებით ბიუჯეტში დაგეგმილი ხარჯი გარდაიქმნება გარემოსდაცვით, რესურსდაზოგვად და კლიმატურად მედეგ შედეგებად. *მწვანე შესყიდვების მიზანია, მუნიციპალიტეტმა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შეძენისას გაითვალისწინოს* **არა მხოლოდ საწყისი ფასი**, *არამედ პროდუქტის ან ინფრასტრუქტურის სიცოცხლის ციკლის ღირებულება, ენერგიისა და წყლის მოხმარება, მასალების გამძლეობა, ნარჩენების წარმოქმნა, ტექნიკური მომსახურების ხარჯი და გარემოზე ზემოქმედება.*

ეროვნულ დონეზე მწვანე შესყიდვების მნიშვნელობა იზრდება საჯარო შესყიდვების რეფორმის, ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და მდგრადი საჯარო შესყიდვების პრაქტიკის განვითარების ფონზე. ეს ქმნის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტებისთვის, მათ შორის დუშეთისთვის, რომ ტენდერებში ეტაპობრივად გამოიყენონ გარემოსდაცვითი ტექნიკური სპეციფიკაციები, ენერგოეფექტიანობის მოთხოვნები, ხარისხისა და გამძლეობის კრიტერიუმები, ნარჩენების შემცირების პირობები და სიცოცხლის ციკლის ღირებულების მიდგომა. დუშეთისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში მსხვილი ნაწილი უკავშირდება ინფრასტრუქტურას, განათებას, წყალს, დასუფთავებას, ნარჩენების გატანას, კეთილმოწყობასა და დაცული ლანდშაფტის მართვას.

გარდა ამისა, მწვანე შესყიდვა ***ასტიმულირებს მწვანე ბიზნესის განვითარებას***. როდესაც მუნიციპალიტეტი შესყიდვებში ითხოვს უფრო ენერგოეფექტურ, გარემოსდაცვითად უსაფრთხო ან რესურსდამზოგავ პროდუქტებსა და მომსახურებას, ის ბაზარს აძლევს სიგნალს, რომ მწვანე სტანდარტები მოთხოვნადი ხდება. ეს ხელს შეუწყობს ადგილობრივ და რეგიონულ ბიზნესს, ეტაპობრივად გააუმჯობესოს პროდუქტი, მომსახურება და ტექნოლოგიები. ამგვარად, მწვანე შესყიდვები შეიძლება გახდეს არა მხოლოდ გარემოსდაცვითი, არამედ ეკონომიკური განვითარების ინსტრუმენტიც – განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისთვის, რომელიც მუშაობს სამშენებლო, ტურისტული, დასუფთავების, ენერგეტიკული, აგრო და მომსახურების მიმართულებით.

დუშეთის ბიუჯეტში მწვანე შესყიდვების ყველაზე რეალისტური საწყისი მიმართულებაა **გარე განათება**. 2025 წლის პროგრამული დანართით გარე განათების მიმართულება შეადგენს დაახლოებით **1,1 მლნ ლარს**. *ამ პროგრამაში მწვანე შესყიდვების გამოყენება ნიშნავს, რომ*

ახალი სანათების, ბოძების, სადენების, ფოტორელეების და მომსახურების შესყიდვისას ტექნიკურ მოთხოვნებში ჩაიწეროს LED ტექნოლოგია, ენერგიის დაბალი მოხმარება, ხანგრძლივი ექსპლუატაციის ვადა, გარანტია, ავტომატური მართვის შესაძლებლობა და ელექტროენერგიის მოხმარების მონიტორინგი. ასეთ შემთხვევაში შესყიდვა მხოლოდ განათების ქსელის გაფართოებას კი არ უზრუნველყოფს, არამედ *ამცირებს ენერგომოხმარებას და მომავალ საოპერაციო ხარჯებს*.

მეორე მნიშვნელოვანი მიმართულებაა **წყლის სისტემები**, რომლის 2025 წლის მოცულობა პროგრამული დანართით დაახლოებით **0,6 მლნ ლარია**. წყლის ინფრასტრუქტურის შესყიდვებში მწვანე კრიტერიუმები უნდა მოიცავდეს *გამძლე მილებსა და მასალებს, წყლის დანაკარგების შემცირების ტექნოლოგიებს, ენერგოეფექტიან ტუმბოებს, ავარიების სწრაფი გამოვლენის შესაძლებლობას, წყლის ხარისხის კონტროლის ელემენტებს და ისეთი პროექტირების მოთხოვნებს, რომლებიც ამცირებს განმეორებითი შეკეთების საჭიროებას*. დუშეთის რთული რელიეფისა და მრავალსოფლიანი სტრუქტურის პირობებში ასეთი მიდგომა ზრდის როგორც *კლიმატურ მედეგობას, ისე ბიუჯეტის ეკონომიურობას*.

მწვანე შესყიდვების მესამე მიმართულებაა **დასუფთავება და ნარჩენების მართვა.** 2025 წლის ბიუჯეტით დასუფთავება და გარემოს დაცვა შეადგენს **2,0 მლნ ლარს**, ხოლო ნარჩენების გატანა – **1,3 მლნ ლარს**. ამ მიმართულებით მწვანე შესყიდვები შეიძლება მოიცავდეს *საწვავის დაბალი მოხმარების ან ტექნიკურად უფრო ეფექტიანი ნაგავმზიდების შეძენას/მომსახურებას, გამძლე კონტეინერებს, სეპარირებული შეგროვების პილოტურ ინფრასტრუქტურას, ნარჩენების მოცულობის აღრიცხვის სისტემას, დასუფთავების მომსახურების ხარისხის სტანდარტებს და კონტრაქტებში შედეგობრივი მაჩვენებლების ჩადებას*. მაგალითად, *კონტრაქტის პირობებში შეიძლება განისაზღვროს მომსახურებით დაფარული დასახლებები, გატანის სიხშირე, კონტეინერების მოვლა, სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირება და სეპარირებული შეგროვების საცდელი პუნქტების რაოდენობა*.

მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია **02 08 – საპროექტო, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები**, რომლის 2025 წლის მოცულობა დაახლოებით **0,9 მლნ ლარია**. მწვანე შესყიდვების ***რეალური ეფექტი ხშირად სწორედ საპროექტო ეტაპზე ყალიბდება***. *თუ ტექნიკურ დავალებაში თავიდანვე ჩაიწერება ენერგოეფექტიანობა, წყლის მართვა, კლიმატური რისკების შეფასება, მასალების გამძლეობა, სანიაღვრე სისტემები, ფერდობების მდგრადობა, ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტები და სიცოცხლის ციკლის ღირებულება, შემდგომი სამშენებლო შესყიდვები გაცილებით უფრო მწვანე და შედეგზე ორიენტირებული გახდება*. ამიტომ დუშეთისთვის საპროექტო და ექსპერტიზის ხარჯები უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ ტექნიკურ მომსახურებად, არამედ ***მწვანე სტანდარტების ჩაშენების საკვანძო მექანიზმად***.

დუშეთისთვის მწვანე შესყიდვების პოტენციალი ასევე უკავშირდება **კეთილმოწყობას, მონაწილეობით ბიუჯეტირებას და არაგვის დაცული ლანდშაფტის მართვას**. კეთილმოწყობის პროექტებში შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამტარი საფარები, ადგილობრივი და გვალვაგამძლე მცენარეები, ენერგოეფექტიანი განათება, წყლის დაზოგვის სარწყავი სისტემები და გადამუშავებადი ან დაბალი ზემოქმედების მასალები. მონაწილეობითი ბიუჯეტირების **1,0 მლნ ლარის** ფარგლებში შესაძლებელია პროექტების შერჩევისას „მწვანე ქულის“ დამატება. არაგვის დაცული ლანდშაფტის **0,7 მლნ ლარის** მიმართულებით კი შესყიდვები *უნდა ითვალისწინებდეს ეკოსისტემებზე დაბალი ზემოქმედების მქონე მომსახურებებს, ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის გარემოსდაცვით სტანდარტებს და ადგილობრივი თემების ჩართულობას*.

მთავარი გამოწვევაა მწვანე შესყიდვების *ცოდნის*, *კრიტერიუმების*, *მონაცემებისა და ბაზრის მზაობის არასაკმარისი დონე*, უფრო კონკრეტულად კი:

- დუშეთის ბიუჯეტში *მწვანე შესყიდვები ცალკე პოლიტიკად ან ქვეპროგრამად არ ჩანს*. პროგრამებში ჩანს ხარჯის მოცულობა, მაგრამ ნაკლებად ჩანს ენერგიის, წყლის, ნარჩენების ან ემისიების შემცირების ინდიკატორები.
- შესყიდვების დოკუმენტაციაში ჯერ *სისტემურად არ გამოიყენება სიცოცხლის ციკლის ღირებულება*.ინფრასტრუქტურული შესყიდვები ხშირად შეიძლება შეფასდეს მხოლოდ საწყისი ფასით და არა გრძელვადიანი ეკონომიურობით.
- *მწვანე შესყიდვების შესახებ ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების ნაკლებობა ადგილობრივ დონეზე*. შემსყიდველ პირებს ხშირად არ აქვთ მზა ტექნიკური კრიტერიუმები, ბაზრის ანალიზის პრაქტიკა და სიცოცხლის ციკლის ღირებულების შეფასების გამოცდილება. მუნიციპალიტეტს სჭირდება ტექნიკური ცოდნის გაძლიერება მწვანე სპეციფიკაციების შესადგენად.
- *ბაზრის მზაობა*. ყველა კატეგორიაში ადგილობრივ მიმწოდებლებს ჯერ არ აქვთ ეკომეგობრული პროდუქტი, სერტიფიკატები ან შესაბამისი დოკუმენტაცია.
- *ფასზე ზედმეტი ორიენტაცია*. თუ შესყიდვის შეფასება მხოლოდ ყველაზე დაბალ ფასს ეფუძნება, ენერგოეფექტური ან გამძლე გადაწყვეტები შეიძლება კონკურენციაში დამარცხდეს, მიუხედავად იმისა, რომ გრძელვადიან პერიოდში უფრო იაფი და გარემოსდაცვითად უკეთესია.
- *მონაცემების ნაკლებობა*. მუნიციპალიტეტს უნდა შეეძლოს აჩვენოს, რამდენი შესყიდვა შეიცავდა მწვანე კრიტერიუმს და რა გარემოსდაცვითი შედეგი მიიღო.
- ადგილობრივ ბაზარზე მწვანე პროდუქტებისა და მომსახურებების მიწოდება შეიძლება შეზღუდული იყოს, განსაკუთრებით რთულ/მაღალმთიან მუნიციპალიტეტში.
- შესყიდვების გეგმაში არ ჩანს მწვანე კატეგორიების წილი მთლიან შესყიდვებში.

რეკომენდაციები

- დუშეთის მუნიციპალიტეტმა წლიურ **შესყიდვების გეგმაში დაამატოს მწვანე შესყიდვების მარკირება**.
- პრიორიტეტულად შეირჩეს 4 საწყისი კატეგორია: გარე განათება, წყლის ინფრასტრუქტურა, ნარჩენების მართვა და კეთილმოწყობა.
- **ტექნიკურ დავალებებში ჩაიწეროს** ენერგოეფექტიანობის, წყლის დაზოგვის, გამძლე მასალების, დაბალი ზემოქმედების და მომსახურების ხარისხის **მწვანე კრიტერიუმები**.
- **საპროექტო და ექსპერტიზის შესყიდვებში სავალდებულოდ დაემატოს კლიმატური რისკების შეფასება და მწვანე გადაწყვეტების განხილვა**.
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტებს დაემატოს **„მწვანე ქულა“**.
- **შესყიდვების მონიტორინგში დაემატოს ინდიკატორები**: LED სანათების წილი, დაზოგილი ელექტროენერგია, წყლის დანაკარგების შემცირება, სეპარირებული ნარჩენების პუნქტები, გამწვანებული ფართობი და კლიმატურად მედეგი ინფრასტრუქტურის წილი.
- მუნიციპალიტეტის **თანამშრომლებისთვის ჩატარდეს ტრენინგი მწვანე შესყიდვების ტექნიკური სპეციფიკაციების მომზადებაზე**.

- დაიწყოს **საპილოტე მწვანე შესყიდვები** მცირე რისკის მქონე კატეგორიებით, მაგალითად LED სანათები, ენერგოეფექტიანი მოწყობილობები, კონტეინერები, გამწვანების მასალები და დაბალი ზემოქმედების კეთილმოწყობის სამუშაოები.
- **ადგილობრივი ბაზრის წინასწარი კონსულტაცია და მომწოდებლების ინფორმირება**. მუნიციპალიტეტმა შეიძლება წინასწარ აცნობოს ბიზნესს, რომ ეტაპობრივად გაიზრდება მოთხოვნა ენერგოეფექტურ, ეკომეგობრულ და რესურსდამზოგავ პროდუქტებზე. ეს შეამცირებს კონკურენციის შეზღუდვის რისკს და დაეხმარება მცირე ბიზნესს მოემზადოს ახალი მოთხოვნებისთვის. ასევე საჭიროა **შესყიდვის სპეციალისტების გადამზადება** მწვანე ტექნიკური სპეციფიკაციების, შეფასების კრიტერიუმებისა და ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის მიმართულებით.
- მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით სასურველია **კონკრეტული ინდიკატორების დანერგვა**: მწვანე კრიტერიუმებით გამოცხადებული ტენდერების რაოდენობა და წილი, ენერგოეფექტური ტექნიკისა და განათების შესყიდვების ღირებულება, სეპარირების ინფრასტრუქტურის შესყიდვები, ეკომეგობრული საწმენდი საშუალებების გამოყენება, სიცოცხლის ციკლის ღირებულებით შეფასებული შესყიდვების რაოდენობა, ასევე მიღწეული სავარაუდო ეკონომია ელექტროენერგიაში, წყალში ან მოვლა-პატრონობის ხარჯებში.

დუშეთის მუნიციპალიტეტის **მწვანე შესყიდვების ხედვა** უნდა ეფუძნებოდეს პრინციპს: *„ყოველი მნიშვნელოვანი შესყიდვა უნდა ქმნიდეს არა მხოლოდ მომსახურებას ან ინფრასტრუქტურას, არამედ გარემოსდაცვით და კლიმატურ სარგებელსაც.“* მუნიციპალიტეტმა ეტაპობრივად უნდა ჩამოაყალიბოს ისეთი შესყიდვების სისტემა, სადაც *გარე განათება ენერგოეფექტიანია, წყლის სისტემები ამცირებს დანაკარგებს, გზები და სანიაღვრე ინფრასტრუქტურა კლიმატურად მედეგია, ნარჩენების მართვა ხელს უწყობს სუფთა გარემოს და სეპარირების განვითარებას, კეთილმოწყობა ქმნის მწვანე და თბური ტალღებისგან დამცავ საჯარო სივრცეებს, ხოლო დაცული ლანდშაფტის მომსახურებები ეფუძნება ეკოსისტემებზე დაბალი ზემოქმედების პრინციპს.*

დუშეთის მწვანე შესყიდვების ხედვა უნდა დაეფუძნოს ეტაპობრივ, რეალისტურ და ბაზართან შეთანხმებულ მიდგომას. შესაბამისად, **მწვანე შესყიდვების მიზანი** არ უნდა იყოს მხოლოდ „ეკოლოგიური პროდუქტის“ შეძენა. მისი მიზანი *უნდა იყოს ბიუჯეტის გრძელვადიანი ეკონომიურობა, ინფრასტრუქტურის გამძლეობა, ენერგიისა და წყლის დაზოგვა, ნარჩენების შემცირება, ადგილობრივი გარემოს დაცვა და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება*. ამ მიდგომით მწვანე შესყიდვები გახდება დუშეთის მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი პრაქტიკული საფუძველი და ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის გადასვლას ხარჯზე ორიენტირებული მოდელიდან შედეგზე, მედეგობაზე და ბუნებრივი რესურსების დაცვაზე ორიენტირებულ მართვაზე.

დარგობრივი პრიორიტეტები

სოფლის მეურნეობა

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის სოფლის მეურნეობა მწვანე ბიუჯეტირების მნიშვნელოვანი მიმართულებაა, მიუხედავად იმისა, რომ 2025 წლის ბიუჯეტში იგი ცალკე საბიუჯეტო პრიორიტეტად ან დამოუკიდებელ პროგრამად არ არის გამოყოფილი. დუშეთის ტერიტორიული და ბუნებრივი სპეციფიკა – მაღალმთიანი რელიეფი, მრავალსოფლიანი სტრუქტურა, საძოვრები, წყლის რესურსები, ტურისტული მარშრუტები და დაცული ლანდშაფტი – ქმნის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ისეთ მოდელს, რომელიც უნდა დაეფუძნოს ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას, კლიმატთან ადაპტაციას, წყლის ეფექტიან მართვას, ნიადაგის დაცვას და ადგილობრივი პროდუქციის ეკონომიკური ღირებულების ზრდას.

ეროვნულ კონტექსტში დუშეთის სოფლის მეურნეობის მწვანე ბიუჯეტირება უნდა დაუკავშირდეს საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021–2027 წლების სტრატეგიას. აღნიშნული სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა კონკურენტუნარიანი სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო-სამეურნეო სექტორების განვითარება, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ეკოსისტემების შენარჩუნება და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაცია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დუშეთისთვის, რადგან სოფლის მეურნეობა აქ არა მხოლოდ ეკონომიკური საქმიანობაა, არამედ მთის თემების ცხოვრების, ადგილობრივი დასაქმების, სურსათის ხელმისაწვდომობის, ტრადიციული მეურნეობისა და კულტურული ლანდშაფტის შენარჩუნების ნაწილი.

დუშეთის 2025 წლის ბიუჯეტში სოფლის მეურნეობასთან ყველაზე ახლოს მდგომი ფინანსური მიმართულებაა **02 03 03 – სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია**, რომლისთვისაც გათვალისწინებულია დაახლოებით **0,3 მლნ ლარი**. ეს ხარჯი პირდაპირ უკავშირდება სოფლის მეურნეობის კლიმატურ მედეგობას, რადგან სარწყავი და სანიაღვრე ინფრასტრუქტურა ამცირებს წყალდიდობის, ნიადაგის ეროზიის, ნაპირების წარეცხვისა და სასოფლო-სამეურნეო მიწების დაზიანების რისკს. ***მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით*** ეს მიმართულება შეიძლება შეფასდეს როგორც კლიმატთან ადაპტაციის ხარჯი, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ პროექტები ეფუძნება რისკების რუკებს, წყლის რესურსების მდგრად მართვას და მაღალი რისკის სოფლების პრიორიტეტიზაციას.

სოფლის მეურნეობისთვის ასევე მნიშვნელოვანია **წყლის სისტემების განვითარება**, რომლის 2025 წლის ბიუჯეტური მოცულობა შეადგენს დაახლოებით **1,2 მლნ ლარს**. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის მთავარი მიზანია სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, სოფლის დასახლებებში წყლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ირიბად აძლიერებს სოფლის მეურნეობასაც – ამცირებს მოსახლეობის მოწყვლადობას, აუმჯობესებს

საცხოვრებელ პირობებს, ხელს უწყობს მცირე საოჯახო მეურნეობებს და ამცირებს კლიმატური შოკების სოციალურ ზემოქმედებას. ამ მიმართულებით ***მწვანე ბიუჯეტირებისათვის*** *საჭიროა, წყლის სისტემებში დაემატოს რესურსდაზოგვის ინდიკატორები: წყლის დანაკარგების შემცირება, რეაბილიტირებული ქსელის სიგრძე, ავარიებზე რეაგირების დრო და უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა*.

დუშეთის სამოქმედო გეგმაში სოფლის მეურნეობის ეკონომიკურ მხარეს უკავშირდება **აგრარული ბაზრის მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიება**, რომლის ჯამური ღირებულება დაახლოებით **0,6 მლნ ლარია**, მათ შორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან – **0,2 მლნ**, ხოლო სხვა წყაროებიდან – **0,4 მლნ ლარი**. ეს ღონისძიება ***მწვანე ბიუჯეტირების კუთხით*** *მნიშვნელოვანია, თუ იგი ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციას, მცირე ფერმერების ბაზარზე წვდომას, მოკლე მიწოდების ჯაჭვებს, ადგილობრივი აგროპროდუქტების პოპულარიზაციას და ნარჩენების მართვის უკეთეს პრაქტიკას ბაზრის ტერიტორიაზე*. აგრარული ბაზარი შეიძლება გახდეს არა მხოლოდ სავაჭრო ინფრასტრუქტურა, არამედ ადგილობრივი მწვანე ეკონომიკის პლატფორმა, სადაც მუნიციპალიტეტი წაახალისებს ადგილობრივ, ეკოლოგიურად უფრო პასუხისმგებლიან და სეზონურ პროდუქციას.

ამ ეტაპზე დუშეთის ბიუჯეტში **სოფლის მეურნეობის მწვანე მხარდაჭერა** *უფრო ირიბად არის წარმოდგენილი, ვიდრე პირდაპირ. არ ჩანს ცალკე ქვეპროგრამა, რომელიც მიზნად დაისახავდა კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის, ორგანული წარმოების, საძოვრების მდგრადი მართვის, ნიადაგის დაცვის, წყლის დაზოგვის, მცირე ფერმერების მწვანე ტექნოლოგიებზე წვდომის ან აგროტურიზმის მხარდაჭერას*. თუმცა მუნიციპალიტეტის არსებული პროგრამები – ***წყლის სისტემები, სანიაღვრე ინფრასტრუქტურა, აგრარული ბაზარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა, მონაწილეობითი ბიუჯეტირება, დაცული ლანდშაფტი და ტურიზმის პოტენციალი – ქმნის საფუძველს, რომ სოფლის მეურნეობა ეტაპობრივად ჩაერთოს მწვანე ბიუჯეტირების სისტემაში***.

გამოწვევები

- სოფლის მეურნეობა 2025 წლის ბიუჯეტში ცალკე მწვანე ან ეკონომიკურ-გარემოსდაცვით პროგრამად არ ჩანს.
- სარწყავი, სანიაღვრე და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურის ხარჯები მცირეა და საჭიროებს რისკებზე დაფუძნებულ პრიორიტეტიზაციას.
- არ ჩანს ფერმერებზე, საძოვრებზე, ნიადაგის დაცვაზე, კლიმატგონივრულ ტექნოლოგიებზე ან ორგანულ წარმოებაზე ორიენტირებული მუნიციპალური მექანიზმი.
- აგრარული ბაზრის ღონისძიება ეკონომიკურად მნიშვნელოვანია, მაგრამ საჭიროა მისი გარემოსდაცვითი სტანდარტების გამოკვეთა.
- სოფლის მხარდაჭერისა და მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროექტებში მწვანე სასოფლო-სამეურნეო კრიტერიუმები ჯერ მკაფიოდ არ ჩანს.
- არ არის განსაზღვრული ინდიკატორები, რომლებიც გაზომავდა სოფლის მეურნეობის კლიმატურ მედეგობას, წყლის დაზოგვას, ნიადაგის დაცვას ან ადგილობრივი მწვანე პროდუქციის განვითარებას.

ამასთან, **სტრატეგიული გამოწვევები** საკმაოდ მკაფიოა, ეროვნული სტრატეგია სოფლის განვითარების სუსტ მხარეებად ასახელებს:

- *დაბალ პროდუქტიულობას;*
- *სოფლის ეკონომიკის სუსტ დივერსიფიკაციას;*
- *ფინანსებზე შეზღუდულ ხელმისაწვდომობას;*
- *არასაკმარის პროფესიულ ცოდნას;*
- *ტურისტული და საბაზისო ინფრასტრუქტურის სისუსტეს;*
- *სასმელ წყალზე და კანალიზაციაზე არასაკმარის ხელმისაწვდომობას;*
- *სოფლის მოსახლეობის ჩართულობის მექანიზმების სისუსტეს*.

ეს გამოწვევები პირდაპირ უკავშირდება დუშეთის მწვანე ბიუჯეტირების დღის წესრიგსაც. ადგილობრივი ბიუჯეტი აუცილებელია ფოკუსირდეს კლიმატისადმი მდგრად, ენერგოეფექტურ და ეკოლოგიურად გამართულ პროექტებზე, სოფლის განვითარების მწვანე პოტენციალის სრულად რეალიზებისთვის.

სოფლის მეურნეობის დარგისთვის გარემოსდაცვითი კონტექსტის გასაძლიერებლად შესაძლოა გამოიყოს შემდეგი **რეკომენდაციები:**

- **სოფლის მეურნეობა მოინიშნოს როგორც მწვანე ბიუჯეტირების გამჭოლი მიმართულება** წყლის, სანიაღვრე ინფრასტრუქტურის, სოფლის მხარდაჭერისა და ეკონომიკური განვითარების პროგრამებში.
- **სარწყავი და სანიაღვრე პროექტები დაკლასიფიცირდეს როგორც კლიმატთან ადაპტაციის ხარჯი**, თუ ისინი ამცირებს წყალდიდობის, ეროზიის ან სასოფლო-სამეურნეო მიწების დაზიანების რისკს.
- **აგრარული ბაზრის პროექტში ჩაიდოს მწვანე კრიტერიუმები**: ნარჩენების მართვა, წყლისა და ენერგიის დაზოგვა, ადგილობრივი პროდუქციის ხელშეწყობა და მცირე ფერმერების ხელმისაწვდომობა.
- **მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში დაემატოს „მწვანე სოფლის მეურნეობის ქულა“** ისეთი პროექტებისთვის, რომლებიც ეხება წყლის დაზოგვას, კომპოსტირებას, საძოვრების მოვლას, მცირე სარწყავ სისტემებს ან აგრო-ეკოტურიზმს.
- **დაინერგოს ინდიკატორები:** რეაბილიტირებული სარწყავი/სანიაღვრე არხების სიგრძე, დაცული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, ადგილობრივი ფერმერების რაოდენობა, აგრარული ბაზრით მოსარგებლე მწარმოებლები, სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მწვანე პროექტების რაოდენობა.უნდა გაიზომოს, რამდენმა სოფელმა მიიღო უკეთესი ეკოლოგიური ინფრასტრუქტურა, რამდენმა ფერმერმა დანერგა კლიმატგონივრული პრაქტიკა, რამდენი მწვანე სამუშაო ადგილი შეიქმნა და რამდენად შემცირდა გარემოზე ზეწოლა.
- **დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან კოორდინაციით შემუშავდეს საძოვრების, ტრადიციული მეურნეობისა და ეკოტურიზმის მდგრადი გამოყენების მიდგომები**.
- **მუნიციპალიტეტმა ფერმერებს მიაწოდოს ინფორმაცია ეროვნული პროგრამების შესახებ** – შეღავათიანი აგროკრედიტი, სოფლის განვითარების პროგრამები, კლიმატგონივრული და რესურსდაზოგვადი პრაქტიკები.

- მუნიციპალიტეტმა უნდა გააძლიეროს ***კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა***: მცირე ფერმერებისთვის წყლის ეფექტიანი გამოყენება, ნიადაგის დაცვა, ორგანული/დაბალი ქიმიური დატვირთვის წარმოება, ენერგოეფექტური სათბურები და მცირე გადამუშავების მხარდაჭერა, დაფინანსებისა და დაზღვევის მექანიზმების დახვეწა და მათზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.
- სოფლის ტურიზმისა და აგროტურიზმის პროექტებში პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ***ეკოტურისტულ ბილიკებს, ნარჩენების მართვას, ადგილობრივი პროდუქტის ბრენდირებას და მცირე საოჯახო ბიზნესების ენერგოეფექტურობას***.
- LAG/LEADER მიდგომა უნდა იქცეს ბიუჯეტირების პრაქტიკულ ინსტრუმენტად, რადგან ეროვნული სტრატეგიაც ხაზს უსვამს ***ადგილობრივი მოსახლეობის „ქვემოდან ზემოთ“ ჩართულობის*** მნიშვნელობას სოფლის განვითარების პოლიტიკაში.
- უნდა ***გაძლიერდეს სახელმწიფო ინსტიტუციებთან*** (სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების აღმასრულებელ /სერვისების მიმწოდებელ სააგენტოებთან, მაგ.: „სოფლის განვითარების სააგენტო“) ***კოორდინაცია***, საჭირო სამეცნიერო-კვლევითი, ლაბორატორიული შესაძლებლობების, დაფინანსებისა თუ სხვა მიზნობრივი მხარდაჭერის მექანიზმების/ სერვისების აქტიურად დასანერგად დუშეთის მუნიციპალიტეტში. კვლავაც აქტუალურია:

✓ ფერმერთათვის ეფექტიანი საექსტენციო მომსახურების მიწოდება;

✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება;

✓ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების დანადგარებით აღჭურვა;

✓ თანამედროვე ხეხილის ბაღების გაშენების ხელშეწყობა;

✓ ქართული ჩაის წარმოების ხელშეწყობა;

✓ ფერმერებისთვის მოსავლის ამღები ტექნიკის შეძენის თანადაფინანსება;

✓ ხარისხის სქემების განვითარება ეროვნულ და რეგიონულ დონეზე და მათში მუნიციპალიტეტის აქტიური ჩართვა;

✓ საერთაშორისო სტანდარტების დანერგვისა და პროდუქციის პოპულარიზაცია;

✓ ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის მხარდაჭერა/ღონისძიებების გატარება;

✓ ინდუსტრიების მიმართულებით კრედიტის/ლიზინგის თანადაფინანსება;

✓ მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება

✓ დაცული ტერიტორიების საჭირო ინფრასტრუქტურით აღჭურვა/არსებულის გაუმჯობესება;

✓ ენერგოეფექტური და განახლებადი ენერგიის ტექნოლოგიების და პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა;

✓ ფაუნის ადგილობრივ სახეობებსა და პოპულაციებზე კვლევების ჩატარება;

✓ მავნე მწერების წინააღმდეგ მცენარეთა დამუშავება.

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის სოფლის მეურნეობის სასურველი ხედვა მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში უნდა ეფუძნებოდეს პრინციპს: „მთის სოფლის მეურნეობა უნდა იყოს კლიმატურად მედეგი, ბუნებრივ რესურსებზე მზრუნველი და ადგილობრივი ეკონომიკის გამაძლიერებელი.“ ეს ნიშნავს, რომ დუშეთის სოფლის მეურნეობა უნდა განვითარდეს ისე, რომ არ დააზიანოს წყლის რესურსები, საძოვრები, ნიადაგი და დაცული ლანდშაფტი; ამავდროულად, უნდა შექმნას შემოსავლის წყარო ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

სასურველია, დუშეთმა ჩამოაყალიბოს მწვანე სოფლის მეურნეობის ადგილობრივი მოდელი, სადაც სარწყავი და სანიაღვრე ინფრასტრუქტურა ამცირებს კლიმატურ რისკებს, აგრარული ბაზარი აძლიერებს ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციას, სოფლის მხარდაჭერის პროგრამა აფინანსებს მცირე მწვანე ინიციატივებს, ხოლო მონაწილეობითი ბიუჯეტირება მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, თავად წარადგინონ წყლის, საძოვრების, ნარჩენების, აგროტურიზმისა და ადგილობრივი პროდუქციის მხარდაჭერის პროექტები. ასეთ შემთხვევაში სოფლის მეურნეობა დუშეთის მწვანე ბიუჯეტში აღარ იქნება მხოლოდ ირიბი მიმართულება და გადაიქცევა მდგრადი ადგილობრივი განვითარების ერთ-ერთ მთავარ საყრდენად.

ენერგეტიკის სექტორი

დუშეთის მწვანე განვითარების დღის წესრიგში ენერგეტიკა არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ელექტროენერგიის მიწოდების ან ინფრასტრუქტურის ტექნიკურ საკითხად. ის უნდა გახდეს **ადგილობრივი განვითარების ჰორიზონტალური მიმართულება.**

დუშეთს აქვს **განახლებადი ენერგიის გამოყენების პრაქტიკული შესაძლებლობები და საჭიროებები**, განსაკუთრებით *მზის ენერგიის* მიმართულებით. მუნიციპალიტეტის მასშტაბით მზის პანელების გამოყენება შესაძლებელია საჯარო შენობებზე, საბავშვო ბაღებში, წყლის სატუმბ სადგურებზე, გარე განათების სისტემებში და მცირე ტურისტულ ან აგროობიექტებში. ეს არ ნიშნავს მასშტაბური ენერგეტიკული პროექტების აუცილებლობას; ადგილობრივი მწვანე განვითარებისათვის უფრო რეალისტური და ეფექტიანია მცირე და საშუალო ზომის განაწილებული ენერგეტიკული გადაწყვეტილებები, რომლებიც ამცირებს მუნიციპალურ ხარჯებს, ზრდის ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და ქმნის ადგილობრივ მწვანე გამოცდილებას. მნიშვნელოვანი მიმართულებაა აგრეთვე *მიკრო და მცირე ჰიდრო ჰესების* მშენებლობების სტიმულირება, რადგან მათი გარემოზე ზემოქმედება, სწორი პროექტირების შემთხვევაში უმეტესწილად არაარსებითია, იაფი ენერგიის გენერაციის წყაროა და განახლებადი ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების ათვისების საშუალებას იძლევა. მნიშვნელოვანი მიმართულებაა ასევე *ქარის ენერგეტიკის* ათვისებაც, რაც მინიმალური მოცულობის მიწის გამოყენებას მოითხოვს და მწვანე ენერგიის გენერაციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყაროა. ბიზნეს სექტორისთვის ხელმისაწვდომია ამ კუთხით დაფინანსების მიღება „აწარმოე საქართველოს“ პროგრამის გამოყენებითაც.

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის ენერგეტიკის სექტორი მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, თუმცა არაერთი გამოწვევაა, რასაც სჭირდება სათანადო გააზრება. 2025 წლის ბიუჯეტსა და პროგრამულ დანართში ენერგეტიკა ცალკე საბიუჯეტო პრიორიტეტად არ ჩანს, თუმცა ენერგიის მოხმარებასა და ენერგოეფექტიანობასთან დაკავშირებული ხარჯები იკვეთება გარე განათების, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის, წყლის სისტემების, შენობების რეაბილიტაციის, კეთილმოწყობისა და საპროექტო-ზედამხედველობის მიმართულებებში. შესაბამისად, ***დუშეთის მწვანე ბიუჯეტირებისათვის ენერგეტიკის სექტორი უნდა განიხილებოდეს როგორც გამჭოლი თემა****, რომელიც უკავშირდება კლიმატის შერბილებას, მუნიციპალური მომსახურებების ხარჯთეფექტიანობას, ენერგიის დაზოგვას და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის მდგრადობას*.

ეროვნულ დონეზე დუშეთის ენერგეტიკული მიმართულება უნდა დაუკავშირდეს რამდენიმე ძირითად სტრატეგიულ ჩარჩოს. პირველ რიგში, მნიშვნელოვანია **საქართველოს NDC 3.0**, რომლის მიხედვითაც ქვეყანა მიზნად ისახავს სათბურის აირების წმინდა ემისიების

შემცირებას 1990 წლის დონესთან შედარებით – 2030 წლისთვის 47%-ით, ხოლო 2035 წლისთვის 50%-ით. ეს სამიზნეები ადგილობრივ დონეზე გულისხმობს ისეთი ღონისძიებების მხარდაჭერას, რომლებიც *ამცირებს ენერგიის არაეფექტიან მოხმარებას, ზრდის ენერგოეფექტიანობას და ამცირებს სათბურის აირების ემისიებს*. *დუშეთისთვის ეს განსაკუთრებით რელევანტურია გარე განათების, მუნიციპალური შენობების, წყლის სისტემების, ინფრასტრუქტურისა და საჯარო მომსახურებების მიმართულებით.*

ამასთან, დუშეთის ენერგეტიკული მიმართულება პირდაპირ უნდა დაუკავშირდეს **საქართველოს კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიასა და 2024–2025 წლების სამოქმედო გეგმას**, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის კლიმატური ვალდებულებების განხორციელების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტს და მოიცავს სათბურის აირების შემცირების ღონისძიებებს ენერგიის გენერაციისა და გადაცემის, ტრანსპორტის, შენობების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ნარჩენებისა და სხვა სექტორებში. *მუნიციპალიტეტის დონეზე ეს ნიშნავს, რომ ენერგოეფექტიანი გარე განათება, მუნიციპალური შენობების ენერგოდაზოგვითი რეაბილიტაცია, წყლის სისტემებში ენერგოეფექტიანი ტუმბოების გამოყენება და ინფრასტრუქტურულ პროექტებში ენერგომოხმარების შემცირების კრიტერიუმების ჩაშენება უნდა განიხილებოდეს როგორც ეროვნული კლიმატური პოლიტიკის ადგილობრივი განხორციელების ნაწილი.*

ეროვნული კონტექსტისთვის ასევე მნიშვნელოვანია **საქართველოს ინტეგრირებული ეროვნული ენერგეტიკისა და კლიმატის გეგმა – NECP**, რომელიც აერთიანებს ენერგეტიკული უსაფრთხოების, ენერგოეფექტიანობის, განახლებადი ენერგიის, დეკარბონიზაციისა და კლიმატის პოლიტიკის მიმართულებებს 2030 წლამდე. NECP-ის ფარგლებში საქართველოს მიზნებს შორისაა განახლებადი ენერგიის წილის გაზრდა საბოლოო ენერგომოხმარებაში და ენერგეტიკულ სექტორში ემისიების შემცირების ხელშეწყობა. შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალური ბიუჯეტის ენერგეტიკული კომპონენტები – განსაკუთრებით გარე განათება, მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია, წყლის სისტემების ენერგომოხმარება და საპროექტო დოკუმენტაციაში ენერგოეფექტიანობის მოთხოვნები – სასურველია დაუკავშირდეს NECP-ის ამოცანებს.

დუშეთისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **მერების შეთანხმებასაც**. *დუშეთი არის მერების შეთანხმების ხელმომწერი მუნიციპალიტეტი, რაც ქმნის ადგილობრივ ჩარჩოს ენერგეტიკისა და კლიმატის მიმართულებით უფრო სისტემური დაგეგმვისთვის*. მერების შეთანხმება მუნიციპალიტეტებს აძლევს შესაძლებლობას, ადგილობრივი პოლიტიკა დაუკავშირონ ენერგოეფექტიანობას, განახლებადი ენერგიის გამოყენებას, ემისიების შემცირებას, კლიმატთან ადაპტაციას და ენერგეტიკული სიღარიბის შემცირებას. დუშეთისთვის ეს შეიძლება გახდეს პრაქტიკული პლატფორმა, რომლის მეშვეობითაც ადგილობრივი ბიუჯეტის ენერგეტიკული მიმართულებები – გარე განათება, საჯარო შენობები, წყლის სისტემები, ინფრასტრუქტურა და მონაწილეობითი ბიუჯეტირება – დაუკავშირდება მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო მიდგომებს.

მერების შეთანხმების კონტექსტში დუშეთისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია SECAP-ის, ანუ მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის სამოქმედო გეგმის ლოგიკის ინტეგრირება მუნიციპალურ ბიუჯეტში. *ეს გულისხმობს, რომ ენერგოეფექტიანობისა და კლიმატის ღონისძიებები არ დარჩეს მხოლოდ სტრატეგიულ დოკუმენტებში და გადავიდეს კონკრეტულ საბიუჯეტო პროგრამებში, ინდიკატორებსა და შესყიდვებში.* მაგალითად, გარე განათების პროგრამაში უნდა გამოჩნდეს LED სანათების წილი და ელექტროენერგიის მოხმარების შემცირება; მუნიციპალური შენობების რეაბილიტაციაში – თბოიზოლაცია, ენერგოაუდიტი და

ენერგოეფექტიანი გათბობა; წყლის სისტემებში – ენერგოეფექტიანი ტუმბოები და წყლის დანაკარგების შემცირება; მონაწილეობით ბიუჯეტირებაში კი – მცირე ენერგოდაზოგვითი პროექტების მხარდაჭერა.

ეროვნული სამართლებრივი ჩარჩოს ნაწილი ასევე არის **საქართველოს კანონმდებლობა ენერგოეფექტიანობისა და შენობების ენერგოეფექტიანობის შესახებ**. ეს ჩარჩო მუნიციპალიტეტებისთვის ქმნის საფუძველს, რომ საჯარო შენობების, ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური მომსახურებების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყოს ენერგორესურსების რაციონალური გამოყენება, შენობების თბოიზოლაცია, ენერგოეფექტიანი განათება, ეკონომიური გათბობა-გაგრილება და სიცოცხლის ციკლის ღირებულების მიდგომა. *დუშეთისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მუნიციპალიტეტი მოიცავს მაღალმთიან და კლიმატურად რთულ დასახლებებს, სადაც ენერგიის მოთხოვნა და ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ხარჯი შედარებით მაღალია.*

დუშეთისთვის ენერგეტიკის სექტორის ყველაზე მკაფიო საბიუჯეტო გამოხატულებაა **გარე განათება.** პროგრამული დანართით 2025 წელს გარე განათებისთვის გათვალისწინებულია 1,1 მლნ ლარი, ხოლო 2025 წლის ბიუჯეტის მიხედვით გარე განათების პროგრამა შეადგენს 2,1 მლნ ლარს. ამ პროგრამის ძირითადი მიზანია ღამის პერიოდში უსაფრთხო გადაადგილება, გენდერულად უსაფრთხო გარემოს შექმნა და არსებული ქსელის ფუნქციონირება. მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით ეს მიმართულება უნდა გარდაიქმნას ენერგოეფექტიანობისა და კლიმატის შერბილების პროგრამადაც. ამისთვის აუცილებელია, გარე განათების შესყიდვებსა და ტექნიკურ დავალებებში გაჩნდეს LED სანათების, ავტომატური მართვის, ფოტორელეების, ენერგომოხმარების მონიტორინგისა და დაზოგილი ელექტროენერგიის მაჩვენებლები.

ენერგეტიკის სექტორთან დაკავშირებული მეორე მიმართულებაა **მუნიციპალური შენობები და საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურა**. პროგრამულ დანართში კეთილმოწყობის ღონისძიებები 2025 წელს შეადგენს 0,7 მლნ ლარს, ხოლო ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარება მთლიანად 29,5 მლნ ლარით არის წარმოდგენილი. ამ ხარჯების ნაწილი შეიძლება ენერგოეფექტიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი გახდეს, თუ სპორტული ობიექტების, კულტურული ობიექტების, ამბულატორიების, საბავშვო ბაღების, სასწრაფო დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების ცენტრების რეაბილიტაციისას გათვალისწინებული იქნება თბოიზოლაცია, ენერგოეფექტიანი ფანჯრები, ეკონომიური გათბობისა და განათების სისტემები, მზის წყალგამაცხელებლები ან მცირე ზომის განახლებადი ენერგიის გადაწყვეტები. ამჟამად ბიუჯეტში ასეთი ენერგეტიკული ინდიკატორები მკაფიოდ არ ჩანს, რაც მიუთითებს საჭიროებაზე, ენერგოეფექტიანობა ინფრასტრუქტურული პროექტების სავალდებულო კრიტერიუმად ჩამოყალიბდეს.

წყლის სისტემების განვითარებაც ენერგეტიკის სექტორს უკავშირდება, რადგან წყალმომარაგების სისტემებში ენერგიის მოხმარება ხშირად დაკავშირებულია ტუმბოებთან, ქსელის დანაკარგებთან და ავარიების მართვასთან. 2025 წლის ბიუჯეტით წყლის სისტემების განვითარება შეადგენს დაახლოებით 1,2 მლნ ლარს, ხოლო პროგრამული დანართით – 0,6 მლნ ლარს. მწვანე ბიუჯეტირების კუთხით წყლის სისტემებში ენერგოეფექტიანობა ნიშნავს წყლის დანაკარგების შემცირებას, ენერგოეფექტიანი ტუმბოების გამოყენებას, ქსელის ზონირებას, ავარიების სწრაფ გამოვლენას და ისეთი რეაბილიტაციის დაგეგმვას, რომელიც ამცირებს წყლისა და ელექტროენერგიის ერთდროულ დანაკარგს.

მნიშვნელოვანი როლი აქვს **საპროექტო, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯებს**, რომლის 2025 წლის მოცულობა პროგრამული დანართით დაახლოებით 0,9 მლნ ლარია. ენერგოეფექტიანობის რეალური შედეგი ხშირად სწორედ საპროექტო ეტაპზე წყდება. თუ

ტექნიკურ დავალებებში თავიდანვე ჩაიდება ენერგოეფექტიანობის მინიმალური მოთხოვნები, სიცოცხლის ციკლის ღირებულება, ენერგომოხმარების შეფასება და კლიმატური მედეგობა, შემდგომი სამშენებლო და მომსახურების შესყიდვები გაცილებით უფრო მწვანე გახდება. დუშეთისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მაღალმთიანი და რთული კლიმატური პირობები ზრდის ენერგიის მოხმარებას, შენობების გათბობის საჭიროებას და ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვის ხარჯს.

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის ენერგეტიკის მიმართულებით გამოკვეთილ **გამოწვევებად** შესაძლოა დასახელდეს:

- დუშეთის ბიუჯეტში ენერგეტიკის ცალკე პრიორიტეტად ან პროგრამად წარმოჩენა. მაგ.: გარე განათების პროგრამაში ენერგომოხმარების და LED სანათების წილის ინდიკატორების გამოკვეთა; მუნიციპალური შენობების რეაბილიტაციისას ენერგოეფექტიანობის სტანდარტების ბიუჯეტში ასახვა; წყლის სისტემებში ენერგოეფექტიანი ტუმბოების, წყლის დანაკარგებისა და ენერგომოხმარების მაჩვენებლების წარმოჩენა.
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ენერგიის დაზოგვის, ხარჯის შემცირების ან ემისიების შემცირების მონაცემების წარმოდგენა.
- მწვანე შესყიდვების კრიტერიუმები ენერგეტიკულ მიმართულებებში ჯერ სისტემურად არ არის ჩამოყალიბებული.
- ადგილობრივი პროგრამების კავშირი NDC 3.0-თან, კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიასთან, 2024–2025 წლების სამოქმედო გეგმასთან, NECP-თან და მერების შეთანხმებასთან ბიუჯეტში პირდაპირ არ ჩანს.

რეკომენდაციები

- გარე განათების პროგრამაში დაემატოს LED სანათების წილი, ელექტროენერგიის წლიური მოხმარება და ერთ სანათ წერტილზე ენერგიის ხარჯი.
- ყველა ახალ განათების წერტილზე ტექნიკურ მოთხოვნად ჩაიწეროს ენერგოეფექტიანი LED ტექნოლოგია და, სადაც შესაძლებელია, ავტომატიზებული მართვა.
- მუნიციპალური შენობების რეაბილიტაციის პროექტებში სავალდებულოდ გათვალისწინდეს თბოიზოლაცია, ენერგოეფექტიანი განათება, ეკონომიური გათბობა და ენერგოაუდიტის ელემენტები.
- წყლის სისტემების რეაბილიტაციაში დაემატოს ენერგოეფექტიანი ტუმბოები, წყლის დანაკარგების მონიტორინგი და ავარიებზე სწრაფი რეაგირების ინდიკატორები.
- საპროექტო და ექსპერტიზის ხარჯებში ჩაიდოს მოთხოვნა, რომ ყველა მსხვილ ინფრასტრუქტურულ პროექტს ჰქონდეს ენერგოეფექტიანობის შეფასება.
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში წახალისდეს მცირე ენერგოეფექტიანი პროექტები: LED განათება, მზის განათება საზოგადოებრივ სივრცეებში, საჯარო შენობების მცირე ენერგოდაზოგვის ღონისძიებები.
- დუშეთის მუნიციპალიტეტმა ენერგეტიკული მიმართულებები დაუკავშიროს მერების შეთანხმების, NDC 3.0-ის, კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგიის, 2024–2025 წლების სამოქმედო გეგმისა და NECP-ის ამოცანებს.
- ბიუჯეტის მწვანე მარკირებაში შეიქმნას ცალკე ქვეკატეგორია – „ენერგოეფექტიანობა და კლიმატის შერბილება“.

- მაქსიმალურად მოხდეს მერების შეთანხმების შესაძლებლობების გამოყენება საჭირო ცოდნისა და რესურსების მოსაზიდად (SECAP-ების შემუშავება, თანამშრომლების დატრენინგება და ა.შ.)

დუშეთის მუნიციპალიტეტის ენერგეტიკის სექტორის სასურველი ხედვა მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში უნდა ეფუძნებოდეს პრინციპს: **„ენერგია უნდა დაიზოგოს ყოველ მუნიციპალურ მომსახურებაში, სადაც ეს შესაძლებელია.“** *ეს ნიშნავს, რომ დუშეთის ბიუჯეტი ეტაპობრივად უნდა გადავიდეს ინფრასტრუქტურის მხოლოდ მოწყობა-შენახვის ლოგიკიდან ენერგოეფექტიან, ხარჯთეფექტიან და კლიმატურად პასუხისმგებელ მოდელზე.*

დუშეთისთვის სასურველია, რომ გარე განათება სრულად გადავიდეს ენერგოეფექტიან LED ტექნოლოგიებზე; მუნიციპალური შენობები რეაბილიტირდეს ენერგოეფექტიანობის მინიმალური სტანდარტებით; წყლის სისტემებში შემცირდეს როგორც წყლის, ისე ელექტროენერგიის დანაკარგები; ახალი ინფრასტრუქტურული პროექტები შეფასდეს სიცოცხლის ციკლის ღირებულებით; ხოლო მონაწილეობითი ბიუჯეტირება გახდეს მცირე ენერგოდაზოგვის პროექტების წახალისების ინსტრუმენტი. ამ მიდგომით ენერგეტიკის სექტორი დუშეთის მწვანე ბიუჯეტში ჩამოყალიბდება არა როგორც ცალკე იზოლირებული მიმართულება, არამედ როგორც ყველა მუნიციპალური პროგრამის გამჭოლი პრინციპი – ნაკლები ენერგომოხმარება, ნაკლები ხარჯი, მეტი მედეგობა და უკეთესი გარემოსდაცვითი შედეგი.

დუშეთისთვის ენერგეტიკული განვითარების ხედვა მიზანშეწონილია დაეფუძნოს სამ ძირითად პრინციპს: ენერგიის მოხმარების შემცირებას/გონივრულ გამოყენებას ენერგოეფექტურობის გზით, განახლებადი ენერგიის ადგილობრივი პოტენციალის ათვისებას და მუნიციპალური სერვისების კლიმატმედეგ, დაბალემისიურ მოდელზე გადაყვანას.

ამასთან, *ხედვა უნდა ითვალისწინებდეს ეროვნული, ევროპული და ადგილობრივი ჩარჩოების ერთიანობას: NDC 3.0 ადგენს ემისიების შემცირების ეროვნულ სამიზნეებს; კლიმატის ცვლილების 2030 წლის სტრატეგია და 2024–2025 წლების სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სექტორულ კლიმატურ ღონისძიებებს; NECP აერთიანებს ენერგეტიკული უსაფრთხოების, განახლებადი ენერგიის, ენერგოეფექტიანობისა და დეკარბონიზაციის ამოცანებს;* ***მერების შეთანხმება*** *ქმნის მუნიციპალურ პლატფორმას მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის მოქმედებებისთვის; ხოლო დუშეთის ადგილობრივი ბიუჯეტი ამ ამოცანებს უნდა თარგმნიდეს პრაქტიკულ პროგრამებად – ენერგოეფექტიან გარე განათებად, ენერგოდაზოგვით მუნიციპალურ შენობებად, ეფექტიან წყლის სისტემებად, მწვანე შესყიდვებად, მონაწილეობით ენერგოინიციატივებად და კლიმატურად მედეგ ინფრასტრუქტურად.*

ტურიზმი

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის ტურიზმის სექტორი მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა, მიუხედავად იმისა, რომ 2025 წლის ბიუჯეტში ტურიზმი ცალკე საბიუჯეტო პროგრამად არ არის გამოყოფილი. დუშეთის ტურისტული პოტენციალი ეფუძნება ბუნებრივ ლანდშაფტებს, არაგვის ხეობებს, მთის სოფლების კულტურულ იდენტობას, ისტორიულ და კულტურულ ძეგლებს, რეკრეაციულ რესურსებს, დაცულ ლანდშაფტს და მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის სატრანზიტო გზასთან სიახლოვეს. ამდენად, ტურიზმის განვითარება დუშეთში პირდაპირ უნდა დაუკავშირდეს ბუნებრივი კაპიტალის დაცვას, ნარჩენების მართვას, წყლისა

და ენერგიის რესურსდაზოგვას, ადგილობრივი თემების ჩართულობას და ეკოტურიზმის პრინციპებს.

ეროვნულ კონტექსტში დუშეთის ტურიზმის განვითარება თავსებადია *საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025-ის ხედვასთან*[18], რომლის მიხედვითაც ქვეყანა უნდა განვითარდეს როგორც მაღალი ხარისხის, მთელი წლის განმავლობაში მიმზიდველი ტურისტული მიმართულება, რომელიც ეფუძნება უნიკალურ კულტურულ და ბუნებრივ მემკვიდრეობას. დუშეთისთვის ეს განსაკუთრებით რელევანტურია, რადგან მუნიციპალიტეტს აქვს როგორც ბუნებრივი და რეკრეაციული, ისე კულტურულ-ისტორიული ტურიზმის რესურსი. ამასთან, *საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020–2030*[19] კიდევ უფრო აძლიერებს დუშეთისთვის შესაბამისობას, რადგან ეკოტურიზმი აქ შეიძლება განვითარდეს დაცულ ლანდშაფტთან, მთის თემებთან, ადგილობრივ პროდუქტებთან, ტრადიციულ მეურნეობასთან და ბუნებაზე დაფუძნებულ გამოცდილებებთან კავშირში.

დუშეთის ადგილობრივ დოკუმენტებში *ტურიზმი დასახელებულია ერთ-ერთ განვითარების მიმართულებად, აგრარულ სექტორთან, ბიზნესაქტივობასთან, ინფრასტრუქტურასთან და სოციალურ ინფრასტრუქტურასთან ერთად*. განსაკუთრებულად აღინიშნება *მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის მთავარი საავტომობილო გზის გასწვრივ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და განვითარება*. ***მწვანე ბიუჯეტირების თვალსაზრისით*** ეს ნიშნავს, რომ ტურისტული ინფრასტრუქტურა არ უნდა იყოს მხოლოდ *ეკონომიკური აქტივობის ხელშემწყობი; იგი უნდა იყოს გარემოსდაცვითად პასუხისმგებელი, ენერგოეფექტიანი, ნარჩენების მართვაზე ორიენტირებული, ლანდშაფტთან თავსებადი და ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკურ სარგებელზე მიმართული*.

ტურიზმის მწვანე ბიუჯეტირების ყველაზე პირდაპირი საბიუჯეტო საყრდენია **არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ხელშეწყობა**. 2025 წლის ბიუჯეტში ამ მიმართულების დაფინანსება შეადგენს დაახლოებით **0,7 მლნ ლარს**, ხოლო პროგრამული დანართის მიხედვით – **0,6 მლნ ლარს**. *არაგვის დაცული ლანდშაფტი შეიქმნა ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დასაცავად, ასევე რეკრეაციული, ტურისტული და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო საქმიანობების განხორციელებისთვის, ადგილობრივი თემების სოციალურ-ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინებით*. შესაბამისად, ***ეს ხარჯი შეიძლება შეფასდეს როგორც პირდაპირი მწვანე და ტურიზმთან დაკავშირებული საბიუჯეტო ხარჯი, რადგან იგი ერთდროულად ემსახურება ბიომრავალფეროვნების დაცვას, ეკოტურიზმის პოტენციალს და ადგილობრივი თემების მდგრად განვითარებას.***

ტურიზმის განვითარებასთან ***ირიბად არის დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტი***. პროგრამული დანართით 2025 წელს ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გათვალისწინებულია **6,0 მლნ ლარი**, მათ შორის საგზაო ინფრასტრუქტურა – **1,8 მლნ ლარი**, გარე განათება – **1,1 მლნ ლარი**, წყლის სისტემები – **0,6 მლნ ლარი**, კეთილმოწყობის ღონისძიებები – **0,7 მლნ ლარი**, საპროექტო/ზედამხედველობის ხარჯები – **0,9 მლნ ლარი**, ხოლო მონაწილეობითი ბიუჯეტირება – **1,0 მლნ ლარი**. ეს მიმართულებები პირდაპირ ტურიზმის პროგრამები არ არის, მაგრამ ***ქმნის ტურიზმის აუცილებელ გარემოს:*** *მისასვლელი გზები, უსაფრთხო გადაადგილება, განათებული სივრცეები, წყლის სისტემები, მოწესრიგებული*

18 საქართველოს ტურიზმის სტრატეგია 2025,საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო https://www.economy.ge/uploads/ecopolitic/turizmi-/sakartvelos%20turizmis%20strategia%202025.pd

19 საქართველოს ეკოტურიზმის სტრატეგია 2020–2030 (2020, ნოემბერი) გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამა „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“, 2020, https://ecotourism.ge/wp-content/uploads/2022/01/c63e2972ca894b2fc225bedd3868e032_compressed.pdf

საზოგადოებრივი სივრცეები და ადგილობრივი საჭიროებების გათვალისწინებით დაგეგმილი მცირე პროექტები.

ტურიზმის მწვანე განვითარების ერთ-ერთი კრიტიკული პირობაა **ნარჩენების მართვა**. 2025 წლის ბიუჯეტში დასუფთავება და გარემოს დაცვა შეადგენს **2,0 მლნ ლარს**, მათ შორის ნარჩენების გატანა – **1,3 მლნ ლარს**. ტურისტული დატვირთვის ზრდა, განსაკუთრებით ბუნებრივ და რეკრეაციულ ზონებში, ზრდის ნარჩენების წარმოქმნის, სტიქიური ნაგავსაყრელების, პლასტმასის დაბინძურების და ლანდშაფტის ვიზუალური დაზიანების რისკს. შესაბამისად, ტურიზმის სექტორის მწვანე ბიუჯეტირება უნდა დაუკავშირდეს ნარჩენების მართვის გაძლიერებას ტურისტულ მარშრუტებზე, სოფლებში, რეკრეაციულ სივრცეებში და დაცული ლანდშაფტის მიმდებარე ტერიტორიებზე.

დუშეთის ტურიზმის მწვანე ბიუჯეტირებისათვის მნიშვნელოვანია ადგილობრივი თემების ჩართულობა. *ტურიზმის განვითარება მხოლოდ ინფრასტრუქტურის მოწყობას არ უნდა გულისხმობდეს; ის უნდა ქმნიდეს შემოსავლის შესაძლებლობას ადგილობრივი ოჯახებისთვის, გიდებისთვის, საოჯახო სასტუმროებისთვის, ადგილობრივი პროდუქციის მწარმოებლებისთვის, ხელნაკეთი ნივთების შემქმნელებისთვის და აგროტურიზმის მონაწილეებისთვის*. ამ თვალსაზრისით ***მონაწილეობითი ბიუჯეტირების 1,0 მლნ ლარი*** *შეიძლება გახდეს მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, თუ პროექტების შერჩევაში დაემატება „მწვანე ტურიზმის ქულა“ – მაგალითად, უპირატესობა მიენიჭოს მცირე ეკოტურისტულ ბილიკებს, საინფორმაციო ნიშნებს, სუფთა ტურისტულ სივრცეებს, ნარჩენების კონტეინერებს, წყლის წერტილებს, ჩრდილის ზონებს, ადგილობრივი პროდუქციის სივრცეებს და გარემოსდაცვით განათლებას.*

დუშეთში არაერთი ტურისტული ატრაქციაა (დანართი 2), რომელთა გონივრული მარკეტინგი სასურველი ტურისტული ნაკადების მოზიდვის საშუალებად შესაძლოა იქცეს.

გამოწვევები

- ტურიზმი 2025 წლის ბიუჯეტში *ცალკე პროგრამად ან ქვეპროგრამად არ ჩანს*. ტურისტულ ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ხარჯები გაფანტულია ინფრასტრუქტურის, კეთილმოწყობის, დაცული ლანდშაფტისა და ნარჩენების მართვის პროგრამებში.
- *არ ჩანს ტურიზმის გარემოსდაცვითი დატვირთვის ინდიკატორები*: ნარჩენები, წყლის მოხმარება, ვიზიტორთა ნაკადი, მარშრუტების ზეწოლა, ეკოსისტემებზე გავლენა.
- არაგვის დაცული ლანდშაფტის დაფინანსების პარალელურად მნიშვნელოვანია *ტურიზმის მართვის შედეგობრივი მაჩვენებლების გაძლიერება*.
- *ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაში მწვანე სტანდარტები* – ენერგოეფექტიანობა, ნარჩენების მართვა, ბუნებაზე დაბალი ზემოქმედება – მკაფიოდ არ ჩანს.
- *ადგილობრივი ბიზნესებისა და თემების ჩართულობა ტურიზმის მწვანე განვითარებაში დამატებით მექანიზმებს საჭიროებს*.
- ტურიზმის პოტენციალი ჯერ კიდევ არასრულად არის *კომერციალიზებული და შეფუთული ერთიან პროდუქტად*. ბევრი რესურსი არსებობს, მაგრამ ნაკლებია მარშრუტები, პაკეტები, პროფესიული გიდები, ხარისხიანი მომსახურება და ციფრული პოპულარიზაცია.
- *ადგილობრივი ტურისტული შესაძლებლობების არასაკმარისი პოპულარიზაცია საინფორმაციო არხებით*, საჭირო მუნიციპალიტეტის გვერდზე უფრო მეტი ინფორმაციის განთავსება ტურისტებისთვის.

- *ინფრასტრუქტურის არასაკმარისი ხარისხი*, განსაკუთრებით სოფლისა და ბუნებრივი ტურისტული ობიექტების მიმართულებით.
- *გარემოზე ზეწოლის რისკი*. თუ ტურიზმი განვითარდება ნარჩენების მართვის, წყლის რესურსების დაცვისა და ეკოსისტემების დატვირთვის გათვალისწინების გარეშე, მწვანე განვითარების მიზნები შეიძლება ფორმალური დარჩეს.
- *კადრებისა და მომსახურების ხარისხი*. საოჯახო სასტუმროებს, კვების ობიექტებსა და მცირე ტურისტულ ბიზნესებს სჭირდებათ ტრენინგები, სტანდარტები, მარკეტინგული მხარდაჭერა და ფინანსებზე ხელმისაწვდომობა.

რეკომენდაციები

- ტურიზმი მოინიშნოს როგორც მწვანე ბიუჯეტირების გამჭოლი მიმართულება ინფრასტრუქტურის, დაცული ლანდშაფტის, დასუფთავების, კეთილმოწყობისა და მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამებში.
- არაგვის დაცული ლანდშაფტის პროგრამას დაემატოს ეკოტურიზმის მართვის ინდიკატორები: მარშრუტების რაოდენობა, ვიზიტორების მართვა, გარემოსდაცვითი განათლება, ადგილობრივი გიდების ჩართულობა.
- ტურისტულ ზონებში გაძლიერდეს ნარჩენების მართვა: კონტეინერების რაოდენობა, გატანის სიხშირე, სეპარირების პილოტები, სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირება.
- საგზაო და ტურისტულ ინფრასტრუქტურაში ჩაიდოს კლიმატური მედეგობისა და გარემოზე დაბალი ზემოქმედების კრიტერიუმები.
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში დაემატოს „მწვანე ტურიზმის ქულა“.
- მუნიციპალიტეტმა წაახალისოს ადგილობრივი ეკოტურისტული და აგროტურისტული ინიციატივები, რომლებიც ქმნის შემოსავალს ადგილობრივ თემებში და არ აზიანებს ბუნებრივ რესურსებს.
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში დაემატოს ტურიზმთან დაკავშირებული მწვანე ინდიკატორები: ეკოტურისტული მარშრუტები, მოვლილი რეკრეაციული სივრცეები, ტურისტულ ზონებში შეგროვებული ნარჩენები, ადგილობრივი მონაწილე ბიზნესები.

დუშეთის ტურიზმის სასურველი ხედვა მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში უნდა ეფუძნებოდეს პრინციპს: **„ტურიზმი უნდა ავითარებდეს ადგილობრივ ეკონომიკას ისე, რომ დაიცვას ბუნებრივი ლანდშაფტი, კულტურული მემკვიდრეობა და მთის თემების ინტერესები.“** ეს ნიშნავს, რომ დუშეთის ტურიზმი უნდა განვითარდეს არა მასობრივი და გარემოზე მაღალი ზეწოლის მოდელით, არამედ ეკოტურიზმის, აგროტურიზმის, კულტურული ტურიზმის, თემზე დაფუძნებული ტურიზმისა და მცირე მასშტაბის მდგრადი ინფრასტრუქტურის მიმართულებით.

სასურველია, დუშეთის მუნიციპალიტეტმა ტურიზმის მწვანე ბიუჯეტირება დაუკავშიროს არაგვის დაცულ ლანდშაფტს, მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის გზის გასწვრივ ტურისტულ ინფრასტრუქტურას, ნარჩენების მართვას, წყლისა და ენერგიის დაზოგვას, ადგილობრივი პროდუქციის მხარდაჭერას და მონაწილეობით ბიუჯეტირებას. ამ მოდელში ტურისტული განვითარება უნდა ქმნიდეს ეკონომიკურ სარგებელს ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ხოლო ბიუჯეტის ყოველი ტურიზმთან დაკავშირებული ხარჯი უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ვიზიტორთა რაოდენობით, არამედ გარემოსდაცვითი ხარისხით, ადგილობრივი ჩართულობით და ლანდშაფტის დაცვით.

სატყეო სექტორი

Global Forest Watch-ის მიხედვით, დუშეთის მუნიციპალიტეტს 2020 წელს ჰქონდა დაახლოებით **150 ათასი ჰა ბუნებრივი ტყე**, რაც მუნიციპალიტეტის ტერიტორიის (**298 150 ჰა)** დაახლოებით **49%-ს** შეადგენს. მუნიციპალიტეტში წარმოდგენილია როგორც დაბალი და საშუალო მთის ტყეები, ისე სუბალპური და ალპური ლანდშაფტები. ლანდშაფტური ზონების მიხედვით, მთის დაბალ სარტყელში გავრცელებულია მუხნარ-რცხილნარი ტყეები, მთის საშუალო სარტყელში – წიფლის ტყეები, უფრო მაღალ ზონებში კი სუბალპური მდელოები, ალპური მდელოები და სუბნივალური/ნივალური ლანდშაფტებია წარმოდგენილი. დუშეთის ტყეები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფერდობების სტაბილიზაციის, ნიადაგის ეროზიის შემცირების, წყლის რესურსების დაცვის, კლიმატთან ადაპტაციისა და ეკოტურიზმის განვითარების თვალსაზრისით.[20]

ტყის მცენარეულ საფარში გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოს მთის ტყეებისთვის დამახასიათებელი სახეობები, მათ შორის **მუხა, რცხილა და წიფელი**; ცალკეულ ზონებში ასევე გვხვდება ჯაგრცხილნარ-მუხნარი და წიფლნარი ფორმაციები. დუშეთის მაღალმთიან ნაწილში, განსაკუთრებით ფშავ-ხევსურეთისა და გუდამაყრის მიმართულებით, ტყის სარტყელი გადადის სუბალპურ და ალპურ მდელოებში, რაც მუნიციპალიტეტის ბუნებრივ ლანდშაფტს განსაკუთრებულ ეკოლოგიურ ღირებულებას ანიჭებს. ფშავ-ხევსურეთის ფლორა გამოირჩევა მაღალი ენდემიზმით: ხელმისაწვდომი წყაროების მიხედვით, აქ გვხვდება საქართველოს **11** და კავკასიის **230-ზე მეტი** ენდემური სახეობა, რაც ფლორის დაახლოებით **22,5%**-ს შეადგენს. ეს მიუთითებს, რომ დუშეთის ბუნებრივი ეკოსისტემები არა მხოლოდ ადგილობრივი, არამედ ეროვნული და კავკასიური მნიშვნელობის ბიომრავალფეროვნების ნაწილია[21].

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს **არაგვის დაცულ ლანდშაფტს**, რომელიც მოიცავს **99 802 ჰა** ფართობს და მდებარეობს დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობებზე, ზღვის დონიდან დაახლოებით **840–3 842 მ** სიმაღლის დიაპაზონში. არაგვის დაცული ლანდშაფტი მოიცავს ფშავ-ხევსურეთის სამხრეთ ნაწილს და გუდამაყარს, ხოლო მთლიანად მდებარეობს მდინარე არაგვის აუზში. მისი მიზანია ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დაცვა, სასიცოცხლო გარემოს შენარჩუნება, რეკრეაციულ-ტურისტული და ტრადიციული სამეურნეო საქმიანობის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. ეროვნული კლიმატური დოკუმენტის მიხედვით, არაგვის დაცული ლანდშაფტის ფარგლებში ტყის ფართობი **41 736 ჰა**-ს შეადგენს.[22]

დუშეთის მუნიციპალიტეტის ტყეები და დაცული ლანდშაფტები მდიდარია ფაუნითაც. არაგვის დაცული ლანდშაფტის ფაუნა სრულად ჯერ არ არის შესწავლილი, თუმცა მრავალფეროვანი ჰაბიტატების გამო ის მაღალი ბიომრავალფეროვნებით გამოირჩევა. ფშავ-ხევსურეთის ეროვნულ პარკში აღნიშნულია **55 სახეობის ძუძუმწოვარი, 132 სახეობის ფრინველი, 9 სახეობის ქვეწარმავალი და 6 სახეობის ამფიბია**; ეს მონაცემები მნიშვნელოვანია დუშეთის ჩრდილოეთ და მაღალმთიანი ნაწილის ბიომრავალფეროვნების ზოგადი შეფასებისთვისაც. გავრცელებულ ცხოველთა შორის წყაროები ასახელებენ **მურა დათვს, მგელს, მელიას, ტურას, ჯიხვს, არჩვს, შველს** და სხვა სახეობებს. [23]

20 https://dusheti.gov.ge/ka/მუნიციპალიტეტი/გეოგრაფია

21 https://1tv.ge/news/garemos-dacvis-saministrom-gudamayris-kheobashi-aragvi-hesisa-da-aragvi-1-hesis-msheneblobaze-kompanias-uari-utkhra/

22 https://aragvipl.ge/ჩვენს-შესახებ/

23 https://aragvipl.ge/ფაუნა/

დუშეთის ტყეებსა და დაცულ ლანდშაფტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კლიმატური და სტიქიური რისკების მართვისთვის. UNDP-ის ინფორმაციით, დუშეთის დაცული ტერიტორიები, მათ შორის არაგვის დაცული ლანდშაფტი და ფშავ-ხევსურეთის ეროვნული პარკი, ტყის ხანძრების მზარდი საფრთხის წინაშე დგას, რის გამოც მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ადგილობრივი თემებისა და ტყის ეკოსისტემების მედეგობის გაძლიერების მხარდაჭერა. შესაბამისად, დუშეთის სატყეო და ბუნებრივი ლანდშაფტის მართვა უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ გარემოს დაცვის, არამედ კლიმატთან ადაპტაციის, კატასტროფების რისკების შემცირების, ეკოტურიზმისა და ადგილობრივი თემების მდგრადი განვითარების საკვანძო მიმართულებად[24].

დუშეთის მუნიციპალიტეტის მწვანე განვითარების კონტექსტში სატყეო სექტორი ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა, რადგან ტყე უზრუნველყოფს სხვადასხვა ეკოსისტემურ სერვისს, ბუნებრივი რესურსების (უზრუნველყოფითი ეკოსისტემური სერვისი) გარდა, ის ერთდროულად ასრულებს კლიმატის რეგულირების, წყალმარეგულირებელ, ნიადაგდაცვით, ბიომრავალფეროვნების, რეკრეაციულ და ეკონომიკურ ფუნქციებს. დუშეთისთვის, სოფლისა და მთიანი ლანდშაფტების მქონე მუნიციპალიტეტისთვის, ტყის მდგრადი მართვა პირდაპირ უკავშირდება კლიმატმედეგობას, ტურიზმის განვითარებას, სოფლის ეკონომიკის დივერსიფიკაციას, ბუნებრივი კატასტროფების რისკების შემცირებას და მოსახლეობის ცხოვრების ხარისხს. შესაბამისად, სატყეო სექტორი დუშეთის ***მწვანე განვითარების დღის წესრიგში*** უნდა განიხილებოდეს არა როგორც მხოლოდ რესურსის გამოყენების სფერო, არამედ როგორც *ეკოსისტემური სერვისების დაცვისა და ადგილობრივი ეკონომიკის მდგრადი განვითარების საფუძველი.* ტყეები ***ამცირებს ეროზიის, მეწყერისა და წყალდიდობის რისკებს***, ***ხელს უწყობს წყლის რესურსების დაცვას***, ***ქმნის ტურისტულ და რეკრეაციულ პოტენციალს*** და ***აძლიერებს მუნიციპალიტეტის კლიმატურ მდგრადობას***. შესაბამისად, *ტყის დაცვა და აღდგენა პირდაპირ უკავშირდება როგორც გარემოსდაცვით, ისე სოციალურ-ეკონომიკურ ამოცანებს*.

დუშეთის ტყისა და მწვანე სივრცეების პოტენციალი შეიძლება გამოყენებულ იქნეს *ეკოტურიზმის*, *სოფლის ტურიზმისა* და *გარემოსდაცვითი განათლების* განვითარებისთვის. მუნიციპალიტეტს აქვს ბუნებრივი ლანდშაფტები, მთიანი ზონები, ტყეები, მდინარეები და რეკრეაციული სივრცეები, რომლებიც შეიძლება გაერთიანდეს *მწვანე ტურისტულ მარშრუტებში*. თუმცა ეს განვითარება უნდა იყოს დაბალზემოქმედებითი: ბილიკები, საინფორმაციო დაფები, დასასვენებელი სივრცეები, ნარჩენების მართვის სისტემა და ვიზიტორთა ნაკადების მართვა უნდა დაიგეგმოს ისე, რომ არ გაიზარდოს ტყის ეკოსისტემებზე ზეწოლა.

უმნიშვნელოვანესია ასევე **კლიმატის ცვლილების ასპექტის** გააზრება. ტყე დუშეთისთვის მნიშვნელოვანია როგორც *კლიმატის შერბილების, ისე ადაპტაციის მიმართულებით*. ერთი მხრივ, ტყეები ***შთანთქავს ნახშირორჟანგს და ინახავს ნახშირბადს***; მეორე მხრივ, ***ისინი ამცირებენ ექსტრემალური ამინდის, ძლიერი ნალექის, მეწყერის, ეროზიისა და წყლის რეჟიმის დარღვევის რისკებს***. ამიტომ მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტირების სისტემაში *სატყეო და მწვანე ინფრასტრუქტურის პროექტები უნდა შეფასდეს არა მხოლოდ ტერიტორიის კეთილმოწყობის, არამედ კლიმატური სარგებლის მიხედვითაც*.

აღნიშნული ინფორმაცია მიუთითებს, რომ **დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის სატყეო სექტორი მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბუნებრივ-კაპიტალური მიმართულებაა**, მიუხედავად იმისა, რომ 2025 წლის ბიუჯეტში ტყე ცალკე საბიუჯეტო პროგრამად არ არის

24 https://www.undp.org/ka/georgia/projects/disaster-risk-management-in-dusheti-municipality

გამოყოფილი. დუშეთის ბუნებრივი სპეციფიკა განაპირობებს სატყეო საკითხების განხილვის აუცილებლობას გარემოს დაცვის, კლიმატთან ადაპტაციის, ბიომრავალფეროვნების, ტურიზმისა და სოფლის განვითარების გამჭოლ თემად.

ეროვნულ დონეზე დუშეთის სატყეო სექტორი უნდა დაუკავშირდეს საქართველოს ტყის კოდექსს, ეროვნული სატყეო პოლიტიკისა და ტყის მდგრადი მართვის ჩარჩოს, ასევე კლიმატის პოლიტიკას. ტყის მდგრადი მართვა მოიცავს ტყის დაცვას, აღდგენას, გონივრულ გამოყენებას, ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, ეროზიისა და სტიქიური რისკების შემცირებას, ასევე ტყის კლიმატურ ფუნქციას – ნახშირბადის შთანთქმას. NDC 3.0-ის კონტექსტში ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოს სამიზნეები წმინდა ემისიებს უკავშირდება, სადაც ტყის სექტორის შთანთქმის როლი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

დუშეთის ადგილობრივ ბიუჯეტში სატყეო სექტორთან ყველაზე ახლოს მდგომი პირდაპირი მწვანე ხარჯი არის არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ხელშეწყობა. 2025 წელს ამ მიმართულებით გათვალისწინებულია დაახლოებით **0,6–0,7 მლნ ლარი**. ეს პროგრამა სატყეო სექტორის კლასიკურ მართვას სრულად არ ფარავს, რადგან ტყის მართვის ძირითადი უფლებამოსილებები ეროვნულ დონეზეა კონცენტრირებული, თუმცა დუშეთისთვის არაგვის დაცული ლანდშაფტი წარმოადგენს ტყეების, ბუნებრივი ლანდშაფტების, ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემური მომსახურებების ადგილობრივი დაცვის მთავარ მექანიზმს. მისი დაფინანსება შეიძლება ჩაითვალოს პირდაპირ მწვანე ხარჯად, რადგან იგი ემსახურება ბუნებრივი და ბუნებრივ-კულტურული ლანდშაფტის დაცვას, რეკრეაციის, ტურიზმისა და ტრადიციული სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების პირობების შექმნას.

სატყეო სექტორის მწვანე ბიუჯეტირების მნიშვნელობა დუშეთში მხოლოდ ბიომრავალფეროვნებით არ შემოიფარგლება. ტყეები და ტყის ზონები ამცირებს ეროზიის, მეწყრის, წყალმოვარდნისა და ნიადაგის დეგრადაციის რისკებს; იცავს წყლის რესურსებს; ქმნის ეკოტურიზმის საფუძველს; ხელს უწყობს სოფლისა და მთის თემების მდგრადობას; და ასრულებს კლიმატურ ფუნქციას ნახშირბადის შთანთქმის თვალსაზრისით. *შესაბამისად, დუშეთის მწვანე ბიუჯეტში სატყეო საკითხები უნდა დაუკავშირდეს არაგვის დაცულ ლანდშაფტს, DRM-ს, ტურიზმს, სოფლის მეურნეობას, გარემოსდაცვით განათლებას და მონაწილეობით ბიუჯეტირებას*.

სატყეო სექტორთან ირიბად დაკავშირებულია სტიქიის პრევენციის, სანიაღვრე და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურის, გზების მოვლა-შენახვისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მიმართულებებიც. ტყის დეგრადაცია, არასწორი ჭრა, ხანძრის რისკები ან ფერდობების მცენარეული საფარის დაზიანება ზრდის სტიქიურ საფრთხეებს, რაც საბოლოოდ მუნიციპალურ ბიუჯეტზე აისახება. ***ამიტომ სატყეო სექტორი დუშეთის მწვანე ბიუჯეტში უნდა განიხილებოდეს როგორც პრევენციული ინვესტიციის სფერო: ტყის ეკოსისტემების დაცვა ამცირებს მომავალში გზების, ხიდების, სანიაღვრეებისა და დასახლებების დაზიანების რისკს.***

გამოწვევები

- სატყეო სექტორი დუშეთის 2025 წლის ბიუჯეტში ცალკე პროგრამად არ ჩანს. ამასთან, ტყის მართვის ძირითადი უფლებამოსილებები მუნიციპალიტეტის ფარგლებს სცდება და ეროვნულ ინსტიტუციებთან კოორდინაციას საჭიროებს. *უწყებათაშორისი კოორდინაცია ერთ-ერთი გამოწვევაა*. აღნიშნული საკითხი მნიშვნელოვანია, რადგან ტყის და დაცული ტერიტორიების მართვა ძირითადად ცენტრალური კომპეტენციის სფეროა, ხოლო

ადგილობრივ მუნიციპალიტეტს მნიშვნელოვანი როლი აქვს სივრცით დაგეგმვაში, ტურიზმში, ნარჩენების მართვაში, ცნობიერების ამაღლებასა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

- არაგვის დაცული ლანდშაფტის დაფინანსება მნიშვნელოვანია, მაგრამ *საჭიროა უფრო მკაფიო სატყეო და ბიომრავალფეროვნების ინდიკატორები*.
- ბიუჯეტში *არ ჩანს* ტყის ხანძრის პრევენციის, ტყის აღდგენის, ფერდობების გამწვანების ან ეროზიის საწინააღმდეგო *ბუნებაზე დაფუძნებული ღონისძიებების ცალკე მარკირება*.
- ტყის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და DRM-ის კავშირი პროგრამულ ბიუჯეტში სისტემურად არ არის გამოყოფილი.
- *არ ჩანს მონაცემები ტყის საფარის მდგომარეობაზე*, დაზიანებულ უბნებზე, ხანძრის რისკებზე ან თემების ჩართულობაზე ტყის დაცვის პროცესში.
- *ადგილობრივ დონეზე ხშირად სუსტია ტყესთან დაკავშირებული მონაცემები*. ტყის მდგომარეობა, დეგრადირებული უბნები, მეწყერსაშიში ზონები, ეკოტურისტული დატვირთვა და ბიომრავალფეროვნების მდგომარეობა სრულყოფილად არ არის ინტეგრირებული მუნიციპალურ დაგეგმვაში.
- *ტყის რესურსებზე სოციალური დამოკიდებულება*. განსაკუთრებით თვალსაჩინოა შეშის მოხმარების ნაწილში, რაც ენერგეტიკული სიღარიბისა და არაეფექტიანი გათბობის სისტემების პრობლემასაც უკავშირდება.
- *ეკოტურიზმის განვითარება გარემოსდაცვითი სტანდარტების გარეშე*. აღნიშნულმა შეიძლება გამოიწვიოს ნარჩენების დაგროვება, ბილიკების დეგრადაცია და ბუნებრივ ჰაბიტატებზე ზეწოლა.

რეკომენდაციები

- დუშეთის მწვანე ბიუჯეტში სატყეო სექტორი მოინიშნოს როგორც გამჭოლი მიმართულება გარემოს დაცვის, DRM-ის, ტურიზმის, სოფლის მეურნეობისა და მონაწილეობითი ბიუჯეტირების პროგრამებში.
- არაგვის დაცული ლანდშაფტის პროგრამას დაემატოს სატყეო და ბიომრავალფეროვნების ინდიკატორები: ტყის/ლანდშაფტის მონიტორინგის ღონისძიებები, დაცული უბნების რაოდენობა, ეკოსაგანმანათლებლო აქტივობები, ადგილობრივი თემების ჩართულობა.
- ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან და დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციასთან კოორდინაციით განისაზღვროს ტყის ხანძრის პრევენციის, ფერდობების დაცვისა და ტყის აღდგენის ადგილობრივი საჭიროებები.
- DRM პროგრამებში ჩაიწეროს ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტები: ტყის საფარის აღდგენა, ნიადაგის გამაგრება, წყლის ბუნებრივი შეკავება და ეროზიის საწინააღმდეგო გამწვანება.
- ტურიზმის განვითარებაში გათვალისწინდეს ტყის ეკოსისტემებზე დაბალი ზემოქმედების პრინციპები: ბილიკების მართვა, ნარჩენების კონტროლი, ვიზიტორთა ქცევის წესები.
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში წახალისდეს მცირე სატყეო/ეკოლოგიური ინიციატივები: გამწვანება, წყაროსპირა ზოლების დაცვა, გარემოსდაცვითი განათლება, ხანძრის პრევენციის საინფორმაციო კამპანიები.
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში დაემატოს ინდიკატორები: ჩატარებული ტყის/ლანდშაფტის მონიტორინგის რაოდენობა, აღდგენილი ან მოვლილი მწვანე ფართობი,

ხანძრის პრევენციის ღონისძიებები, ეკოტურისტული ბილიკების მოვლა და თემების მონაწილეობა.

დუშეთის სატყეო სექტორის სასურველი ხედვა მწვანე ბიუჯეტირების კონტექსტში უნდა ეფუძნებოდეს პრინციპს: **„ტყე და ბუნებრივი ლანდშაფტი უნდა იყოს მუნიციპალიტეტის კლიმატური მედეგობის, ეკოტურიზმისა და ადგილობრივი ცხოვრების ხარისხის საყრდენი.“** ეს ნიშნავს, რომ ტყეები არ უნდა განიხილებოდეს მხოლოდ ბუნებრივ რესურსად, არამედ როგორც დაცვითი, კლიმატური, ეკონომიკური და სოციალური ღირებულების მქონე ბუნებრივი კაპიტალი.

სასურველია, დუშეთის მუნიციპალიტეტმა სატყეო საკითხები დაუკავშიროს არაგვის დაცული ლანდშაფტის მართვას, სტიქიური რისკების შემცირებას, ეკოტურიზმს, სოფლის მეურნეობას, გარემოსდაცვით განათლებას და მონაწილეობით ბიუჯეტირებას. ამ ხედვით, ტყის და ლანდშაფტის დაცვა უნდა გახდეს არა მხოლოდ გარემოსდაცვითი ვალდებულება, არამედ ადგილობრივი განვითარების პრაქტიკული ინსტრუმენტი – ნაკლები ეროზია და სტიქიური ზიანი, უკეთ დაცული წყლის რესურსები, მდგრადი ტურიზმი, ჩართული ადგილობრივი თემები და უფრო კლიმატურად მედეგი მუნიციპალიტეტი.

ინიციატივა განხილვისთვის

2025 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და ეროვნულმა სატყეო სააგენტომ შეიმუშავეს საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობის მექანიზმი საქართველოში ტყის მართვის დაგეგმვასა და განხორციელების პროცესში, რომლის ძირითადი მიზანიც ტყის მართვის გეგმების მომზადებაში ადგილობრივი თემების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართვაა.

მიდგომის შემუშავება დაეფუძნა სადემონსტრაციო სათათბიროების შექმნას საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში, მათ შორის, დუშეთში. კერძოდ, საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა ტყის მართვის ადგილობრივი სათათბირო და დამტკიცდა შესაბამისი დებულება.

სათათბიროს ფუნქციებად განისაზღვრა ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან კოორდინაცია და ადგილობრივი თვითმართველობისა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში შემავალი ტყეების მართვის დაგეგმვის პროცესში.

იქიდან გამომდინარე, რომ დუშეთის ტყეების (ფასანაურისა და ბარისახოს სატყეო უბნები) ინვენტარიზაცია სამინისტროს მიერ მექანიზმის ტესტირების პროცესს არ დაემთხვა, სათათბიროში აქტიური სამუშაო პროცესი არ დაწყებულა. თუმცა, ის გარემოება, რომ აღნიშნული სატყეო ფართობების ინვენტარიზაცია და ტყის მართვის 10-წლიანი გეგმების შემუშავება 2027 წლის I კვარტალშია დაგეგმილი და უკვე ოფიციალურადაა ჩასმული ეროვნული სატყეო სააგენტოს გრაფიკში, ქმნის პროცესის განახლებისა და აქტიურ ფაზაში გადატანის საუკეთესო შესაძლებლობას.

ნარჩენების მართვა

დუშეთის მუნიციპალიტეტში ნარჩენების მართვის მიმართულებით არსებული ოფიციალური საბიუჯეტო დოკუმენტაცია მიუთითებს, რომ 2024 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან

საშუალოდ ყოველდღიურად გადიოდა დაახლოებით **60–70 მ³ ნარჩენი**, ხოლო 2025 წლისთვის დაგეგმილია ამ მაჩვენებლის ზრდა **80–90 მ³-მდე დღეში**. დოკუმენტებში პროგრამის მიზნად განსაზღვრულია მთელი წლის განმავლობაში დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის შეუფერხებელი განხორციელება, ქალაქ დუშეთისა და მუნიციპალიტეტის სხვა ტერიტორიების დასუფთავება, სანიტარული წესრიგის შენარჩუნება და ნარჩენების მოსახლეობისა და გარემოსაგან იზოლირება. ტექნიკური ინფრასტრუქტურის ნაწილში შესრულების ანგარიშში მითითებულია, რომ მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში მუნიციპალიტეტს მიღებული ჰქონდა **2 კომპაქტორიანი ნაგავმზიდი მანქანა** და **165 კონტეინერი**.

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის ნარჩენების მართვა მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი ყველაზე პირდაპირი და პრაქტიკული მიმართულებაა. 2025 წლის ბიუჯეტში **დასუფთავება და გარემოს დაცვა** შეადგენს დაახლოებით **2,0 მლნ ლარს**, მათ შორის ნარჩენების გატანა და დასუფთავება – **1,3 მლნ ლარს**. ეს ხარჯი შეიძლება შეფასდეს როგორც ***პირდაპირი მწვანე ხარჯი***, *რადგან იგი უკავშირდება გარემოს დაბინძურების შემცირებას, დასახლებების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებას, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას და ტურისტულად მნიშვნელოვანი სივრცეების სისუფთავეს*.

დუშეთის მუნიციპალიტეტს საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული აქვს „დუშეთის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა 2023-2027 წლებისთვის“, რაც წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ძირითად სახელმძღვანელო დოკუმენტს.

ეროვნულ კონტექსტში დუშეთის ნარჩენების მართვის მიმართულება ითვალისწინებს საქართველოს ***ნარჩენების მართვის კოდექსს***, ***ნარჩენების მართვის 2016–2030 წლების ეროვნულ სტრატეგიას*** და ***2022–2026 წლების ეროვნულ სამოქმედო გეგმას***. ეს ჩარჩოები მუნიციპალიტეტებს ავალდებულებს, ნარჩენების მართვა განიხილონ არა მხოლოდ გატანისა და განთავსების სერვისად, არამედ პრევენციის, სეპარირების, გადამუშავების, უსაფრთხო განთავსებისა და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების სისტემად. დუშეთისთვის ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მუნიციპალიტეტი მოიცავს როგორც ქალაქურ, ისე მრავალ სოფლისა და მაღალმთიან დასახლებას, ასევე ტურისტულ და დაცულ ლანდშაფტთან დაკავშირებულ ტერიტორიებს.

დუშეთის შემთხვევაში ნარჩენების მართვის მწვანე ბიუჯეტირების მთავარი ამოცანაა არსებული სერვისის ხარისხის გაუმჯობესება და მისი ეტაპობრივი გადასვლა უფრო თანამედროვე მოდელზე. დღეს ბიუჯეტში ძირითადად ჩანს *დასუფთავება და ნარჩენების გატანა, რაც აუცილებელი საბაზისო სერვისია*. თუმცა ***მწვანე ბიუჯეტირების კუთხით მნიშვნელოვანია***, *რომ პროგრამაში გაჩნდეს შედეგობრივი ინდიკატორები: მომსახურებით დაფარული დასახლებების რაოდენობა, შეგროვებული ნარჩენების მოცულობა, გატანის სიხშირე, კონტეინერების რაოდენობა და მდგომარეობა, სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირება, სეპარირებული შეგროვების პილოტური პუნქტები და მოსახლეობის ცნობიერების ღონისძიებები.*

ნარჩენების მართვა დუშეთში ასევე მჭიდროდ უკავშირდება ***ტურიზმსა და დაცულ ლანდშაფტს. ანანური, ჟინვალის წყალსაცავი, ბაზალეთი, არაგვის ხეობები, ფშავ-ხევსურეთი და სხვა ტურისტული სივრცეები ზრდის ნარჩენების წარმოქმნის რისკს, განსაკუთრებით სეზონურად.*** ამიტომ ნარჩენების პროგრამა უნდა იყოს დაკავშირებული ტურისტულ ზონებში კონტეინერების განთავსებასთან, გატანის სიხშირის სეზონურ ზრდასთან, საინფორმაციო ნიშნებთან და ადგილობრივი ბიზნესების ჩართვასთან. წინააღმდეგ შემთხვევაში ტურიზმის განვითარებამ შეიძლება გაზარდოს გარემოზე ზეწოლა.

გამოწვევები

- ნარჩენების მართვა *ძირითადად გატანასა და დასუფთავებაზეა ორიენტირებული; პრევენცია, სეპარირება და გადამუშავება სუსტად ჩანს*.
- არ არის მკაფიოდ გამოყოფილი მომსახურებით დაფარული სოფლებისა და მაღალმთიანი დასახლებების მაჩვენებელი.
- *ტურისტულ ზონებში ნარჩენების სეზონური* დატვირთვა ცალკე არ არის ასახული.
- *მოსახლეობისა და ბიზნესის ცნობიერების არასაკმარისი დონე*. მოქალაქეებს ხშირად არ აქვთ მკაფიო ინფორმაცია, რატომ არის მნიშვნელოვანი ნარჩენების შემცირება, დახარისხება და არალეგალური დაყრის თავიდან აცილება. მოსახლეობისა და ბიზნესის ცნობიერების ამაღლების კომპონენტი ცალკე არ ჩანს.
- *ტურისტულ სეზონზე ნარჩენების მოცულობის ზრდა*. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალურია რეკრეაციულ ზონებში.
- *პროგრამაში შეზღუდულია შედეგობრივი ინდიკატორები* – ტონა, კონტეინერები, გატანის სიხშირე, სტიქიური ნაგავსაყრელები.
- *სეპარირებული შეგროვებისა და რეციკლირების სუსტი პრაქტიკა*. თუ ნარჩენები ერთიან ნაკადად გროვდება, შემდგომი გადამუშავება რთულდება და მუნიციპალიტეტი რჩება მხოლოდ გატანის სისტემაზე დამოკიდებული.
- *მონაცემების ნაკლებობა*. მწვანე ბიუჯეტირებისთვის საჭიროა ზუსტი ინფორმაცია წარმოქმნილი, შეგროვებული, სეპარირებული, რეციკლირებული და განთავსებული ნარჩენების მოცულობის შესახებ.
- *თანამედროვე სტანდარტების რეგიონული ნაგავსაყრელი*. საჭიროებების ანალიზმა გამოკვეთა მსგავსი ნაგავსაყრელის მოწყობის საჭიროება.
- *ნარჩენების მართვისთვის საჭირო ტექნიკისა და ურნების ნაკლებობა*. დაინტერესებულ მხარეებთან ანალიზმა ცხადყო, რომ ნარჩენების შეგროვებისა და გატანის სათანადო სერვისის უზრუნველსაყოფად საჭიროა დამატებით სპეცტექნიკის ოპერირება და საჭირო ურნების დამატება/ჩანაცვლება სხვადასხვა ლოკაციაზე.
- *სახიფათო ნარჩენების მართვის საკითხი.* მაგ.: არ არსებობს *ბეკარის ორმოები*, შესაბამისად, ცხოველური ტიპის ნარჩენების მართვას მოსახლეობა თავად ახდენს (დახოცილ ცხოველს მიწაში მარხავს). არ ხდება ბატარეებისა და აკუმულატორების ცალკე შეგროვება, შესაბამისად, ისინიც საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად არსახიფათო ოფიციალურ ან სტიქიურად წარმოქმნილ შედარებით მცირე ზომის ნაგავსაყრელზე ხვდება.

რეკომენდაციები

- ნარჩენების პროგრამას დაემატოს მწვანე ინდიკატორები: შეგროვებული ნარჩენების მოცულობა, დაფარული დასახლებები, გატანის სიხშირე და კონტეინერების რაოდენობა;
- ტურისტულ ზონებში დაიგეგმოს ნარჩენების მართვის სეზონური მოდელი;
- დაიწყოს სეპარირებული შეგროვების მცირე პილოტი – მაგალითად, პლასტმასის, მინის ან ქაღალდისთვის;
- მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში დაფინანსდეს მცირე პროექტები სუფთა სოფლის, სუფთა ტურისტული სივრცისა და კონტეინერების ქსელის გაუმჯობესებისთვის;

- სკოლებში, ბაღებში და სოფლებში ჩატარდეს ცნობიერების ამაღლების კამპანიები ნარჩენების შემცირებასა და სწორ განთავსებაზე;
- ბიუჯეტის შესრულების ანგარიშში ნარჩენების მართვა შეფასდეს არა მხოლოდ თანხის ათვისებით, არამედ გარემოსდაცვითი შედეგითაც;
- საჭიროა თანამედროვე სტანდარტების რეგიონული ნაგავსაყრელის მოწყობა, აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა ცენტრალურ ხელისუფლებასთან, დონორ ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ინტენსიური კომუნიკაცია და საჭირო რესურსების მობილიზება;
- აუცილებელია დასუფთავებისა და ნარჩენების გატანისთვის საჭირო სპეც ტექნიკის შეძენა, რამაც უნდა გაუმჯობესოს ნარჩენების შეგროვებისა და გატანის პრაქტიკა, განსაკუთრებით ტურისტულ სეზონზე, როცა ნარჩენების წარმოქმნა კიდევ უფრო იზრდება;
- მნიშვნელოვანია ასევე ნარჩენების სეპარირების კულტურის დანერგვა და შესაბამისი ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სწორი მოდელის ჩამოყალიბება;
- სახიფათო ნარჩენების მართვის კუთხით მნიშვნელოვანია შესაბამის საკითხზე პასუხისმგებელ ცენტრალურ სახელმწიფოს უწყებებთან და დონორ ორგანიზაციებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება და საკითხის გადაწყვეტის მიზნით საჭირო კოორდინაციის უზრუნველყოფა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხედვა მნიშვნელოვანია ეფუძნებოდეს პრინციპს: **„სუფთა დასახლებები, სუფთა ტურისტული სივრცეები და ნაკლები ნარჩენი ბუნებაში.“** მუნიციპალიტეტმა ეტაპობრივად უნდა გადაინაცვლოს მხოლოდ ნარჩენების გატანის მოდელიდან უფრო სრულ სისტემაზე, სადაც პრიორიტეტულია ნარჩენების პრევენცია, სეპარირება, მოსახლეობის ჩართულობა, ტურისტული ზონების დაცვა და სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირება. ამ მიდგომით ნარჩენების მართვის **1,3 მლნ ლარის** ხარჯი გახდება არა მხოლოდ კომუნალური მომსახურება, არამედ დუშეთის ბუნებრივი კაპიტალის, ტურისტული პოტენციალისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მნიშვნელოვანი მწვანე ინვესტიცია.

წყლის სექტორი

წყლის ეფექტური მართვა დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა, რადგან იგი ერთდროულად უკავშირდება მოსახლეობის ჯანმრთელობას, სასმელ წყალზე ხელმისაწვდომობას, კლიმატთან ადაპტაციას, წყლის რესურსების დაზოგვას, სტიქიური რისკების შემცირებას და სოფლის დასახლებების მდგრადობას. მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი რელიეფი, მრავალი სოფელი, მდინარეთა ხეობები და არაგვის აუზთან კავშირი ზრდის საჭიროებას, რომ წყლის სისტემები არა მხოლოდ ტექნიკური ინფრასტრუქტურის ნაწილად, არამედ მწვანე და კლიმატურად მედეგი ბიუჯეტირების პრიორიტეტად განიხილებოდეს.

ეროვნულ კონტექსტში დუშეთის წყლის მართვა უნდა დაუკავშირდეს საქართველოს ახალ სამართლებრივ ჩარჩოს – **„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონს**, რომლის მიზანია წყლის რესურსების დაცვისა და მდგრადი გამოყენების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, სუფთა წყალზე მოქალაქეთა წვდომის უფლების უზრუნველყოფა და წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა. კანონი ასევე მნიშვნელოვანია ევროკავშირის წყლის პოლიტიკასთან დაახლოების და სააუზო მართვის პრინციპების დანერგვის თვალსაზრისით. გარდა ამისა,

NEAP 4 – 2022–2026 წლების ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა წყლის რესურსების დაცვას ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად ასახელებს. დუშეთისთვის ეს განსაკუთრებით რელევანტურია, რადგან არაგვის აუზი, სასმელი წყლის სისტემები, სანიაღვრე არხები და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურა ადგილობრივ დონეზე სწორედ ამ ეროვნული ამოცანების პრაქტიკული გამოხატულებაა.

დუშეთის 2025 წლის ბიუჯეტში **02 03 – წყლის სისტემების განვითარება** შეადგენს **1,2 მლნ ლარს** (მ.შ. სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია – **0,4 მლნ ლარი**, ა(ა)იპ „დუშეთის წყლის“ ხელშეწყობა – **0,5 მლნ ლარი**, ხოლო სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია – **0,3 მლნ ლარი**). პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის დასახლებებში წყალმომარაგების უზრუნველყოფა, სისტემების მოვლა-პატრონობა და შეკეთება, ასევე სანიაღვრე და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.

2025 წლის შესრულების ანგარიშის მიხედვით, წყლის სისტემების განვითარების პროგრამა შესრულდა **1,1 მლნ ლარით**, რაც გეგმის **84%**-ს შეადგენს. ქვეპროგრამების მიხედვით, სასმელი წყლის სისტემების მოწყობა/რეაბილიტაცია შესრულდა **0,3 მლნ ლარით**, ა(ა)იპ „დუშეთის წყლის“ ხელშეწყობა – **0,5 მლნ ლარით**, ხოლო სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობები – **0,2 მლნ ლარით**. ეს მაჩვენებლები მიუთითებს, რომ წყლის სექტორი ფინანსურად აქტიური მიმართულებაა, თუმცა სრულფასოვანი მწვანე ბიუჯეტირებისთვის საჭიროა მხოლოდ ხარჯის ათვისების მიღმა შედეგობრივი მაჩვენებლების გაძლიერება – რეაბილიტირებული ქსელის სიგრძე, წყლის დანაკარგების შემცირება, ავარიებზე რეაგირების დრო, წყლის ხარისხის კონტროლი და უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი მოსახლეობა.

მწვანე ბიუჯეტირების კუთხით, სასმელი წყლის სისტემები შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც კლიმატთან ადაპტაციისა და სოციალური მდგრადობის ხარჯი, ხოლო სანიაღვრე და ნაპირსამაგრი ნაგებობები – როგორც სტიქიური რისკების პრევენციისა და წყალდიდობა/ეროზიის რისკების შემცირების ხარჯი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ პროგრამული დანართით 2025–2028 წლებში წყლის სისტემების განვითარების ჯამური მოცულობა **8,6 მლნ ლარს** შეადგენს, მათ შორის 2026 წელს – **1,9 მლნ**, 2027 წელს – **2,8 მლნ**, ხოლო 2028 წელს – **3,4 მლნ ლარი**. ეს ზრდადი დინამიკა აჩვენებს, რომ წყლის ინფრასტრუქტურა საშუალოვადიან პერიოდში ერთ-ერთი მთავარი მწვანე/ადაპტაციური პრიორიტეტია.

გამოწვევები

- *წყლის მართვა დუშეთის ბიუჯეტში ცალკე* მწვანე სექტორად არ არის მონიშნული.
- პროგრამაში ჯერ მკაფიოდ არ ჩანს წყლის დანაკარგების, წყლის ხარისხის და უწყვეტი მიწოდების ინდიკატორები. *წყლის ხარისხისა და რაოდენობის მონაცემების არასაკმარისი ინტეგრაცია მუნიციპალურ დაგეგმვაში*.
- სასმელი წყლის, სანიაღვრე და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურის *კლიმატური რისკები ცალკე არ არის კლასიფიცირებული*.
- სანიაღვრე და ნაპირსამაგრი მიმართულება 2025 წელს შედარებით მცირე მოცულობისაა. დაინტერესებულ მხარეებთან დიალოგში მკაფიოდ ხაზი გაესვა ფასანაურში ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობას.
- არ ჩანს სააუზო მართვის პრინციპებთან, განსაკუთრებით არაგვის აუზის მართვასთან, პროგრამული კავშირი.
- ბიუჯეტის შესრულება ძირითადად ფინანსურ ათვისებას აჩვენებს და ნაკლებად ასახავს რეალურ გარემოსდაცვით შედეგს.

- *წყალმომარაგებისა და წყალარინების ინფრასტრუქტურის არასრული დაფარვა*, განსაკუთრებით სოფლებში და სეზონურად დატვირთულ ტურისტულ ზონებში. *ჟინვალის საკანალიზაციო-წყალარინების რეაბილიტაციის* საჭიროება დაინტერესებულ მხარეებთან კომუნიკაციის დროს ერთობ აქტუალურად წარმოჩინდა.
- *კლიმატის ცვლილება*. ძლიერი ნალექები, წყალდიდობები, მეწყრული პროცესები და გვალვის პერიოდები პირდაპირ მოქმედებს როგორც წყლის რესურსებზე, ასევე ინფრასტრუქტურაზე.
- *წყალარინებისა და ჩამდინარე წყლების მართვის ჩამორჩენა წყალმომარაგების გაუმჯობესებასთან შედარებით.*
- *უწყებათაშორისი კოორდინაცია*. წყლის სექტორში ჩართულია როგორც ცენტრალური სახელმწიფო უწყებები და წყალმომარაგების კომპანია, ისე მუნიციპალიტეტები, გარემოსდაცვითი სტრუქტურები, მოსახლეობა და კერძო სექტორი.
- *ახალი სააუზო მართვის რეგულაციით განსაზღვრული ვალდებულებების მუნიციპალურ ჭრილში გააზრება და სათანადო რესურსების მობილიზება* სხვადასხვა საჭირო ინფრასტრუქტურული სამუშაოების უზრუნველსაყოფად (მაგ.: რეკრეაციული ზონების გამოყოფა, სადაც შესაძლოა სანაპიროების რეკრეაციული მიზნებისთვის გამოყენება, შესაბამისი მანიშნებლების დამზადება და მონტაჟი და შესაბამისი ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიების უზრუნველყოფა).
- *ბაზალეთის ტბის დაჭაობების საფრთხე*. კლიმატის ცვლილებით გამოწვეული პროცესები სავარაუდოდ მნიშვნელოვნად ზემოქმედებს ბაზალეთის ტბის ეკოსისტემაზე, ტბაში წყლის დონის კლება და დაჭაობების მასტიმულირებელი ფაქტორების ზრდა სათანადო ყურადღებას და დროულ საპასუხო მოქმედებას მოითხოვს ბაზალეთში ეკოსისტემის სრული ცვლილების თავიდან ასაცილებლად და ტბის დაჭაობებისგან დასაცავად.

მიზანშეწონილია, რომ *მუნიციპალიტეტმა **სააუზო მართვის პრინციპები** ჩართოს სივრცით დაგეგმვაში, ინფრასტრუქტურულ პროექტებში და ტურიზმის განვითარებაში*. მდინარეების, ტბების, წყაროების, ხევებისა და წყლის ობიექტების დატვირთვა უნდა შეფასდეს არა ცალკეული პროექტების დონეზე, არამედ აუზის მასშტაბით. ტურისტულ ზონებში აუცილებელია წყლის მოხმარების სეზონური ზრდის წინასწარი შეფასება, წყალარინების სისტემის გამართული ფუნქციონირება და წყლის დაბინძურების პრევენცია.

რეკომენდაციები

- წყლის სისტემების განვითარება მოინიშნოს როგორც კლიმატთან ადაპტაციისა და წყლის რესურსების მდგრადი მართვის ხარჯი.
- პროგრამას დაემატოს ინდიკატორები: რეაბილიტირებული წყალსადენის სიგრძე, წყლის დანაკარგების შემცირება, წყლის ხარისხის შემოწმებების რაოდენობა, ავარიებზე რეაგირების დრო.
- სანიაღვრე და ნაპირსამაგრი პროექტები დაკლასიფიცირდეს როგორც DRM/კლიმატთან ადაპტაციის ხარჯები.
- პრიორიტეტი მიენიჭოს მაღალი რისკის სოფლებისა და მონაკვეთების იდენტიფიცირებას.
- ა(ა)იპ „დუშეთის წყლის“ ანგარიშგებაში აისახოს მომსახურებით დაფარული მოსახლეობა, ავარიების რაოდენობა და ქსელის მოვლა-პატრონობის შედეგები.
- პროგრამის დაგეგმვა დაუკავშირდეს არაგვის აუზის, NEAP 4-ისა და წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ეროვნულ პრინციპებს.

- მნიშვნელოვანია ჭინვალში საკანალიზაციო-წყალარინების მაგისტრალის რეაბილიტაცია, რისთვისაც საჭიროა სათანადო რესურსების მობილიზება.
- საჭიროა ბაზალეთის დაჭაობების საკითხის სათანადოდ შესწავლა და საპასუხო ქმედებების უზრუნველყოფა. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტის მიზნით საჭიროა ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ინსტიტუციებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების (დონორები, საერთაშორისო ორგანოები თუ სხვა კერძო ინსტიტუციები) კომუნიკაციისა და კოორდინაციის გაუმჯობესება.

დუშეთის წყლის მართვის სასურველი ხედვა უნდა ეფუძნებოდეს პრინციპს: **„უსაფრთხო წყალი, ნაკლები დანაკარგი და კლიმატურად მედეგი ინფრასტრუქტურა ყველა დასახლებისთვის.“** მუნიციპალიტეტმა ეტაპობრივად უნდა განავითაროს სისტემა, სადაც სასმელი წყლის ქსელები უზრუნველყოფს მოსახლეობის სტაბილურ სერვისს, სანიაღვრე და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურა ამცირებს სტიქიურ რისკებს, ხოლო ბიუჯეტის თითოეული წყლის პროექტი ფასდება არა მხოლოდ შესრულებული თანხით, არამედ წყლის ხარისხით, დანაკარგების შემცირებით, გარემოს დაცვით და მოსახლეობის რეალური სარგებლით. *წყალმომარაგება, წყალარინება, მდინარეების დაცვა და კლიმატური რისკები ცალ-ცალკე განიხილება და შესაბამისად, წყლის სექტორის* ***ფრაგმენტული მართვა*** *მნიშვნელოვანი გამოწვევაა*. აუცილებელია დუშეთისთვის წყლის სექტორი მწვანე ბიუჯეტირების ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება გახდეს და წყლის რესურსების, ეკოსისტემური სერვისებისა და მოსახლეობის კეთილდღეობის კუთხით საყურადღებო შედეგების გაზომვაზე ფოკუსირდეს.

ინიციატივა განხილვისთვის

„წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონი ადგილობრივ თვითმმართველობებს აკისრებს ექსკლუზიურ უფლებამოსილებებს და ვალდებულებებს სარეკრეაციო დანიშნულებით გამოყენებულ წყლის ობიექტებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. კერძოდ, კანონის 15.5 მუხლის მიხედვით:

„მოსახლეობის სიცოცხლისთვის ან/და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემცველი გარემოებების არსებობისას, მუნიციპალიტეტები, ამ კანონის საფუძველზე, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად:

ა) სამინისტროსთან და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან კოორდინაციით განსაზღვრავენ ადგილებს, სადაც ბანაობა აკრძალულია“.

რაც შეეხება კანონის 15.6 მუხლს, „მუნიციპალიტეტი ვალდებულია, ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვების დადგენისთანავე გამოაქვეყნოს, ან სხვა ფორმით (ინფორმაციის ცნობის სახით გავრცელება, მოქალაქეებისთვის საინფორმაციო ფურცლების დარიგება, შესაბამის წყლის ობიექტთან საინფორმაციო აბრის განთავსება და სხვა) მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახადოს ინფორმაცია საერთო წყალსარგებლობის შესაძლებლობისა და მისი შეზღუდვის პირობების თაობაზე“.

კანონის მიხედვით, აღნიშნული მუხლის ამოქმედება დადგენილია 2026 წლის 1 სექტემბრიდან, ანუ მიმდინარე წლის შემოდგომიდან.

ახალი უფლებამოსილების განხორციელება მოითხოვს მუნიციპალურ დონეზე წყლის ობიექტებზე რეკრეაციისთვის არსებული უბნების აუდიტს და საფრთხეების დონის განსაზღვრას, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდება კანონის 15.6 მუხლის აღსრულება.

რეკომენდაციები

დუშეთის მუნიციპალიტეტის მწვანე ბიუჯეტის პროექტის ანალიზმა აჩვენა, რომ მუნიციპალიტეტს აქვს მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი, კლიმატური და ბუნებრივ რესურსებზე დაფუძნებული განვითარების პოტენციალი. დუშეთის ბიუჯეტში უკვე იკვეთება ***პირდაპირი მწვანე ხარჯები*** – დასუფთავება, ნარჩენების მართვა, არაგვის დაცული ლანდშაფტის მხარდაჭერა – ასევე ***კლიმატთან ადაპტაციისა და რესურსდაზოგვის პოტენციალის მქონე მიმართულებები***: წყლის სისტემები, სანიაღვრე და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურა, სტიქიის პრევენცია, გარე განათება, საგზაო ინფრასტრუქტურა, კეთილმოწყობა, მონაწილეობითი ბიუჯეტირება და საპროექტო-ზედამხედველობის ხარჯები. ამასთან, **მთავარი გამოწვევა** ის არის, რომ ეს მიმართულებები *ჯერ არ არის გაერთიანებული ერთიან მწვანე საბიუჯეტო სისტემაში, სადაც ხარჯები კლასიფიცირდება, იზომება და ანგარიშგება ხდება გარემოსდაცვითი შედეგების მიხედვით.*

სასურველია, დუშეთის მუნიციპალიტეტმა 2027 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესიდან დანერგოს მწვანე ბიუჯეტის ***მარკირების მარტივი სისტემა***. თითოეული პროგრამა და ქვეპროგრამა უნდა შეფასდეს ოთხი ძირითადი კატეგორიით: პირდაპირი გარემოსდაცვითი ხარჯი, კლიმატთან ადაპტაციის ხარჯი, კლიმატის შერბილების ხარჯი და პოტენციურად მწვანე/ირიბი მწვანე ხარჯი. უფრო კონკრეტულად აღნიშნულმა კატეგორიებმა უნდა მოიცვას:

1) ***პირდაპირ მწვანე ხარჯებად*** უნდა მოინიშნოს *ნარჩენების მართვა, დასუფთავება, დაცული ლანდშაფტის მხარდაჭერა, წყალარინება, გამწვანება და გარემოსდაცვითი განათლება*.
2) ***ადაპტაციის ხარჯებად*** უნდა გამოიყოს *წყლის სისტემები, სანიაღვრე არხები, ნაპირსამაგრი სამუშაოები, სტიქიის პრევენცია და კლიმატურად მედეგი გზები*.
3) ***შერბილების ხარჯებად*** უნდა მოინიშნოს *ენერგოეფექტიანი გარე განათება, მუნიციპალური შენობების ენერგოეფექტიანობა, მზის ენერგიის ან სხვა ალტერნატიული ენერგიის გამოყენება*.
4) ***პოტენციურად მწვანე ხარჯებად*** შეიძლება ჩაითვალოს *კეთილმოწყობა, მონაწილეობითი ბიუჯეტირება, მდგრადი ტურიზმი და მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა იმ შემთხვევაში, თუ მათში გარემოსდაცვითი კრიტერიუმები იქნება ჩადებული*.

მწვანე ბიუჯეტირება საჭიროა დაუკავშირდეს ***გაზომვად ინდიკატორებს***. მხოლოდ თანხის გამოყოფა ან ათვისება არ არის საკმარისი იმის დასადგენად, მიიღო თუ არა მუნიციპალიტეტმა გარემოსდაცვითი შედეგი. ***ნარჩენების მართვის*** *მიმართულებით უნდა აღირიცხოს მომსახურებით დაფარული დასახლებები, შეგროვებული ნარჩენების მოცულობა, კონტეინერების რაოდენობა, გატანის სიხშირე, სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირება და სეპარირებული შეგროვების პილოტური პუნქტები*. ***წყლის სექტორში*** უნდა

გაიზომოს რეაბილიტირებული ქსელის სიგრძე, წყლის დანაკარგების შემცირება, წყლის ხარისხის შემოწმებები, ავარიებზე რეაგირების დრო და უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა. ***გარე განათებაში*** *აუცილებელია LED სანათების წილი, წლიური ელექტროენერგიის მოხმარება, ერთ სანათ წერტილზე ენერგომოხმარება და ელექტროენერგიის ხარჯის შემცირება.* ***სტიქიის პრევენციაში*** *უნდა გამოჩნდეს მოწყობილი სანიაღვრე არხების სიგრძე, ნაპირსამაგრი ნაგებობების რაოდენობა, დაცული ოჯახები და მაღალი რისკის მონაკვეთების შემცირება.*

მიზანშეწონილია ბიუჯეტის დაგეგმვის, შესრულებისა და ანგარიშგების ციკლში ***მწვანე თავის დამატება***. ***წლიურ ბიუჯეტში*** *სასურველია გაჩნდეს ცალკე ქვეთავი – „მწვანე ბიუჯეტთან დაკავშირებული პროგრამები“*, სადაც *თითოეული პროგრამის გვერდით ჩაიწერება მისი მწვანე კატეგორია, თანხა, მიზანი და ძირითადი ინდიკატორი.* ***ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში*** *კი უნდა დაემატოს მოკლე თავი – „მწვანე ხარჯების შესრულება“*, სადაც *გამოჩნდება გეგმა, ფაქტი, შესრულების პროცენტი, მიღწეული გარემოსდაცვითი შედეგი და შეუსრულებლობის მიზეზი.* ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ მიმართულებებისთვის, სადაც ფინანსური შესრულება დაბალია, მაგალითად სტიქიის პრევენციისა და შედეგების ლიკვიდაციის შემთხვევაში. ასეთი მიდგომა ბიუჯეტს გახდის არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ შედეგზე ორიენტირებულ გარემოსდაცვით დოკუმენტად.

დუშეთის მუნიციპალიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ***კლიმატთან ადაპტაციის ხარჯების გაძლიერებას***. მუნიციპალიტეტის რელიეფი, მდინარეთა ქსელი, მაღალმთიანი დასახლებები, ტყის და დაცული ლანდშაფტების ფართობები ზრდის წყალდიდობის, მეწყრის, ნაპირების წარეცხვის, გზების დაზიანების, დიდთოვლობისა და ტყის ხანძრის რისკებს. ამ ფონზე, ***სტიქიის პრევენცია,*** *სანიაღვრე არხები, ნაპირსამაგრი ნაგებობები, გზების კლიმატურად მედეგი რეაბილიტაცია და წყლის სისტემების გამართული ფუნქციონირება უნდა მოინიშნოს როგორც პრიორიტეტული ადაპტაციური ხარჯები.* მუნიციპალიტეტმა მიზანშეწონილია შეიმუშაოს *მაღალი რისკის უბნების სია და ბიუჯეტის დაგეგმვისას უპირატესობა მიანიჭოს იმ პროექტებს, რომლებიც ამცირებს ადამიანების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების მოწყვლადობას.*

დუშეთისთვის ***სოფლის მეურნეობა*** მწვანე ბიუჯეტირების ფარგლებში უნდა განიხილებოდეს როგორც *კლიმატურად მედეგი მთის ეკონომიკის ნაწილი, რომელიც საჭიროებს წყლის რესურსების მდგრად მართვას, საძოვრების დაცვას, ნიადაგის ეროზიის შემცირებას და ადგილობრივი პროდუქციის რეალიზაციის მხარდაჭერას.* სარწყავი, სანიაღვრე და ნაპირსამაგრი ინფრასტრუქტურა მიზანშეწონილია მოინიშნოს როგორც კლიმატთან ადაპტაციის ხარჯი, თუ იგი ამცირებს სასოფლო-სამეურნეო მიწების დაზიანების, დატბორვისა და ეროზიის რისკს. აგრარული ბაზრის, სოფლის მხარდაჭერისა და მონაწილეობითი ბიუჯეტირების ფარგლებში სასურველია დაემატოს მწვანე კრიტერიუმები – ადგილობრივი პროდუქციის მხარდაჭერა, ნარჩენების მართვა, წყლის დაზოგვა და მცირე ფერმერების ჩართულობა. ინდიკატორებად შეიძლება გამოყენებულ იქნეს რეაბილიტირებული სარწყავი/სანიაღვრე არხების სიგრძე, დაცული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი, ადგილობრივი ფერმერების რაოდენობა და მწვანე სოფლის მეურნეობის პროექტების რაოდენობა.

ენერგეტიკის მიმართულება მწვანე ბიუჯეტირების ფარგლებში მნიშვნელოვანია განიხილებოდეს როგორც გამჭოლი პრიორიტეტი, განსაკუთრებით გარე განათების, მუნიციპალური შენობების, წყლის სისტემებისა და დაშორებული მაღალმთიანი დასახლებების ენერგომომარაგების კუთხით. რეკომენდებულია, *გარე განათების პროგრამა ეტაპობრივად*

დაუკავშირდეს ენერგოეფექტიან LED ტექნოლოგიებს, ავტომატიზებულ მართვასა და ელექტროენერგიის მოხმარების მონიტორინგს, ხოლო მუნიციპალური შენობების რეაბილიტაციისას გათვალისწინებულ იქნეს თბოიზოლაცია, ენერგოეფექტიანი განათება და ეკონომიური გათბობის სისტემები. **ენერგეტიკული ღონისძიებები** უნდა დაუკავშირდეს *კლიმატის ცვლილების სტრატეგიულ დოკუმენტებს (მაგ.: NDC 3-ს, NECP-ს, მერების შეთანხმებას/ SECAP-ს, სხვ.)*. ***ინდიკატორებად*** მიზანშეწონილია დაემატოს *LED სანათების წილი, წლიური ელექტროენერგიის მოხმარება, დაზოგილი კვტ.სთ, ენერგოეფექტიანად რეაბილიტირებული მუნიციპალური ობიექტების რაოდენობა და ალტერნატიული ენერგიით უზრუნველყოფილი დასახლებები/ბენეფიციარები.*

დუშეთისთვის ***წყლის მართვა*** *უნდა ჩამოყალიბდეს ერთ-ერთ მთავარ მწვანე საბიუჯეტო მიმართულებად*. სასმელი წყლის სისტემები, სანიაღვრე ინფრასტრუქტურა, ნაპირსამაგრი სამუშაოები, წყალარინება და არაგვის აუზის დაცვა ერთმანეთთან დაკავშირებული საკითხებია და მათი ფრაგმენტულად განხილვა ამცირებს პოლიტიკის ეფექტიანობას. მომდევნო წლებში აუცილებელია წყლის სისტემების განვითარების პროგრამა დაუკავშირდეს *წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ეროვნულ პრინციპებს*, NEAP-ის გარემოსდაცვით ამოცანებს და კლიმატთან ადაპტაციის საჭიროებებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *სოფლებში უსაფრთხო სასმელ წყალზე წვდომა, წყლის დანაკარგების შემცირება, წყალარინების ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი განვითარება და ბაზალეთის ტბის შესაძლო დაჭაობებასთან დაკავშირებული გამოწვევის გადაწყვეტაზე ზრუნვა*.

მიუხედავად იმისა, რომ ***ნარჩენების გატანა და დასუფთავება*** *დუშეთის ბიუჯეტის პირდაპირ მწვანე ხარჯად უნდა შეფასდეს*, პროგრამა ეტაპობრივად უნდა გასცდეს მხოლოდ შეგროვებისა და გატანის მოდელს. აუცილებელია *მომსახურებით დაფარვის გაფართოება, ტურისტულ ზონებში სეზონური ნარჩენების მართვის მოდელის შექმნა, სტიქიური ნაგავსაყრელების ინვენტარიზაცია და ლიკვიდაცია, სეპარირებული შეგროვების მცირე პილოტების დაწყება და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება*. დუშეთის ტურისტული პოტენციალის გათვალისწინებით, *ნარჩენების მართვა უნდა გახდეს ეკოტურიზმისა და დაცული ლანდშაფტის დაცვის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა*.

მიზანშეწონილია ***მწვანე შესყიდვების*** *ინტეგრირება მუნიციპალურ პროგრამებში*. ***გარე განათების*** პროგრამა უნდა გადაიქცეს ენერგოეფექტიანობის ერთ-ერთ მთავარ ადგილობრივ ინსტრუმენტად. ყველა ახალი სანათი წერტილის მოწყობისას მიზანშეწონილია LED ტექნოლოგიის, ავტომატური მართვისა და ენერგომოხმარების მონიტორინგის მოთხოვნების ჩადება. *მუნიციპალური შენობების* რეაბილიტაციისას უნდა გაითვალისწინონ თბოიზოლაცია, ენერგოეფექტიანი განათება, ეკონომიური გათბობა და სიცოცხლის ციკლის ღირებულება. მწვანე შესყიდვების მიმართულებით მუნიციპალიტეტმა პირველ ეტაპზე შეიძლება აირჩიოს რამდენიმე პრაქტიკული კატეგორია: გარე განათება, წყლის ინფრასტრუქტურა, ნარჩენების კონტეინერები, კეთილმოწყობის მასალები და საპროექტო მომსახურებები.

დუშეთის მუნიციპალიტეტმა ***მწვანე ბიზნესის ხელშეწყობა*** *საჭიროა განიხილოს როგორც ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გამჭოლი მიმართულება*, რომელიც *უკავშირდება ეკოტურიზმს, აგროტურიზმს, ადგილობრივ პროდუქტს, დაცულ ლანდშაფტს და რესურსდამზოგ მცირე ბიზნესს*. მონაწილეობითი ბიუჯეტირების, სოფლის მხარდაჭერისა და არაგვის დაცული ლანდშაფტის პროგრამებში შესაძლებელია დაემატოს *„მწვანე ბიზნესის“ კრიტერიუმი*, რათა *უპირატესობა მიენიჭოს ისეთ ინიციატივებს, რომლებიც ქმნის ეკონომიკურ სარგებელს და ამავდროულად ამცირებს გარემოზე ზეწოლას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა*

მიექცეს ადგილობრივი მწარმოებლების, საოჯახო სასტუმროების, გიდების, ხელნაკეთი პროდუქციისა და ეკოტურისტული სერვისების მხარდაჭერას. ამ მიმართულებით სასურველია ***ინდიკატორების დამატება***: *მხარდაჭერილი მწვანე ბიზნესების რაოდენობა, ადგილობრივი მონაწილეების რაოდენობა, ეკოტურისტული სერვისები და გარემოსდაცვითი სტანდარტებით განხორციელებული მცირე პროექტები.*

მნიშვნელოვანია ***არაგვის დაცული ლანდშაფტის, ტყეების, ეკოტურიზმისა და ადგილობრივი ეკონომიკის*** *მწვანე კონტექსტში გააზრება*. არაგვის დაცული ლანდშაფტის დაფინანსება დუშეთის ბიუჯეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირდაპირი მწვანე კომპონენტია. მომავალში ამ პროგრამას უნდა დაემატოს *ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის, ტყის და ლანდშაფტის დაცვის, ეკოტურისტული მარშრუტების მართვის, ადგილობრივი გიდებისა და საოჯახო სასტუმროების ჩართულობის, გარემოსდაცვითი განათლებისა და ვიზიტორთა ნაკადის მართვის ინდიკატორები*. ტურიზმისა და მწვანე ბიზნესის განვითარება უნდა მოხდეს ისე, რომ არ გაიზარდოს ნარჩენების, წყლის მოხმარებისა და ეკოსისტემებზე ზეწოლის რისკები.

სასურველია ***მონაწილეობითი ბიუჯეტირება*** *გამოყენებულ იქნას მწვანე ინიციატივების გამოსავლენად*. მონაწილეობითი ბიუჯეტირების წესებში მიზანშეწონილია დაემატოს „მწვანე ქულა“, რომელიც უპირატესობას მიანიჭებს პროექტებს, რომლებიც ამცირებს გარემოს დაბინძურებას, აუმჯობესებს წყლის მართვას, ქმნის მწვანე სივრცეებს, ამცირებს კლიმატურ რისკებს ან ზრდის ენერგოეფექტიანობას. ასეთ პროექტებად შეიძლება ჩაითვალოს სანიაღვრე არხების მცირე რეაბილიტაცია, სოფლის წყლის სისტემები, ტურისტულ ზონებში ნარჩენების ინფრასტრუქტურა, სკვერების გამწვანება, მზის განათების მცირე პროექტები და გარემოსდაცვითი საგანმანათლებლო კამპანიები.

მნიშვნელოვანია ***გარემოსდაცვითი მმართველობის*** *გაძლიერება*. დუშეთის მუნიციპალიტეტმა *მიზანშეწონილია შექმნას მწვანე ბიუჯეტირების შიდა საკოორდინაციო ჯგუფი*, სადაც ჩართული იქნებიან საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, ინფრასტრუქტურის მიმართულება, სტატისტიკის, ეკონომიკის განვითარებისა და გარემოს დაცვის განყოფილება, კეთილმოწყობის, წყლის, დაცული ლანდშაფტისა და სხვა შესაბამისი მუნიციპალური სტრუქტურები. ***ამ ჯგუფის ფუნქცია*** *უნდა იყოს მწვანე მარკირების მეთოდოლოგიის შეთანხმება, მონაცემების შეგროვება, ინდიკატორების მონიტორინგი, პროგრამული ბიუჯეტის მომზადებაში გარემოსდაცვითი კრიტერიუმების ინტეგრირება და წლიური ანგარიშის მომზადება.*

დუშეთის მუნიციპალიტეტისთვის მწვანე ბიუჯეტირების ***მთავარი რეკომენდაციაა არსებული გარემოსდაცვითი და კლიმატთან დაკავშირებული ხარჯების სისტემატიზაცია***. მუნიციპალიტეტს უკვე აქვს მნიშვნელოვანი საბიუჯეტო საფუძველი – გარემოს დაცვა, ინფრასტრუქტურა, წყალი, ნარჩენები, დაცული ლანდშაფტი, გარე განათება, სტიქიის პრევენცია და მონაწილეობითი ბიუჯეტირება. მომდევნო ეტაპზე ამ ხარჯებს უნდა დაემატოს *მკაფიო კლასიფიკაცია*, *ინდიკატორები*, *შესრულების მონიტორინგი* და *ანგარიშგება*. ***ამ მიდგომით დუშეთის ბიუჯეტი აღარ იქნება მხოლოდ ხარჯების განაწილების დოკუმენტი; იგი გადაიქცევა კლიმატურად მედეგი, ეკოლოგიურად უსაფრთხო და მდგრადი მაღალმთიანი მუნიციპალიტეტის განვითარების ინსტრუმენტად.***

დანართი

დანართი 1. დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პირველადი ბიუჯეტის პროგრამული დანართის პროგრამების/ქვეპროგრამების მწვანე ბიუჯეტთან კავშირი, იდენტიფიცირებული შესრულების ინდიკატორების და დასამატებელი მწვანე ინდიკატორების ნუსხა

საბიუჯეტო კოდი და პროგრამა/ქვეპროგრამა	2025 წელი, მლნ ლარი	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	არსებული შესრულების ინდიკატორები	დასამატებელი მწვანე ინდიკატორები
02 00 – ინფრასტრუქტურის განვითარება	6,0	პოტენციურად მწვანე/ კლიმატთან ადაპტაციის მიმართულება	პროგრამების დონეზე მოცემულია გზების, განათების, წყლისა და კეთილმოწყობის შედეგობრივი ინდიკატორები.	მთლიან ინფრასტრუქტურაზე დაემატოს მწვანე მარკირების წილი: რამდენი პროექტია კლიმატთან ადაპტაციის, ენერგოეფექტიანობის ან გარემოსდაცვითი მიზნის მქონე.
02 01 – საგზაო ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა	1,8	კლიმატურად მედეგი ინფრასტრუქტურის პოტენციალი	ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ გზებით; გზების სიგრძე, სადაც ჩატარდა კაპიტალური შეკეთება/ რეაბილიტაცია.	დაემატოს კლიმატურად მედეგი გზების სიგრძე; მოწყობილი სანიაღვრეების სიგრძე; მეწყრის/ეროზიის რისკის შემცირებული მონაკვეთების რაოდენობა.
02 01 01 – გზების მშენებლობა-რეკონსტრუქცია	1,2	ადაპტაცია, თუ პროექტები ამცირებს გზების დაზიანების, დატბორვის ან ეროზიის რისკს	ბენეფიციართა რაოდენობა; რეაბილიტირებული გზების სიგრძე.	დაემატოს პროექტების რაოდენობა, სადაც გათვალისწინებულია წყლის არინება, ფერდობების გამაგრება, ხიდების/ბოგირების მდგრადობა და კლიმატური რისკის შეფასება.
02 01 02 – საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა	0,6	არსებული ინფრასტრუქტურის მდგრადობა და ზამთრის პერიოდში ხელმისაწვდომობა	გზების სიგრძე, რომელზეც ჩატარდა მიმდინარე შეკეთება; ბენეფიციართა რაოდენობა.	დაემატოს თოვლისგან გაწმენდილი გზების სიგრძე; პრევენციულად შეკეთებული მაღალი რისკის მონაკვეთები; ავარიული დაზიანებების შემცირება.
02 02 – გარე განათება	1,1	ენერგოეფექტიანობისა და უსაფრთხო გარემოს პოტენციალი	სანათი წერტილების რაოდენობა, რომელთა მოვლა-პატრონობა ხორციელდება; შეკეთებული/შეცვლილი სანათები, ბოძები და სადენები.	დაემატოს LED სანათების წილი; წლიური ელექტროენერგიის მოხმარება; ენერგომოხმარების შემცირება; CO_2-ის სავარაუდო შემცირება.

საბიუჯეტო კოდი და პროგრამა/ქვეპროგრამა	2025 წელი, მლნ ლარი	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	არსებული შესრულების ინდიკატორები	დასამატებელი მწვანე ინდიკატორები
02 02 01 – გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია	0,4	ენერგომოხმარების მართვის პოტენციალი	განათებული სანათი წერტილების რაოდენობა; არსებული ქსელის მოვლა-პატრონობა.	დაემატოს ერთ სანათ წერტილზე ელექტროენერგიის საშუალო მოხმარება; ენერგოეფექტიანი სანათების რაოდენობა; დაზიანების აღმოფხვრის საშუალო დრო.
02 02 02 – გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	0,7	ახალი ენერგოეფექტიანი ინფრასტრუქტურის პოტენციალი	გარე განათების წერტილების რაოდენობა, რომელთა მოვლა-პატრონობა ხორციელდება; შეკეთებული/შეცვლილი სანათების და ბოძების რაოდენობა.	დაემატოს ახალ წერტილებში LED ტექნოლოგიის წილი; მზის/ავტომატიზებული მართვის სისტემების რაოდენობა; განათებული ახალი უბნების რაოდენობა.
02 03 – წყლის სისტემების განვითარება	0,6	წყლის რესურსების მართვა და კლიმატთან ადაპტაცია	რეაბილიტირებული წყალსადენის სიგრძე; წყლის სისტემების ფუნქციონირების გაუმჯობესება; მოსახლეობის სასმელ წყალზე წვდომის გაუმჯობესება.	დაემატოს წყლის დანაკარგების შემცირება; უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი ოჯახების რაოდენობა; წყლის ხარისხის შემოწმებების რაოდენობა.
02 03 01 – სასმელი წყლის სისტემების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	0,1	სასმელი წყლის უსაფრთხოება და კლიმატთან ადაპტაცია	რეაბილიტირებული/მოწყობილი წყალსადენის სიგრძე; 2025 წლისთვის დაგეგმილია წყალსადენის რეაბილიტაცია/მოწყობა.	დაემატოს წყლის ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობის მაჩვენებელი; წყლის მიწოდების უწყვეტობის საათები; წყლის დანაკარგების შემცირებული პროცენტი.
02 03 02 – ა(ა)იპ „დუშეთის წყლის“ ხელშეწყობა	0,5	წყლის სისტემების მოვლა-პატრონობა და სერვისის მდგრადობა	წყლის სისტემების ექსპლუატაციის უწყვეტობა და გაუმართაობების დროული აღმოფხვრა.	დაემატოს ავარიების რაოდენობა; ავარიებზე რეაგირების საშუალო დრო; შეკეთებული ქსელის სიგრძე; მომსახურებით მოცული მოსახლეობა.
02 03 03 – სარწყავი, სანიაღვრე არხებისა და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა-რეაბილიტაცია	0,0	კლიმატთან ადაპტაციის მნიშვნელოვანი მიმართულება, თუმცა 2025 წელს დაფინანსება არ არის	2025 წელს დაფინანსება არ არის გათვალისწინებული; 2026–2028 წლებში დაფინანსება იზრდება.	დაემატოს მოწყობილი/რეაბილიტირებული სანიაღვრე არხების სიგრძე; ნაპირსამაგრი ნაგებობების რაოდენობა; დაცული ოჯახები/ობიექტები; შემცირებული დატბორვის შემთხვევები.

საბიუჯეტო კოდი და პროგრამა/ქვეპროგრამა	2025 წელი, მლნ ლარი	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	არსებული შესრულების ინდიკატორები	დასამატებელი მწვანე ინდიკატორები
02 06 – კეთილმოწყობის ღონისძიებები	0,7	მწვანე სივრცეებისა და საზოგადოებრივი გარემოს გაუმჯობესების პოტენციალი	კეთილმოწყობილი ობიექტების/სივრცეების რაოდენობა, მომსახურების უწყვეტობა, საზოგადოებრივი სივრცეების გაუმჯობესება.	დაემატოს რეაბილიტირებული მწვანე სივრცეების ფართობი; დარგული ხეების რაოდენობა; მოვლილი სკვერებისა და პარკების რაოდენობა; ჩრდილის ზონების შექმნა.
02 06 01 – სპორტული მოედნების და დარბაზების მოწყობა-რეაბილიტაცია	0,0	პირდაპირი მწვანე ხარჯი არ არის, მაგრამ შეიძლება ჩაიდოს ენერგოეფექტიანი სტანდარტები	2025 წელს დაფინანსება არ არის გათვალისწინებული.	დაემატოს ენერგოეფექტიანი განათებით მოწყობილი მოედნების რაოდენობა; წყლის დაზოგვის სისტემები; მწვანე საფარის/გამწვანების კომპონენტი.
02 06 02 – ბაღების, სკვერების, პავილიონების, კულტურული ობიექტების, ამბულატორიების, სასწრაფო დახმარებისა და საგანგებო სიტუაციების ცენტრების მოწყობა-რეაბილიტაცია	0,0	მწვანე სივრცეების და მედეგი საზოგადოებრივი ინფრასტრუქტურის პოტენციალი	კეთილმოწყობილი/რეაბილიტირებული ობიექტების რაოდენობა.	დაემატოს სკვერებისა და ბაღების ფართობი; დარგული ხეები; წვიმის წყლის მართვის სისტემები; ადაპტირებული და ჩრდილიანი საჯარო სივრცეები.
02 06 03 – ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სამსახურის“ ხელშეწყობა	0,6	გარემოს მოვლა-პატრონობისა და მუნიციპალური სერვისების მხარდაჭერა	სამსახურის ფუნქციონირება და მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების შესრულება.	დაემატოს დასუფთავებული/მოვლილი სივრცეების რაოდენობა; მწვანე ფართობების მოვლის სიხშირე; ნარჩენების მართვაში ჩართული ტექნიკის რაოდენობა.
02 08 – საპროექტო, ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები	0,9	მწვანე სტანდარტების პროექტებში ჩაშენების ინსტრუმენტი	მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და ზედამხედველობის მომსახურება.	დაემატოს პროექტების რაოდენობა, სადაც ჩაშენებულია კლიმატური რისკის შეფასება, ენერგოეფექტიანობა, წყლის მართვა და გარემოზე ზემოქმედების შემცირების მოთხოვნები.
02 09 – მონაწილეობითი ბიუჯეტირება	1,0	ადგილობრივი მწვანე ინიციატივების დაფინანსების პოტენციალი	მოქალაქეთა ჩართულობის ზრდა ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში; წარმოდგენილი/შერჩეული საპროექტო წინადადებები.	დაემატოს მწვანე პროექტების წილი; დაფინანსებული წყლის, ნარჩენების, გამწვანების, სანიაღვრეებისა და ენერგოეფექტიანობის პროექტების რაოდენობა.

საბიუჯეტო კოდი და პროგრამა/ქვეპროგრამა	2025 წელი, მლნ ლარი	მწვანე ბიუჯეტთან კავშირი	არსებული შესრულების ინდიკატორები	დასამატებელი მწვანე ინდიკატორები
03 00 – დასუფთავება და გარემოს დაცვა	1,8	პირდაპირი მწვანე ხარჯი	მთელი წლის განმავლობაში დასუფთავება და ნარჩენების გატანა; ქალაქ დუშეთისა და სხვა ტერიტორიების დასუფთავება; SDG 11.6-თან კავშირი.	დაემატოს ნარჩენების შეგროვებით დაფარული დასახლებების რაოდენობა; შეგროვებული ნარჩენების მოცულობა; სტიქიური ნაგავსაყრელების შემცირება; სეპარირებული ნარჩენების წილი.
03 01 – დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1,2	ნარჩენების მართვა და დაბინძურების შემცირება	დასუფთავება და ნარჩენების გატანა; სანიტარული წესრიგის შენარჩუნება; ნარჩენების იზოლირება მოსახლეობისა და გარემოსაგან.	დაემატოს ნარჩენების გატანის სიხშირე; შეგროვებული ნარჩენების ტონა; კონტეინერების რაოდენობა; სეპარირებული შეგროვების პილოტური უბნები; დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი.
03 02 – არაგვის დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ხელშეწყობა	0,6	ბიომრავალფეროვნება და ლანდშაფტების დაცვა	დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის ფუნქციონირების მხარდაჭერა; არაგვის დაცული ლანდშაფტი მოიცავს გუდამაყრის, ფშავისა და ხევსურეთის არაგვის ხეობებს.	დაემატოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის რაოდენობა; დაცული ლანდშაფტის მოვლა-პატრონობის ღონისძიებები; ეკოტურისტული მარშრუტების მართვა; ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა.
მწვანე ბიუჯეტთან ასოცირებული ფართო ჯამი	7,8	ინფრასტრუქტურა + გარემოს დაცვა	ინდიკატორები ფრაგმენტულად არის წარმოდგენილი პროგრამების მიხედვით.	შეიქმნას ერთიანი მწვანე ინდიკატორების პანელი, სადაც გამოჩნდება გარემოსდაცვითი, კლიმატთან ადაპტაციისა და ენერგოეფექტიანობის შედეგები.
პირდაპირი მწვანე მინიმალური ბირთვი	1,8	მხოლოდ დასუფთავება და გარემოს დაცვა	დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის შედეგები, დაცული ლანდშაფტის ადმინისტრაციის მხარდაჭერა.	დაემატოს ნარჩენების, ბიომრავალფეროვნების, დაცული ლანდშაფტისა და გარემოს ხარისხის გაზომვადი ინდიკატორები.

წყარო: მომზადდა დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის პირველადი ბიუჯეტის პროგრამული დანართის მიხედვით

დანართი 2. დუშეთის მუნიციპალიტეტის ტურისტული ატრაქციების არასრული ჩამონათვალი

ტურისტული ატრაქცია	მოკლე ინფორმაცია
ანანურის ციხე-სიმაგრის კომპლექსი	ანანური დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე ცნობადი ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლია. კომპლექსი მდებარეობს საქართველოს სამხედრო გზაზე, ჟინვალის წყალსაცავის დასაწყისთან, დაახლოებით 900 მეტრ სიმაღლეზე. იგი XVI–XVIII საუკუნეების ფეოდალური ხანის ციხე-კომპლექსად არის აღწერილი და აერთიანებს თავდაცვით კედლებს, კოშკებსა და ეკლესიებს. ტურისტულად მნიშვნელოვანია როგორც ისტორიული ღირებულებით, ისე ჟინვალის წყალსაცავზე გადაშლილი ხედებით. (Georgian Travel Guide)
ჟინვალის წყალსაცავი	ჟინვალის წყალსაცავი დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ბუნებრივ-რეკრეაციული ადგილია, განსაკუთრებით ანანურის მიმართულებით მგზავრობისას. იგი გამორჩეულია ფირუზისფერი წყლით, მთიანი ლანდშაფტით და ფოტოგრაფიული ხედებით. წყალსაცავი ტურისტებისთვის ხშირად ერთდღიანი მარშრუტის ნაწილია, რომელიც აერთიანებს ანანურს, არაგვის ხეობას და ყაზბეგის მიმართულებას. *მწვანე ბიუჯეტირების კუთხით მის მიმდებარედ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნარჩენების მართვა, წყლის დაცვისა და ტურისტული დატვირთვის კონტროლი.* (Georgian Travel Guide)
ბაზალეთის ტბა	ბაზალეთის ტბა მდებარეობს ქალაქ დუშეთის სამხრეთით და ცნობილია როგორც დასვენებისა და მოკლე რეკრეაციული ვიზიტების ადგილი. იგი ხშირად ერთიანდება ანანურისა და დუშეთის ერთდღიან ტურებში, რადგან თბილისთან შედარებით ახლოსაა და ბუნებრივ გარემოში დასვენების შესაძლებლობას ქმნის. ტბის მიმდებარე ტერიტორია მნიშვნელოვანია საოჯახო, საგანმანათლებლო და რეკრეაციული *ტურიზმისთვის. ეკოლოგიური თვალსაზრისით აუცილებელია ნარჩენების მართვა, სანაპირო ზონის დაცვა და წყლის ხარისხის კონტროლი.* (Wonder Way Georgia)
შატილი	შატილი ხევსურეთის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მაღალმთიანი ისტორიული სოფელია და გამორჩეულია შუა საუკუნეების თავდაცვითი კოშკური არქიტექტურით. იგი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობისა და მთის ტურიზმის მნიშვნელოვან ცენტრს. შატილის ტურისტული მიმზიდველობა დაკავშირებულია როგორც კოშკურ დასახლებასთან, ისე ხევსურული ტრადიციების, მთის ლანდშაფტისა და რთულად მისადგომი გზის გამოცდილებასთან. *მწვანე ტურიზმის კონტექსტში მნიშვნელოვანია ვიზიტორთა ნაკადის მართვა, ნარჩენების კონტროლი და ადგილობრივი თემების ეკონომიკური სარგებლის გაზრდა.* (https://mtskheta-mtianeti.com/)
მუცო	მუცო ხევსურეთის კიდევ ერთი გამორჩეული ისტორიული ციხე-სოფელია, რომელიც კლდოვან ფერდობზეა განლაგებული. იგი ცნობილია თავდაცვითი კოშკებით, ისტორიული საცხოვრებელი სტრუქტურებითა და დრამატული მთის ლანდშაფტით. მუცო ხშირად შედის შატილი-მუცოს მარშრუტში და განსაკუთრებით საინტერესოა კულტურული, სათავგადასავლო და საფეხმავლო ტურიზმისთვის. *მისი განვითარება საჭიროებს ფრთხილ მიდგომას, რათა ტურისტულმა ინფრასტრუქტურამ არ დააზიანოს ისტორიული გარემო და ლანდშაფტი.*
ანატორის აკლდამები	ანატორი მდებარეობს შატილისა და მუცოს მარშრუტზე და ცნობილია ისტორიული აკლდამებით. ტურისტულ წყაროებში ანატორი აღწერილია როგორც XVIII საუკუნის აკლდამების ადგილი, რომელიც უკავშირდება ეპიდემიის პერიოდს. ეს ლოკაცია ისტორიულ-ეთნოგრაფიული ტურიზმისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ვიზიტორს აჩვენებს მთის თემების მძიმე ისტორიულ გამოცდილებასა და ტრადიციებს. *ადგილის მართვისას აუცილებელია მაღალი ეთიკური სტანდარტი, საინფორმაციო ნიშნები და ვიზიტორების ქცევის წესების განსაზღვრა.*
აბუდელაურის ფერადი ტბები	აბუდელაურის ტბები ხევსურეთის ერთ-ერთი გამორჩეული ბუნებრივი ატრაქციაა და ხშირად მოიხსენიება მწვანე, ლურჯი და თეთრი ტბების სახით. ისინი პოპულარულია ლაშქრობის, ბუნების ფოტოგრაფიისა და მაღალმთიანი ეკოტურიზმის მოყვარულებში. მარშრუტი დაკავშირებულია როშკისა და ჭაუხის მასივის მიდამოებთან, რაც მას ბუნებრივად აერთიანებს სათავგადასავლო ტურიზმის ქსელში. *ამ სივრცისთვის მნიშვნელოვანია ბილიკების მოვლა, ნარჩენების მინიმიზაცია და ვიზიტორთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა.*

ტურისტული ატრაქცია	მოკლე ინფორმაცია
როშკა	როშკა ხევსურეთის მაღალმთიანი სოფელია, რომელიც ცნობილია აბუდელაურის ტბებისკენ მიმავალი მარშრუტებით. სოფელი წარმოადგენს ბუნებაზე დაფუძნებული და თემზე დაფუძნებული ტურიზმის მნიშვნელოვან საყრდენს. *აქ ტურიზმის განვითარება შეიძლება დაუკავშირდეს საოჯახო სასტუმროებს, ადგილობრივ გიდებს, ტრადიციულ სამზარეულოს და მთის სოფლის ეკონომიკურ გაძლიერებას. მწვანე ბიუჯეტირების კუთხით საჭიროა წყლის, ნარჩენებისა და ბილიკების მდგრადი მართვა.*
ფშავი და ჩარგალი – ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი	ჩარგალი დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კულტურული ლოკაციაა, რომელიც უკავშირდება ვაჟა-ფშაველას სახელს. ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმი მნიშვნელოვანი ატრაქციაა ლიტერატურული, საგანმანათლებლო და კულტურული ტურიზმისთვის. ჩარგალის მიმართულება კარგად ერგება ფშავის ბუნებრივ და კულტურულ ლანდშაფტს, სადაც ტურიზმი შეიძლება განვითარდეს ადგილობრივი იდენტობის დაცვით. *ამ ტიპის ატრაქცია განსაკუთრებით ღირებულია სასკოლო, შემეცნებითი და კულტურულ-ეკოლოგიური მარშრუტებისთვის.* Georgian Travel Guide
ბოდორნის კლდის სვეტების ბუნების ძეგლი	ბოდორნის კლდის სვეტები დუშეთის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი ღირსშესანიშნაობაა და საინტერესოდ აერთიანებს გეოლოგიურ, ლანდშაფტურ და საგანმანათლებლო ღირებულებას. იგი დასახელებულია დუშეთში მოსანახულებელ ბუნებრივ ატრაქციებს შორის. ასეთი ტიპის ბუნების ძეგლები მნიშვნელოვანია ეკოტურიზმისა და გარემოსდაცვითი განათლებისთვის, რადგან ვიზიტორს აჩვენებს ლანდშაფტის უნიკალურობას. *საჭიროებს ბილიკების, საინფორმაციო დაფებისა და დაბალი ზემოქმედების ვიზიტორთა მართვის მიდგომას.* (Georgian Travel Guide)
ლომისა	ლომისა დუშეთის მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვანი რელიგიურ-კულტურული და სალაშქრო მიმართულებაა. იგი მოიხსენიება დუშეთის ტურისტულ აქტივობებს შორის და დაკავშირებულია როგორც ადგილობრივ რელიგიურ ტრადიციებთან, ისე მთის მარშრუტებთან. ლომისის მიმართულება განსაკუთრებით საინტერესოა კულტურული ლანდშაფტის, მომლოცველობისა და საფეხმავლო ტურიზმის გადაკვეთის თვალსაზრისით. *მწვანე მართვისთვის მნიშვნელოვანია ბილიკების დაცვა, ნარჩენების კონტროლი და მასობრივი ვიზიტების დროს ეკოლოგიური წესების უზრუნველყოფა.* (Georgian Travel Guide)
გუდამაყრის ხეობა	გუდამაყარი დუშეთის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი თვალწარმტაცი მთიანი ხეობაა, რომელიც გამოირჩევა ბუნებრივი ლანდშაფტითა და ტრადიციული სოფლის გარემოთი. რეგიონული ტურისტული წყაროები მცხეთა-მთიანეთის მთავარ ღირებულებებს შორის ასახელებს გუდამაყრის ხეობას. ეს სივრცე განსაკუთრებით შესაფერისია ეკოტურიზმის, საფეხმავლო ტურიზმის, სოფლის ტურიზმისა და ადგილობრივი კულტურის გაცნობისთვის. *განვითარება უნდა დაეფუძნოს მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურას, ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას და ბუნებრივი გარემოს დაცვას.*
ფასანაური	ფასანაური დუშეთის მუნიციპალიტეტის ცნობილი დასახლებაა საქართველოს სამხედრო გზაზე. იგი ტურისტულ წყაროებში მოიხსენიება როგორც კურორტი და ხშირად არის გაჩერების ადგილი არაგვის ხეობისა და ყაზბეგის მიმართულებით მგზავრობისას. ფასანაური ასევე ასოცირდება ადგილობრივ სამზარეულოსთან, განსაკუთრებით ხინკლის კულტურასთან, რაც გასტრონომიული ტურიზმის ნაწილად შეიძლება შეფასდეს. *მწვანე ტურიზმისთვის მნიშვნელოვანია გზისპირა სერვისების ნარჩენების მართვა, წყლის რესურსების დაცვა და ადგილობრივი მცირე ბიზნესის მხარდაჭერა.* (Georgian Travel Guide)
დუშეთის ისტორიული მუზეუმი და ქალაქის ისტორიული გარემო	ქალაქ დუშეთში მდებარეობს ისტორიული მუზეუმი, რომელიც რეგიონის კულტურულ არტეფაქტებსა და ადგილობრივ ისტორიას ინახავს. ქალაქში ასევე გვხვდება ისტორიული და კულტურული მნიშვნელობის ობიექტები, მათ შორის ძველი ეკლესიები და ადგილობრივი არქიტექტურული ელემენტები. *ეს მიმართულება მნიშვნელოვანია ურბანული კულტურული ტურიზმისთვის, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვიზიტი ერწყმის ბაზალეთის, ანანურის ან ფშავის მარშრუტს. კულტურული ტურიზმის განვითარება ქალაქში შეიძლება დაეხმაროს ადგილობრივ ეკონომიკას და გაზარდოს ვიზიტორების დარჩენის დრო.* (Georgia Travel)

ტურისტული ატრაქცია	მოკლე ინფორმაცია
მჭადიჯვრის ეკლესია	მჭადიჯვრის ეკლესია დუშეთის მუნიციპალიტეტის მნიშვნელოვან ისტორიულ-რელიგიურ ძეგლებს შორის არის დასახელებული. ის საინტერესოა კულტურული მემკვიდრეობის, არქიტექტურისა და რელიგიური ტურიზმის კუთხით. მსგავსი ძეგლები ხელს უწყობს დუშეთის ტურისტული პროდუქტის დივერსიფიკაციას, რადგან მუნიციპალიტეტი მხოლოდ ბუნებრივ ლანდშაფტებზე არ არის დამოკიდებული. *ტურიზმის განვითარებისას საჭიროა ძეგლთან მისასვლელი გზების, საინფორმაციო მასალებისა და ვიზიტორთა ქცევის წესების გაუმჯობესება.* (Georgia Travel)
არაგვის დაცული ლანდშაფტი	არაგვის დაცული ლანდშაფტი დუშეთის მწვანე ტურიზმის ერთ-ერთი მთავარი პლატფორმაა. იგი მოიცავს არაგვის ხეობებთან, ფშავთან, ხევსურეთთან და გუდამაყართან დაკავშირებულ ბუნებრივ-კულტურულ სივრცეებს და მნიშვნელოვანია ბიომრავალფეროვნების, ლანდშაფტებისა და ადგილობრივი თემების მდგრადი განვითარებისთვის. *ტურისტულად ეს სივრცე შეიძლება განვითარდეს ეკოტურისტული ბილიკებით, ადგილობრივი გიდებით, საოჯახო სასტუმროებითა და გარემოსდაცვითი განათლებით. მისი მართვა განსაკუთრებით უნდა დაეფუძნოს დაბალი ზემოქმედების ტურიზმს, ნარჩენების კონტროლს და ადგილობრივი მოსახლეობის სარგებელს.*

დანართი 3. მწვანე ბიუჯეტთან დაკავშირებით პირთა ნუსხა, რომელთანაც მოხდა შეხვედრა, ინტერვიუ, სატელეფონო კონსულტაცია

სახელი, გვარი	სამსახურებრივი პოზიცია/თანამდებობა
კახაბერ ჩიტაური	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი
ვასილ წიკლაური	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
ბესიკ ბიჩნიგაური	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
თამაზ ფოლოდაშვილი	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
ნოდარ კობიაშვილი	დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი იურიდიულ საკითხებში
დავით შაბურიშვილი	საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია
იაგო წოწკოლაური	ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსი
ამირან ძლიერაშვილი	სტატისტიკის, ეკონომიკის განვითარებისა და გარემოს დაცვის განყოფილების უფროსი, ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახური, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია

გამოყენებული ლიტერატურა/ წყაროები:

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2024–2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი, დუშეთის მუნიციპალიტეტი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა, დუშეთის მუნიციპალიტეტი

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №18, 13 დეკ. 2024.

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025-2028 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი (BDD)

დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში, 2026

საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021–2027

დუშეთის მუნიციპალიტეტის ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა 2023-2027 წლებისთვის.

საქართველოს მთავრობის დადგენილება №351, 2021 წლის 13 ივლისი, საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021 - 2025 წლებისათვის და საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის 2021-2022 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ https://matsne.gov.ge/ka/document/view/5214991

“Paris Collaborative on Green Budgeting”, Organisation for Economic Co-operation and Development (OECD),, https://www.oecd.org/environment/green-budgeting/

Green Participatory Budgeting: Lisbon, Portugal
https://centreforpublicimpact.org/public-impact-fundamentals/green-participatory-budgeting-lisbon-portugal/

Aligning Regional and Local Budgets with Green Objectives, SUBNATIONAL GREEN BUDGETING PRACTICES AND GUIDELINE, OECD Multi-level Governance Studies; Policy highlights
https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/support-materials/2022/06/aligning-regional-and-local-budgets-with-green-objectives_db24014b/aligning-regional-local-budgets-with-green-objectives-policy-highlights-en.pdf

Aligning Regional and Local Budgets with Green Objectives
https://www.oecd.org/content/dam/oecd/en/publications/reports/2022/06/aligning-regional-and-local-budgets-with-green-objectives_db24014b/93b4036f-en.pdf

Environmental Aspects of Participatory Budgeting in Selected Cities in Europe.
https://journals.aserspublishing.eu/jemt/article/view/8874

Aligning Regional and Local Budgets with Green Objectives, Subnational Green Budgeting Practices and Guidelines
https://www.oecd.org/en/publications/aligning-regional-and-local-budgets-with-green-objectives_93b4036f-en.html

Participatory Budgeting as a Tool for Smarter Cities: What’s Next?
https://newpolis.media/participatory-budgeting-as-a-tool-for-smarter-cities-whats-next/

GREEN BUDGETING AT THE NATIONAL AND SUBNATIONAL LEVELS
https://web-archive-storage.oecd.org/aemint-web-archive-prod/web-archive/08/08d669f5c8558eb0ac46938dfc7711afbfb6362cd3e1a639b08a37deaacaac10.pdf

Covenant of Mayors East
https://com-east.eu/countries/georgia/

Primer on the Disaster Risk Reduction and Management (DRRM) Act of 2010, Republic Act # 10121, DRRNetPhils Disaster Risk Reduction Network Philippines
https://downloads.caraga.dilg.gov.ph/Disaster%20Preparedness/DRRM%20Act%20Primer.pdf

https://dusheti.gov.ge/ka/მუნიციპალიტეტი/გეოგრაფია

https://1tv.ge/news/garemos-dacvis-saministrom-gudamayris-kheobashi-aragvi-hesisa-da-aragvi-1-hesis-msheneblobaze-kompanias-uari-utkhra/

https://aragvipl.ge/ჩვენს-შესახებ/

https://aragvipl.ge/ფაუნა/

Summary of dusheti Municipality Green Budgeting Project

The Dusheti Municipality Green Budgeting Project was prepared as a practical and advisory document to support the integration of environmental, climate-related and sustainable development considerations into municipal budget planning, execution and reporting. The project was developed within the framework of the "Green Caucasus" initiative implemented by CENN with the financial support of the Austrian Development Agency (ADA). The process was carried out in close cooperation with the leadership of Dusheti Municipality, municipal services, sectoral specialists and other stakeholders. Its main purpose is to assess the 2025 municipal budget from a green budgeting perspective and provide recommendations for the 2027–2029 budget cycle.

The document is among the first municipal-level green budgeting exercises in Georgia. It analyses the extent to which Dusheti's existing budget programmes, strategic priorities and sectoral policies contribute to environmental protection, climate change mitigation and adaptation, sustainable use of natural resources, disaster risk reduction and green local economic development. The project does not replace the municipal budget or existing policy documents; rather, it provides a framework for identifying, classifying and monitoring green expenditures and for strengthening the link between municipal finance and environmental outcomes.

Dusheti Municipality is particularly relevant for green budgeting because of its geographic and ecological characteristics. The municipality includes mountainous and high-mountain areas, river basins, forests, protected landscapes, tourism resources and culturally significant sites. At the same time, it faces environmental and climate-related challenges, including insufficient water and wastewater infrastructure, incomplete waste management coverage, illegal dumpsites, high exposure to natural hazards, limited early warning systems, pressure on natural landscapes and the need to strengthen green public spaces. Therefore, municipal spending in Dusheti should be assessed not only by financial execution, but also by its contribution to environmental quality, climate resilience and sustainable local development.

The analysis shows that ***Dusheti's development vision*** *already contains a strong environmental dimension*. The municipality aims to become an attractive high-mountain municipality with a clean ecological environment, safety, rational use of natural and cultural heritage and year-round tourism potential. This vision is closely aligned with green budgeting principles, as the municipality's competitiveness and socio-economic resilience depend on the protection and sustainable use of its natural capital, including forests, water resources, protected landscapes and tourism assets.

The project proposes that Dusheti Municipality gradually introduce a **green budget tagging system**. Existing and future budget programmes should be classified into several categories: *direct environmental expenditures*, *climate adaptation expenditures*, *climate mitigation expenditures* and *indirectly green or*

potentially green expenditures. Direct environmental *expenditures include waste management, cleaning services, protected landscape support, greenery, parks and public space maintenance, wastewater and pollution reduction measures*. Adaptation expenditures include *water supply systems, drainage channels, riverbank protection, disaster risk reduction, climate-resilient roads and mountain infrastructure*. Mitigation expenditures include *energy-efficient street lighting, renewable energy solutions, solar panels and energy efficiency improvements in municipal buildings*. Potentially green expenditures include *sustainable tourism, green business support, participatory budgeting and certain infrastructure projects, provided that environmental criteria are integrated into their design and implementation.*

The 2025 municipal budget analysis identifies two main groups of green-related expenditures. The first is the **conservative green core**, which includes ***direct environmental programmes***, especially ***cleaning, waste management and support to the Aragvi Protected Landscape***. The second is a **broader green-related portfolio**, which also includes ***infrastructure, water systems, street lighting, drainage, riverbank protection, disaster risk reduction and public space improvements***. In 2025, the programme "Cleaning and Environmental Protection" amounted to approximately GEL 2.0 million, including waste collection and cleaning of about GEL 1.3 million and support to the Aragvi Protected Landscape of about GEL 0.6–0.7 million. Infrastructure development represents a much larger budget line and includes several areas with green or climate-related potential, such as roads, water systems, street lighting, public space improvement and project design.

The budget execution analysis indicates that direct *environmental expenditures were generally implemented at a relatively high level*, *while some adaptation-related capital expenditures showed weaker performance*. *This is especially important in the case of disaster risk prevention, where low execution may reduce the municipality's capacity to shift from reactive response to proactive risk reduction.* In this context, ***the project recommends separating preventive and response-related expenditures and giving higher priority to drainage channels, riverbank protection, high-risk road sections, slope stabilization, early warning systems and nature-based solutions***.

Water management *is one of the most important green budgeting priorities for Dusheti*. The municipality has multiple rural and high-mountain settlements where *access to safe and continuous drinking water remains a challenge*. *Water supply, drainage and riverbank protection should be classified as climate adaptation and social resilience expenditures*. *Future budget planning should include* ***indicators*** *such as rehabilitated water network length, water loss reduction, number of water quality tests, emergency response time, population with improved water access and the number of high-risk areas protected from flooding and erosion*.

Waste management *is another direct green expenditure area*. The municipality's current system is mainly focused on *cleaning and waste collection, but green budgeting requires a gradual shift towards a more comprehensive waste management model*. This should include *service coverage expansion, seasonal waste management in tourism zones, inventory and elimination of illegal dumpsites, pilot separate collection schemes and public awareness activities*. Since *Dusheti's tourism potential depends heavily on clean natural landscapes, waste management should be treated not only as a municipal service, but also as a precondition for sustainable tourism and protection of natural capital*.

Energy efficiency *is an important cross-cutting opportunity*. Although energy is not presented as a separate budget sector, it appears in street lighting, municipal buildings, water systems and infrastructure maintenance. *Street lighting should become one of the first practical areas for green procurement and climate mitigation, especially through the gradual use of LED technologies, automated control, electricity consumption monitoring and reporting of savings*. ***Energy efficiency standards*** *should also be integrated*

into municipal building rehabilitation, public facilities, water pumping systems and project design specifications.

The project also highlights the importance of the ***Aragvi Protected Landscape, forests, biodiversity and sustainable tourism***. The Aragvi Protected Landscape is one of Dusheti's most important direct green budget components. Its funding should be connected to ***measurable indicators***, *including biodiversity monitoring, landscape protection activities, visitor management, eco-tourism routes, environmental education and local community participation*. ***Tourism development*** should follow a *low-impact model based on eco-tourism, agro-tourism, cultural tourism, local products, family guesthouses and protection of landscapes from waste, excessive construction and unmanaged visitor flows*.

Green business *and* ***agriculture*** *are also relevant to Dusheti's green budget*. ***Green business*** *support should focus on eco-tourism, local products, resource-efficient small enterprises, family guesthouses, local guides and services linked to the protected landscape*. **Agriculture** should be treated as *part of climate-resilient mountain economy, with emphasis on water management, soil protection, erosion reduction, pasture sustainability, short supply chains and local agri-food markets*. ***Irrigation, drainage and riverbank infrastructure*** *should be marked as adaptation expenditures when they reduce risks to agricultural land and rural livelihoods*.

Green public procurement *is recommended as one of the most practical tools for implementation*. Dusheti Municipality should gradually *introduce* ***green criteria*** *into procurement procedures, especially for street lighting, water infrastructure, waste containers, cleaning equipment, construction materials, public space improvements and project design services*. Procurement should consider *not only initial purchase price, but also life-cycle cost, durability, energy and water consumption, maintenance requirements and environmental impact*.

The project recommends *strengthening* ***environmental governance*** *through an internal green budgeting coordination mechanism*. This mechanism should *involve the finance and budget service, infrastructure units, the economic development and environmental protection division, relevant municipal non-commercial legal entities, the Aragvi Protected Landscape Administration and other sectoral actors*. Its role should be to agree on *tagging methodology, collect data, define indicators, monitor implementation and prepare annual green budget reporting*. This would improve *horizontal coordination* and ensure that *environmental objectives are integrated into the full budget cycle*.

A key recommendation is to *add a dedicated* ***chapter on green expenditures*** *to the annual municipal budget and annual budget execution report*. This chapter should present green budget categories, planned and actual expenditures, execution rates, achieved results and reasons for non-performance. It should also include sector-specific indicators for waste, water, energy, disaster risk reduction, protected landscapes, tourism, agriculture and green procurement. Such reporting would increase transparency, strengthen accountability and help the municipality demonstrate how public resources contribute to environmental and climate-related outcomes.

Overall, the **Dusheti Municipality Green Budgeting Project** shows that the municipality already has a significant basis for green budgeting. *Environmental protection, waste management, water systems, disaster risk reduction, energy efficiency, protected landscapes, forests, sustainable tourism, green business, agriculture and participatory budgeting are all relevant entry points.* ***The next step is to move from fragmented green-related activities to a systematic green budgeting framework based on classification, measurable indicators, monitoring and reporting***. ***By doing so, Dusheti Municipality can transform its budget into a practical instrument for building a cleaner, safer, more climate-resilient and environmentally sustainable high-mountain municipality***.